

ფრენსის ფუკუიამა

იდენტობა

იდენტობის
თანამედროვე
პოლიტიკა და
ბრძოლა
აღიარებისთვის

ფრენსის ფუკუიამა

იდენტობა

იდენტობის თანამედროვე პოლიტიკა
და ბრძოლა აღიარებისთვის

სარჩევი

შესავალი	7
1 ღირსების პოლიტიკა	17
2 სულის შესამე ნაწილი	27
3 შიგნით და გარეთ	41
4 ღირსებიდან დემოკრატიაზე	53
5 ღირსების რევოლუციები	57
6 ექსპრესიული ინდივიდუალიზმი	67
7 ნაციონალიზმი და რელიგია	77
8 მცდარი მისამართი	93
9 უჩინარი კაცი	99
10 ღირსების დემოკრატიზაცია	110
11 იდენტობიდან იდენტობებამდე	125
12 ჩვენ, ხალხი	143
13 ხალხად ყოფნის ისტორიები	159
14 რა უნდა გაკეთდეს?	181
შენიშვნები	205
ბიბლიოგრაფია	217

Francis Fukuyama
Identity: Contemporary Identity Politics and the Struggle for Recognition

Copyright © 2018 by Francis Fukuyama. All rights reserved

ფრენსის ფუკუიამა
იდენტობა
იდენტობის თანამედროვე პოლიტიკა და ბრძოლა აღიარებისთვის

© ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, 2018
ყველა უფლება დაცულია

აკრძალულია წიგნის ან მასში მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა.
გაფრველება ან გამრავლება ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

© Economic Policy Research Center, 2018

წინამდებარე წიგნის თარგმანი გამოიცემა კონრად ადენაუერის ფონდის
და ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის თანამშრომლობით



Konrad
Adenauer
Stiftung 2018, Konrad-Adenauer-Stiftung

ინგლიაურიდან თარგმნა ზაზა შენგელიამ

ISBN - 9789941805707

შესავალი

ამ წიგნის დაწერა 2016 წლის ნოემბერში დონალდ ტრამპის ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად არჩევამ გადაამწყვეტინა. ჩემი თანამემამულეების უმეტესობის მსგავსად, არჩევნების შედეგი ჩემთვისაც მოულოდნელი იყო. უცნობია, რას მოუტანს ეს მოვლენა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მსოფლიოს. 2016 წლის ივნისში, დიდ ბრიტანეთში ევროკავშირის დატოვების მომხრეთა გამარჯვების შემდეგ, ეს წლის მეორე საარჩევნო სიურპრიზი იყო.

თითქმის მთელი ბოლო ორი ათწლეული თანამედროვე პოლიტიკური ინსტიტუტების განვითარებას ვადევნებდი თვალს: როგორ აღმოცენდა სახელმწიფო, კანონის უზენაესობა და დემოკრატიული ანგარიშვალდებულება, როგორ განვითარდნენ და შეეზარდნენ ისინი ერთმანეთს და რა საფრთხე ემუქრება მათ. ტრამპის პრეზიდენტად არჩევამდე დიდი ხნით ადრე ვწერდი ამერიკული პოლიტიკური ინსტიტუტების გადაგვარების საფრთხეზე. სახელმწიფო ყოველისშემძლე გავლენის ჯგუფების ტყვედ იყო ქცეული. რომლებმაც, რიგიდულ სტრუქტურაში მოქცევით, მას რეფორმირების ყველა გზა მოუჭრეს

ტრამპი ერთდროულად, ამ გადაგვარების ნაყოფიც იყო და ხელშემწყობიც. მისი, როგორც თამაშგარე საპრეზიდენტო კანდიდატის, მთავარი დაპირება იყო მისთვის მინიჭებული სახალხო მანდატით არსებული პოლიტიკური სისტემის რყევა და განახლება. ამერიკელები დაიღალნენ პარტიული პოლიტიკის დომინირებით და მიილტვოდნენ ძლიერი პოლიტიკური ლიდერისაკენ, რომელიც გააერთიანებდა ქვეყანას და გაარღვევდა იმას, რასაც მე „ვეტოკრატია“ ვუნოდე – ინტერესთა ჯგუფების უნარი. შეეზღუდათ

ნებისმიერი კოლექტიური მოქმედება. სწორედ ასეთმა სახალხო ტალღამ მოუტანა გამარჯვება ფრანკლინ დ რუზველტს 1932 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, რამაც ძირფესვიანად შეცვალა შემდგომი ორი თაობის ამერიკული პოლიტიკა.

ტრამპის პრობლემა ორგვარი იყო. როგორც პოლიტიკური, ისე პიროვნული. მისი ეკონომიკური ნაციონალიზმი მისივე ამომრჩევლის მდგომარეობას კარგს არათურს უქადდა ამავე დროს, ტრამპის დაუფარავი სიმპათიები ავტორიტარულ ლიდერა მითმართ საერთაშორისო წესრიგის დესტაბილიზაციას მოასწავებდა. პიროვნული მახასიათებლების მხრივ, ძნელი იყო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობისთვის ნაკლებად შესაფერისი კანდიდატის წარმოდგენა. სახელმწიფოს ღირსეული მეთაურისთვის აუცილებელი თვისებები – პატიოსნება, განსჯის უნარი, სანდოობა საზოგადოების სასიკეთო სამსახურისადმი მზაობა და მორალური კომპასი ტრამპს არ გააჩნდა. მისი კარიერის განმავლობაში, ტრამპის ძირითადი მიზანი თვითრეკლამა იყო, რომლის მისაღწევად ის არც უნესო თამაშს და არც სხვების ხარჯზე ფონს გასვლას მორიდებია.

ტრამპი საერთაშორისო პოლიტიკის იმ ტენდენციის ნაწილია, რომელსაც პოპულისტურ ნაციონალიზმს უწოდებენ. პოპულისტი ლიდერები ცდილობენ, დემოკრატიული არჩევნებით მოპოვებული ლეგიტიმაცია ძალაუფლების კონსოლიდაციისთვის გამოიყენონ. ისინი „ხალხთან“ პირდაპირ, მათ ქარიზმაზე დაფუძნებულ კავშირს იჩემებენ სიტყვა „ხალხი“, ხშირ შემთხვევაში, ამა თუ იმ ეთნიკური ნიშნით გამოყოფილ ჯგუფს გულისხმობს და მოსახლეობის დიდ ნაწილს უგულვებელყოფს. მათ არ მოსწონთ ინსტიტუტები და ცდილობენ იმ დემოკრატიული მექანიზმების მოშლას რომლებიც თანამედროვე ლიბერალურ დემოკრატიებში პოლიტიკურ ლიდერთა პიროვნულ ძალაუფლებას ზღუდავს; ესენია: სასამართლო, საკანონმდებლო ორგანოები, პარტიული პოლიტიკისაგან დამოუკიდებელი ბიუროკრატია და თავისუფა-

ლი მედია. სხვა თანამედროვე ლიდერები, რომლებიც ამ კატეგორიაში შეიძლება მოვიაზროთ, არიან ვლადიმირ პუტინი რუსეთში, რეჟეფ თაიფ ერდოღანი თურქეთში, ვიქტორ ორბანი უნგრეთში იაროსლავ კაჩინსკი პოლონეთში და როდრიგო დუტერტე ფილიპინებში.

1970-იან წლებში წარმოქმნილი გლობალური დემოკრატიზაციის ტალღა ერთგვარ გლობალურ რეცესიად გარდაიქმნა (ტერმინი ჩემს კოლეგას, ლარი დაიმონდს ეკუთვნის). 1970 წელს მსოფლიოში დაახლოებით 35 ელექტორალური დემოკრატია იყო. შემდეგი სამი ათწლეულის განმავლობაში ეს რიცხვი სტაბილურად იზრდებოდა და 2000-იანი წლების დასაწყისისთვის 120-მდე გაიზარდა. ეს რიცხვი ყველაზე სწრაფად 1989-1991 წლებში გაიზარდა, როცა აღმოსავლეთ ევროპაში კომუნისტური რეჟიმები დაემხო და საბჭოთა კავშირი დაიშალა, რამაც რეგიონში დემოკრატიის ტალღა გამოიწვია. თუმცა 2000-იანი წლებიდან ეს ტენდენცია შენედა და დემოკრატიათა რიცხვმა კლება დაიწყო. ამავე დროს, ავტორიტარული რეჟიმის მქონე ქვეყნები, ჩინეთის მეთაურობით, მეტი თავდაჯერებითა და გამბედაობით გამოირჩევიან.

გასაკვირი არაა, რომ ისეთ ახალგაზრდა დემოკრატიებს, როგორებიცაა ტუნისი, უკრაინა ან მიანმარი. უჭირთ მყარი დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნა, ან ის, რომ ლიბერალური დემოკრატია ფეხს ვერ იკიდებს ერაყსა და ავღანეთში, ამ ქვეყნებში ამერიკის შეერთებული შტატების ინტერვენციის შემდეგ. გულდასაწყვეტი, თუმცა მოსალოდნელი იყო რუსეთის მიბრუნებაც ავტორიტარულ ტრადიციებთან. მოულოდნელი აღმოჩნდა ის საფრთხე, რომელიც დემოკრატიას დამკვიდრებული დემოკრატიის ქვეყნებში დაემუქრა. ერთ-ერთი პირველი აღმოსავლეთევროპული ქვეყანა, სადაც კომუნისტური რეჟიმი დაემხო, უნგრეთი იყო. ამ ქვეყნის ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებისას, პოლიტოლოგები უნგრეთს „შემდგარ ლიბერალურ დემოკრატიად“ აფასებ-

დნენ. თუმცა ვიქტორ ორბანის და ფიდელის პარტიის მმართველობის პერიოდში უნგრეთმა გემი. თვით ორბანის დეფინიციითაც, „არალიბერალური დემოკრატიისაკენ“ აიღო. კიდევ უფრო მოულოდნელი აღმოჩნდა დიდ ბრიტანეთში ბრეგზიტის რეფერენდუმის შედეგი და ამერიკის შეერთებულ შტატებში დონალდ ტრამპის არჩევა. ეს ორი მონინავე დემოკრატიული ქვეყანა თანამედროვე ლიბერალური საერთაშორისო წესრიგის სათავეებთან იდგა; ორი ქვეყანა, რომლებიც (1980-იან წლებში რონალდ რეიგანისა და მარგერეტ ტეტჩერის მეთაურობით) „ნეოლიბერალური“ რევოლუციის სამშობლოდ იქცნენ, ისინიც კი არ აღმოჩნდნენ დაზღვეულები პოპულისტური ნაციონალიზმის მომძლავრებისაგან.

ზემოთქმულს ამ წიგნის დაწერის მიზეზებთან მიეყავარ. მას შემდეგ, რაც 1989 წელს ესე „ისტორიის დასასრული?“, ხოლო 1992 წელს წიგნი „ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი“³ გამოვაქვეყნე, ხშირად უკითხავთ ხოლმე, ხომ არ უყენებდა ესა თუ ის მოვლენა წყალს ჩემს თეზისებს. ეს მოვლენა შეიძლებოდა ყოფილიყო სახელმწიფო გადატრიალება პერუში, ომი ბალკანეთში, 11 სექტემბრის ტერაქტი, გლობალური ფინანსური კრიზისი ან, უახლოეს წარსულში, დონალდ ტრამპის არჩევა და ზემოაღნიშნული პოპულისტური ნაციონალიზმის აღზევება.

კრიტიკულ შენიშვნათა უმეტესობა ჩემი თეზისის არასწორად გაგებაზე გამოიწვია სიტყვა ისტორიის მე ჰეგელიანურ-მარქსისტული გაგებით ვიყენებდი, რაც ვაცობრიობის მიერ შექმნილი ინსტიტუტების გრძელვადიანი ევოლუციის ამბავს გულისხმობს და რომლის ჩანაცვლებაც შეიძლება ისეთი ტერმინებით, როგორც ბიცაა მოდერნიზაცია ან განვითარება. სიტყვა დასასრულში გველისხმობდი არა რალაცის დამთავრებას, არამედ საბოლოო მიზანს. კარლ მარქსი ვარაუდობდა, რომ ისტორიის დასასრული კომუნისტური უტოპია იქნებოდა, მე კი ჰეგელის თეორიას ვუმხრობოდი, რომლის მიხედვითაც საბოლოო შედეგი

ლიბერალური დემოკრატიის საბაზრო ეკონომიკასთან დაწყვილება იქნებოდა⁴

ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ჩემი შეხედულებები დროთა განმავლობაში არ შეცვლილა. ამ შეხედულებათა გადააზრება, ყველაზე სრულად, ვცადე წიგნებში: „პოლიტიკური წესრიგის სათავეები“ და „პოლიტიკური წესრიგი და პოლიტიკური გადაგვარება“. ეს ორი წიგნი შეიძლება ჩაითვალოს წიგნის „ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი“ ხელახლა დაწერის მცდელობად რომელიც მსოფლიო პოლიტიკის ჩემს ახლანდელ ცოდნას ეფუძნება⁵. ორ მნიშვნელოვან ცვლილებათაგან, რომლებიც ჩემმა მიდგომამ განიცადა პირველი შეხება თანამედროვე უპიროვნო სახელმწიფოს განვითარების პრობლემას (მას მე, პირობითად, „მიაღწიო დანიას“ ვუწოდებ). ხოლო მეორე – ლიბერალურ დემოკრატიათა გადაგვარების ან უკუსვლის პერსპექტივას.

ჩემმა კრიტიკოსებმა სამწუხაროდ, ვერ შეამჩნიეს ჩემი ესეს სათაურის ბოლოში დასმული კითხვის ნიშანი და არ წაიკითხეს წიგნის, „ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი“, ბოლო თავები, რომლებშიც ნიციშეს უკანასკნელი ადამიანის პრობლემაზე ვსაუბრობდი.

ორივე შემთხვევაში ვსაუბრობდი იმაზე, რომ მსოფლიო პოლიტიკის მამოძრავებელი ძალებიდან არც ნაციონალიზმი გაქრებოდა და არც რელიგია. ლიბერალური დემოკრატიების მიერ თიმოსის პრობლემის სრულად გადაჭრამდე, რისთვისაც მათ ჯერ ვერ მიუღწევიათ. ეს ფაქტორები მნიშვნელოვან ადგილს შეინარჩუნებდნენ. თიმოსი სულის ის ნაწილია, რომელიც ღირსეული აღიარებისაკენ, დაფასებისაკენ ისწრაფვის. იზოთიმია თანასწორად აღიარების მოთხოვნილებაა, ხოლო მეგალოთიმია – უკეთესად, ზემდგომად აღიარების თანამედროვე ლიბერალური დემოკრატიები ზინიმაღლურად მაინც აკმაყოფილებენ მოქალაქისადმი გაცემულ თანასწორობის დაპირებას, რომელიც პირადი თავისუფლებებით კანონის უზენაესობით და არჩევნებ-

ში მონაწილეობის უფლებით არის უზრუნველყოფილი. მიუხედავად ამისა, ეს არ არის თანაბარი პატივით მოპყრობის გარანტია, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ნარსულში მარგინალიზირებული ჯგუფების წევრებს ეხება. უპატივცემულობა ქვეყნებმაც შეიძლება იგრძნონ, რაც აგრესიული ნაციონალიზმის გაჩენის საფუძველია, ისევე, როგორც მორწმუნეებმა, თუ მოეჩვენათ, რომ მათ რელიგიასა და რწმენას არასათანდო პატივისცემით ეპყრობიან. ამგვარად, იმოთიბია კიდევ დიდხანს იქნება პოლიტიკური პროცესების მამოძრავებელი ძალა, რადგანაც თანასწორობის პრობლემის სრული გადაწყვეტა ჯერ კიდევ რთული წარმოსადგენია.

მეორე პრობლემაა მეგალოთიშია. ბოლო წლებს თუ არ ჩავთვლით მშვიდობისა და კეთილდღეობის კუთხით, ლიბერალურმა დემოკრატიებმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს. მდიდარი და უსაფრთხო საზოგადოება ნიჭებს უკანასკნელი ადამიანის საარსებო გარემოა. ეს „უმჯერდო ადამიანები“ ცხოვრებას მომხმარებლური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში ატარებენ, არ გააჩნიათ მიზანი ან იდეალი, რომლის მიღწევისთვისაც იღწვიან და რომლისთვისაც მზად არიან მსხვერპლი გაიღონ. ასეთი ცხოვრება გერავის დააკმაყოფილებს. მეგალოთიშია სწორედ გამონაკლისით საზრდოობს გარისკვა, მასშტაბურ ამოცანებთან შეჭიდება, თავგანწირვა, ყველაფერი ეს აღიარებისკენ მიმავალი გზაა, რაც, საბოლოო ჯამში, სხვებზე უპირატესობის დასამტკიცებლად და საჭირო ზოგ შემთხვევაში, ამას ისტორიულ სცენაზე გამოყავს ჩერჩილი, ლინკოლნი ან ნელსონ მანდელას ტიპის გმირი ლიდერი, სხვა შემთხვევაში – ცეზარი, პიტლერი, მაო ან მათი მსგავსი ტირანი. რომელთა მოღვაწეობაც ხშირად კატასტროფული შედეგებით მთავრდება.

მეგალოთიშიის გარეშე არცერთ საზოგადოებას არ უარსებია. ამ ფენომენის დამარცხება შეუძლებელია თუმცა შესაძლებელია მისი კალაპოტში მოქცევა, სწორი მიმართულებით წარმართვა

კითხვა, რომელიც „ისტორიის დასასრულის და უკანასკნელი ადამიანის“ ბოლო თავში დავსვი, შეეხებოდა საბაზრო ეკონომიკასთან დაკავშირებული თანამედროვე ლიბერალური დემოკრატიის უნარს, უზრუნველყოს მეგალოთიშიის სწორი მიმართულებით წარმართვა ეს პრობლემა კარგად ქჟონდათ გააზრებული ამერიკის შეერთებული შტატების დამფუძნებელ მამებს. ჩრდილოეთ ამერიკაში რესპუბლიკური სახელმწიფოს შექმნისას ისინი რომის რესპუბლიკის დაცემის მიზნებს ითვალისწინებდნენ და ცეზარიზმის პრობლემის შესაძლო წარმოქმნის გაუვნებელყოფისათვის საჭირო მექანიზმებიც გაითვალისწინეს. გამოსავალი მათ ძალაუფლების წონასწორობისა და კონტროლის კონსტიტუციურ სისტემაში იპოვეს, რომელიც გააანალიზებდა ამ ძალაუფლებას და ამოორიცხავდა მის ერთი ლიდერის ხელში კონცენტრაციას. 1992 წელს მეგალოთიშიის გაუვნებელყოფის კიდევ ერთ მექანიზმად საბაზრო ეკონომიკას ვასახელებდი. ბიზნესმენს შეუძლია, უდიდესი სიმდიდრე მოიხვეჭოს და ამავე დროს ამით საზოგადოებრივ კეთილდღეობაზეც იზრუნოს. მას შეუძლია, ევერესტი დაიპყროს, ტრიატლონის ტურნირში გაიმარჯვოს. ან მსოფლიოში ყველაზე მაღალი კაპიტალიზაციის მქონე ინტერნეტ კომპანია დააარსოს

ალსანიშნავია, რომ „ისტორიის დასასრულში“ დონალდ ტრამპი ზემოთხსენებული ადამიანის მაგალითად მოვიყვანე, რომელმაც მისი აღიარების სურვილი ბიზნესში (მოგვიანებით კი გართობის ინდუსტრიაში) უსაფრთხოდ გადაამისამართა. ძნელად თუ წარმოვიდგენდი, რომ 25 წელში ის არ იკმარებდა ბიზნესში მიღწეულ წარმატებასა და სახელს. პოლიტიკაზე გადაერთვებოდა და პრეზიდენტი გახდებოდა. თუმცა ეს ფაქტი არ უწინააღმდეგება ჩემს ზოგად დასკვნას დემოკრატიული სისტემის შესაძლო საფრთხეებზე და თიმოსის ადგილზე ლიბერალურ საზოგადოებაში⁵ ასეთი პოლიტიკოსები, იქნებოდა ეს ცეზარი, პერონი თუ პიტლერი. აქამდეც არსებობდნენ და მათი მოღვაწეობა

ომით ან ეკონომიკური კატასტროფით მთავრდებოდა. პოლიტიკურ ავანსცენაზე გამოსასვლელად ასეთი ლიდერები იმ რიგითი მოქალაქეების გრძნობებით სპეკულირებენ, რომლებიც მათი ცხოვრების წესის, რელიგიის ან ქვეყნის უპატივცემულობით შეურაცხყოფილად გრძნობენ თავს. მეგალოთიმია და იზოთიმია ერთმანეთზეა გადაჭაჭვული.

ამ წიგნში იმ თემებს ვუბრუნდები, რომელთა კვლევა 1992 წლიდან დავიწყე; ესენია: თიმოსი, აღიარება იდენტობა, ღირსება, მიგრაციული პროცესები, ნაციონალიზმი, რელიგია და კულტურა. წიგნში შესულია 2005 წელს სეიმურ მარტინ ლიფსეტისადმი მიძღვნილი ლექცია იმიგრაციასა და იდენტობაზე და 2011 წელს ჟენევაში, ლაციის ფონდში ჩატარებული ლექცია იმიგრაციასა და ევროპულ იდენტობაზე. ამ წიგნის რამდენიმე მონაკვეთში შეორდება ადრე გამოქვეყნებული ნაწერებიც. ამ გამოვლენების გამო ბოდიშს ვიხდი, თუმცა დარწმუნებული ვარ, მკითხველთა უმრავლესობისათვის ისინი თვალშისაცემი არ იქნება. ამ ტექსტების გამოყენების მიზები კი მიმდინარე მოვლენებთან მათი რელევანტურობაა

იდენტობის აღიარების მოთხოვნა თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ძირითადი მახასიათებელია. იდენტობასთან დაკავშირებული პოლიტიკური პროცესები განსაკუთრებით თვალშისაცემი აშშ-ის უნივერსიტეტებშია, რაც ხშირად თეთრკანიანებს შორის ნაციონალისტური ელფერის მკვეთრ უკურეაქციასაც იწვევს, თუმცა იდენტობის აღიარების მოთხოვნა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბევრად უფრო გლობალურ პროცესებში, ისეთებში, როგორებიცაა მსოფლიოში ძველი ყაიდის ნაციონალიზმის გამოღვივება და პოლიტიკური ისლამი. მე ვეცდები დაგარწმუნოთ, რომ იმ მოვლენათა დიდი ნაწილი, რომელთა გამომწვევ მიზეზად ეკონომიკური მოტივაცია მიიჩნევა, სინამდვილეში იდენტობის აღიარებასთანაა დაკავშირებული და ამ პრობლემების ეკონომიკური საშუალებებით დაკმაყოფილება

ვერ მოხერხდება ამის გააზრებას, პირველ რიგში. თანამედროვე პოპულიზმთან გამკლავებისთვის აქვს მნიშვნელობა.

შეგელის მიხედვით, კაცობრიობის ისტორია აღიარებისთვის ბრძოლის ისტორიაა. ის ამტკიცებდა, რომ აღიარების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ერთადერთი რაციონალური ნაბიჯი უნივერსალური აღიარებაა, რაც ყველა ადამიანის ღირსების აღიარებას და დაცვას გულისხმობს. უნივერსალურ აღიარებას უპირისპირდება აღიარების არასრული, ნაწილობრივი ფორმები, რომლებიც ეთნოსს, რელიგიას, რასას, სექტისადმი კუთვნილებას, გენდერს და სხვა ცალკეულ ნიშნებს ან თუნდაც ცალკეული ინდივიდების სხვებზე უპირატესი და პრივილეგირებული მდგომარეობის დეკლარირებას ემყარება. ლიბერალურ დემოკრატიებში იდენტობასთან დაკავშირებული პოლიტიკური პროცესების გამწვავება ერთ-ერთი მთავარი საფრთხეა, რომლის წინაშეც ეს პოლიტიკური სისტემები დგანან. საზოგადოება, რომელიც არ ეცდება ღირსების უფრო უნივერსალურ ვაგებას მიუახლოვდეს და დაამკვიდროს ის, განწირულია სოციალური კონფლიქტების გამწვავებისთვის

მსურს მაღლიერება გამოვხატო მეგობრებისა და კოლეგებისადმი რომლებმაც არ დაიბარეს ამ ნაშრომის თავიანთი შენიშვნებით გამდიდრება; ესენი არიან: შერი ბერმანი, ჯერარდ კასპერი, პატრიკ შამორელი, მარკ კორდოვერი, ქეთრინ ვრამერი, ლარი დაიმონდი, ბობ ფოლკნერი, ჯიმ ფირონი, დევიდ ფუკუიამა, სემ ჯილი, ანა გრიზმალა-ბიუსი, მარგარეტ ლევი, მარკ ლილა, ქეით მაკნამარა, იაშა მუნვი მარკ პლეტნერი, ლი როსი, სიუზან შელი, სტივ სტედმენი და ქეთრინ სთონერი.

განსაკუთრებული მადლობა ერიკ შინსკის, ჩემს რედაქტორს გამომცემლობაში „ფერარ სტრაუს ენდ ჟირო“, რომელმაც, ჩემთან ერთად, უკვე რამდენიმე წიგნზე იმუშავა დაუშარელად. ლოგიკისა და ენის განუმეორებელმა შეგრძნებამ და მისმა უსაზღვრო ერუდიციამ ამ წიგნს ბევრი ღირსება შესძინა. მადლობა მინდა

გადავუხადო ენდრიუ ფრანკლინს „პროფაილ ბუქსიდან“ ამ და სხვა წიგნების გამოცემაში მხარდაჭერისთვის.

როგორც ყოველთვის, მადლიერი ვარ ჩემი ლიტერატურული აგენტების, ესთერ ნიუბერგის, „ინთერნეიშენელ ქრეიფთივ მენეჯ-მენტიდან“ და სოფი ბეიკერს, „კარტის ბრაუნიდან“, ასევე მათი კოლეგების ამ წიგნის აშშ-სა და სხვა ქვეყნებში გამოცემა მათი დამსახურებაა.

მადლობა ჩემს სამეცნიერო ასისტენტებს ანა ურჯილს, ვრიკ გილიამს, რასელ კლარიდას და ნიკოლ საუთარს იმ ფასდაუდებელი მასალებისთვის, რომლებსაც ეს წიგნი ეყრდნობა.

მადლობელი ვარ ჩემი ოჯახის და განსაკუთრებით ჩემი ცოლის, ლორასი, რომელიც ყველა ჩემი წიგნის ყურადღებიანი მკითხველი და კრიტიკოსია.

პალო ალტო და კარმელი, კალიფორნია

ღირსების პოლიტიკა

21-ე საუკუნის მეორე ათწლეულის შუაში მსოფლიო პოლიტიკამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა.

1970-იანი წლების დასაწყისიდან 2000-იანი წლების შუამდე არჩევითი დემოკრატიების რიცხვი 35-დან 110-მდე გაიზარდა. სემუელ ჰანტინგტონმა ამ ტენდენციას დემოკრატიზაციის „მესამე ტალღა“ უწოდა ამ პერიოდში მსოფლიოს ქვეყნების უმეტესობისთვის. მმართველობის ფორმად ლიბერალური დემოკრატია იქცა, პრაქტიკული ან თეორიული ფორმით¹.

ამ ცვლილებათა პარალელურად იზრდებოდა ერებს შორის ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება, რასაც გლობალიზაციას ვუწოდებთ გლობალიზაციის განვითარება ემყარება ლიბერალური ეკონომიკის ისეთ ინსტიტუტებს, როგორიც ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმება და მისი მემკვიდრე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაა. გლობალიზაციას ხელი რეგიონალურმა სავაჭრო შეთანხმებებმაც შეუწყო, მათ შორის, ევროკავშირსა და ბრდილოეთ ამერიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებამ. ამ პერიოდის განმავლობაში საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტიციების მოცულობის ზრდამ მთლიანი შიდა პროდუქტის გლობალური ზრდის ტემპს გაუსწრო და ეკონომიკური კეთილდღეობის მთავარ მამოძრავებელ ძალად განიხილებოდა

1970-2008 წლებში სავაჭრო საქონლის და სერვისების წარ-

მოება გაოთხმაგდა და ეკონომიკური ზრდა მსოფლიოს თითქმის ყველა რეგიონს შეეხო. ამავე დროს, განვითარებად ქვეყნებში უკიდურეს გაჭირვებაში მცხოვრებ ადამიანთა რიცხვი მთლიანი მოსახლეობის 42%-დან (1993) 17%-მდე (2011) დაეცა. 5 წლამდე ბავშვების სიკვდილიანობა 22%-დან (1960) 5%-მდე (2016) შემცირდა⁹.

თუმცა იყვნენ ისეთებიც, ვისთვისაც ლიბერალიზმის აღმშენებლად სიკეთე არ მოუტანია. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, განსაკუთრებით განვითარებულ დემოკრატიებში, სადაც სწრაფი ეკონომიკური ზრდის სარგებელი, ძირითადად, საზოგადოების განათლებულ ფენებში კონცენტრირდა. უთანასწორობა მნიშვნელოვნად გაიზარდა¹⁰. ეკონომიკური ზრდა პირდაპირ კავშირში იყო საქონლის, ფულისა და ხალხის გადაადგილებასთან, რაც ხშირად დამანგრეველ სოციალურ ცვლილებებს იწვევდა. განვითარებად ქვეყნებში სოფლად მცხოვრებმა მოსახლეობამ, რომელსაც ელექტროენერჯიასთან წვდომაც კი არ ჰქონდა, მოულოდნელად თავი ურბანულ ცენტრებში ამოყო – მობილური ტელეფონებით ხელში ტელევიზიასა და ინტერნეტთან უწყვეტი წვდომით. შრომის ბაზრებმა ახალ პირობებს ალღო აუღეს, საკუთარი თავისა და ოჯახისათვის უკეთესი მომავლის ძიებაში, ათობით მილიონმა ადამიანმა საერთაშორისო საზღვრები გადაკვეთა, ბევრიც სამშობლოში არსებულ გაუსაძლის პირობებს გამოექცა. ისეთ ქვეყნებში როგორებიც ჩინეთი და ინდოეთია. გაჩნდა ახალი, უზარმაზარი საშუალო ფენა, რომელმაც, ძირითადად, განვითარებული ქვეყნების უფრო ძველი საშუალო ფენის საშუალო ადგილები გადმოიბარა სამრეწველო სიმძლავრეები ევროპიდან და აშშ-დან, ეტაპობრივად, აღმოსავლეთ ამიასა და სხვა, იაფი მუშახელით დასახლებულ, რეგიონებში გადავიდა. ამავე დროს, მომსახურების სფეროებით დომინირებულ ეკონომიკურ მოდელში ქალებმა მასიურად ჩაანაცვლეს მამაკაცები დაბალი კვალიფიკაციის მქონე მუშახელი კი ავტომატიზირებულმა წარმოებამ შეცვალა.

2010-იანი წლების დასაწყისში ღია და ლიბერალური მსოფლიოს მოდელმა გერ ზრდა შეანელა, შემდეგ კი უკუსვლა დაიწყო.

ეს ძვრა დაემთხვა ორ ფინანსურ კრიზისს. პირველი აშშ-ის უძრავი ქონების ბაზარზე წარმოიშვა 2008 წელს და დიდი რეცესია გამოიწვია, მეორე კი მაშინ დადგა, როცა ევრო და ევროკავშირის ფინანსური სტაბილურობა, საბერძნეთის გაკოტრების შემდეგ, საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ორივე შემთხვევაში, ელიტებზე ორიენტირებულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ უზარმაზარი რეცესია გამოიწვია. გაზარდა უმუშევრობა და შეამცირა მილიონობით რიგითი დასაქმებულის შემოსავალი. ევროპასა და აშშ-ში – წამყვან ლიბერალურ დემოკრატიებში წარმოქმნილმა ძლიერმა ფინანსურმა კრიზისებმა მძიმე დარტყმა მიაყენა ლიბერალური დემოკრატიის, როგორც სახელმწიფო მონყობის მოდელის რეპუტაციას.

დემოკრატიის მკვლევარმა ლარი დაიმონდმა ფინანსური კრიზისების შემდგომი წლები „დემოკრატიულ რეცესიად“ დაახასიათა, რომლის დროსაც დემოკრატიათა რიცხვი შემცირდა მსოფლიოს თითქმის ყველა რეგიონში¹¹. ჩინეთის და რუსეთის მსგავსმა ავტორიტარულმა ქვეყნებმა უფრო გაბედული და თავდაჯერებული ნაბიჯების გადადგმა დაიწყეს. ჩინეთმა დეკლარირებულად არადემოკრატიული „ჩინური მოდელი“ დასახსახელმწიფოს განვითარებისა და გამდიდრების იდეალურ გზად. რუსეთმა ევროკავშირისა და აშშ-ის ლიბერალურ დეკადანსს შეუტია. ქვეყნების ნაწილმა – უნგრეთმა, თურქეთმა, ტაილანდმა და პოლონეთმა – რომლებიც 1990-იან წლებში შემდგარ და წარმატებულ ლიბერალურ დემოკრატიებად ითვლებოდა, ავტორიტარული მმართველობისაკენ უკუსვლა დაიწყეს. 2011 წლის არაბულმა გაზაფხულმა ახლო აღმოსავლეთის დიქტატორული რეჟიმები შეარყია და ლიბიასა და იემენში, ერაყსა და სირიაში სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომები გამოიწვია. ტერორისტთა გააქტიურებას, რამაც 2011 წლის სექტემბრის ტერაქტები გამოიწვია ვერაფერი დააკლო ამერიკის შეერთებული შტატების ავღანეთსა და ერაყში ინტერვენციამ. პირიქით, ტერორისტული ორგანიზაციების მუტაციის შედეგად გაჩნდა ე.წ ისლამური სახელმწიფო. რომელიც ერთმნიშვნელოვნად არალიბერალური და ძალადობრივი მეთოდების მომხრე მუსლიმთა მიზიდულობის

ცენტრად ჩამოყალიბდა. აღსანიშნავია, რომ ბევრმა ახალგაზრდა მუსლიმმა ახლო აღმოსავლეთის ან ევროპის რომელიმე ქვეყნის საზოგადოებაში უსაფრთხოდ ყოფნას სისხლისმღვრელი კონფლიქტის ზონაში მოქცეულ სირიაში წასვლა და ისლამური სახელმწიფოს სახელით ბრძოლაში ჩაბმა არჩია.

კიდევ უფრო მოულოდნელი და გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იყო 2016 წლის ორი ელექტორალური სიურპრიზი – ევროკავშირიდან გამოსვლის მომხრეთა გამარჯვება დიდ ბრიტანეთში და დონალდ ტრამპის ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად არჩევა. ორივე შემთხვევაში ამომრჩეველთა ქცევა, ნაწილობრივ, ეკონომიკური ფაქტორებით აიხსნება. ეს განსაკუთრებით მუშათა კლასის წარმომადგენლებს ეხება, რომლებმაც ყველაზე მეტად ინვნიეს დეინდუსტრიალიზაციის და უმუშევრობის შედეგები. ასევე მნიშვნელოვანი იყო ფართომასშტაბიანი იმიგრაციით გამოწვეული პროტესტი, რომელიც ადგილობრივთა სამუშაო ადგილების დაკარგვის და ტრადიციულ კულტურულ იდენტობათა რღვევის მიზეზად აღიქმება. ანტიიმიგრანტული და ევროკავშირის საწინააღმდეგო პროგრამის მქონე პარტიები ბევრ სხვა განვითარებულ ქვეყანაშიც გაძლიერდნენ: ნაციონალური ფრონტი საფრანგეთში, პარტია თავისუფლებისთვის ჰოლანდიაში, ალტერნატივა გერმანიისთვის და სახალხო პარტია ავსტრიაში. ისლამური ტერორიზმის შიშს ევროპაში თან ერთვოდა მუსლიმური იდენტობის გამომხატველი სიმბოლოების – ბურქას, ნიქაბისა და ბურკინის აკრძალვა.

მე-20 საუკუნის პოლიტიკა მემარჯვენე-მემარცხენე დიქტომიის გარშემო ჩამოყალიბდა, სადაც მემარცხენეები მეტ თანასწორობას. ხოლო მემარჯვენეები მეტ თავისუფლებას ითხოვდნენ პროგრესულ პოლიტიკას დასაქმებულთა ინტერესები. მათი პროფესიული კავშირები და სოციალ-დემოკრატიული პარტიები წარმართავდნენ. რომლებიც უფრო პროტექციული სოციალური სისტემის და ეკონომიკური დოვლათის უკეთესი რეღისტრირებისკენ ილტვოდნენ. მათგან განსხვავებით. მემარჯვენეები, ძირითადად, მთავრობის ზომის და მნიშვნელობის შემცირებაზე და კერძო სექტორის ინტერესთა დაცვაზე ამახვილებდნენ ყურადღებას. 21-ე

საუკუნის მეორე ათწლეულში მემარცხენეებად და მემარჯვენეებად დაყოფილი პოლიტიკური სპექტრი ადგილს უთმობს იდენტობით განსაზღვრულ პოლიტიკურ ძალებს. მემარცხენე ძალები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ეკონომიკური თანასწორობის მოგად საკითხებს და მეტად კონცენტრირებულად ზრუნავენ მოსახლეობის იმ ჯგუფების ინტერესთა დაცვაზე, რომლებიც მარგინალიზაციის საფრთხის წინაშე არიან: შავკანიანების, იმიგრანტების. ლგბტ თემის წევრების, ლტოლვილების და ა. შ. ამავე დროს, მიმდინარეობს მემარჯვენეების რედეფინიცია, რომლებიც საკუთარ თავს ტრადიციული ეროვნული იდენტობის მცველ პატრიოტებად ხედავენ ეს იდენტობა ხშირად პირდაპირ კავშირშია ეთნიკურ, რელიგიურ ან რასობრივ ფაქტორებთან.

ტრადიცია, რომელსაც კარლ მარქსამდე მივყავართ, პოლიტიკურ ბრძოლას ეკონომიკური კონფლიქტების გამოხატულებად მიიჩნევს. მარტივად რომ ვთქვათ, ეს არის ბრძოლა ნამცხვრის ყველაზე დიდი ნაჭრის, ანუ სიმდიდრის მოპოვებისთვის. ასეთი მიდგომა კარგად ხსნის 2010-იან წლებში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს: გლობალიზაციამ წარმოშვა მოსახლეობის დიდი მასები, რომლებსაც გლობალური ეკონომიკური ზრდიდან გამომდინარე სარგებელი არ მიუღიათ 2000-დან 2016 წლამდე ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის ნახევრის რეალური შემოსავალი არ გაზრდილა. ამავე დროს, ეკონომიკური ზრდით წარმოქმნილი სარგებლის წილი, რომელიც მოსახლეობის მხოლოდ 1%-ს მისდის, 9%-დან (1974) 24%-მდე (2008) გაიზარდა¹².

მატერიალური ინტერესები ადამიანთა მოტივაციის მნიშვნელოვანი ფაქტორია, თუმცა არა ერთადერთი არ უნდა დაგვავინწყდეს, რომ არსებობს სხვა ფაქტორებიც, რომლებიც თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს არანაკლებ კარგად ხსნის. მათ შეიძლება რესენტიმენტის ანუ გაბოროტების პოლიტიკა ვუნდოდ. უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება ისეთი პოლიტიკური ლიდერებისა, რომლებიც მხარდამჭერების მობილიზაციას ამა თუ იმ ჯგუფის შელახული ღირსებისა და დამცირების შეგრძნების ხარჯზე ახერხებენ. ეს რესენტიმენტი ღირსებაშელახული ჯგუფის მიმართ ჩადენილი უსამართლობის

საჯარო აღიარების მოთხოვნას წარმოშობს. ჯგუფს, რომელიც თავს დამცირებულად მიიჩნევს და ღირსების აღსადგენად იბრძვის, გაცილებით მეტი ემოციური წონა და მუხტი გააჩნია, ვიდრე ჯგუფს, რომელიც საკუთარი ეკონომიკური ინტერესების დაკმაყოფილებისათვის იღწვის.

სწორედ ამიტომ ვლადიმირ პუტინი საბჭოთა კავშირის დაშლას ტრაგედიად მიიჩნევს და ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს ბრალს სდებს 1990-იანი წლებში სუსტი რუსეთის ხარჯზე ნატო-ს გაფართოებაში. მას სძულს დასავლელ პოლიტიკოსთა მორალური უპირატესობის პოზიციიდან საუბარი და როგორც ბარაკ ობამა ამბობდა, რუსეთს არა სუსტ, რეგიონულ მოთამაშედ, არამედ შესახელმწიფოდ აღიქვამს. ვიქტორ ორბანი, უნგრეთის პრემიერ-მინისტრი, 2010 წელს ხელისუფლებაში დაბრუნებას ასე აღწერდა: „ჩვენ, უნგრელებმა, გადავწყვიტეთ, რომ დაგვებრუნებინა ჩვენი ქვეყანა, საკუთარი თავის პატივისცემა და ჩვენი მომავალი“³³ ში ჯინპინგის მთავრობა გაუთავებლად საუბრობს „ჩინეთის ათასწლოვანი დამცირების“ შესახებ და ამტკიცებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები, იაპონია და სხვა ქვეყნები ხელს უშლიან ჩინეთს, დაიბრუნოს შესახელმწიფოს სტატუსი, რომლითაც ის გასული ათასწლეულის მანძილზე სარგებლობდა. ალ-ქაიდას დამაარსებლის დედა იხსენებს, რომ როცა უსამა ბენ ლადენი 14 წლის იყო, „დაპაღუბით სდიოდა ცრემლი ტელევიზორში პალესტინის შესახებ გადაცემების ყურებისას“³⁴ მუსლიმთა დამცირებით გამონვეული ბრაზი მის ერთმორწმუნეებს სირიაში მიმდინარე კონფლიქტში ჩართვისაკენ უბიძგებს. საკუთარი რელიგიის დაცვის საჭიროების განცდის გარდა, მათ ისლამური ცივილიზაციის წარსული დიდების აღდგენის სურვილიც ამოძრავებდათ და ამისთვის შესაფერის ადგილად ისლამური სახელმწიფო მიაჩნდათ.

ულრსი საქციელით, უსამართლობით გამონვეული რესენტიმენტი დემოკრატიულ საზოგადოებებშიც მძლავრი მუხტის მატარებელია მოძრაობა „შავკანიანთა სიცოცხლეს მნიშვნელობა აქვს“ პოლიციის მიერ ფერგიუსონში (მისური), ნიუ-იორკში, ბალტიმორსა და სხვა ქალაქებში შავკანიანთა მკვლელობების

გახმაურების შემდეგ აღმოცენდა და ცდილობს, გარესამყაროს ყურადღება მიაპყროს პოლიციის მხრიდან მსხვერპლთა მიმართ ძალის გადამტებას. უნივერსიტეტებსა და ოფისებში სექსუალური ძალადობა და შევიწროება მამაკაცთა და ქალთა შორის უთანასწორობის ილუსტრაციად იქცა. მოულოდნელად, ყურადღების საგნად იქცა ტრანსგენდერთა უფლებებიც, რომლებიც უახლოეს წარსულშიც კი არ განიხილებოდნენ დისკრიმინაციის მსხვერპლად. ტრამპის ამომრჩევლებს შორის ბევრი იყო, ვინც წარსულში უკეთ და უფრო უსაფრთხოდ გრძნობდა თავს, ვიდრე თანამედროვე საზოგადოებაში. მათი არჩევანის მიზანია „გახადონ ამერიკა კვლავაც დიადი“. დროსა და სივრცეში დაშორების მიუხედავად, შეიძლება პარალელის გავლება დასავლური პოლიტიკური ელიტების უპატივცემულობითა და ქედმაღლობით შეურაცხყოფილ პუტინის ამომრჩეველსა და სოფლად მცხოვრებ ამერიკელ ამომრჩეველს შორის, რომელიც ურბანულ ელიტებს და მათ დაქვემდებარებულ მედიას მისი პრობლემებისა და აზრის უგულებელყოფაში ადანაშაულებს.

რესენტიმენტის პოლიტიკის გამტარებლები ერთმანეთს ადვილად ცნობენ. ის სიმპათია, რომლითაც ვლადიმირ პუტინი და დონალდ ტრამპი ერთმანეთის მიმართ არიან განწყობილნი არა მარტო პიროვნულია. არამედ ორივე მათგანისთვის დამახასიათებელი ნაციონალიზმიდანაც გამომდინარეობს. როგორც ვიქტორ ორბანმა ახსნა: „არსებობს თეორიები, რომლებიც დასავლეთის სამყაროში მიმდინარე ცვლილებებს, დონალდ ტრამპის ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად არჩევას ტრანსნაციონალურ, „გლობალურ“ ელიტებსა და პატრიოტულ, ნაციონალურ ელიტებს შორის ბრძოლად აფასებს“, ელიტებისა, რომელთა ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელი თავად ორბანი იყო“³⁵.

ნებისმიერ შემთხვევაში, ჯგუფს, იქნება ეს რუსეთი თუ ჩინეთი, ან კიდევ ამომრჩევლები დიდ ბრიტანეთსა და შეერთებულ შტატებში, სჯერა, რომ მას გააჩნია იდენტობა და ეს იდენტობა არ იქნა ღირსეულად დაფასებული და აღიარებული გარესამყაროს (ქვეყნების შემთხვევაში) ან საზოგადოების სხვა წევრების მიერ. ეს იდენტობები ძალიან მრავალფეროვანი და განსხვავებულია

და ეყრდნობა ეროვნებას, რელიგიას, ეთნიკურ წარმომავლობას, სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერს მიუხედავად მათი ბუნებისა ისინი ერთი ფენომენის – იდენტობის პოლიტიკის სხვადასხვა გამოხატულებებია

ტერმინები იდენტობა და იდენტობის პოლიტიკა ახლო წარსულში გაჩნდა პირველი ფსიქოლოგ ერიკ ერიკსონის მიერ იქნა დანერგული 1950-იან წლებში, ხოლო მეორე 1980-იანი და 90-იანი წლების კულტურის პოლიტიკაში გამოჩნდა. ტერმინ იდენტობას დღეს სხვადასხვა დეფინიცია აქვს. ზოგ შემთხვევაში ის სოციალურ როლებსა და კატეგორიებს გულისხმობს, ზოგ შემთხვევაში – პირად ინფორმაციას (ჩემი იდენტობა გაყალბებულია) ამ ფუნქციით დატვირთული იდენტობები ყოველთვის არსებობდა¹⁶.

ამ წიგნში ტერმინ იდენტობას სპეციფიკური მნიშვნელობით გამოვიყენებ რაც დაგვეხმარება იმის გააზრებაში თუ რატომ არის ის ასეთი მნიშვნელოვანი თანამედროვე პოლიტიკისთვის იდენტობა, პირველ რიგში, იზრდება ჩვენი შინაგანი მე-სა და გარე სამყაროში არსებულ სოციალურ წესებსა და ნორმებს შორის განსხვავებისაგან, როცა ეს ნორმები სათანადოდ არ აფასებენ ჩვენს პიროვნებას. ვაცობრიობის ისტორიას პიროვნებისა და საზოგადოების დაპირისპირების უამრავი მაგალითი ახსოვს. თუმცა მხოლოდ ჩვენს დროში გაბატონდა აზრი, რომ პიროვნებისა და გარე სამყაროს ჭიდილში უპირატესობა ყოველთვის პიროვნებას უნდა მიენიჭოს და საზოგადოება ვერასდროს აფასებს მას სათანადოდ. პიროვნებამ კი არ უნდა დაუქვემდებაროს მისი შინაგანი მე საზოგადოებრივ წესებს, არამედ საზოგადოებაა ვალდებული, შეიცვალოს

შინაგანი მე ადამიანური ღირსების საფუძველია. მაგრამ ამ ღირსების ბუნება ცვალებადია და დროთა განმავლობაში ტრანსფორმაციას განიცდის უძველეს კულტურებში ღირსება ხშირად შეზღუდული ჯგუფის პრივილეგია იყო, მაგალითად, მეომრების, რომლებიც ამ უპირატეს მდგომარეობას საკუთარი სიცოცხლის ფასად აღწევდნენ. არსებობდა საზოგადოებები, რომლებშიც ღირსება ყველა ადამიანის ატრიბუტი იყო. ასეთი მიდგომა ღირსებას ადამიანის, როგორც თავისუფალი ნების მქონე ინდივიდის თანდა-

ყოლილ თვისებად მიიჩნევს. არსებობს სხვა შემთხვევებიც, როცა ინდივიდის საზოგადოების ღირსეულ წევრად აღიარება საერთო გამოცდილების ან მოგონებების გარშემო გაერთიანებული ჯგუფის წევრობაზე დამოკიდებული.

და ბოლოს, შინაგანი ღირსების გრძნობა აღიარებას საჭიროებს. საკუთარი ღირსების გააზრება და გათავისება შეუძლებელია საზოგადოების სხვა წევრთა მიერ იმავეს საჭაროდ აღიარებისა და შესაბამისად მოქცევის გარეშე. საკუთარი თავის პატივისცემა გარემოზეა დამოკიდებული. ადამიანები აღიარებისაკენ ბუნებრივად მიილტვიან. შესაბამისად, იდენტობის შეგრძნება სწრაფადვე გარდაიქმნება იდენტობის პოლიტიკად, სადაც ინდივიდები მათი ღირსების საზოგადოებრივ აღიარებას მოითხოვენ. ამგვარად, იდენტობის პოლიტიკა თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების დიდი ნაწილის მამოძრავებელი ძალაა, იქნება ეს დემოკრატიული რევოლუციები, ახალ სოციალურ მოძრაობათა გამოჩენა. ნაციონალიზმი, ისლამიზმი თუ ამერიკულ უნივერსიტეტებში გაჩაღებული პოლიტიკური ბრძოლა. სწორედ ამას ამტკიცებდა ჰეგელიც: აღიარებისთვის ბრძოლა ვაცობრიობის ისტორიის მთავარი მამოძრავებელი ძალა და თანამედროვე ცივილიზაციის ჩამოყალიბების გასაგებად საჭირო მთავარი ფაქტორია

ბოლო 50 წლის სწრაფი გლობალიზაციით გამოწვეული ეკონომიკური უთანასწორობა თანამედროვე პოლიტიკის გააზრების გასაღებია, თუმცა ეკონომიკური მოთხოვნები გაცილებით მეტ სიმწვავეს იძენს, როცა ისინი უსამართლობისა და უგულვებელყოფის განცდებთანაა დაკავშირებული. ეკონომიკური მოტივაციის საბოლოო მიზანი არა სიმდიდრე და მატერიალური დოვლათის დაუფლება. არამედ ფულის, როგორც სოციალური სტატუსის ამაღლებისა და პატივისცემის მოპოვების ინსტრუმენტად გამოყენებაა თანამედროვე ეკონომიკის თეორია ეყრდნობა პოსტულატს რომ ადამიანი რაციონალური არსებაა, რომელიც ცდილობს საკუთარი „სარგებლიანობის“ გაზრდას რაც მატერიალურ კეთილდღეობაში გამოიხატება, და პოლიტიკა ამ პროცესის გამოხატულებაა თუმცა თანამედროვე სამყაროში ადამიანთა

ქცევის სათანადოდ გასააზრებლად, ადამიანური მოტივაციის მარტივი ეკონომიკური მოდელით ახსნა საკმარისი ვერ იქნება. უჭვდევარეშა, რომ ადამიანი რაციონალური არსებაა, რომელსაც მატერიალური დოვლათისა და რესურსების მოსაპოვებლად, საკუთარი ინტერესების დასაკმაყოფილებლად, თანმიმდევრული მოქმედება შეუძლია. ამავე დროს, აშკარაა, რომ გაბატონებული ეკონომიკური მოდელები ვერ ითვალისწინებენ ადამიანის ფსიქოლოგიის რთულ და კომპლექსურ ხასიათს. იდენტობის თანამედროვე პოლიტიკის გასაგებად აუცილებელია ერთი ნაბიჯით უკან დახევა და ადამიანური მოტივაციისა და ქცევის უფრო ღრმა გააზრება. სხვა სიტყვებით, ადამიანის სულის უკეთესი თეორია გვჭირდება

სულის მესამე ნაწილი

პოლიტიკური თეორიები, როგორც წესი, ადამიანთა ქცევითი თეორიების ზედნაშენია. ემპირიული ინფორმაციის მასიდან თეორიები იმ კანონზომიერებებს გამოარჩევენ, რომლებიც ადამიანის ქცევასა და გარემოს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს გვიჩვენებს თეორეტიზაციის უნარი ადამიანის ევოლუციური წარმატების მნიშვნელოვანი ფაქტორია ბევრი პრაქტიკოსი ადამიანი თეორიასა და თეორეტიზაციის მნიშვნელობას უგულვებელყოფს, თუმცა ისინიც კი, თავისდაუნებურად, ამა თუ იმ თეორიის მიხედვით მოქმედებენ, რომლებიც ჯერ უბრალოდ ფორმულირებული და ჩამოყალიბებული არ არის და ვერც ადამიანები ათვისებობიერებენ ამას.

თანამედროვე ეკონომიკა ერთ-ერთ ასეთ თეორიას ემყარება, რომლის მიხედვითაც ადამიანები „სარგებლის რაციონალური მაძიებლები“ არიან. ინდივიდები უნიკალურ შემეცნებით უნარებს საკუთარი მიზნების მისაღწევად იყენებენ ამ თეორიაში რამდენიმე დაშვებაა. მაგალითად, ის, რომ თვლის ერთეული არა ოჯახი, ტომი, ერი ან სხვა ტიპის სოციალური ჯგუფია, არამედ ინდივიდი და ადამიანები ერთმანეთთან მხოლოდ იმ მიზეზით თანამშრომლობენ, რომ საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებას სხვა ადამიანებთან კავშირში უფრო ადვილად ახერხებენ, ვიდრე ინდივიდუალურად.

მეორე დაშვება „სარგებლის“ ბუნებას ეხება, რომელიც ინდი-

ვიდუალურია; ერთს ახალი მანქანა სურს, მეორეს – სასიამოვნო დასვენება, მესამეს – სექსი. სასურველი სარგებლის ინდივიდუალური თავისებურებები ქმნის იმას, რასაც ეკონომისტები „სარგებლის ფუნქციას“ უწოდებენ. ეკონომისტთა უმეტესობა ამტკიცებს, რომ ეკონომიკა არაფერს ამბობს ინდივიდთა მიერ სარგებლის ამა თუ იმ ფორმის არჩევის მიზეზებზე. მათ გემოვნებაზე. ეს ინდივიდთა თავისუფალი ნების ნაწილია. ეკონომიკის კვლევის საგანი ის საშუალებებია, რომლებსაც ინდივიდები მათთვის სასურველი მიზნის მისაღწევად რაციონალურად იყენებენ. ამგვარად, საინვესტიციო ფონდის მენეჯერი, რომელიც შემდეგი მილიარდის შოვნაზე ბრუნავს და ჯარისკაცი, რომელიც ხელყუმბარას გადაეფარება. რათა თანამებრძოლები გადაარჩინოს, მსგავსი – მათი შეხედულებებიდან გამომდინარე სასურველი შედეგის მაქსიმალიზაციის – ლოგიკით მოქმედებენ. თვითმკვლელი შაჰიდებიც კი, რომლებიც, სამწუხაროდ, 21-ე საუკუნის პოლიტიკური პროცესების ნაწილად იქცნენ, სავარაუდოდ, სამოთხეში მათთვის დაპირებულ ქალწულთა რიცხვის მაქსიმალიზაციაზე ბრუნავენ.

ეკონომიკური პროგნოზის ღირებულება მკვეთრად ეცემა, როცა ინდივიდები არამატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ცდილობენ და არ არიან შეპყრობილნი ფინანსური მოგების გაზრდის ან გამდიდრების ექსკლუზიური სურვილით. თუ სარგებლის ცნებას გავაფართოვებთ და მასში ორივე, როგორც ალტერნატიული ისე ეგოისტური ბუნების უკიდურეს მოთხოვნილებებს გავაერთიანებთ, ერთადერთ დასკვნას გამოვიტანთ – ადამიანი ეძიებს იმას, რასაც თავად თვლის საჭიროდ. ის, რაც ნამდვილად საჭიროა, არის თეორია, რომელიც ახსნიდა, თუ რატომ ირჩევს ერთი ფულსა და უსაფრთხოებას, როცა მეორე მზადაა, თავი გაჩიროს საერთო საქმისათვის ან საკუთარი ფული და დრო სხვების დასახმარებლად გამოიყენოს. იმის თქმა, რომ ღედა ტერება და უოლსტრიტელი საინვესტიციო პორტფელის მმართველი მსგავსი – სარგებლის მაქსიმალიზაციის – ლოგიკით მოქმედებენ. მათი მოტივაციის მნიშვნელოვან ნაწილს უყურადღებოდ ტოვებს

ეკონომისტთა უმეტესობის აზრით, სარგებელი, პირველ რიგში.

მატერიალურ ინტერესს ემყარება და ყველა სხვა სახის მოტივაციას ჯაბნის. აღსანიშნავია რომ ამ შეხედულებას იზიარებენ, როგორც თავისუფალი ბაზრის აპოლოგეტი თანამედროვე ეკონომისტები, ისე კლასიკური მარქსიზმის მიმდევრები, რომელთა მიხედვით, კაცობრიობის ისტორია სოციალურ კლასთა მატერიალური ინტერესების დაკმაყოფილებისათვის ბრძოლის ისტორიაა. დღეს ეკონომიკა დომინანტი და პრესტიჟული სოციალური მეცნიერება სწორედ იმიტომაც, რომ, უმეტეს შემთხვევაში, ხალხი მართლაც ეკონომიკური თეორიის თანახმად, მატერიალურ მოტივაციებზე დაყრდნობით მოქმედებს. მატერიალური ინტერესი მართლაც მნიშვნელოვანი სტიმულია. კომუნისტურ ჩინეთში სოფლის კოლექტიური მეურნეობის წარმოების ტემპი ძალიან დაბალი იყო. გლეხები არ ირჩებოდნენ. ზედმეტი მოსავლის მოყვანის შემთხვევაშიც კი, მათ სახლში არაფერს ატანდნენ როგორც კომუნისტურ ქვეყნებში უყვარდათ თქმა, „ისინი ვითომ გვიხდიან და ჩვენც ვითომ ვმუშაობთ“ 1970-იანი წლების ბოლოს, როცა გლეხებს დანესებული ნორმის შესრულების შემდეგ დარჩენილი ზედმეტი მოსავლის შინ წაღების უფლება მისცეს, სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობა ოთხ წელიწადში გაორმაგდა 2008 წლის ფინანსური კრიზისის ერთ-ერთი მიზეზი საინვესტიციო პორტფელის მმართველ ბანკირთა ანაზღაურების სისტემა იყო მათი ანაზღაურება მოკლევადიანი მოგების მიხედვით იზრდებოდა. მათი პასუხისმგებლობის საკითხი კი რამდენიმე წელიწადში მათი საინვესტიციო პოლიტიკის კრახის შემდეგაც კი არ დამდგარა, როგორც ჩანს, პრობლემის მოგვარებისთვის სტიმულის ცვლილება საჭირო.

სტანდარტული ეკონომიკური მოდელი ადამიანის ქცევის ახსნის ძლიერი ინსტრუმენტია, თუმცა გვერდს ვერ აგვვლით ამ მოდელის სუსტ მხარეებსაც. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, ბიჰევიორისტმა ეკონომისტებმა და ფსიქოლოგებმა, დენიელ კენმანმა და ამოს ტვერსკიმ, ეჭვქვეშ დააყენეს ეკონომიკური მოდელის ძირითადი პოსტულატები და აჩვენეს, რომ ადამიანები პრაქტიკაში არც თუ ისე რაციონალურნი არიან; მიზნის მისაღწევად საჭირო ოპტიმალური სტრატეგიის ნაცვლად, ისინი,

ხშირად, წინასწარ განსაზღვრულ ქცევას არჩევენ, პრობლემის სიღრმისეული გააზრების მაგივრად, გარშემომყოფთა გადაწყვეტილებებსა და მეთოდებს იმეორებენ¹⁷.

ბიჰევიორისტულმა ეკონომიკამ რაციონალური არჩევანის პარადიგმა ეჭვქვეშ დააყენა, თუმცა ვერ შეძლო ადამიანის ქცევის ალტერნატიული კონკრეტული მოდელის შემოთავაზება და ვერც ადამიანთა არჩევანის გაკეთების თავისებურებებზე შემოგვთავაზა ყურადსაღები თეორია. ეკონომიკური თეორია ვერ გვთავაზობს გასაგებ და მკაფიო ახსნას, როცა საქმე მატერიალური მოტივაციის გარეშე გადადგმულ ნაბიჯებს ეხება, იქნება ეს ჯარისკაცის მიერ ხელყუმბარის საკუთარი სხეულით დაფარვა თუ თვითმკვლეელი ტერორისტის თავგანწირვა. ძნელია იმის თქმა, რომ ჩვენ ისევე შეიძლება „გვინდოდეს“ რაიმე, რაც ძვირად დაგვიჯდება ან მტკივნეული და საშიშია, როგორც საკვების მიღება ან ბანკში საკუთარ ანგარიშზე ფულის შეტანა. ამგვარად, მოგვიწევს შევხებით ადამიანის ქცევის ისეთ თეორიებს, რომლებიც შორდება დღესდღეობით დომინანტურ ეკონომიკურ მოდელს. ადამიანის ქცევის ასეთი ფართო გაგება ყოველთვის არსებობდა, თუმცა პრობლემა ისაა, რომ ჩვენ ხშირად ვივინყებთ იმას, რაც ოდესღაც ვიცოდით.

ბიჰევიორისტული თეორიები ადამიანის ბუნების შესახებ ცნობილ ინფორმაციას ემყარებიან, იმ კანონზომიერებებს, რომლებიც ადამიანთა ბიოლოგიურ თავისებურებებს ეფუძნება სოციალური ნორმებისა და ადათებისაგან განსხვავებით, რომლებიც დამოკიდებულია იმ საზოგადოებაზე, რომელშიც ინდივიდი ცხოვრობს, ადამიანის ბიოლოგიური მონაცემები უნივერსალურია. მიუხედავად იმისა, რომ დღეს სულ უფრო ხშირად აყენებენ ეჭვქვეშ ადამიანის თანდაყოლილ და შეძენილ თავისებებს შორის არსებული ზღვრის რელევანტურობას, ცოტა თუ უარყოფს ამ დიქტომიის ორი პოლუსის არსებობას. საბედნიეროდ, ადამიანის მოტივაციათა თავისებურებების გასაგებად საჭირო თეორიის განსავითარებლად, ასეთი მკაფიო ზღვრის გავლება არ დაგვჭირდება.

თანამედროვე ამროვნების ფუძემდებლები – თომას ჰობსი, ჯონ ლოკი, ჟან-ჟაკ რუსო – ბევრს წერდნენ ადამიანის „ბუნებრივი მდგომარეობის“ შესახებ (პირველადი მდგომარეობის, რომე-

ლიც საზოგადოებრივი ცხოვრების ჩასახვას უსწრებს წინ). ნიშანდობლივია, რომ ბუნებრივი მდგომარეობა ერთგვარი მეთაფორაა ადამიანური ბუნების აღსანიშნავად. რაც გულისხმობს ადამიანის იმ ძირითად ნიშან-თვისებებს, რომლებიც მას გარკვეული საზოგადოებისადმი ან კულტურისადმი კუთვნილებისაგან დამოუკიდებლად ახასიათებს. დასავლეთის ფილოსოფიურ ტრადიციაში ადამიანის ბუნებრივ მდგომარეობაზე მსჯელობა სათავეს ბევრად უფრო ადრე. პლატონის „სახელმწიფოდან“ იღებს.

„სახელმწიფო“ არის ფილოსოფოს სოკრატესა და ორ ახალგაზრდა ათენელ არისტოკრატ ძმებს, ადიმანტესა და გლაუკონს, შორის გამართული დიალოგი სამართლიანი ქალაქისახელმწიფოს შესახებ. სამართლის რამდენიმე თეორიის, მათ შორის, თრასიმანქესეული სამართლის, როგორც ძლიერთა იარაღის, უარყოფის შემდეგ, სოკრატე აგებს „სამართლიანი ქალაქის“ კონცეფციას, რომლის შესახებაც ადამიანის აულის ბუნებრივ თავისებებზე დაყრდნობით მსჯელობს. სიტყვა სული (ბერძნული psyche) თითქმის აღარ გამოიყენება, მაგრამ, როგორც ეტიმოლოგია გვკარნახობს, ფსიქოლოგიის შესწავლის საგანი იგივე სუბსტანცია უნდა იყოს.

სულის (ფსიქეს) თავისებების შესახებ მთავარი დისკუსია „სახელმწიფოს“ მეოთხე ნივთშია სოკრატე აღნიშნავს, რომ ფსიქეს იმპულსური ნაწილი ადამიანს საკვებისა და სასმელის საძიებლად უბიძგებს. მაგრამ მაშინ, როცა ადამიანი იცის, რომ სასმელი წყალი მავნებელია და დალევის შემთხვევაში ავად გახდება, ის ამ წყლის დალევისაგან თავს იკავებს სოკრატე კითხულობს: „ხომ არ არის ადამიანის სულში რაღაც, რაც მას წყლის დალევისაკენ უბიძგებს და რაღაც განსხვავებული, რაც მას ამ წყლის დალევისაკენ უკრძალავს და ბატონობს იმაზე, რაც მას დალევისაკენ მოუწოდებს?“ ადიმანტე და სოკრატე თანხმდებიან, რომ სულის ეს მეორე, განსხვავებული ნაწილი რაციონალურია და მას მოქმედება სულის ირაციონალური ნაწილისაგან დამოუკიდებლად და საპირისპიროდაც კი შეუძლია.

სოკრატემ და ადიმანტემ ამ დიალოგში თანამედროვე ეკონომიკური მოდელი აღწერეს: ირაციონალური ნაწილი ინდივი-

დღალურ პრიორიტეტებს უკავშირდება, მეორე, გონივრული ნაწილი კი სარგებლის რაციონალური მაქსიმალიზაციის შესატყვისია. მართალია, ზიგმუნდ ფროიდის მოძღვრებას ის ძალა აღარ აქვს, როგორც მას უწინ ჰქონდა, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია, მსგავსი ანალოგია მასთანაც ვნახოთ იგულისხმება ფროიდისეული იმპულსური იდი და ეგო, რომელიც, ძირითადად, სოციალური წნეხის გამო, იდის გატაცებებსა და სურვილებს მკაცრად აკონტროლებს. სოკრატე მიგვიჩივებს განსხვავებულ ქცევამდე. მას მაგალითად მოჰყავს ათენელი ლეონტიოსის ამბავი. ლეონტიოსი ჩაუვლის გვამების გროვას. რომლებიც ქალაქის ჯალათს დაეტოვებინა. ლეონტიოსს სურს, გვამებს შეხედოს, მაგრამ, ამავე დროს, ცდილობს თავალი აარიდოს მათ. შინაგანი ბრძოლის შედეგად, ის გვამებს შეხედავს და საკუთარ თავს მიმართავს: „შეხედეთ, წყეულო ბეჩავნო, მიიღეთ სანახაობის თქვენი წილი!“¹⁹¹ ცდუნების წინაშე მდგომმა ლეონტიოსმა იცის, რომ სამარცხვინო საქციელს სჩადის, თუმცა არჩევს დაჰყვეს შინაგან ნებას მას სირცხვილის გრძნობა უფლებსა და საკუთარ თავზე განრისხებულს. სოკრატე კითხულობს: „ბევრ სხვა შემთხვევაშიც, ჩვენ ვამჩნევთ, რომ, გონიერების საპირისპიროდ, გულისთქმას აყოლილი კაცი თავის თავს კიცხავს და არაგონივრულ, ირაციონალურ სანყისზე მრისხანებს, მოძალადესავით რომ ჩასახლება სულში. ამრიგად, რისხვა გონების მოკავშირე ხდება ამ უღმობელო ორთაბრძოლაში, რომელიც ორმოქიშპემხარეს შორის მიმდინარეობს, რისხვა რომ გულისთქმის მოკავშირედ გვევლინებოდეს, როცა გონება უგრძობლავს ამას, მე მგონია, ეს უჩვეულო მოვლენა არც სხვაში შეგიძინევი ოდესმე და არც შენს თავში“^{20*}.

ჩვენს თანამედროვეობაში ამ ანალოგიის ილუსტრაციად შეგვიძლია ალკოპოლიზმით ან ნარკომანიით შეპყრობილი ადამიანი მოვიყვანოთ. მან იცის, რომ დაღევა ან ნარკოტიკის მონძარება მისთვის მავნებელია, მაგრამ ვერ უძლებს ცდუნებას და ამ სისუსტის გამო სინდისის ქენჯნას განიცდის. სოკრატე იყენებს ახალ სიტყვას. თიმოსს (Thymos), რომელიც სულის იმ ნაწილს აღწერს, სადაც სინდისის ქენჯნა და საკუთარი საქციელის გამო სირცხვილი წარმოიქმნება.

სოკრატე ადიმანტეს ეკითხება ლეონტიოსის სულის იმ ნაწილის ბუნებაზე, რომელსაც არ უნდოდა გვამებისთვის შეეხედა, იყო ის ირაციონალური თუ რაციონალური? პირველი შეხედულება თანამედროვე ეკონომიკის პერსპექტივა იქნებოდა, სადაც ერთ აურვილს მეორე უფრო მძლავრი სურვილის გავლენა ზღუდავს და ანაცვლებს. სოკრატე კითხულობს, სულის შესამე ნაწილიც ხომ არ არსებობს?

„სულის მრისხანე თუ ბობოქარ სანყისზე ახლა სულ სხვანაირი წარმოდგენა შეგვექმნა, ვიდრე მაშინ, როცა მას ირაციონალურ სანყისთან ვაკავშირებდით. ახლა კი, როგორც ირკვევა, შორსა ვართ ამ აზრისაგან, რაკილა იმ ბრძოლაში, ადამიანის სულში რომ მიმდინარეობს, ბობოქარ სანყისს გონიერების მოკავშირედ ვსახავთ

– რა თქმა უნდა.

– მერედა, რას ვიტყვით, განსხვავდება ის სულის გონივრული სანყისისაგან თუ მხოლოდ ამ უკანასკნელის ერთ-ერთი სახეობაა, შესაბამისად, სულში მხოლოდ ორი სანყისი უნდა ვიგულისხმოთ: გონივრული და ირაციონალური? თუ მსგავსად იმისა, როგორც სახელმწიფო სამი სხვადასხვა წოდებისაგან შედგება: ხელოსნების, მეომრებისა და მმართველებისაგან, სულშიც მესამე, ბობოქარი სანყისი უნდა იყოს. რომელიც თავისი ბუნებით გონივრული სანყისის მოკავშირედ გვევლინება, თუკი უხერო აღზრდის შედეგად არ არის გადაგვარებული?“

ადიმანტე დაუყოვნებლივ ეთანხმება სოკრატეს, რომ თიმოსი, არც ირაციონალურია და არც გონივრული, არამედ სულის მესამე, დამოუკიდებელი ნაწილია. თიმოსი სიამაყისა და რისხვის სათავეა ლეონტიოსი საკუთარი თავით ამყობდა და სჭეროდა, რომ ის გვამების მთვლიერებლებისაგან განსხვავებული და უკეთესია, თუმცა, ცდუნებას აყოლილი, საკუთარ თავს განურისხდა ამ სულიერი დაცემის გამო.

ორი ათასწლეულით ადრე, სოკრატემ და ადიმანტემ გაიაზრეს ის რაც თანამედროვე ეკონომიკას დღესაც არ უღიარებია. ირაციონალური და გონივრული ადამიანის ფსიქეს შემადგენელი ნაწილებია, მაგრამ მესამე ნაწილი. თიმოსი, მათგან სრულიად

დამოუკიდებლად მოქმედებს თიმოსი ღირსების განსჯის წყაროა: ლეონტიოსს სჯეროდა, რომ გვამების თვალყურებას არასდროს იკადრებდა, ისევე როგორც ნარკოტიკებზე დამოკიდებული ადამიანი ცდილობს მოიქცეს როგორც ბუკითი თანამშრომელი ან მოსიყვარულე დედა. ადამიანების სურვილებს ვერ აკმაყოფილებს მხოლოდ გარეშე საგნები. საჭმელ-სასმელი, ლამბორგინი ან ნარკოტიკის ახალი დოზა. მათ სჭირდებათ საკუთარი ღირსებისა და დამსახურების აღიარება, დაფასება. ადამიანთა პიროვნული შეფასება შეიძლება შინაგანი იყოს, როგორც ეს ლეონტიოსის შემთხვევაში იყო, თუმცა, ყველაზე ხშირად. ეს საზოგადოების სხვა წევრების მიერ ხდება, რომლებიც მათ დამსახურებას აღიარებენ. დადებითად შეფასების შემთხვევაში, ისინი თავს ამაყად გრძნობენ უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, ადამიანებს რისხვა (როცა თვლიან, რომ მათ სათანადოდ არ აფასებენ) ან სირცხვილი (როცა ხვდებიან, რომ ვერ დააკმაყოფილეს საზოგადოების სტანდარტები) ეუფლებათ.

სულის მესამე ნაწილი. თიმოსი, ჩვენი თანამედროვე იდენტობის პოლიტიკის სათავეა. თანამედროვე პოლიტიკური ბრძოლა, ძირითადად, ეკონომიკური საკითხების გარშემო მიმდინარეობს: გაიზარდოს თუ შემცირდეს გადასახადები, როგორ უნდა განაწილდეს სახელმწიფო სახსრები თანამედროვე დემოკრატიკაში და ა. შ. მიუხედავად ამისა. პოლიტიკური ცხოვრების უმეტეს ნაწილს ეკონომიკასთან ძალიან სუსტი ბმა აქვს

მაგალითად ერთსქესიანთა ქორწინების საკითხი ავიღოთ, რომელიც 21-ე საუკუნის პირველ ათწლეულებში მსოფლიოს განვითარებულ ნაწილს ტყის ხანძარივით მოედო. ამ საკითხს ეკონომიკური განზომილებაც გააჩნია. საქმე გვიან ლესბოსელთა ქორწინების შემთხვევაში მემკვიდრეობის, ფისკალურ და სხვა საკითხებს ეხება. თუმცა ამ საკითხთა უმეტესობა უკვე განხილული და გარკვეული იყო საკუთრების კანონში, რომელშიც შესაბამისი ცვლილებები სამოქალაქო კავშირის ამოქმედების შემდეგ შევიდა. სამოქალაქო კავშირს ჩვეულებრივ ქორწინებასთან შედარებით უფრო დაბალი სტატუსი აღმოაჩნდა, საზოგადოებამ დაუმვა, რომ გვიწვილს შექმნილი მათი კავშირისთვის ლეგალური ფორმა

მოენაბა, თუმცა მათი კავშირი მაინც განსხვავდებოდა ქალსა და კაცს შორის კავშირისაგან. ეს შედეგი მიუღებელი აღმოჩნდა მილიონობით ადამიანისთვის, რომლებსაც სურდათ, რომ პოლიტიკურ სისტემას ღიად ელიარებინა გეებისა და ლესბოსელთა თანაბარი სტატუსი საზოგადოებაში ქორწინების უფლება. ამ შემთხვევაში, მათი თანასწორობის ნიშანია. ეს საკითხი მსგავსი დატვირთვის მატარებელი აღმოჩნდა მოწინააღმდეგეებისთვისაც: ისინი ითხოვენ მკაფიო გზავნილს, რომ კეტეროსექსუალურ კავშირს ანუ ოჯახის ტრადიციულ ცნებას, საზოგადოებაში უპირატესი მდგომარეობა გააჩნია. მომოსექსუალთა ქორწინების საკითხმა ნათლად აჩვენა, რომ ეს მოვლენა ცდება ეკონომიკურ ფაქტორებს და თანასწორობისა და ფასეულობათა განსხვავებულ ხელფებს უკავშირდება.

ამ საკითხის მსგავსად, პიროვნულ ღირსებას და პატივისცემას ეხება #MeToo მოძრაობაში ჩაბმულ ქალთა მასობრივი პროტესტი, რომელიც პოლივულელი პროდიუსერის, ჰარვი ვაინშტაინის ქცევის გამოაშკარავებამ გამოიწვია ძალაუფლების მქონე მამაკაცთა მიერ მათზე დამოკიდებულ ქალთა ჩაგვრას ეკონომიკური განზომილება ნამდვილად გააჩნია, მაგრამ ქალების მხოლოდ მათი გარეგნობით ან სექსუალურობით და არა კომპეტენციის და ხასიათის მიხედვით შეფასება თანაბარი ძალაუფლებისა და სიმდიდრის მქონე ქალებსა და მამაკაცებს შორისაც იარსებებს.

მოდ. ნუ გავუსწრებთ თიმოსსა და იდენტობაზე მსჯელობის აუცილებელ ეტაპებს და დავებრუნდეთ „სახელმწიფოს“. სოკრატე არ ამტკიცებს, რომ თიმოსი ყველა ადამიანს თანაბრად ახასიათებს ან ის გამოხატვის სხვადასხვა ფორმას პოულობს. მის წარმოსახვით ქალაქში თიმოსი ადამიანთა მხოლოდ გარკვეულ კატეგორიას აქვს, მათ, ვინც ქალაქის გარეშე მტრისაგან დამცველები არიან. ისინი მეომრები არიან და განსხვავდებიან, როგორც ვაჭრებისაგან, ვისთვისაც მთავარი საკუთარი სურვილები და მათი დაკმაყოფილებაა, ასევე სათათბიროში მოღვაწე ლიდერთაგან, რომლებიც ქალაქისთვის სასიკეთოდ გადანწყვტილებების მისაღებად რაციონალურ მსჯელობას ეყრდნობიან. სოკრატე მიანიშნებს, რომ მეომრები მრისხანებით გა-

მოიჩინებინ და მათ ძალეებს აღარებს, რომლებიც უცხოების მიმართ მტრულად არიან განწყობილნი და პატრონის მიმართ კი ერთგულებით გამოიჩინებინ. მეომრებს სიმამაცე მოეთხოვებათ, ისინი მზად უნდა იყვნენ თავგანწირვისათვის და სიძნელეებსაც ისე მდგრად უნდა იტანდნენ. როგორც ვერც ვაჭრები და ვერც სათათბიროს წევრები ვერ აიტანენ. მათი თავგანწირვისთვის მზაობა არც ირაციონალურია და არც გონიერი, მათი მოტივაციის წყარო სიამაყე და რისხვაა.

მსგავსი აღწერით, სოკრატე ასახავს ანტიკური მსოფლიოს კლასიკურრეალობას კაცობრიობის ისტორიის მანძილზე არსებულ ცივილიზაციათა უმეტესობაში არსებობდა არისტოკრატთა ფენა. რომლის მაღალი სოციალური სტატუსი ეფუძნებოდა ფაქტს, რომ ისინი, ან მათი წინაპრები, მეომრები იყვნენ. ჯენტლმენის ბერძნული შესატყვისია *kaloskagathos*, რაც ლამაზსა და კარგს ნიშნავს. სიტყვა არისტოკრატია კი ბერძნული წარმოშობისაა და „საუკეთესოთა მმართველობას“ ნიშნავს. მეომრები ვაჭრებისაგან მათთვის დამახასიათებელი ღირსებებით გამოირჩეოდნენ: ისინი მზად იყვნენ საზოგადო სიკეთისათვის სიცოცხლე გაეწირათ განსაკუთრებულ პატივსა და მორალურ უპირატესობას მხოლოდ ისინი იმსახურებდნენ, ვინც განზრახ დათმობდა სარგებლის რაციონალურ მაქსიმალიზაციას – თანამედროვე ეკონომიკური მოდელის საფუძველს – და თავს საზოგადო სიკეთისათვის გადადებდა

დღევანდელი გადმოსახედიდან, არისტოკრატებს ცინიზმით გამსჭვალულნი ვუყურებთ საუკეთესო შემთხვევაში მათ თავგასულ პარაზიტებად ვაფასებთ. უარეს შემთხვევაში კი თავიანთ საზოგადოებაზე მოძალადე მტაცებლებად. კიდევ უფრო მძიმეა მათი მთამომავლების შემთხვევა, რომლებსაც მაღალი სოციალური სტატუსი არაფრით დაუმსახურებიათ და მემკვიდრეობით ერგოთ. თუმცა უნდა ვალიაროთ, რომ არისტოკრატულ საზოგადოებებში ღრმად იყო გამჭდარი რწმენა, რომ პატივისცემას და ღირსებას იმსახურებდნენ მხოლოდ ისინი, ვინც საკუთარ სიცოცხლეს რისკის ქვეშ აყენებდა. ამ შეხედულების ერთგვარი გამოძახილია თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოებების

წევრთა დამოკიდებულება სამშობლოსათვის თავგანწირული ჯარისკაცების ყოველდღიური სასიცოცხლო რისკის ქვეშ მყოფი პოლიციელებისა და მეხანძრეების მიმართ. დამოკიდებულება განსხვავებულია ბიზნესით დაკავებულთა მიმართ, რომელთა მთავარი მიზანი გამდიდრებაა არისტოკრატები თავს საზოგადოების სხვა წევრებზე უკეთესად თვლიდნენ და განიცდიდნენ იმას. რასაც სხვა წევრებზე მეგალოთიმიას ვწოდებთ, საზოგადოების სხვა წევრებზე უპირატესი, პრივილეგირებული სტატუსის მოპოვების სურვილს. დემოკრატიამდელი საზოგადოებები სოციალური იერარქიის ფუნდამენტს ეყრდნობოდნენ, შესაბამისად, ადამიანთა გარკვეული კატეგორიის თანდაყოლილი უპირატესი მდგომარეობის რწმენა სოციალური წესრიგის დაცვისა და შენარჩუნების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იყო.

ყოველი პიროვნების უპირატესი მდგომარეობის დაფიქსირება ბევრად მეტი ადამიანის ადამიანური ღირსების შეზღუდვას და მათი სოციალური სტატუსის დაკნინებას საჭიროებს სწორედ ესაა მეგალოთიმიის მთავარი პრობლემა. თიმოსზე საუბრისას სოკრატე და აღიმაბნე მასთან, ძირითადად, მეომრებს აკავშირებენ, თუმცა თვლიან, რომ ყველა ადამიანი სულის სამივე ნაწილს ფლობს. საკუთარი ღირსების და სიამაყის გრძნობა მეომრების გარდა სხვებსაც გააჩნიათ, მათი ღირსება ილახება როცა სოციალურ იერარქიაში მათზე მაღლა მდგომი სილას გააწინავს ან მათ ცოლსა თუ ქალიშვილზე სექსუალურად იძალადებს. თუ მაღალი სოციალური სტატუსის მქონე ადამიანად აღიარება საზოგადოების მხოლოდ გარკვეული კატეგორიის მუდმივ საზრუნავს წარმოადგენს, გაბროტების მძლავრი ემოცია ადამიანის დამცირების, უპატივცემულობის შედეგია. როცა ადამიანებს მიღწევებისთვის ვაჭებთ, იქნება ეს სპორტში თუ მუსიკაში მოპოვებული წარმატება, ეს პატივი არა მათი ჭეშმარიტი უპირატესობის აღიარებაა, არამედ ეს პატივი არა მათი ჭეშმარიტი უპირატესობის აღიარებაა, არამედ საზოგადოებაში მიღებული სოციალური ქცევა. ჩვენ ადვილად ვბრაზდებით ხალხზე, რომლებსაც, ჩვენი შეხედულებით, მეტი ვბრაზდებით ხალხზე, რომლებსაც, ჩვენი შეხედულებით, მეტი პატივი ერგოთ ვიდრე ეკუთვნოდათ მაგალითად, რეალითი შოუს ვარსკვლავებზე, რომლებსაც არავინ მიიჩნევს საკუთარ თავზე უკეთესად.

ამგვარად, ადამიანთა მამოძრავებელ სურვილთა შორის ყველაზე მასობრივი იზოთიმიაა, ანუ სურვილი, იყო დანახული და აღიარებული საზოგადოების თანასწორ, სრულუფლებიან წევრად ეკონომისტი რობერ ფრენკი მეგალოთიმის „კომპიჯურ საქონელს“ უწოდებს, რაც ნიშნავს, რომ მეგალოთიმის გაზიარება შეუძლებელია, რადგან ერთი ადამიანის კომპიჯის სხვების მიმართ შედარებითობას უსვამს ხაზს²². თანამედროვე დემოკრატიის აღზევება მეგალოთიმის იზოთიმით ჩანაცვლების ისტორიაა: საზოგადოებები, რომლებიც მხოლოდ ელიტის პრივილეგიას აღიარებდნენ, ჩანაცვლდა საზოგადოებებით, რომლებიც საზოგადოების ყველა წევრს დაბადებისთანავე თანაბარ უფლებებს ანიჭებს. ევროპის კლასობრივად სტრათიფიცირებულმა საზოგადოებებმა რიგითი მოქალაქეების უფლებების აღიარება დაიწყეს, იმპერიების მიერ შთანთქმული ქვეყნები გათავისუფლდნენ და თანაბარი სტატუსი მოიპოვეს. ამერიკული პოლიტიკური ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვანი ბრძოლები – მონობის და სეგრეგაციის წინააღმდეგ, მუშათა უფლებებისა და ქალთა თანასწორობისათვის – საბოლოო ჯამში, პოლიტიკური სისტემისადმი წაყენებული მოთხოვნები იყო თანასწორუფლებიან ინდივიდთა წრის გაფართოების შესახებ.

თუმცა რეალური ისტორია უფრო რთულია. იდენტობასთან დაკავშირებული პოლიტიკური პროცესების მამოძრავებელი ძალა წარსულში მარგინალიზაციის მსხვერპლი სოციალური ჯგუფებია, რომლებიც მათი თანასწორუფლებიანობის აღიარების მიღწევას ცდილობენ. თუმცა თანასწორუფლებიანობის მოთხოვნა ადვილად შეიძლება გადაიქცეს ამა თუ იმ ჯგუფის პრივილეგირებული მდგომარეობის აღიარებისთვის ბრძოლად, როგორც ეს ნაციონალიზმის და ნაციონალური იდენტობისათვის ბრძოლის მაგალითებმა გვიჩვენა. ამ მხრივ, ასევე აღსანიშნავია რელიგიური პოლიტიკის ექსტრემისტული ფორმების გავრცელება.

იზოთიმის კიდევ ერთი პრობლემა პროფესიებს შორის განსხვავებებს ეხება. გარკვეული სახის ადამიანური აქტივობები ყოველთვის მეტ პატივისცემას იმსახურებდა ვიდრე სხვები. ამის უარყოფა ადამიანური სრულქმნის შესაძლებლობის უარყოფა

იქნება. მე არ ვიცი ფორტეპიანოზე დაკვრა, შესაბამისად, თავს ვერ შევადარებ ვერც გლენ გულდს და ვერც არტურ რუბენშტიანს. საზოგადოება ყოველთვის დააფასებს ჯარისკაცის ან პოლიციელის ღვანლს საზოგადო სიკეთის დაცვის საქმეში, მეტ პატივს სცემს მათ, ვიდრე ბრძოლის ველიდან გაქცეულ დემარტირს ან მოლაღატეს. საზოგადოების ყველა თანასწორუფლებიანი წევრის ერთნაირად დაფასება, გარკვეული კუთხით, იმ ადამიანთა უგულვებლყოფაა, რომელთაც საზოგადოების წინაშე განსაკუთრებული დამსახურება აქვთ

იზოთიმია ჩვენგან ყველა ადამიანის თანასწორად და თანაბარუფლებიანად აღიარებას მოითხოვს. დემოკრატიული საზოგადოებები, ამერიკის თავისუფლების დეკლარაციის მსგავსად, ეყრდნობიან პრინციპს: „ყველა ადამიანი თანასწორი იბადება“. ამავე დროს, ისტორია ცხადყოფს, რომ „ყველა ადამიანს“ ჩვენ სხვადასხვაგვარად ვხედავთ. ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღებისას „ყველა ადამიანში“ არ მოიაზრებოდნენ საკუთრებას მოკლებული თეთრკანიანი მამაკაცები, შავკანიანები, ინდიელები და ქალები. თუ ვაღიარებთ, რომ ადამიანები არ არიან ობიექტურად თანასწორნი მათი ნიჭისა და შესაძლებლობების მიხედვით, იმაზეც უნდა შევთანხმდეთ. თუ რას ნიშნავს თანასწორობა პოლიტიკურ ჭრილში. დამოუკიდებლობის დეკლარაციაში წერია, რომ ეს „თავისთავად ცხადია“, რაც დიდად ვერ გვეხმარება ამ პრინციპის გაგებაში.

თიმოსი ადამიანის სულის ის ნაწილია, რომელიც აღიარების ძიებაშია. „სახელმწიფოში“ მცირეა იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც საკუთარი ღირსების აღიარებისთვის იბრძვიან, ძირითადად, ეს ფათურაკებით სავსე ცხოვრების მქონე მეომრები არიან. ამავე დროს, ვხედავთ რომ აღიარების სურვილი ყველა ადამიანის თანმდევი რიგითი მოქალაქეები, გამყიდველები, ხელოსნები, ქუჩის მათხოვრებიც კი მტკივნეულად აღიქვამენ უპატივცემულობას, შეურაცხყოფას მაგრამ ეს განცდა ბუნდოვანია, მათ არ იციან, რით იმსახურებენ პატივისცემას. საზოგადოება მათ უბნება, რომ ისინი ვერასდროს გაუთანაბრდებიან არისტოკრატის, მამრატომ არ ეგუებიან ისინი საზოგადოებრივ ამრს? კაცობრიობის

ისტორიაში, ეს მდგომარეობა ადამიანთა უმრავლესობას ხვდა წილად.

თიმოსი ადამიანთა ბუნების უნივერსალური ნიშანია, კაცობრიობის ისტორიის განუყოფელი ნაწილი. თუმცა დებულება, რომ ყველა ადამიანს გააჩნია შინაგანი სამყარო, რომელიც პატივისცემას იმსახურებს და საზოგადოება ღირსეულად უნდა მოეპყრას მას, ბევრად ახალი ფენომენია. ამგვარად, იდენტობის კონცეფციის ფესვები თიმოსშია. თუმცა თავი მხოლოდ ახლო წარსულში იჩინა, როცა იდენტობა ინდივიდის შიდა და გარე სამყაროს რადიკალურ ხედვასთან დაკავშირდა. ეს ხედვა გარე სამყაროზე შიდა სამყაროს პრიმატს აღიარებს და ამ უკანასკნელს ანიჭებს უპირატესობას. ეს დიქტომია საკუთარი თავის ხედვის ახალი ფორმების გაჩენის და ეკონომიკური და ტექნოლოგიური წინებით გამონვეული საზოგადოების დაჩქარებული ევოლუციის პროდუქტია.

შიგნით და გარეთ

თიმოსისაგან განსხვავებით, რომელიც ადამიანთა ბუნების განუყოფელი ნაწილია, იდენტობის თანამედროვე კონცეფციამ ჩამოყალიბება რამდენიმე ასეული წლის წინ, საზოგადოებათა მოდერნიზაციასთან ერთად დაიწყო. იდენტობის პოლიტიკა ევროპაში წარმოიშვა, თუმცა მალევე გავრცელდა და დედამიწაზე არსებული თითქმის ყველა საზოგადოების ნაწილად იქცა.

იდენტობას საფუძველი ინდივიდის შინაგანი არსის და გარე სამყაროს განცალკევებამ. მათ შორის განსხვავებულობის აღქმამ ჩაუყარა. ინდივიდებმა დაიჯერეს, რომ მათი ნამდვილი, ავთენტური იდენტობა მათშია დამალული და არ ემთხვევა იმ როლს, რომელიც მათ საზოგადოებაში დააკისრა. იდენტობის თანამედროვე გაგებით, მთავარი ღირებულება ავთენტურობა, ანუ ამ შინაგანი არსის მაქსიმალური აღიარებაა, რომელსაც აქამდე თვითგამოხატვის საშუალება არ მისცემია. ხშირად ადამიანმა შეიძლება ვერ გაიგოს საკუთარი შინაგანი არსის რაობა, თუმცა ეს ხელს არ უშლის, თავი საზოგადოებისაგან მოტყუებულად იგრძნოს. ეს შეგრძნება, ხშირად, „ვინ ვარ მე სინამდვილეში?“ კითხვამე პასუხის აკვიატებულ ძიებაში გადაიზრდება ხოლმე. ამ დროს ადამიანი განიცდის გაუცხოვებას მფოთავს და მდგომარეობიდან გამოსასვლელად, თავისი შინაგანი არსის შეცნობა და მისი საზოგადოების მიერ აღიარება სჭირდება. თუ გარემოს ჩვენი იდენტობის აღიარება შეუძლია, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთ საზოგადოებას საკუთარი თავის საფუძვლიანი ცვლილებაც ძალუქს.

დასავლეთში იდენტობის ცნება პროტესტანტული რეფორმაციისას ჩაისახა და პირველად მასზე ავგუსტინელმა ბერმა, მარტინ ლუთერმა ისაუბრა. ლუთერმა ტრადიციული თეოლოგიური განათლება ვიტენბერგში მიიღო და იქვე ასწავლიდა. კითხვაში, ფიქრსა და შინაგან მესთან ჭიდილში ათი წელი გაატარა. როგორც ერთი ისტორიკოსი ამბობდა, „ის ღმერთის წინაშე სასონარკვეთილი აღმოჩნდა ლუთერს უნდოდა, დარწმუნებულიყო, რომ ღმერთი მიიღებდა, თუმცა საკუთარ თავში მხოლოდ ცოდვებს ხედავდა, ღმერთში კი გარდაუვალ სასჯელს და ამათ იყო მისი სინანული და ღვთის წყალობის ძიება“²². ლუთერი კათოლიკური ეკლესიის მიერ რეკომენდირებულ მოკვდინების საშუალებებს ეძებდა, მაგრამ მიხვდა რომ ღმერთს ვერაფრით მოისყიდოდა, მოთაფლავდა და ასე ვერაფერს შეასმენდა. ის მიხვდა, რომ ეკლესია მის შინაგან არსზე ვერ ბრუნავდა და აღსარება, სინანული მოწყალება ან წმინდანთა თაყვანისცემა ვერაფერს შეცვლიდა, რადგანაც ღვთიური მადლი მიეცემოდა მას, ვისაც ღმერთი საკუთარი ნებით აირჩევდა.

ლუთერი ერთ-ერთი პირველი მოაზროვნე იყო დასავლეთში, რომელმაც ადამიანის შინაგანი არსის ცნება გაიაზრა და ის ადამიანის გარე, სოციალურ სახეს დაუპირისპირა. ის ამტკიცებდა, რომ ადამიანი ორბუნებოვანი არსებაა – შინაგანი, სულიერი და გარე, ხორციელი ბუნებით. „არაფერს შეუძლია ქრისტიანული სათნოებისა და თავისუფლების შექმნა ადამიანის გარეთ“, მხოლოდ ადამიანის შინაგან არსს შეუძლია შეცვალოს ადამიანი

„მხოლოდ ადამიანის შინაგან სამყაროშია შესაძლებელი, რწმენა ბატონობდეს, როგორც ნათქვამია ეპისტოლეში რომაელთა მიმართ. „ვინაიდან გულითა სწამთ სიმართლისათვის, პაგიტ კი აღიარებენ ცხოვნებისათვის“; და რადგანაც მხოლოდ რწმენა ამართლებს, ნათელია, რომ ადამიანის შინაგანი არსი ვერ იქნება გამართლებული, განთავისუფლებული ან გადარჩენილი რაიმე გარე მოქმედებით ან საქმით და ეს საქმეები, მიუხედავად მათი ბუნებისა, ვერაფერს შეცვლიან ადამიანის შიგნით“²³.

იმის აღიარებამ, რომ მხოლოდ შინაგან რწმენას და არა მოქმედებას შეუძლია ადამიანის სულის გადარჩენა (რასაც უდიდესი მნიშვნელობა ექნება მთლიანად პროტესტანტული დოქ-

ტრინისტვის), ერთი დარტყმით მოსპო კათოლიკური ეკლესიის არსებობის აზრი. ეკლესია ღმერთსა და ადამიანს შორის შუამავალი იყო, მაგრამ მის რიტუალებს და მოქმედებას ადამიანის შინაგან არსთან საერთო არაფერი ჰქონდა. ადამიანში ვერ აღწევდა. ლუთერი უკიდურესად აღშფოთებული იყო შუა საუკუნეების ეკლესიის გადაგვარებითა და დაცემით, კორუფციით, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი იყო იმის გააზრება, რომ ეკლესია, როგორც ინსტიტუტი, საჭირო აღარ იყო. ეკლესია ზედმეტი იყო და მკრეხელობდა კიდევ, როცა ღმერთის მოსყიდვას ან იძულებას ცდილობდა. ლუთერი ვიღაც უსახკო არ იყო, საზოგადოება რომ მორჩილებას აიძულებდა; უფრო პირიქით, საზოგადოებას მოუწევდა, ადამიანის შინაგან არსზე აელო სწორება. მიუხედავად იმისა, რომ ეს ლუთერის მიზანი არასდროს ყოფილა, რეფორმაციამ ზუსტად ეს შედეგი მოიტანა: დაიწყო კათოლიკური ეკლესიის მნიშვნელობის დაკნინება, გაჩნდა ბევრი ალტერნატიული ეკლესია და განხორციელდა სოციალურ ცვლილებათა მთელი წყება, რომელთა შედეგადაც მორწმუნეს სულ უფრო მეტი უპირატესობა ეძლეოდა გაბატონებულ სოციალურ სტრუქტურებთან შედარებით.

სოციალურმა თეორეტიკოსებმა დიდხანს იკამათეს ვეროპაში რეფორმაციით გამოწვეული ფუნდამენტური ცვლილებების, ანუ მოდერნიზაციის გამომწვევ მიზეზებზე მოდერნიზაცია მატერიალური ფაქტორებით გამოწვეული პროცესი იყო თუ მარტინ ლუთერის მსგავსი იდეების გავრცელების შედეგი? კარლ მარქსი და თანამედროვე ნეოკლასიკური ეკონომისტები თვლიან, რომ მარტინ ლუთერის იდეები მატერიალური პირობების ნაყოფია: მძიმე ეკონომიკური კრიზისის და გერმანიის მთავრებს შორის უთანხმოებების მასშტაბურობის გარეშე მისი იდეები ვერასდროს ჰპოვებდნენ ასეთ წარმატებას მეორე მხრივ, სოციოლოგი მაქს ვებერი იღებდა პრიმატს ანიჭებდა უპირატესობას: ეკონომისტთა მიერ შესწავლილი მატერიალური პირობები ვერ შედგებოდა რომ არა მათი ლეგიტიმაცია, რომელიც ადამიანთა აზროვნებაში გამოწვეული ცვლილებების ნაყოფია. სხვა ეპოქებში არსებულმა მსგავსმა პირობებმა ვერ გამოიწვია მსგავსი შედეგები, განსხვავებული ინტელექტუალური გარემოს გამო

ჩემი აზრით სიმართლის წილი ორივე მიდგომაშია, იმიტომ.

რომ მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, ერთდროულად, ორივე მიმართულებით მოძრაობს. მატერიალური პირობების ადამიანთა იდეებისადმი მიმღებლობაზე გავლენას ვერავინ უარყოფს მაგრამ იდეებს, საკუთარი შინაგანი ლოგიკა ახასიათებს და მათ მიერ შემოთავაზებული შემეცნებითი ჩარჩოების გარეშე ადამიანები მატერიალურ პირობებს განსხვავებულად აფასებენ. ეს ეხება იდენტობის ცნების ევოლუციის ჩვენებულ გავლებას, რომლის მამოძრავებელი ძალები იყო, როგორც აზროვნების ევოლუცია, ისე სოციო-ევოლუციური მოღერნიზაციით გამოწვეული ცხოვრების პირობების ცვლა მთლიანად ევროპულ საზოგადოებაში

იდენტობის კუთხით. ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ შინაგანსა და გარეგანს შორის მღვარის გავლება და პირველის პრიმატის აღიარება მნიშვნელოვან მასშტაბს ლუთერის დროს იქნეს²⁵. როგორც ბევრმა მოაზროვნემ, რომელიც იდენტობის საკითხს შეეჭიდა, ლუთერი საკუთარი თავის შეცნობის ურთულეს გზას დაადგა და დაიწყო იმ ხერხების ძიება, რომლებიც მას ღმერთთან გაამართლებდა. მისი შინაგანი არსი ცუდად გამოიყურებოდა: ცოდვებით დამძიმებული, ეგებ, გადარჩენილიყო კიდევაც შინაგანი მოქმედებით რომელიც გარეშე თვალისათვის უხილავი დარჩებოდა. ლუთერი ნამდვილად პასუხისმგებელია იდენტობის ცნებისა და მისი ძირითადი მახასიათებლების ჩამოყალიბებაზე, თუმცა ადამიანის შინაგანი არსი იმდენად ღრმა და მრავალშრიანი. რომ მისი შეცნობა ინტროსპექციის გარეშე შეუძლებლად რჩება

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მარტინ ლუთერი იდენტობის თანამედროვე გაგებისაგან შორს დგას. ის შინაგანი არსის თავისუფლებისთვის იღნვოდა. მაგრამ ამ შინაგან არსს მხოლოდ ერთი განზომილება გააჩნდა – რწმენა და ღვთიური მადლის მიღება. არჩევანი ბინარული იყო. უფლის მიღება ან უარყოფა. ადამიანს არ შეეძლო ყოფილიყო ბუდისტი ან ინდუისტი ან ხმამაღლა განეცხადებინა საკუთარი სექსუალური ორიენტაციის შესახებ. ლუთერს „აზრის კრიზისი“ არ ემუქრებოდა, ეს მისთვის გაუგებარი იქნებოდა. მან უარყო დედა-ეკლესია, მაგრამ მის საფუძვლად მდებარე ქრისტიანულ ჭეშმარიტებას სრულად იღებდა²⁶.

მეორე მიდგომა, რომლითაც ლუთერი იდენტობის თანა-

მედროვე გაგებას არ უახლოვდება, მდგომარეობს იმაში, რომ მისი შინაგანი არსი არ ეძებს საზოგადოებრივ აღიარებას ახლადგანცდილი თავისუფლების გამო. ის საკუთარ მოტივაციაზე სწუნდა. ლუთერი უშედეგოდ ცდილობდა, საკუთარი თავით კმაყოფილების ცდუნების თავიდან არიდებას, „იცოდა რა, რომ გამოუსწორებელი ცოდვილი იყო და ვერაფრით გაექცეოდა იმას რასაც ჟინს ეძახდა“²⁷ (ის გულისხმობდა კეთილი საქმის კეთებას არა ღვთის სადიდებლად, არამედ საკუთარი ამპარტავნებიდან გამომდინარე). მან სიცოცხლეშივე მოიპოვა უდიდესი აღიარება და სასტიკი რისხვის გამოხატვაც შეეძლო, მაგრამ ლუთერისეული რწმენის დოქტრინა ღმერთთან პირად ურთიერთობას ემყარებოდა და არა საზოგადოებრივი აღიარების ძიებას.

მიუხედავად ამისა, განსხვავება შიდასა და გარეს შორის განისაზღვრა და შეიძლებოდა, შეესებულებოდა შინაგანი თავისუფლების ახალი ფორმებით იმ მოაზროვნეთათვის. ვისთვისაც მარტინ ლუთერის ქრისტიანული მსოფლმხედველობა მიუღებელი აღმოჩნდა.

მე-18 საუკუნის ბოლოს. თანამედროვე იდენტობის დედააზრმა მნიშვნელოვანი ევოლუცია განიცადა და სეკულარული როლიც შეითავსა. კანადელმა პოლიტოლოგმა, ჩარლზ ტეილორმა ეს პროცესი დეტალურად აღწერა. ამ პროცესში ცენტრალური როლი ჟან-ჟაკ რუსომ ითამაშა²⁸. რუსო ბევრი ისეთი მნიშვნელოვანი იდეის წყაროა რომლებიც შემდგომში სხვადასხვა თანამედროვე პროცესის საწინდარი გახდა: დემოკრატიის, ადამიანთა უფლებების, კომუნიზმის, ანთროპოლოგიისა თუ ბუნების დაცვის. თუმცადა რუსოსთვის მისი შინაგანი არსის თანდაყოლილი კეთილშობილება იყო ის, რაც მის მრავალფეროვან პოლიტიკურ, სოციალურ და პირად ნაწერებს აერთიანებდა²⁹.

აღსანიშნავია, რომ ჟან-ჟაკ რუსომ ადამიანის შინაგანი არსის შეფასების ახალი, ქრისტიანული მორალისაგან დამოუკიდებელი ხედვა შემოგვთავაზა. ლუთერსა და ქრისტიანებს სჯეროდათ რომ ადამიანი ცოდვის შვილია: ადამიანები დაცემული არსებები არიან, რომლებსაც ცოდვების გამოსყიდვა მხოლოდ ღმერთის სიყვარულით შეუძლიათ. ნაშრომში „ადამიანთა შორის უთანასწორობის წარმოშობასა და საფუძველზე მსჯელობანი“ რუსოსთვის

პირველი ადამიანი ანუ ადამიანი მის პირველად ბუნებრივ მდგომარეობაში, ცოდვილი არ არის. თვისებები, რომლებსაც ჩვენ ბოროტებას და ცოდვას ვუკავშირებთ – შური, სიხარბე, ძალადობა, სიძულვილი და სხვ. – უძველეს ადამიანებს არ ახასიათებდათ. რუსოს ვერსიით, ადამიანთა ადრეული საზოგადოება არ არსებობდა, ადამიანები იზოლირებულ ინდივიდებად მინიმალური საჭიროებების დაკმაყოფილებით ცხოვრობდნენ მათთვის უცხო იყო ოჯახური ცხოვრება და უპირატესობას თავისუფალ სექსს ანიჭებდნენ. ისინი არ გრძნობდნენ შურსა და სიხარბეს. მათი ერთადერთი ბუნებრივი ემოცია სხვათა სიბრაღული იყო

რუსოს მიხედვით, უბედურება, საკუთარი ცხოვრებითა და ბედით უკმაყოფილება, საზოგადოების ჩამოყალიბებასთან ერთად იჩენს თავს პირველმა ადამიანებმა საზოგადოებად გარდაქმნა ცხოველთა მოთვინიერებით დაიწყო, რამაც მათში „სიამაყის პირველი განცდა წარმოშვა“ შემდეგ ერთმანეთის დაცვისა და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების გასაადვილებლად დაიწყო თანამშრომლობა. ერთმანეთთან დაახლოვებამ მათ „ერთიერთობების გარკვეული ხედვა ჩამოუყალიბა... რომლებსაც ჩვენ გადმოვცემთ სიტყვებით: დიდი, პატარა, ძლიერი, სუსტი, მარდი, ზანი. მშიშარა, გაბედული და ა. შ.“ გარშემომყოფთა ერთმანეთთან შედარების და დახასიათების უნარის გამომუშავება ადამიანთა უბედურების წყაროდ იქცა: „ადამიანებმა ერთმანეთის შეფასება დაიწყეს და პატივისცემასაც გაუგეს გემო რომელიც საყოველთაო მოთხოვნა გახდა. უპატივცემულობის გამოჩენა კი – საშიში“. რუსო ნაწილობა, რომ ადამიანებში საკუთარი თავის სიყვარული (*amour de soi*) თანდათანობით თავმოყვარეობით (*amour-propre*) ჩანაცვალდა. მარტივმა კერძო ინტერესებმა ბუნება იცვალა და პატივმოყვარეობისა და საზოგადოებრივი აღიარების საჭიროების გრძნობებად გარდაიქმნა³⁰.

რუსო ამბობს, რომ კერძო საკუთრება სოფლის მეურნეობისა და მეტალურგიის აღმოჩენამ მოიტანა. ადამიანის გამდიდრებასთან ერთად, ქონების დაგროვების შესაძლებლობამ ადამიანებს შორის არსებული ბუნებრივი განსხვავებების მასშტაბები გააზვი-ადა, ხელი შეუწყო შურის, ნამხედურობის, პატივმოყვარეობის

სირცხვილის არნახელ ვავრცელებას. აქედან გამომდინარეობს რუსოს ცნობილი რეკომენდაცია „მსჯელობანი“-ს მეორე ნაწილის დასაწყისში: „სამოქალაქო საზოგადოების ფუძემდებელი ის ადამი-ანია. რომელმაც პირველმა შემოლობა მიწის ნაკვეთი, მიისაკუთ-რა ის და განაცხადა, ეს ჩემია... რამდენი დანაშაული, ომი, მკვლელობა და უბედურება აცდებოდა კაცობრიობას, ღობეებისა და წინალობების აგების ნაცვლად, ადამიანებს ერთმანეთისთვის რომ ეთქვათ. ნუ მოუსმენთ ამ თვითმარქვისს! ნუ დაგავიწყდებათ, რომ დედამიწის ყველა ნაყოფი საერთოა და ყველას გვეკუთვნის. დედამიწა კი არავის საკუთრებაა“³¹

კაცობრიობის უთანასწორობით და ძალადობით გამომწვეული კატასტროფიდან გამოსაყვანად რუსო ორ განსხვავებულ გზას გუთავაზობს. ნაშრომში „პოლიტიკური ტრაქტატი საზოგადოებრივი ხელშეკრულების შესახებ, ანუ პოლიტიკური სამართლის პრინციპები“ პრობლემის გადაწყვეტის პირველ გზას გვიჩვენებს: ადა-მიანებს შეუძლიათ, მათ პირველად, ბუნებრივ თანასწორობას „საერთო სურვილის (ინტერესის)“ რესპუბლიკურ ფასეულობათა გარშემო გაერთიანებით დაუბრუნდნენ. ადამიანები ისეთი პოლი-ტიკური ერთობის ჩარჩოებში თანამშრომლობდნენ, რომელიც მათ შორის უთანხმოებასა და აზრთა სხვადასხვაობას გამორიცხავს. ეს სისტემა პროტოტოტალიტარული ხასიათის გამო გააკრიტიკეს. იგი მღუდავს საზოგადოების მრავალფეროვნებას და ხელს უწყობს საზოგადოებაში მხოლოდ ერთი აზრის გაბატონებას.

პრობლემის გადაწყვეტის მეორე მეთოდი არა პოლიტიკური, არამედ ინდივიდუალურია. რუსო თავის გვიანდელ ნაშრომში „მარტოსული მოსეირნის მზანებები“ პირველადი ადამიანის ცნობიერების ბუნებრივი მდგომარეობის აღდგენას ცდილობს, მდგომარეობის, რომელიც ადამიანის მიერ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვას უსწრებდა წინ. ნაშრომში „უთანასწორობაზე მსჯელობანი“ რუსო ამბობს რომ ადამიანის „პირველი განცდა საკუთარი არსებობისა იყო“. ამ *sentiment de l'existence*-ის საკითხს ის „მზანებებში“ უბრუნდება, სადაც მას ბედნიერებისა და სისრულის გრძნობებს აღარებს, რომლებსაც ადამიანი შექმნილი სოციალური მგრძნობელობის შრეებში ჩამალული საკუთარი თავის შეცნობისას

განიცდის³². რუსოს „არსებობის შეგრძნება“ მეტამორფოზას განიცდის და თანამედროვე იდენტობის პოლიტიკის ქვაკუთხედად – პირად გამოცდილებად გარდაიქმნება.

ამგვარად, ჟან-ჟაკ რუსო ადამიანის ბუნებასთან მიმართებაში სხვებისაგან გამორჩეულ პოზიციას იკავებს. ის უჭკვემ აყენებს თომას ჰობსის ხედვას, რომლის მიხედვითაც ადამიანის ბუნება ძალადობისაკენ მიდრეკილი, დაუნდობელი და ეგოისტურია. რუსო არც ჯონ ლოკს ეთანხმება, რომელიც კერძო საკუთრების მოშვეყვლობას ადამიანისთვის ბუნებრივ თვისებად აფასებს. სოკრატესა და ადიმანტესაგან განსხვავებით, რუსო ამტკიცებს, რომ სიამაყის გრძნობა და, შესაბამისად, გარშემომყოფთა მიერ აღიარების საჭიროება, ადამიანის არა თანდაყოლილი, არამედ შექმნილი თვისებაა.

ჟან-ჟაკ რუსოს მტკიცებით (რაც შემდგომ საუკუნეებში მსოფლიო პოლიტიკას დაედება საფუძვლად), ის, რასაც ჩვენ საზოგადოებას ვუნოდებთ, ადამიანისთვის უცხოა, ის არა ადამიანის შინაგანი არსის, არამედ გარე სამყაროს ნაწილია. საზოგადოება, ანუ წესების, ურთიერთობის სხვადასხვა ფორმების, აკრძალვებისა და ადათების ერთობლიობა. ის დაბრკოლებაა, რომელიც ადამიანს თვითრეალიზაციაში და, შესაბამისად, ბედნიერების განცდაში უშლის ხელს. საზოგადოების ბუნების გააზრების ეს ფორმა დღეს იმდენად ინსტინქტური და მიღებულია, რომ გაუთვითცნობიერებელიც კია. ეს განსაკუთრებით ნათელია, როცა დანაშაულში ეჭვმიტანილი მოზარდი აცხადებს, რომ კრიმინალი მას „საზოგადოებამ ჩაადენინა“, ან როცა ქალი, საზოგადოების გენდერული და სექსისტური დამოკიდებულების მიზგებით, მის შესაძლებლობებს შეზღუდულად მიიჩნევს. გლობალურ მასშტაბში ასეთი მიდგომის მაგალითია ვლადიმირ პუტინი, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ლიდერობით ჩამოყალიბებული საერთაშორისო წესრიგის დარღვევას ცდილობს, რადგან თვლის, რომ იქ რუსეთს სათანადო ადგილი არ მოეძებნა და ის იჩაგრება. კაცობრიობის ისტორიაში ბევრი მოაზროვნე თვლიდა საჭიროდ არსებული სოციალური ნორმებისა და ადათების ცვლილებებს, თუმცა ძნელად მოიძებნებიან ისეთები, რომლებიც უკვე არსებული საზოგადოების და მისი წეს-ჩვეულებების ერთიანად გაუქმებას

და მთლიანად ჩანაცვლებას ითხოვდნენ ამ ასპექტში უკავშირდება ერთმანეთს რუსოს წნაულება და 1789 წლის საფრანგეთის, 1917 წლის რუსეთის და 1949 წლის ჩინეთის რევოლუციები.

ლუთერის მსგავსად, ჟან-ჟაკ რუსოც მკვეთრ ზღვარს ავლებს ადამიანის შინაგან არსსა და გარე სამყაროს თავისი წესებისაღმდეგ მორჩილების მომთხოვნ საზოგადოებას შორის. თუმცა ლუთერისაგან განსხვავებით, რუსო ადამიანის შინაგან თავისუფლებას არ ზღუდავს ღვთიური მადლის მიღება-არმიღების უნარით მისი აზრით, ადამიანის თავისუფლება მის sentiment de l'existence-შია, რომელიც თავისუფალია დანესებული სოციალური ნორმებისა და წნეხისაგან. ამგვარად, ჟან-ჟაკ რუსომ ლუთერის მიერ აღწერილი კონცეფციის სეკულარიზაცია და განზოგადება მოახდინა. ჩარლზ ტეილორი თვლის, რომ ეს „თანამედროვე კულტურის სუბიექტური ხასიათის ზრდის ნაწილია. შინაგანი არსის ახალი ფორმა, რომელშიც ჩვენ საკუთარ თავს შინაგანი სამყაროს მქონე არსებებად ვთვლით“³³

რუსოს მიერ ადამიანის შინაგანი არსის სეკულარიზაცია და პრიმატი, რომელიც მას სოციალურ ნორმებზე ენიჭება, თანამედროვე იდენტობის პოლიტიკის ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იყო. თუმცა ისიც ნათელია, რომ რუსო აღიარების საჭიროებას ადამიანის თანდაყოლილ და ბუნებრივ თვისებად არ თვლის. რუსო ამტკიცებდა, რომ სიამაყის გრძნობა და სხვებთან საკუთარი თავის შედარებისაღმდეგ მიდრეკილება უცხო იყო პირველყოფილი ადამიანებისთვის და ამ გრძნობათა აღმოჩენამ ადამიანთა უბედურებას ჩაუყარა საფუძველი. ამგვარად, შინაგანი არსის აღდგენა გულისხმობს პიროვნების სოციალური გარემოს მიერ აღიარების სურვილისაგან გათავისუფლებას მარტოსეულა მეოცნებე არავის აწონებს თავს.

ის, რაც დღეს ადრეული ადამიანების საზოგადოებებისა და ადამიანის ევოლუციის შესახებ ვიცით მნიშვნელოვნად გვიადვილებს ჟან-ჟაკ რუსოს თეორიების შეფასებას, მისი შეცდომებისა და სწორი მიგნებების დანახვას. ის, დიდწილად, სწორად მსჯელობდა ადამიანის სოციალური ევოლუციის ზოგად ეტაპებზე, მონადირე-შემგროვებელი საზოგადოების მინათმქმედთა და შემდეგ სავაჭრო-კომერციულ საზოგადოებად გარდაქმნაზე თანა-

მედროვე მეცნიერებამ ასევე დაადასტურა ჟან-ჟაკ რუსოს ვარაუდი მინათმოქმედების უმნიშვნელოვანესი როლის შესახებ სოციალურ ევოლუციაში. სწორედ სოფლის მეურნეობის განვითარებაში გააჩინა კერძო საკუთრების ცნება მინათმოქმედი საზოგადოება, რომელმაც მომთაბარე-შემგროვებლური საზოგადოებები ჩაანაცვლა ბევრად უთანასწორო და იერარქიული იყო³⁴.

აღსანიშნავია ის მნიშვნელოვანი შეცდომებიც, რომლებიც ჟან-ჟაკ რუსომ თავის მსჯელობაში დაუშვა. დღეს დანამდვილებით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ რუსოს ვარაუდი ადრეული ადამიანების მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალიზმის შესახებ მცდარი იყო ამის მტკიცების საშუალებას გვაძლევს, პირველ რიგში, არქეოლოგიური და ანთროპოლოგიური კვლევები, რომლებმაც ვერ გამოკვეთა ადამიანის პრე-სოციალური ყოფის ნიშნები. ის მნიშვნელოვანი ცოდნა, რომელიც დღეს პირველყოფილ ადამიანთა შესახებ გვაქვს, ასევე იძლევა საფუძველს, დიდი ალბათობით ვივარაუდოთ, რომ თანამედროვე ადამიანის წინაპარი, არსებობის ადრეული ეტაპებიდანვე, მკვეთრად გამოხატული სოციალური ხასიათით გამოიჩინოდა. პრიმატებზე დაკვირვებამ აჩვენა რომ ისინი კომპლექსურ სოციალურ სტრუქტურებში ცხოვრობენ და სოციალური ინტერაქციისათვის საჭირო და აუცილებელი ემოციური უნარებიც ახასიათებთ³⁵. კითხვის ნიშნებს აჩენს რუსოს მტკიცება ადამიანში სიამაყის გრძობის სოციალური ინტერაქციის შედეგად გაჩენის შესახებ. უცნობია, როგორ შეიძლება ადამიანისთვის დამახასიათებელი ასეთი ბუნებრივი განცდა გამოწვეულ იქნეს გარე სტიმულაციის შედეგად. ასეთ შემთხვევაში აუცილებელი იქნებოდა მის განსაცდელად ბავშვების მცირე ასაკიდანვე შესაბამისი მომზადება, თუმცა მათზე დაკვირვება საპირისპიროს ცხადყოფს. დღეს ვიცით, რომ სიამაყისა და თავმოყვარეობის გრძობები დამოკიდებულია ნეიროტრანსმიტერის, სეროტონინის კონცენტრაციის დონეზე თავის ტვინში. მაგალითად. შიმპანზეებში სეროტონინის დონე მნიშვნელოვნად იმატებს მათ მიერ დომინანტი ალფა-მამრის სტატუსის მოპოვებისას³⁶ ნაკლებად სავარაუდოა, რომ თანამედროვე ადამიანის არსებობის რომელიმე ეტაპზე ადამიანები ერთმანეთს არ შეჯიბრებოდნენ, ან გარშემოყოფთა მიერ მა-

თი მოწონებით არ ეამაყათ. ამ კუთხით. პლატონს უკეთ ესმის ადამიანის ბუნება ვიდრე რუსოს.

შემთხვევითი არ ყოფილა ადამიანის შიდა და გარე არსს შორის განსხვავების აღმოჩენის დრო – ხანა რეფორმაციასა და საფრანგეთის რევოლუციას შორის. ევროპული საზოგადოება მნიშვნელოვან ეკონომიკურ და სოციალურ ცვლილებებს განიცდიდა, იქმნებოდა ფილოსოფიური იდეების გავრცელების მატერიალური პირობები.

ყველა საზოგადოება მასში შემავალ ადამიანებს საერთო წესებით ცხოვრებისაკენ მოუწოდებს. ადამიანთა შორის თანამშრომლობა. რომელიც ადამიანის, როგორც სახეობის. ნარმატების საფუძველია, სხვანაირად შეუძლებელი იქნებოდა. არ არსებულა საზოგადოება, რომელშიც მუამბოხე თინეიჯერები ან ურჩები არ ყოფილიყვნენ, თუმცა მათ შინაგან შეხედულებებსა და სოციალურ გარემოში არსებულ წესებს შორის ბრძოლაში. როგორც წესი, საზოგადოება იმარჯვებს და აიძულებს მათ. ამ წესებს დაემორჩილონ.

ამ ბრძოლიდან გამომდინარეობს იდენტობის კონცეფციის თანამედროვე გაგება რომელიც ტრადიციული საზოგადოებების დიდ ნაწილში არც კი იარსებებდა. კაცობრიობის ისტორიის ბოლო 10 000 წლის განმავლობაში, ადამიანთა უმრავლესობა მინათმოქმედთა დასახლებებში ცხოვრობდა. მინათმოქმედთა თემში სოციალური როლები განსაზღვრული და უცვლელია. არსებობს ასაკსა და სქესზე დაფუძნებული მკაცრი იერარქია. საზოგადოების წევრთა უმრავლესობა ერთმანეთის მსგავსი საქმიანობითაა დაკავებული (სოფლის მეურნეობა, ბავშვების აღზრდა. ოჯახზე ზრუნვა). თემის წევრი იბადება და ცხოვრობს პატარა სოფელში, მეგობრებისა და მეზობლების შემლულ წრეში. რწმენა და რელიგია საერთოა. სოციალური მობილობა – სოფლიდან ნასვლა, პროფესიის გამოცვლა მშობლებთან შეუთანხმებლად დაქორწინება – თითქმის შეუძლებელია. ასეთ საზოგადოებებში არ არსებობს პლურალიზმი და მრავალფეროვნება და უკიდურესად შემლულთა არჩევანი ასეთი მებლუდების პირობებში. ამრს მოკლებულია „ვინ ვარ მე სინამდვილეში?“ ტიპის კითხვებზე ფიქრი. პიროვნების დამახასი-

ათებული შიდა თუ გარე თვისება გარკვეული და ჩამოყალიბებულია. არც ერთი სოფლიდან მეორეში გაქცევას აქვს აზრი თუ ასეთივე შემზღვეულ სოციალურ სივრცეში, მსგავსი მკაცრი წესებით ცხოვრება მოვიწვევს. არ არსებობდა საზოგადოების, როგორც პიროვნებისაგან დამოუკიდებლად არსებული კონცეფციის ფორმა, ადამიანის შინაგან არსს საზოგადოებასთან მიმართებაში ღირებულება არ გააჩნდა.

ამ ყველაფერმა ევროპაში მოღერნიზაციის დაწყებასთან ერთად დაიწყო ცვლა სავაჭრო რევოლუციის შედეგად განვითარდა და მნიშვნელოვნად გაიზარდა კომერციის მოცულობა. რამაც დამკვიდრებული სოციალური იერარქიების ცვლილება გამოიწვია. „ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ გამოკვლევაში“ ადამ სმიტი წერდა, რომ „შრომის დანაწილება ბაზრის მოცულობით იზღუდება“ ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა ბაზრის ზრდა განაპირობა, რამაც ხელი ახალი პროდუქციებისა და ახალი სოციალური კლასების გაჩენას შეუწყო. იზრდებოდა ქალაქების მნიშვნელობა და დამოუკიდებლობა, რომლებიც სოფლიდან ბატონთა განუსაზღვრელ ძალაუფლებას გამორიდებულ გლეხთა თავშესაფრად იქცნენ. რეფორმაციას ორსაუკუნოვანი რელიგიური ომები მოჰყვა შეიცვალა ევროპის პოლიტიკური რუკა. გაჩნდა რელიგიური თავისუფლება, ადამიანს რელიგიური არჩევანის სამუალება მიეცა, არჩევანის. რომელიც წარმოუდგენელი იყო შუა საუკუნეებში ეკლესიის ჰეგემონიის პირობებში. ბეჭდვის გამოგონებამ წერა-კითხვისა და ცოდნის გავრცელებას შეუწყო ხელი.

მასშტაბურმა სოციალურმა და ეკონომიკურმა ცვლილებებმა ინდივიდების ცხოვრებაში მეტი არჩევანი და ახალი შესაძლებლობები გააჩინა. ძველი ყაიდის საზოგადოებაში შემზღვეული სოციალური გარემო და არჩევანი ინდივიდის შინაგან არსს თავისთავად განსაზღვრავდა ახალ მოცემულობაში კითხვამ „ვინ ვარ მე?“ რელევანტურობა შეიძინა, გაიზარდა ნაპრალი ადამიანის შინაგან არსსა და გარესამყაროს შორის. იღებმა მატერიალურ სამყაროზე იმოქმედა, ხოლო მატერიალურმა სამყარომ იდეათა გავრცელებისთვის აუცილებელი პირობები შექმნა

ღირსებიდან დემოკრატიაზე

ილენტობის თანამედროვე კონცეფცია სამ ფენომენს აერთიანებს პირველი თიშოსია – ადამიანური ბუნებისათვის უნივერსალურად დამახასიათებელი ასპექტი, რომელიც აღიარებისა და მონონებისაკენ ილტვის. მეორეა ადამიანის გარე და შიდა არსს შორის განსხვავება და ამ უკანასკნელის მზარდი მორალური უპირატესობა სოციალურ გარემოზე – ტენდენცია, რომელიც თანამედროვე ევროპის ჩამოყალიბების ადრეულ ეტაპზე გამოიკვეთა. მესამე პიროვნული ღირსების ცვალებადი ცნებაა, ის საზოგადოების ყველა წევრს გააჩნია და ხელშეუვალია. პიროვნული ღირსების განზოგადებამ და უნივერსალიზაციამ, საკუთარი თავის ძიების პროცესი ვერძოდან პოლიტიკურ პროექტად აქცია ეს ცვლილება დასავლურ პოლიტიკურ აზროვნებაში ჟან-ჟაკ რუსოს შემდეგი თაობის ფილოსოფოსთა. იმანუელ კანტისა და. განსაკუთრებით, გორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელის შემველობით განხორციელდა.

სოკრატეს მიხედვით, პიროვნული ღირსების აღიარების მოთხოვნა თავდაპირველად პოლიტიკური თემის მეომარ ნაწილს ახასიათებდა. მათ სიმაშაცე და საზოგადო სიკეთისათვის თავგანწირვის მზაობა ახასიათებდათ. თუმცა ეს პიროვნული ღირსების ერთადერთი ხედვა არ ყოფილა. ბიბლიაში ადამი და ევა უმანკო და უცოდველი არსებები არიან ვიდრე ვას ბოროტისა და კეთილის მეცნობის ხიდან მონყვეტილი ნაყოფით არ შეაცდენს ეშმაკი. ნაყოფის გასინჯვის შემდეგ მათსაკუთარი სიშიშვლის შერცხვებათდა მისდაფარვას შეეცდებიან. ღმერთი მათ სამოთხიდან განდევნის. ადამისა და ევას პირველი ცოდვის გამო ადამიანთა მოღვაძე მეკვიდრეობით ცოდვილია.

ამგვარად, პიროვნული ღირსების ქრისტიანული ხედვა მორალური არჩევანის გაკეთების უნარის გარშემო ჩამოყალიბდა. ადამიანებს ძალუბთ კეთილისა და ბოროტის გარჩევა; მათ ყოველთვის შეუძლიათ სიკეთის გზის არჩევა, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად, ადამისა და ევას მსგავსად, მცდარ არჩევანს აკეთებენ. ლუთერის მსჯელობაც ასეთი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას ემყარებოდა. მართალია, ადამმა და ევამ არასწორი არჩევანი გააკეთეს, მაგრამ ამ არჩევანს აზრი არ ექნებოდა ცოდვის ჩადენის შესაძლებლობა რომ არ შეეძლოდათ ნაყოფის გასინჯვით მათ როგორც საკუთარი, ისე მათი შთამომავლების ზნეობრივი მდგომარეობა დააფიქსირეს, მათ ამიერიდან ბოროტისა და კეთილის გარჩევის უნარი ექნებოდათ. ცხოველები ვერ არჩევენ კეთილსა და ბოროტს. ისინი ინსტინქტურად მოქმედებენ, ღმერთი კი გულკეთილია და ყოველთვის სამართლიან არჩევანს აკეთებს. არჩევანის გაკეთების საშუალება, თავისუფალი ნება ადამიანებს ცხოველებზე მაღლა აყენებს ამგვარად, ქრისტიანული თვალსაზრისით, ყველა ადამიანი თანასწორია, ყოველ მათგანს თავისუფალი ნება თანაბრად აქვს მინიჭებული. ადამიანის ღირსებისათვის ზნეობრივი არჩევანის მნიშვნელობაზე საუბრობდა მართინ ლუთერ კინგი უმცროსი: „მე მაქვს ოცნება, რომ ჩემი ოთხი შვილი იცხოვრებს ქვეყანაში. სადაც მათ არა მათი კანის ფერის, არამედ მათი შინაგანი ბუნების მიხედვით განსჯიან“, ანუ მათი შინაგანი არსის მიერ გაკეთებული ზნეობრივი არჩევანის საფუძველზე და არა გარეგნული ნიშან-თვისებებით

იმანუელ კანტმა ღირსების ქრისტიანული ხედვის სეკულარული ვერსია „წმინდა გონების კრიტიკაში“, „ზნეობის მეტაფიზიკის დაფუძნებაში“ და სხვა ნაშრომებში ნარმოადგინა. ის ამტკიცებს, რომ შეუძლებელია რამეზე, როგორც აბსოლუტურ სიკეთეზე მითითება გარდა კეთილი ნებისა – სწორედ ამაშია ჭეშმარიტი ზნეობრივი არჩევანის უნარი თუმცა კანტი არჩევანის ავკარგიანობას რელიგიური კუთხით არ აფასებდა, მისთვის ზნეობრივი არჩევანი გონების აბსტრაქტული წესების დაცვას გულისხმობს და არა ამ არჩევანის შედეგებს ადამიანის კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის ზნეობრივი არჩევანის გაკეთების ადამიანური უნარი უარყოფს თომას ჰობსის თეზისს ადამიანების, როგორც ფიზიკის კანონებს დაქვემდებარებული

მექანიკური არსებების შესახებ. ისინი ზნეობრივი განსჯის უნარით დაჯილდოებული არსებები არიან, რომლებსაც არჩევანის გაკეთება მათი მატერიალური გარემოსაგან დამოუკიდებლად შეუძლიათ სწორედ ამიტომ, ადამიანი უნდა განვიხილოთ არა როგორც სხვათა მიერ მიზნის მიღწევის საშუალება, არამედ საკუთარი მიზნის მქონე არსება. ზნეობა არა ადამიანური ბედნიერების მაქსიმალიზაციისათვის საჭირო რაციონალური გათვლაა არამედ თავისთავადი და თვითკმარი არჩევანი. კანტისთვის ადამიანის პიროვნული ღირსება ადამიანის ნებაზეა დამოკიდებული.

ზნეობრივ არჩევანსა და პიროვნულ ღირსებას შორის კავშირი მისაღები აღმოჩნდა ჰეგელისთვისაც. ადამიანები თავისუფალი ნებით დაჯილდოებული არსებები არიან, რომლებიც სცდებიან თავიანთი სურვილების მაქსიმალურად დასაკმაყოფილებლად მოქმედ რაციონალურ არსებათა დეფინიციას. თუმცა რუსოსა და კანტისაგან განსხვავებით, ჰეგელმა ზნეობრივი განსჯის უნარი ადამიანის მდგომარეობის აღწერის მთავარ ინსტრუმენტად გამოიყენა. „გონის ფენომენოლოგიაში“ ის ამტკიცებს, რომ კაცობრიობის ისტორია აღიარებისთვის ბრძოლის ისტორიაა. ეს მოთხოვნილება მეომრებისაგან მოდის, რომლებიც სისალისმღვრელ ბრძოლებში არა ტერიტორიის ან სიმდიდრის მოსახვეჭად, არამედ აღიარებისთვის სწირავენ თავს. თუმცა ეს აღიარება საკმარისი და დამაკმაყოფილებელი არ არის. რადგანაც იგი არ ცვლის უღირს ანუ მონურ მდგომარეობას. ამ პრობლემის გადაწყვეტის ერთადერთი გზა მონის მიერ ღირსების შრომით მოპოვებაა, უნარით, რომელიც მსოფლიოს ადამიანის ღირსეული ცხოვრების ადგილად აქცევს. საბოლოო ანგარიშით, აღიარების ერთადერთი რაციონალური ფორმა ბატონისა და მონის მიერ მათი საერთო ადამიანური ღირსების აღიარებაა.

ჟან-ჟაკ რუსოსაგან განსხვავებით, ჰეგელი ამ ბრძოლებს არა ინდივიდუალურ, პირად საქმედ, არამედ პოლიტიკურ პროცესად განიხილავს მისი ეპოქის ყველაზე დიდი კონფლიქტი საფრანგეთის რევოლუცია იყო, რომელმაც ადამიანის უფლებები დააკანონა. 1806 წელს ახალგაზრდა ჰეგელი იენის ბრძოლიდან დაბრუნებული ნაპოლეონის მხედრობის მის საუნივერსიტეტო ქალაქში გავლას შეესწრო. ეს ფაქტი მან საფრანგეთის რევოლუციის პრინციპების, პიროვნული აღიარების საყოველთაო უნი-

ვერსალიზაციის დასაწყისად აღიქვა. ჰეგელისთვის ეს ისტორიის დასასრულს ნიშნავდა, რომლის კულმინაციაც საყოველთაო აღიარება იყო. შემდგომი მოვლენები უბრალოდ, ამ პრინციპის დედამიწის შორეულ კუთხეებში გავრცელება იქნებოდა³⁷

ლიბერალური დემოკრატია რომელიც ადამიანის ინდივიდუალურ უფლებებს ეფუძნება, თანახმორი ღირსების პრინციპს კანონად აქცევს. აღიარებს რა ადამიანებს ზნეობრივი განსჯის უნარით დაჯილდოებულ ინდივიდებად, რომლებსაც საკუთარი თავის მართვა თავადვე შეუძლიათ. ჰეგელის დროს პოლიტიკური მოწყობის ეს პრინციპი სახელმწიფოებს ცხენზე ამხედრებული გენერლის მიერ ეკისრებოდათ, თუმცა ფილოსოფოსისთვის ეს ადამიანის თავისუფლებისათვის ბრძოლის ბევრად უფრო ვრცელი ისტორიის უმნიშვნელო დეტალი იყო.

მე-19 საუკუნის დასაწყისში იდენტობის თანამედროვე კონცეფციის ყველა ელემენტი უკვე სახეზე იყო: სხვაობა შინაგან და გარეგან ბუნებას შორის, ადამიანის შინაგანი ბუნების საზოგადოებაში არსებულ სოციალურ შეთანხმებებზე ძალა დაყენება შეგნება იმისა, რომ პიროვნული ღირსება ზნეობრივ თავისუფლებას ემყარება (რომელიც ყველა ადამიანისთვის საერთო და უნივერსალურია) და ადამიანის თავისუფალი შინაგანი არსის აღიარების მოთხოვნა. ჰეგელმა თანამედროვე პოლიტიკის ფუნდამენტურ ჭეშმარიტებაზე მიუთითა. უდიდეს ადამიანურ მღელვარებებს, რომლებსაც საფრანგეთის რევოლუციის მსგავსი მოვლენები ინვესს, საფუძველში ღირსებისათვის ბრძოლა უდევს. ადამიანის შინაგანი არსის თავისუფლების გააზრება პირადი საქმე აღარ იყო, ამ თავისუფლების კანონსა და სამართალში შეტანის დრო დადგა. საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ, ორი საუკუნის განმავლობაში გავრცელებული დემოკრატიული პროცესების მამოძრავებელი ძალა ადამიანების მიერ მათი პოლიტიკურ სუბიექტებად, ზნეობრივი განსჯის და პოლიტიკური ძალაუფლების გაზიარების უნარის მქონე ინდივიდებად აღიარებისთვის ბრძოლა იყო

სხვაგვარად რომ ვთქვათ, მონები ბატონებს უკანყდებიან. მსოფლიო, სადაც პიროვნული ღირსების აღიარება რჩეულითა ხვედრი იყო, ნაცვლდება მსოფლიოთი რომლის ფუნდამენტური პრინციპი ღირსების საყოველთაო და უნივერსალური ხასიათი იქნება.

ღირსების რევოლუციები

ისევე, როგორც საფრანგეთის რევოლუციას, დღეს მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებსაც ღირსების საყოველთაო და ყველასთვის თანაბარ პრინციპად აღიარების მოთხოვნა ამოძრავებს.

2010 წლის 17 დეკემბერს პოლიციამ ტუნისელ გარემოვაჭრეს, მუჰამედ ბუაზიზს, ქუჩაში გასაყიდად გამოტანილი ბოსტნეული ჩამოართვა. ოფიციალური მიზეზი იყო ვაჭრობის უფლების დამადასტურებელი საბუთის არქონა. მისი ოჯახის თქმით, ის საჭაროდ შეურაცხყო ქალმა პოლიციელმა, ფაიდა ჰამდიმ რომელმაც. ელექტრონული სასწორის ჩამორთმევასთან ერთად, მოვაჭრეს სილა გაანწა და სახეში შეაფურთხა (პატრიარქალურ საზოგადოებაში, ფაქტმა, რომ პოლიციელი ქალი იყო, სავარაუდოდ, მუჰამედ ბუაზიზის მდგომარეობა კიდევ უფრო დამამცირებელი გახადა) ბუაზიზი სიმართლის საძიებლად განგებლის ოფისისკენ გაემართა, სადაც ელექტრონული სასწორის დაბრუნებას ელოდა, მაგრამ გამგებელმა მისი მიღება არ ისურვა. ამის შემდეგ ბუაზიზმა ბენზინი გადაისხა და ცეცხლი მოიკიდა „როგორ გინდათ რომ ვიცხოვრო?“ – ყვიროდა ის

ეს ამბავი ტყის ხანძარივით მოედო არაბულ სამყაროს და გამოიწვია ის, რასაც შემდგომში არაბული გაზაფხული უწოდეს. გარემოვაჭრის თავის დაწვის პირდაპირი შედეგი – ერთთვიანი მასშტაბური საპროტესტო აქციების შემდეგ – ტუნისის უცვლელი

დიქტატორის, ზინ ელ-აბიდინ ბენ ალის გადადგომა და ქვეყნიდან გაქცევა იყო. მასობრივი პროტესტი მოედო სხვა არაბულ ქალაქებსაც – პირველ რიგში, მემოზელ ეგვიპტეში, სადაც ამ ქვეყნის სათავეში დიდხანს მყოფი ჰოსნი მუბარაკი 2011 წლის თებერვალში გადააყენეს საპროტესტო აქციები და ამბოხებები მოედო ლიბიას. იემენს, ბაჰრეინსა და სირიას, სადაც მოსახლეობამ საკუთარი ძალის ირწმუნა და ავტორიტარ ლიდერებს დაუპირისპირდა. სხვადასხვა ქვეყნების ხალხს ერთი რამ აერთიანებდა – ისინი თავს ხელისუფალთა მიერ შეურაცხყოფილად და უგულვებელყოფილად გრძობდნენ.

მომდევნო წლებში არაბული გაზაფხული საშინლად გაგრძელდა. ყველაზე დიდი ტრაგედია სირიაში განვითარდა, სადაც ქვეყნის დიქტატორმა ბაშარ ალ-ასადმა ძალაუფლება არ დათმო და საკუთარ მოსახლეობას ომი გამოუცხადა დაიღუპა 400 000-ზე მეტი ადამიანი, ხოლო სირია მილიონებმა დატოვეს. ეგვიპტეში სახელდახელოდ გამართულმა არჩევნებმა ხელისუფლებაში შესლიშთა საძმო მოიყვანა. ქვეყანაში საძმოს ისლამისტური ხედვის გაბატონების შიშმა 2013 წლის სამხედრო გადატრიალება გამოიწვია. ლიბიასა და იემენში სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომები გაჩაღდა, რეგიონის ავტორიტარულმა მმართველებმა ძალაუფლების კონსოლიდაცია დაიწყეს. ლიბერალური დემოკრატიის ნიშნებს არაბული გაზაფხულის სამშობლოში, ტუნისში თუ შევამჩნევთ, თუმცა ვერც იქაურ სიტუაციას ვწვლივთ სტაბილურს.

დღეს ადვილია უკან გახედვა და თქმა, რომ არაბულ გაზაფხულს დემოკრატიასთან საერთო არაფერი ჰქონდა და რეგიონის მთავარი პოლიტიკური მიმდინარეობა რადიკალური ისლამიზმია. თუმცა ასე მარტივად ნამდვილად ვერ აღვწერთ იმ მგზნებარე პოლიტიკურ პროცესებს, რომლებიც მუჰამედ ბუამიზის მიერ თავის დანვამ გამოიწვია. არაბული სამყარო წლების განმავლობაში იტანჯებოდა რეპრესიული და სტაგნაციური დიქტატორული რეჟიმებისაგან. რატომ გახდა ერთგვრადი ინციდენტი, ყველასთვის მოულოდნელად, არნახული საპროტესტო აქციების მიზეზი?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად გადაშწყვეტი მნიშვნელობა

ბუამიზის ამბის დეტალებს აქვს. ბუამიზი არ იყო პროტესტანტი ან მორიგი პოლიტპატიმარი, რომელიც რეპრესიული რეჟიმის მსხვერპლი გახდა. ის არაფორმალური ეკონომიკის დუხჭირ ყოფაში საკუთარი არსებობისთვის მებრძოლი რიგითი მოქალაქე იყო. განვითარებად ქვეყნებში მრავლად არიან ბიზნესმენები, რომელთა ბიზნესიც არაფორმალური ეკონომიკის ნაწილია, რადგან ავტორიტარული ხელისუფლების პირობებში ხშირად შეუძლებელია ძალაუფლების მიერ მოთხოვნილ პირობათა დაკმაყოფილება ბუამიზის მაგალითი ნაცნობი და აღმაშფოთებელი აღმოჩნდა არაბული სამყაროს მკვიდრი მილიონობით ადამიანისთვის, ტუნისის ხელისუფლების მიერ გარემოვაჭრის მოპყრობის გამო. მას სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საქონელი უკანონოდ ჩამოართვეს, ის საჯაროდ დაამცირეს, სამართლის საძიებლად წასულს კი არავინ მოუსმინა. სახელმწიფო მას არ მოეუცა როგორც ადამიანს, როგორც მწეობის მქონე მოქალაქეს, რომელიც, სულ მცირე, ჰატივისცემით მოპყრობას და ახსნა-განმარტებას იმსახურებდა გასაყიდი საქონლის უკანონოდ ჩამორთმევის გამო მილიონობით ადამიანისთვის ბუამიზის მიერ თავის დანვა გახდა იმ უსამართლობის შეგრძნების კრისტალიზაციის მიზეზი, რომელსაც ისინი მათი ქვეყნის ავტორიტარული რეჟიმების მიმართ გრძობდნენ.

არაბული სამყარო თანდათან ქაოსმა მოიცვა, არაბები ვერ თანხმდებოდნენ თუ რას უნდა ჩაენაცვლებინა დამხობილი დიქტატურები. თუმცა 2011 წელს მიადნიეს მტკიცე კონსენსუსს იმაზე, თუ რა არ სურდათ: ავტორიტარული ხელისუფლება, რომელიც, საუკეთესო შემთხვევაში, მოქალაქეებს უგნური ბავშვებივით ექცეოდა, ძირითადად კი უუფლებო ყმებად თვლიდა, რომელთა ხარკზეც, კორუფციული ეკონომიკის მეშვეობით, საკუთარ ჯიბეს ისქელებდა და, საჭიროების შემთხვევაში, საზარბაზნე ხორცად იყენებდა. გასული სამი ათწლეულის განმავლობაში, საგრძნობლად იმატა ავტორიტარული რეჟიმების საწინააღმდეგო სპონტანური საპროტესტო გამოსვლების რიცხვმა: კომუნისტურ რეჟიმთა დამხობის სერია 1989 წელს, საშარეთ აფრიკაში აპარ-

ტიდის გაუქმება, 1990-იანი წლების სუბსაპარული აფრიკის ქვეყნებში მოქალაქეთა მასობრივი მობილიზაციები, 2000-იანი წლების დასაწყისის „ფერადი რევოლუციები“ უკრაინასა და საქართველოში ამ გამოსვლების მთავარი მიზეზი ადამიანის ღირსების დაცვის ფუნდამენტური უფლება იყო.

ამ საპროტესტო გამოსვლათაგან ერთს „ღირსების რევოლუცია“ ვი ვწოდებ. 2013 წლის ნოემბერში უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იანუკოვიჩმა განაცხადა, რომ წყვედა უკრაინის ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერისაკენ სვლას. ევროკავშირთან ინტეგრაციული პროცესების შეწყვეტის სანაცვლოდ. იანუკოვიჩი რუსეთთან და ვლადიმირ პუტინის მიერ შემოთავაზებულ ევრაზიის კავშირთან დაახლოებას სთავაზობდა უკრაინელ ხალხს. 2004 წლის ნარინჯისფერი რევოლუცია სწორედ იანუკოვიჩის მიერ არჩევნების გაყალბების მცდელობას მოჰყვა. მასობრივი საპროტესტო აქციების შედეგად უკრაინელმა ხალხმა ის ძალაუფლება ჩამოაშორა. თუმცა რევოლუციის შედეგად გამარჯვებულმა ნარინჯისფერმა კოალიციამ ხალხის მთლიანი ვერ გაამართლა. 2010 წელს იანუკოვიჩი კორუფციაში ჩაფლულ და ერთმანეთზე გადაკიდებულ კოალიციის წევრ პოლიტიკურ ნალებს ამარცხებს და კვლავ ხელისუფლებაში მოდის.

უკრაინის რუსეთის პოლიტიკურ ორბიტაზე დაბრუნების მცდელობით იანუკოვიჩმა მასობრივი საპროტესტო აქციები გამოიწვია 2013 წლის დეკემბერში უკრაინის დედაქალაქ კიევში. ევროპასთან დაახლოების გაგრძელების მოთხოვნით გამართული აქცია 800 000 მონაწილეს ითვლიდა. იანუკოვიჩის რეჟიმმა ქუჩის პროტესტის ჩახშობა ძალადობრივი მეთოდებით სცადა, თუმცა, როგორც ხშირად ხდება მსგავს სიტუაციებში, ხელისუფლების მოქმედებით გამოწვეულმა მსხვერპლმა სახალხო აღშფოთება უკიდურესად გაამძაფრა და პროტესტანტთა რიცხვი გაზარდა. რეჟიმის რეპრესიების შედეგად ასზე მეტი მანიფესტანტის დაღუპვის შემდეგ იანუკოვიჩმა საბოლოოდ დაკარგა სიტუაციის კონტროლი და მეორედ მოუწია პრეზიდენტის თანამდებობის დატოვება. უკრაინაში ახალი პოლიტიკური დღის წესრიგი შეიქმნა

აღწერილ მოვლენათა შემდეგ, ტუნისის მსგავსად, არც უკრაინა გამხდარა შემდგარი ლიბერალური დემოკრატია უკრაინული პოლიტიკა და ეკონომიკა კვლავ ოლიგარქთა პატარა ჯგუფის ხელშია. რომელთაგან ერთ-ერთი, პეტრო პოროშენკო, 2014 წელს პრეზიდენტად იქნა არჩეული. დემოკრატიულად არჩეულ, მაგრამ კვლავინდებურად კორუმპირებულ მთავრობას იმავე წელს რუსეთის აგრესიისაგან მოუწია თავის დაცვა, რომელმაც, ყირიმის ანექსიის პარალელურად, აღმოსავლეთ უკრაინაში მასშტაბური სამხედრო ინტერვენცია განახორციელა. მნიშვნელოვანია გავიანზოთ იმ პოლიტიკური ძალების მოტივაცია, რომლებიც ევრომაიდანის მოძრაობასა და ღირსების რევოლუციაში მონაწილეობდნენ.

თუ დემოკრატიაში არჩევნების გზით გამოხატულ საზოგადოებრივ არჩევანს ვგულისხმობთ, ამ პროტესტის მიზეზებს იანუკოვიჩის მთავრობის ანტიდემოკრატიულ ხასიათს ვერ დავუკავშირებთ. იანუკოვიჩმა ძალაუფლება სრულიად ლეგიტიმურად, 2010 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში „რეგიონების პარტიის“ მხარდაჭერაზე დაყრდნობით მოიპოვა. ხალხთა ამბოხის მიზეზი კორუფცია და ძალაუფლების ბოროტად გამოყენება გახდა. პრეზიდენტად არჩევის შემდეგ იანუკოვიჩმა რამდენიმე მილიარდი დოლარის ქონების მოხვეჭა შეძლო. უკრაინის „რეგიონების პარტიას“ მხარს უჭერდა რინატ ახმეტოვი – უკრაინის მრეწველობის დიდი წილის მფლობელი და უმდიდრესი ოლიგარქი. არჩევანი ევროპასთან ინტეგრაციისა და პუტინის რუსეთთან დაახლოებას შორის ნიშნავდა არჩევანს თანამედროვე, დემოკრატიულ პრინციპებზე და თანასწორუფლებიანობაზე მდგარ მთავრობასა და დემოკრატის ფარდას ამოფარებულ, კლუპტოკრატთა მიერ საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ მართულ, რეჟიმს შორის პუტინის რუსეთი ასეთი მაფიოზური სახელმწიფოს სრულყოფილი მაგალითი იყო. ასეთ ქვეყანასთან დაახლოება კი – არაანგარიშვალდებულებული ელიტის მიერ მართულ ქვეყნად გადაქცევისაკენ გადადგმული ნაბიჯი. ამგვარად, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ევრომაიდანის პროტესტი რიგითი მოქა-

ლაქეების ფუნდამენტური ღირსების შელახვის რეალურმა საფრთხემ გამოიწვია.

არაბული გაბაფხულის და ფერადი რევოლუციების ადრეული ეტაპებისთვის დამახასიათებელ იმპულსებს ლიბერალური დემოკრატიის ფუნდამენტურ მორალურ ფასეულობებთან – თავისუფლებასა და თანასწორობასთან აკავშირებენ. თავისუფლება, ამ შეთხვევაში, შეგვიძლია გავიგოთ, როგორც ძალაუფლებისაგან თავისუფლად და დამოუკიდებლად ცხოვრების შესაძლებლობა. სწორედ ასე ესმით ამერიკელ კონსერვატორებს ამ სიტყვის აზრი. ინდივიდებს პირადი ცხოვრების მათი შეხედულებისამებრ განკარგვის საშუალება უნდა ჰქონდეთ. თუმცა თავისუფლებაში გარდა მთავრობისაგან დამოუკიდებლად ცხოვრებისა, სხვა აზრი და მნიშვნელობაც დევს ის გულისხმობს ადამიანის თანამონაწილეობას. ძალაუფლების საკუთარი წილის გაცნობიერებას და თვითმმართველობაში მონაწილეობის მიღებას. საკუთარი ძალისა და პასუხისმგებლობის განცდა ამოდრავებდათ კიევის, კაიროსა და ტუნისის ქუჩებში გამოსულ მანიფესტანტებს. მათ სჭეროდათ რომ მთავრობის პოლიტიკის შვეცლა ამჯერად შესაძლებელი იყო. თავისუფლება ხმის მიცემის უფლებითაა ინსტიტუციონალიზებული. ეს ყველა მოქალაქეს პოლიტიკური ძალაუფლების მცირე წილს აძლევს. ასევე, სიტყვის თავისუფლებით და შეკრების უფლებით, რომლებიც პოლიტიკური თვითგამოხატვის არხებია თითოეული მოქალაქის ღირსების თანაბრად დაცვას ბევრი თანამედროვე დემოკრატიის კონსტიტუცია ითვალისწინებს. ეს კონსტიტუციები ეყრდნობიან ქრისტიანულ ტრადიციას, რომელიც ადამიანთა ღირსებას მორალური განსჯის უნარს უკავშირებს. თუმცა კონსტიტუციის შემთხვევაში, ეს რელიგიურ დატვირთვას მოკლებულია და, ღვთის ნების მიღების უნარის მაგივრად, დემოკრატიული საზოგადოების წევრის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების წილის მიღების და განკარგვის უნარს გულისხმობს

იმვითაა თანამედროვე ლიბერალური დემოკრატია, რომელშიც ძეორე პრინციპი, თანასწორობა, მნიშვნელოვანი ეკო-

ნომიკური და სოციალური თანასწორობის დაპირებაა. სოციალისტურმა რეჟიმებმა, რომლებმაც თანასწორობის პრინციპის ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში დანერგვა სცადეს, მალევე აღმოაჩინეს, რომ ამ მხრივ პროგრესს მხოლოდ პირველი პრინციპის, თავისუფლების შეზღუდვის ხარჯზე თუ მოახერხებდნენ ამ პოლიტიკის განხორციელება მოქალაქეთა ცხოვრებაზე მასიური კონტროლის გარეშე შეუძლებელი იყო. საბაზრო ეკონომიკა ინდივიდთა მიერ კერძო ინტერესთა დაკმაყოფილებაზე დამოკიდებული. ადამიანთა შორის ბუნებრივ განსხვავებათა გამო, იქნება ეს მათთვის დამახასიათებელი ნიშანთვისებები თუ სოციალური გარემო, რომელშიც გაჩნდნენ, მათ მიერ წარმატების მიღწევის და გამდიდრების შესაძლებლობაც არათანაბარია. თანამედროვე ლიბერალურ დემოკრატიებში თანასწორობა უფრო თანასწორ თავისუფლებას, ყველასთვის თანაბარი თავისუფლების მიცემას ნიშნავს ეს გულისხმობს როგორც თანაბარ ნეგატიურ თავისუფლებას (მთავრობის მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისაგან თავისუფლებას), ისე თანაბარ პოზიტიურ თავისუფლებას (თვითმმართველობასა და ეკონომიკურ პროცესებში მონაწილეობის თავისუფლებას).

თანამედროვე ლიბერალურმა დემოკრატიებმა თავისუფლებისა და თანასწორობის პრინციპების ინსტიტუციონალიზაცია კანონის უზენაესობით და დემოკრატიული ანგარიშვალდებულებით გაწონასწორებული და შეზღუდული ქმედითი სახელმწიფოს შექმნით მოახერხეს კანონის უზენაესობა ძალაუფლებას მოქალაქეებისთვის ფუნდამენტური უფლებების მინიჭებით ზღუდავს, როგორც სიტყვისა და შეკრების თავისუფლება, კერძო საკუთრების უფლება, რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლება და ა. შ. სახელმწიფოს არ შეუძლია ინდივიდუალური არჩევანის შეზღუდვა. კანონის უზენაესობა კანონის წინაშე პასუხისმგებლობას თანაბრად აკისრებს ყველა მოქალაქეს, მათ შორის, უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირებსაც რითაც თანასწორობის პრინციპის განმტკიცებას უწყობს ხელს. დემოკრატიული ანგარიშვალდებულება ხელს უწყობს პოლიტიკური ძალაუფლების მოქა-

ლაქეთა შორის თანაბარ განაწილებას, ხმის მიცემის უფლება ხელისუფლების ცვლილების მათ ხელთ არსებული ბერკეტი. შესაბამისად კანონის უზენაესობა და დემოკრატიული ანგარიშვალდებულება ერთმანეთთან შტიდროდაა დაკავშირებული. კანონით დაცულია როგორც ნეგატიური თავისუფლება (მთავრობის მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისაგან დაცვა), ისე პოზიტიური (საზოგადოებრივ პროცესებში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობა) დემოკრატიული ინსტიტუტები სასამართლო სისტემას მისი ბოროტად გამოყენების მცდელობებისაგან იცავს. მე-17 საუკუნის ინგლისში დატრიალებული სამოქალაქო ომისას პარლამენტი სასამართლოების დამოუკიდებლობის დასაცავად გაერთიანდა. ასევე მოხდა პოლონეთში, 2017 წელს, როცა დამოუკიდებელ სასამართლოს მმართველი პარტიის მხრიდან საფრთხე შეექმნა, პოლონური სამოქალაქო საზოგადოება მის დასაცავად დაირაგმა.

რა თქმა უნდა, რეალური ვითარება დეკლარირებულისაგან განსხვავებულია და ძნელად მოიძებნება ისეთი ლიბერალური დემოკრატია. რომელიც თავისუფლების და თანასწორობის პრინციპებს იდეალურად იცავს. ადამიანის უფლებები კვლავაც ხშირად ირღვევა, კანონის წინაშე მდიდარი და ღარიბი, ძლიერი და სუსტი თანასწორნი არ არიან მოქალაქეები პოლიტიკურ პროცესებში ჩარევის შესაძლებლობებს ხშირად არ იყენებენ და ა. შ. დამატებითი დაბრკოლება თავისუფლების და თანასწორობის წინააღმდეგობრივი შინაგანი ლოგიკაა: მეტი თავისუფლება ხშირად უთანასწორობის ზრდას იწვევს, თანასწორობისაკენ სწრაფვა კი ინდივიდუალურ თავისუფლებებს ზღუდავს. დემოკრატიული სისტემის წარმატება არა ამ იდეალების ოპტიმიზაციაზე. არამედ მათ შორის წონასწორობის დაცვაზე დამოკიდებული: ინდივიდუალურ თავისუფლებებსა და პოლიტიკურ თანასწორობას შორის, სახელმწიფოს ლეგიტიმური ძალაუფლების განმახორციელებელ და კანონიერებისა და ანგარიშვალდებულების დამცველ ინსტიტუტებს შორის. დემოკრატიულ სახელმწიფოებს ამბიციური პოლიტიკური დღის წესრიგი აქვთ:

ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა, გარემოს დაცვა, მომხმარებელთა უსაფრთხოება, მეცნიერული და ტექნოლოგიური პროგრესის ხელშეწყობა და ა. შ. თუმცა ლიბერალურ დემოკრატიად ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი პირობა ინდივიდთა პოლიტიკური არჩევანის გაკეთების უნარის მქონე, თანასწორუფლებიან და პასუხისმგებელიან მოქალაქეებად აღიარებაა

ლიბერალური დემოკრატიებისაგან განსხვავებით, ავტორიტარული რეჟიმები საკუთარი მოქალაქეების თანასწორუფლებიანობას არ აღიარებენ. ასეთი სახელმწიფოების კონსტიტუციებში (ჩინეთი, ირანი) ხშირად ვხვდებით ადამიანისთვის გარანტირებული უფლებების ვრცელ ჩამონათვალს. თუმცა რეალობა რადიკალურად განსხვავებულია. ნაკლებად რეპრესიულ დიქტატურებში, როგორც ლი კუან იუს სინგაპური ან დენ სიაოპინგის ჩინეთი იყო, სახელმწიფო მოქალაქეებისადმი პატერნალისტური შიდაგომით გამოირჩევა. რიგით მოქალაქეებს ბავშვებად თვლიდნენ, რომელთაც დაცვა და პროტექცია სჭირდებათ და მათთვის საქმის მიწოდება არ შეიძლება, მზრუნველი მშობლის ფუნქციას კი სახელმწიფო ასრულებდა. ატალინისა და პიტლერის მსგავს რეპრესიულ დიქტატურებში ვითარება ბევრად მძიმე იყო. რასობრივი თუ კლასობრივი ნიშნით შერჩეული მოსახლეობის ვრცელი კატეგორიები – ებრაელები. კულაკები (მდიდარი გლეხები), ბურჟუაზია. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები. არარეალური წარმომავლისანი – არასრულყოფილ ქვეადამიანებად ცხადდებოდნენ. დეპუნიზაცია მათი ფიზიკური განადგურების წინაპირობა იყო.

საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ წარმომავლი დემოკრატიულ მოძრაობათა დედააბრი იყო ისეთი სახელმწიფოს შექმნა დაჩამოყალიბება, რომელიც მოქალაქის ფუნდამენტურ ღირსებათა დაცვას უზრუნველყოფდა. პოლიტიკური თანასწორუფლებიანობის დამცველი სახელმწიფო იმ წინააღმდეგობების ერთადერთი რაციონალური გადაწყვეტაა, რომლებსაც ქვეყნის ბატონსა და მონას შორის ურთიერთობებში ხედავდა. სადაც მონა უეფლემბო მდგომარეობაშია, ღირსება კი მხოლოდ ბატონს გააჩნია

სწორედ ეს ედო საფუძვლად სამოქალაქო უფლებების მოძრაობას ამერიკის შეერთებულ შტატებში, სამხრეთაფრიკელთა პროტესტს აპარტეიდის რეჟიმის წინააღმდეგ, მუჰამედ ბუაზიზის სასონარკვეთილ აქტს და სხვა პროტესტანტთა თავგანწირვას ბირმაში, ტაპირირის მოედანზე, კიევში და გასული საუკუნეების მანძილზე მომხდარ უამრავ კონფრონტაციაში

ექსპრესიული ინდივიდუალიზმი

საფრანგეთის რევოლუციამ სათავე დაუდო იმას. რასაც, დღევანდელი ტერმინოლოგიით, იდენტობის პოლიტიკის ორი განსხვავებული ვერსია შეგვიძლია ვწოდოთ. პირველი ადამიანის ინდივიდუალური ღირსების აღიარებაზე ამახვილებდა ყურადღებას, მეორე კი – კოლექტივის ღირსების.

პირველი, ინდივიდუალისტური მიმდინარეობა, ემყარებოდა ყველა ადამიანის თავისუფალ და თანასწორუფლებიან მოქალაქედ დაბადების წინაპირობას. პოლიტიკური ინსტიტუტების შექმნის მიზეზი იმ ბუნებრივი თავისუფლების მაქსიმალური შენარჩუნებაა, რომელიც სოციალური ცხოვრების მოთხოვნილებას ეთავსება ინდივიდუალური ავტონომიის დაცვა თანამედროვე ლიბერალური დემოკრატიების საკვანძო ცნებაა.

რა იგულისხმებოდა ავტონომიაში? როგორც ვნახეთ. მარტინ ლუთერი ტრადიციულ ქრისტიანულ მოძღვრებას იზიარებდა, რომლის თანახმად, ადამიანთა თავისუფლება ღვთისგან ბოძებული საჩუქარია; ღმერთმა, ამ ძღვენით, ადამიანის ღირსება ყველა სხვა ცოცხალი არსების ღირსებაზე მაღლა დააყენა¹. თუმცა ეს თავისუფლება რწმენის სიმტკიცისა და სჯულის კანონის შესრულების მოვალეობით იყო შეზღუდული. კანტმა ეს ტრადიცია გააგრძელა და ადამიანის ავტონომიის სეკულარული ვერსია შემოგვთავაზა, რომელიც ადამიანის მიერ მორალური არჩევანის გაკეთების უნარს ემყარება. ადამიანის ღირსების კანტისეული

ცნება ეფუძნება მის შეხედულებას, რომლის მიხედვით. ყველა ინდივიდს ძალუძს თავისუფალი ნების გამოხატვა, ფიზიკის კანონებისაგან დამოუკიდებლად. კანტის ეთიკის თანახმად, ადამიანი თავისუფალია გადაწყვეტილების მიღებაში. მას შეუძლია, არ დაემორჩილოს მოვლენათა სფეროს აუცილებლობას და იმოქმედოს კატეგორიული იმპერატივის მიხედვით. თუმცა კანტის მიერ დადგენილ წესები, ისეთები, როგორიც კატეგორიული იმპერატივია, ადამიანთა ინდივიდუალურ არჩევანზე არ იყო დამოკიდებული ის ადამიანის აზროვნების ფილოსოფიური ხასიათის მედევი იყო და ყველა ადამიანს ეხებოდა, გამონაკლისის გარეშე.

შესაბამისად, ამ ტრადიციის მიხედვით, ადამიანის ღირსება ემყარება ინდივიდის უნარს, გააკეთოს მართებული მორალური არჩევანი, მიუხედავად იმისა, რელიგიით არის ის განპირობებული თუ სეკულარული არგუმენტაციით

ღირსების, როგორც ადამიანის მორალური არჩევანის გაკეთების უნარზე დაფუძნებული ცნების პოლიტიკური აღიარების ნიშნად შეიძლება ჩაითვალოს დემოკრატიული ქვეყნების ნაწილის (გერმანიის, იტალიის, ირლანდიის, ისრაელის, სამხრეთ აფრიკის) კონსტიტუციებში მისი შეტანა. 1949 წლის გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ძირითადი კანონის პირველი მუხლის პირველ ნაწილში ვკითხულობთ: „ადამიანის ღირსება ხელშეუხებელია. მისი გაფრთხილება და დაცვა საჯარო ხელისუფლების ყველა მტოს ვალდებულებაა“. მსგავსი ჩანაწერია სამხრეთ აფრიკის კონსტიტუციის მე-10 მუხლში: „ყველა ადამიანი თანდაყოლილი ღირსების მატარებელია და აქვს უფლება, მისი ღირსება დაცული იყოს“. სამხრეთ აფრიკის საკონსტიტუციო სასამართლომ კი დაადგინა: „ღირსების ქონის უფლება ადამიანთა ღირებულების ბუნებრიობის დადასტურებაა“.

ამ კონსტიტუციებში ვერ შევხვდებით ჩანაწერს, რომელიც აღწერდა თუ რა იგულისხმება ადამიანის ღირსებაში, ძნელად მოიძებნება პოლიტიკოსიც, რომელიც ამ ცნების თეორიულ საფუძველს აგვისხნიდა. ადამიანის ღირსების შესახებ ასეთი ჩანაწერების წარმოშობის გასაგებად საჭიროა, მივყვეთ ამ ჩანაწერებში გამოყენებული სიტყვების ლექსიკურ წარმომავლობას და იმ გზას,

რომელიც მათ კონსტიტუციებში ჩანწერამდე გაიარეს. სამხრეთ-აფრიკულ და გერმანულ კონსტიტუციებში ღირსების შესახებ ჩანაწერები სათავეს კანტის ფილოსოფიიდან იღებს. გერმანულ კონსტიტუციაში გამოყენებული სიტყვა „ხელშეუვალი“ გულისხმობს, რომ ყველა სხვა უფლება ამ ფუნდამენტურ უფლებას ექვემდებარება და კატეგორიულ იმპერატივთან გადაგვამისამართებს. მსგავსია სამხრეთ-აფრიკული „ღირებულების ბუნებრიობა“². 1937 წლის ირლანდიის კონსტიტუციიდან მოყოლებული, ღირსების უფლების კონსტიტუციით დაცვა, ძირითადად, ქრისტიან-დემოკრატიული პარტიების დღის წესრიგში იყო. ეს დამატებითი არგუმენტი ღირსების უფლების ქრისტიანული წარმოშობის სასარგებლოდ. ამავე დროს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ქრისტიანობა ამ კონსტიტუციებში არსადაა ნახსენები და არც ღირსების უფლების რელიგიურ რწმენასთან კავშირზე ვკითხულობთ რამეს³.

თომას ჰობსისა და ჯონ ლოკის მიერ დაწყებული, მე-19 საუკუნეში კი ჯონ სტიუარტ მილის მიერ გაგრძელებული ანგლო-ამერიკული ლიბერალური ტრადიცია ავტონომიისადმი ნაკლებად მეტაფიზიკური მიდგომით გამოირჩეოდა. ამროვნების ამ ტრადიციის მიხედვით, ავტონომია თავისუფალი ნების გარუშეც არსებობს, თავისუფლება საკუთარი სურვილებისა და გატაცებების გარე გენოლისაგან დამოუკიდებლად დაკმაყოფილების შესაძლებლობაა (ჰობსისთვის ადამიანები ერთგვარი მანქანებია რომლებსაც მათი გატაცებები და სურვილები ამოძრავებთ, მათი ნება კი, ინდივიდის განსჯის ბოლო ინსტანცია, ყველაზე ძლიერი სურვილია). შესაბამისად, სიტყვა ღირსებას, თავისი ქრისტიანულ-კანტისეული დატვირთვით. ვერ შევხვდებით ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციაში ან „ფედერალისტიის ჩანაწერების“ მსგავს სხვა ფუნდამენტურ დოკუმენტებში⁴. მიუხედავად ამისა, ადამიანთა ჰობსისეული ხედვა, რომლის მიხედვით, ისინი თანახმორად თავისუფალ ინდივიდებად იბადებიან, საფუძვლად დაედო მოქალაქეთა პოლიტიკურ უფლებებს, რომლებიც სოციალური კონტრაქტის ქვაკუთხედი. ჰობსის სიცოცხლის ბუნებრივი უფლება ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციაში „სიცოცხლის, თავისუფლებისა და ბედნიერების“ ჩანაწერის სახით მოხვდა.

ამგვარად, ავტონომიის ბუნების მცირედ განსხვავებულმა გააზრებამ შინც ინდივიდუალურ უფლებათა თანაბარი დაცვის რეჟიმად მიგვიყვანა.

მოქალაქეებისადმი თანაბარი უფლებების მინიჭებით, ლიბერალურმა პოლიტიკურმა ტრადიციამ ინდივიდუალური ავტონომიის თავისებური ვერსიის ინსტიტუციონალიზაცია მოახდინა. თუმცა ავტონომიის ჟან-ჟაკ რუსოსეული ხედვა უფრო დრმა და კომპლექსური იყო ვიდრე „უბრალოდ“ პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა. ის საკუთარ თავში ხედავდა „უამრავ“ გრძობას, რომელსაც საზოგადოება თრგუნავდა, საკუთარ ცნობიერებას, რომელიც, საზოგადოების მიერ დამორჩილებული, გათავისუფლებისთვის იბრძოდა. როგორც ჩარლზ ტეილორი ხსნის, „ჩვენამდე მძლავრი მორალური იდეალი მოვიდა. ის გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს საკუთარ თავთან ურთიერთობის ფორმასა და ხარისხს და თვლის, რომ შინაგან არსს დაკარგვისა და გადაგვარების საფრთხე ემუქრება ნაწილობრივ გარე სამყაროსადმი კონფორმიზმით. ნაწილობრივ კი საკუთარი თავის მიმართ ხელშემწყობი პოზიციის ქონით, მე, შესაძლოა ამ შინაგანი ხმის გაგების უნარი დაგვარგო“.

ეს იყო იმ მორალური გადაფასების ნაწილი, რომელიც ლუთერმა წამოიწყო შინაგანი ბუნების ტრადიციული, ქრისტიანული გაგებით. ის პირველი ცოდვის ბუდეა: ადამიანი სავსეა ბოროტი ბრახვებით, რომლებიც ღმერთის ნებას ეწინააღმდეგებიან. სოციუმში გაბატონებულმა, ეკლესიის მიერ დადგენილმა ქცევის ნესებმა ამ ბოროტი სურვილების დათრგუნვისაკენ გვიბიძგა. რუსო ლუთერის მსჯელობას მისდევს, თუმცა მის შეფასებას ცვლის. ლუთერისაგან განსხვავებით, ფრანგი ფილოსოფოსი თვლის, რომ ადამიანი შინაგანი ბუნებით კეთილია ან შეუძლია იყოს კეთილი. ხოლო გარემოს მორალური ნესები კი ცუდია. თუმცა ჟან-ჟაკ რუსოსათვის თავისუფლება არ არის მხოლოდ მორალური არჩევანი, მიიღო მორალური ნესები, არამედ იმ გრძობათა და განწყობათა სრულად გამოხატვის შესაძლებლობაა, რომლებიც ადამიანის ავთენტურ შინაგან არსს შეადგენს. ყველაზე კარგად ამ გრძობებს და განწყობას, ხშირად, ხელოვნება გამოხატავს.

როგორც ლაიონელ ტრილინგმა, წიგნში „გულახდილობა და ნამდვილობა“. ბრწყინვალედ ახსნა. ევროპულ ლიტერატურაში რუსოს შემდეგ ახალი ჟანრი განვითარდა. რომელიც დიდროს „რამოს ძმისწულითა“ და გოეთეს „ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი“ დაიწყო, სადაც აღწერილია ახალგაზრდა ხელოვანის ცხოვრება, შემოქმედებითი ნიჭის გამოხატვას რომ ცდილობს და ვერ პოულობს თავის ადგილს საზოგადოებაში. ვინსენტ ვან გოგი ან ფრანც კაფკა, რომლებმაც სიცოცხლეში დიდ წარმატებას ვერ მიაღწიეს. იმ ფარისეველი საზოგადოების უმცირესის სიმბოლოებად იქცნენ, რომელმაც ვერ შეძლო, სათანადოდ შეეფასებინა მათი ინდივიდუალური ხელწერის უნიკალურობა

ის ძვრები, რომლებიც ლიტერატურულ პროცესებში იგრძნობოდა, ევროპაში მიმდინარე ბევრად დიდი მორალური ცვლილებების ამსახველი იყო. ეკლესიის ინსტიტუტი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში აწესებდა ევროპის მორალურ ნორმებს, დემოკრატიამდელი პოლიტიკური მდგომარეობის მხარდაჭერის გამო, ვოლტერისა და სხვა განმანათლებლების უღმობელი კრიტიკის ობიექტად იქცა. თუმცა ეკლესიის ინსტიტუტის გარდა, თავად ქრისტიანული მოძღვრების ფუნდამენტური თემების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენების დრო მოდიოდა. მე-19 საუკუნის დასაწყისში, ლიბერალმა თეოლოგმა. დევიდ შტრაუსმა, წიგნში „იესოს ცხოვრება“, გამოთქვა აზრი, რომ იესო არა როგორც ძე ღვთისა, არამედ, როგორც ისტორიული ფიგურა უნდა ყოფილიყო აღქმული. ამ ტენდენციამ კულმინაციას მე-19 საუკუნის ბოლოს მიაღწია, როცა ფრიდრიხ ნიცშემ დაუშვა, რომ ქრისტიანული ღმერთი ერთ დროს მართლაც არსებობდა, რამაც ევროპულ საზოგადოებას გარკვეული მორალური კორიბონტი დაუსახა. თუმცა, ნიცშეს მიხედვით. რწმენის დაცემასთან ერთად, ღმერთიც მოკვდა. ამან ნარმოშვა დიდი მორალური სიცარიელე, რომლის ამოვსებაც ალტერნატიული ღირებულებებით იყო შესაძლებელი. ტრადიციონალისტი მორალისტებისაგან განსხვავებით, ნიცშე ამ ფაქტს სიხარულით ხვდებოდა, ეს ხომ ადამიანის ავტონომიის თვალსაჩინოება აფართოებდა ადამიანები იძენდნენ თავისუფლებას, არა მარტო მივლთ მორალური კანონი (ლუთერისა და

კანტის ხედვა). არამედ საკუთარიც შეექმნათ. ნიცშეს მიხედვით, შემოქმედებითი ექსპრესიის უმაღლესი ფორმა ახალი ღირებულებების შექმნაა. ყველაზე დამოუკიდებელი და ავტონომიური პიროვნება მის მიერ შექმნილი პერსონაჟი. მარატუსტრაა, რომელსაც ქრისტიანობის ღმერთის სიკვდილის შემდეგ ყველა ღირებულების გადაფასების დასაწყისის გამოცხადება შეუძლია.

თანამედროვე ლიბერალური საზოგადოებები საერთო რელიგიური ხედვის გაქრობით გამოწვეული მორალური დაბნეულობის მემკვიდრეები არიან. მათი კონსტიტუციები იცავს ინდივიდუალურ უფლებებსა და ღირსებას, რომელიც ინდივიდთა მორალური არჩევანის გაკეთების უნარს ეფუძნება. რა ჩარჩოები შეიძლება ჰქონდეს ამ არჩევანს? შეზღუდულია თუ არა ეს არჩევანი საზოგადოებაში არსებული მორალური წესების მიღებით ან მიუღებლობით თუ ნამდვილი ავტონომია საკუთარი წესების შექმნის შესაძლებლობასაც გულისხმობს? მე-20 საუკუნის განმავლობაში, დასავლურ საზოგადოებებში ქრისტიანობის დაკნინებასთან ერთად, სხვა კულტურებიდან გადმოღებულმა სხვადასხვა ღირებულებებმა და წესებმა ტრადიციული ღირებულებები და წესები ჩაანაცვლა. გავრცელდა რწმენის გარეშე ცხოვრების შეხედულებაც. საბაზრო ეკონომიკის განვითარების და ამით გამოწვეული სოციალური მობილობის ინტენსივობის ზრდის შედეგად ინდივიდუალური არჩევანი მორალურ სფეროს გასცდა ადამიანებს მათი საქმიანობის საქორწინო პარტნიორის, საცხოვრებელი ადგილისა თუ კბილის პასტის ბრენდის არჩევის საშუალება მიეცათ. ამ ყველაფრის ფონზე ლოგიკური ჩანდა მორალურ ღირებულებათა არჩევანის გამრავალფეროვნებაც თანამედროვე დემოკრატიებში ადამიანის ინდივიდუალური ავტონომიის ჩარჩოები განსაკუთრებით მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში გაიზარდა და ე. წ. ექსპრესიული ინდივიდუალიზმის აღმოცენებით დაგვირგვინდა. ნიცშეს ნაშრომს „კეთილისა და ბოროტის მიღმა“ და ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს მოსამართლის, ენტონი კენედის განაჩენს შორის, რომელიც მან 1992 წელს საქმეში „ფლენდ ფეარენტჰუდი“ ქეიზის წინააღმდეგ გამოიტანა. მკაფიო ხაზის გაკლება შეიძლება. „თავისუფლება

ნიშნავს ყველა ადამიანის უფლებას, ჩამოაყალიბოს საკუთარი არსებობის, სამყაროს მოწყობის, ცხოვრების აზრის და ადამიანის სიცოცხლის საიდუმლოს საკუთარი ხედვა“.

ადამიანის ავტონომიის ასეთი ხედვა პრობლემატურია. საერთო ღირებულებების გამიარება სოციალური ყოფის გამართულად ფუნქციონირების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. თუ საზოგადოება მინიმალურ დონეზეც კი ვერ თანხმდება საერთო კულტურულ ღირებულებებზე, შეუძლებელია საერთო ამოცანების შესრულება და საფრთხე ექმნება საზოგადოებრივი ინსტიტუტების ლეგიტიმურობას. ყველასთვის გასაგები აზრობრივი დატვირთვების მქონე საერთო ენის გარეშე გართულება საზოგადოების წევრებს შორის კომუნიკაცია.

ექსპანსიური ხასიათის ინდივიდუალური ავტონომიის კიდევ ერთი პრობლემა მდგომარეობს ნიცშესეულ ხედვაში, რომლის მიხედვითაც, ინდივიდი იმთავითვე ღირებულებათა გადაფასების მაძიებელი ზეადამიანია. ადამიანები სოციალურად აქტიური არსებები არიან, რომელთა ემოციური მიდრეკილებები მათ უზიძგებს გარემოში გაბატონებული წესებისადმი დამორჩილებისა და კონფორმიზმისაკენ. როცა სტაბილური, ყველასთვის მისაღები მორალური სისიემა ადგილს უთმობს ერთმანეთთან კონკურენციაში მყოფ კონფლიქტურ ღირებულებათა კაკოფონიას, ადამიანთა უმრავლესობაში ეს ცვლილება ნეგატიურ რეაქციას იწვევს შინაგანი მორალური ორიენტირების დაკარგვის გამო, ისინი თავს უსაფრთხოდ ვეღარ გრძნობენ და გაუცხოებას განიცდიან. ასეთი კრიზისი ექსპანსიური ინდივიდუალიზმის საპირისპირო მიმართულებით ვითარდება იწვევს კოლექტიური იდენტობის ძიების პროცესს, რომელიც ინდივიდებს კვლავ სოციალურ ჯგუფად შეკრავდა და ცხადი მორალური ორიენტირების სისტემას აღადგენდა. ეს ფსიქოლოგიური ეფექტი ნაციონალიზმის განვითარების საფუძველია.

ადამიანთა შინაგანი ბუნების ყველა ნიშან-თვისება ექსკლუზიურად მათთვის დამახასიათებელი ინდივიდუალობის ნაწილი არ არის ის, რაც მათ საკუთარი შინაგანი არსი ჰგონიათ, ხშირად სხვა ინდივიდებთან სოციალური ინტერაქციის, ამ ინდივიდთა

მოლოდინების შედეგია. ბარსელონის ბინადარი. რომელიც უეცრად თავს არა ესპანელად, არამედ კატალონიელად იგრძნობს, უბრალოდ, მისი სოციალური იდენტობის უფრო ღრმა შრეს ეყრდნობა.

ალიარებისა და ღირსების პოლიტიკამ გზაგასაყარს მე-19 საუკუნის დასაწყისში მიაღწია. ერთი გზა ინდივიდუალური უფლებების უნივერსალური აღიარებისაკენ წავიდა. შედეგი ლიბერალური საზოგადოებაა, რომელიც ადამიანს ინდივიდუალური ავტონომიის მუდმივად მზარდ თვალსაწიერს სთავაზობს. მეორე გზა კოლექტიური იდენტობის განმტკიცებისკენაა მიმართული, რომლის ორი ყველაზე დიდი გამოვლინება ნაციონალიზმი და პოლიტიზირებული რელიგია იყო. მე-19 საუკუნის მიწურულს ორივე ტენდენცია არსებობდა: ერთი მხრივ, ინდივიდის უნივერსალური აღიარების მაძიებელ ლიბერალურ და დემოკრატიულ მოძრაობათა განვითარება და, მეორე მხრივ, ექსკლუზიური ნაციონალიზმის ავისმომასწავებელი აღმასვლა. რომელიც მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში მსოფლიო ომების მიზეზი გახდა. დღევანდელ მუსლიმურ სამყაროში კოლექტიურმა იდენტობამ ისლამიზმის სახე მიიღო. რაც ისლამისთვის, როგორც პოლიტიკური მოძრაობის დოქტრინისთვის, საზოგადოებაში განსაკუთრებული სტატუსის მოთხოვნით გამოიხატება

ეს ორმაგი მოძრაობა – ინდივიდუალურ უფლებათა უნივერსალური აღიარებისაკენ და ერთეულ დაფუძნებული კოლექტიური იდენტობის აღიარებისაკენ – შესამჩნევი იყო ჟან-ჟაკ რუსოს ნაწერებშიც, რომელიც მიესალმებოდა, როგორც მშვიდობიან და მართოსულ მეოცნებე ადამიანებს, ისე საომრად მომართულ საერთო-საზოგადო ნებას. ორივე ტენდენციამ საფრანგეთის რევოლუციის დასაწყისიდანვე იჩინა თავი, სადაც ერთდროულად ორ დროშას აფრიალებდნენ უნივერსალურს, რომელიც ტრანსნაციონალური ადამიანის უფლებებისათვის ბრძოლის სიმბოლო იყო, და საფრანგეთის ეროვნულ დროშას, რომელიც სამშობლოში შემოჭრილ უცხოელ დამპყრობელთაგან დაცვას ასახიერებდა. როცა ნაპოლეონმა რევოლუციის უზურპირება მოახდინა, ორივე დროშა აიტაცა და ორივე მიზნის მიღწევას ცდილობდა იყენებდა

სამხედრო ძალას ნაპოლეონისეული ლიბერალური სამოქალაქო სამართლის გავრცელებისათვის და საფრანგეთის სუვერენიტეტს ამყარებდა ევროპაში დაპყრობილ ტერიტორიებზე.

ეს ორმაგი ხასიათი წარმოდგენილი იყო, როგორც არაბულ გაზაფხულში. ისე უკრაინის ღირსების რევოლუციაში. ახლო აღმოსავლეთის მილიონობით არაბი მოქალაქე იზიარებდა მუქამედ ბუაზიზის სამართლიან აღშფოთებას, თუმცა ყოველი მათგანი არ იყო მზად ეცხოვრა საზოგადოებაში, რომელშიც ყველა მოქალაქეს, განურჩევლად რელიგიისა, თანაბარი უფლებები აქვს. ბენ ალიმ ტუნისში, ჰოსნი მუბარაქმა კი ეგვიპტეში ჩამოაყალიბეს სეკულარული დიქტატურები, რომლებიც დევნიდნენ და ანადგურებდნენ არა მარტო დასავლეთზე ორიენტირებულ ლიბერალებს, არამედ ისლამისტებსაც. ავტორიტარულ რეჟიმთა ლიბერალურით ჩანაცვლების მომხრეებს ბრძოლა მოუწიათ ისლამისტებთან, რომლებიც ეროვნულ იდენტობას რელიგიურ ჭრილში ხედავდნენ 2012 წელს მუბარაქის გადაყენების შემდეგ, ეგვიპტეში გამართულ დემოკრატიულ არჩევნებში მუსლიმთა საძმომ გაიმარჯვა. ისლამისტური დიქტატურის დამყარების საფრთხემ 2013 წლის ივნისში სამხედრო გადატრიალება გამოიწვია. ლიბერალური შეხედულებების მქონე ბევრი ეგვიპტელი სამხედრო გადატრიალების მომხრეთა ბანაკში აღმოჩნდა.

მსგავსად განვითარდა მოვლენები უკრაინაში, სადაც ღირსების რევოლუციას დასავლეთზე ორიენტირებული ლიბერალების კოალიცია ჩაუდგა სათავეში. ისინი უკრაინის ევროკავშირში გაერთიანებას და ევროპულ ფასეულობებზე დაფუძნებულ ქვეყანად ჩამოყალიბებას უჭერდნენ მხარს. თუმცა ამას ხელი არ შეუშლია ლიბერალთა მარჯვენა სექტორის მსგავს უკრაინელ ნაციონალისტთა დაჯგუფებებთან თანამშრომლობისთვის. ნაციონალისტები არ ემხრობოდნენ უკრაინის ლიბერალურ, გარე სამყაროსთვის ღია ქვეყნის მოდელს. მათი მიზანი უკრაინის განსაკუთრებული კულტურული იდენტობის დაცვა და შენარჩუნება იყო

გასული საუკუნის განმავლობაში ღირსებისა და ავტონომიის ინდივიდუალისტური ხედვების ევოლუციას ლიბერალურ საზოგადოებაში ჩვენ მე-10 და მე-11 თავებში მივხვდებით მანამდე

უფრო ღრმად შევისწავლით კოლექტიური იდენტობის ორ ფორმას, რომლებიც ნაციონალიზმსა და რელიგიას ემყარება.

ნაციონალიზმი და ისლამიზმი, ანუ პოლიტიკური ისლამი, ერთი მონეტის ორ მხარედ შეგვიძლია განვიხილოთ. ორივე ფენომენი დაფარული ან აკრძალული ჯგუფური იდენტობის გამოხატულებაა რომელიც საჯარო აღიარებისაკენ ილტვის. ორივე მათგანი მსგავს პირობებში ყალიბდება, როცა ეკონომიკური მოდერნიზაცია და სწრაფისოციალური ცვლილებები საზოგადოების ფუნქციონირების ძველ ფორმებს ასუსტებს და მათ ურთიერთობის ალტერნატიული ფორმების დამაბნეველი პლურალიზმით ცვლის

ნაციონალიზმი და რელიგია

ლუთერს, კანტს, რუსოს და ჰეგელს ღირსება სხვადასხვაგვარად ესმოდათ, მაგრამ მათ ამ ცნების უნივერსალისტური ხედვა აერთიანებდა მათ სჯეროდათ, რომ ყველა ადამიანის ღირსება თანასწორი იყო და ამ თანასწორობას ადამიანის შინაგანი თავისუფლების პოტენციალი განაპირობებდა. რეალობაში ღირსების აღიარების მოთხოვნა ხშირად სპეციფიკურ ფორმას იღებს და ყურადღების ცენტრში ცალკეული ჯგუფის ღირსებას აქცევს, რომელიც მარგინალიზაციის მსხვერპლია. მათგან ბევრი, ვინც ადამიანის შინაგანი არსის მნიშვნელობაზე საუბრობს და ცდილობს ის საზოგადოებისთვის ანგარიშგასაწევ ცნებად აქციოს, გულისხმობს არა ყველა ადამიანის შინაგან ბუნებას, არამედ ცალკეულ ადამიანებს – განსაზღვრული წარმომავლობითა და გარკვეული ადათების დაცვით მცხოვრებთ ასეთი არასრული იდენტობები წეიძლება, ეფუძნებოდეს ეროვნულ წარმომავლობას ან რელიგიურ აღმსარებლობას ცალკეული ჯგუფის ღირსების აღიარებისთვის ბრძოლაში ისინი პოლიტიკურ მოძრაობებად ჩამოაყალიბა, რომლებსაც ჩვენ ნაციონალიზმს და ისლამიზმს გუწოდებთ.

კანტის თანამედროვე და მონაფე იოჰან გოტფრიდ ფონ შერდერი იყო ის მოაზროვნე რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა ადამიანის უნივერსალური თავისუფლების ჩანაცვლებაში ეროვნულ ან კულტურულ ნიშნებზე დაფუძნებული კოლექტიური

თავისუფლების ცნებით. ჰერდერს ხშირად სდებდნენ ბრალს თანამედროვე ევროპული ეთნო-ნაციონალიზმის ჩამოყალიბებაში, Volk-ის ანუ ხალხის პრიმიტიული ცნების შექმნასა და ჰიტლერის წინამორბედობაში

ჰერდერის ამგვარი დახასიათება ძალზე უსამართლოა. ეს, დიდწილად, ინგლისურენოვან სამყაროში მისი ნაწერების შესწავლის შედეგად ხასიათითაა განპირობებული ჰერდერი იზიარებდა კანტის და განმანათლებელთა უნივერსალისტურ შეხედულებებს ადამიანის ღირსებაზე, თუმცა ბევრად მეტ დროს უთმობდა ევროპელი მოგზაურების შორეულ ქვეყნებში მოგზაურობათა და იქ წარმოებულ დაკვირვებათა კითხვას წიგნში „კაცობრიობის ისტორიის ფილოსოფიაზე განსჯანი“ ჰერდერი ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, რომ ადამიანის მხოლოდ ერთი სახეობა არსებობს და მწვავედ აკრიტიკებს ავტორებს, რომლებიც ადამიანთა რასების იერარქიზაციას ცდილობენ. ის თანაუგრძნობს აფრიკელთა მონობით გამოწვეულ ტკივილს და ამტკიცებს, რომ ამა თუ იმ კულტურის შეფასება ამ კულტურაში ქალებისადმი მოპყრობის ფორმებით შეიძლება. საოცრად ზუსტი აღმოჩნდა ჰერდერის მიერ თანამედროვე გენეტიკის განვითარებამდე დიდი ხნით ადრე გამოთქმული ჰიპოთეზები ბიოლოგიურ ნიშანთვისებათა და გარემოს შორის არსებული კომპლექსური ინტერაქციის გავლენის შესახებ ადამიანთა ქცევაზე⁸

ამავე დროს, ჰერდერი ამტკიცებდა, რომ ადამიანთა ცალკეული საზოგადოებები უნიკალური და ერთმანეთისაგან განწყობილია ის აღნიშნავს, რომ ჰავა და გეოგრაფია ადამიანთა ადათ-წესებზე უმარბაზარ გავლენას ახდენს. ეს ადათ-წესები გამოხატავს ამ ცხოვრებისეულ სიბრძნეს, „გენიას“, რომელიც სპეციფიკურ პირობებთან ადაპტაციის წყალობით გამომუშავდა ჰეგელისაგან განსხვავებით, რომელმაც აფრიკას გვერდი აუარა, როგორც კაცობრიობის ისტორიისათვის უმნიშვნელო რეგიონს, ჰერდერს არაევროპულ კულტურათა მიმართ კეთილგანწყობილი დამოკიდებულება ახასიათებს. თანამედროვე კულტურულ ანთროპოლოგთა მსგავსად, ის სხვა ხალხთა აღწერით უფრო იყო დაინტერესებული, ვიდრე მათი დახასიათებით და შეფასებით. ევროპელთა მიერ დედამიწის სხვადასხვა კუთხის კოლონიზაციის

დანყებად დიდი ხნით ადრე. მან გამოთქვა მოსაზრება, რომელიც დღევანდელი სახელმწიფო მოღვაწეებისთვისაც შეიძლება, საყურადღებო იყოს: „მთლი ნუ წარმოვიდგენთ, რომ ადამიანის დესპოტურ ძალას შეუძლია მსოფლიოს რომელიმე რეგიონის, ერთბაშად, ახალ ევროპად ქცევა“⁹.

ჰერდერის კავშირი თანამედროვე ნაციონალიზმთან ნათელია. ის მსოფლიოს ხალხთა ტრადიციების და ადათ-წესების უნიკალურ ხასიათს უსვამდა ხაზს, მხარს უჭერდა მათ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად გაგებას და განხილვას. რუსოს მსგავსად, არც მას სჯეროდა, რომ ისინი ვინც უფრო გვიანდელ ისტორიულ დროში ცხოვრობს. ამით უფრო ბედნიერი ან უკეთესია, ვიდრე „პრიმიტიული“ კულტურის ხალხი. ჰერდერი ეთანხმებოდა მოსაზრებას, რომ საზოგადოებას ადამიანისთვის ყალბი როლის დაკისრება შეუძლია. ამგვარად, ჰერდერმა ჰეგელისაგან მკვეთრად განსხვავებული პოზიცია დაიკავა, რომელიც ამტკიცებდა, რომ ისტორია უნივერსალური და პროგრესულია¹⁰.

ჰერდერი კულტურული ავთენტურობის იდეას მისი დროის გერმანიას უსადაგებდა, რომელიც ურიცხვ მცირე სამთავროდ იყო დაყოფილი. ბევრი ნათგანი ვერსალის, საფრანგეთის სამეფო კარის, ბრწყინვალეობას და კულტურას ეჭიბრებოდა. ჰერდერი ამტკიცებდა, რომ შეორად ფრანგებად ჩამოყალიბებისაკენ სწრაფვის მაგივრად, გერმანელებს საკუთარი კულტურით და ტრადიციებით უნდა ეამაყათ და მოეწონებინათ თავი.

„გრძელ მე-19 საუკუნეში“, რომელიც საფრანგეთის რევოლუციიდან პირველი მსოფლიო ომის დანყებად, 1914 წლამდე გრძელდებოდა, ღირსების და იდენტობის ორი, ერთმანეთთან დაპირისპირებული მიდგომა დომინირებდა. ღირსების პირველი გაგება მის უნივერსალიზაციას, ყველა ადამიანის თანაბარი უფლებების აღიარებას გულისხმობდა. მეორე მიდგომა, ცალკეული, ძირითადად, დამონებული და დაჩაგრული, ხალხების ღირსებას ანიჭებდა პრიორიტეტს. ღირსების ეს ორი გაგება, უნივერსალური და ნაციონალური, ათწლეულების განმავლობაში უპირისპირდებოდა ერთმანეთს. მაგალითად შეგვიძლია, 1848 წლის რევოლუციები მოვიყვანოთ, რომლებშიც იბრძოდნენ, როგორც ლიბერალური უფლებების დაცვისთვის, ისე ეროვნულობის შესა-

ნარჩუნებლად. მე-20 საუკუნის დასაწყისში ღირსების ლიბერალურ გაგებას შეუერთდა უნივერსალისტური ხასიათის ახალი დოქტრინა, მარქსისტული სოციალიზმი, რომელიც პროლეტართა უფლებებისათვის ბრძოლას ქადაგებდა. ორივე მოძრაობა, როგორც ლიბერალური, ისე მარქსისტული, ორი მსოფლიო ომის განმავლობაში უპირისპირდებოდა ნაციონალიზმს. 1945 წელს ფაშიზმზე გამარჯვების შემდეგ, ეს ორი უნივერსალური დოქტრინა ცივი ომის მსოფლიო პოლიტიკის ორ პოლუსად ჩამოყალიბდა. აღსანიშნავია, რომ ნაციონალიზმის სრული დისკრედიტაცია არ მომხდარა და. მიუხედავად ევროკავშირის მსგავსი ინსტიტუტების შექმნისა, ის ახალ პოლიტიკურ ძალად აღმოცენდა 21-ე საუკუნეში.

ნაციონალიზმის წარმოშობის გასაგებად აუცილებელია იმ იდეების შესწავლა, რომლებიც ამ ფენომენს დაედო საფუძვლად. მაგრამ უყურადღებოდ არც ის მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური მოვლენები უნდა დაგვივლინოს, რომლებმაც მე-19 საუკუნის ევროპაში ნიადაგი მოუმზადეს მის აღმავლობას შუა საუკუნეების ევროპის სოციალური წესრიგი იერარქიული და სოციალურ ფენებად სტრატეფიცირებული იყო. ფეოდალიზმმა ევროპის მოსახლეობა უამრავ მცირე იურისდიქციას დაუქვემდებარა და ინდივიდის ამ იურისდიქციაზე მაქსიმალურად მიმავრებას უწყობდა ხელს.

ზემოთქმულისაგან განსხვავებით, თანამედროვე საბაზრო ეკონომიკა სამუშაო ძალის, კაპიტალისა და იდეების თავისუფალ მოძრაობაზეა დამოკიდებული, რომლებიც საბაზრო ეკონომიკის კანონების თანახმად, ჭარბი მიწოდების ადგილიდან მიემართებიან ადგილისაკენ, სადაც ყველაზე მაღალი სარგებლის მიღების შესაძლებლობაა ლიბერალური საზოგადოებების მიერ უზრუნველყოფილმა ღირსების თანახმორმა და უნივერსალურმა აღიარებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი კაპიტალისტურ განვითარებას, რადგან დაცული იყო ინდივიდის კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა და მისი უფლება. სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად ენარბოებიან კომერციული საქმიანობა შესაბამისად, არ უნდა გვიკვირდეს ლიბერალიზმის ეკონომიკური ზრდის დამხმარე ფაქტორად ჩამოყალიბება მე-19 საუკუნისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის გამალებული ინდუსტრიალიზაციის ორი წამყვანი

ქვეყანა, დიდი ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები, ამავე დროს. ამ პერიოდის ყველაზე ლიბერალური საზოგადოებები იყვნენ.

თუმცა აღმოჩნდა, რომ თანამედროვე საბაზრო ეკონომიკას ნაციონალიზმი და ეროვნებაზე დაფუძნებული იდენტობაც სჭირდებოდა. ნაციონალიზმის დოქტრინის მიხედვით პოლიტიკური საზღვრები საერთო კულტურის მქონე თემის საზღვრებს უნდა ემთხვეოდეს. კულტურის დეფინიცია ამ შემთხვევაში საერთო ენის ფლობას გულისხმობს. პრეთანამედროვე ევროპაში საფრანგეთი წარმოადგენდა ბრეტანული, პიკარდიული, ფლამანდიური, პროვანსული და პარიზული ფრანგულისაგან შემდგარ ენობრივ მოზაიკას. ევროპის სხვადასხვა კუთხეში გლეხები ხშირად მათი ბატონებისაგან განსხვავებულ ენაზე მეტყველებდნენ, მე-19 საუკუნემდე ჰაბსბურგთა იმპერიული კარის ენა ლათინური იყო. ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში გერმანელები შერეულები იყვნენ პოლონელებთან, მორავიელებთან, უკრაინელებთან, უნგრელებთან და მცირე, თვითმყოფად თემებში ცხოვრობდნენ. ყველაფერი ეს ხელს უშლიდა ინდუსტრიალიზირებული საზოგადოებისათვის საჭირო სამუშაო ძალის მობილობას როგორც სოციალური ანთროპოლოგი ერიკ გელნერი წერდა: „წარმოიშვა მძლავრ ტექნოლოგიაზე და მდგრადი ზრდის მოლოდინზე დაფუძნებული საზოგადოება, რომელსაც სჭირდებოდა სამუშაო ძალის მაღალი ხარისხის მობილობა და უწყვეტი, ზუსტი და ინტენსიური კომუნიკაცია საზოგადოების უცნობ წევრებს შორის“ ასეთი სისტემის სიცოცხლისუნარიანობისთვის საჭირო იყო სახელმწიფო ენა და სახელმწიფო საგანმანათლებლო სისტემა, რომელიც საერთო ეროვნული კულტურის დონეს აამაღლებდა. ინდივიდთა შრომისუნარიანობა. ღირსება, უსაფრთხოება და თავმოყვარეობა... ახლა მათ განათლებაზეა დამოკიდებული... მიუხედავად იმისა, რას იტყვის თავად, თანამედროვე ადამიანი არა მონარქის, მამულის ან რწმენის, არამედ კულტურის ერთგულია“.

საზოგადოებაში ინდუსტრიალიზაციით გამოწვეულ მფოთვა-სა და მღელვარებაზე აღმოცენდა ნაციონალიზმიც. მაგალითად ავიღოთ ახალგაზრდა გლეხის ჰანსის, მდგომარეობა, რომელიც საქსონიის ერთ-ერთ პატარა სოფელში ცხოვრობს. პატარა

სოფელში ჰანსის ცხოვრება უმოდრაოა: ის ცხოვრობს სახლში, რომელშიც მისი მშობლები და ბებია-ბაბუა ცხოვრობდნენ, მონათლულია თანასოფლელი მღვდლის მიერ, დანიშნულია გოგომე, რომელიც მის მშობლებს მოსწონთ და გეგმაში იმავე მინის ნაკვეთზე მუშაობა აქვს, რომელსაც მამამისი ამუშავებდა ჰანსის წინაშე არ დგას კითხვა „ვინ ვარ მე?“, ამ შეკითხვას პასუხი მის გარშემო მცხოვრებმა ხალხმა უკვე გასცა. ამ დროს ის იტყობს, რომ საინტერესო სამსახურის შოვნა შეიძლება რურის ხეობაში, რომელიც სწრაფ ინდუსტრიალიზაციას განიცდის ჰანსი მიემგზავრება დიუსელდორფში, მას მეტალურგიულ ქარხანაში მუშაობის დანაშების იმედი აქვს.

ის ახლა უკვე საერთო საცხოვრებელში ცხოვრობს, ასობით მასავით დასაქმებულ ახალგაზრდასთან ერთად მათი უმეტესობა ჩრდილო-დასავლეთ გერმანიის სხვადასხვა კუთხიდანაა და სხვადასხვა დიალექტზე მეტყველებს. მათგან ზოგიერთი გერმანელიც კი არ არის – ქარხანაში ჰოლანდიელები და ფრანგებიც მუშაობენ. ის მშობლების და მეზობელი მღვდლის გავლენის ქვეშ აღარ ცხოვრობს სოფლისაგან განსხვავებით, გარშემო სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის ხალხია. ის კვლავაც ვალდებულია, დანიშნულ საცოლზე დაქორწინდეს, თუმცა თვალი რამდენიმე ადგილობრივ გოგოსაც დაადგა – პირადი ცხოვრების საკუთარი შეხედულებისამებრ მართვის შესაძლებლობა გამამხნეველები გრძნობა გამოდგა.

ამავე დროს, ჰანსი დაბნეულია. მშობლიურ სოფელში, მას ყველა იცნობდა, გარშემო მეგობრები და ნათესავები ჰყავდა და ავადმყოფობის ან მოუსავლიანობის შემთხვევაში, მათი თანადგომის იმედიც ჰქონდა ახალი მეგობრები და ნაცნობები ჰანსში ასეთ ნდობას ვერ იწვევენ, მას არც იმ დიდი კორპორაციის იმედი აქვს, სადაც დასაქმებულია ერთხელაც ჰანსი კომუნისტი აგიტატორების შესახებ შეიტყობს. ისინი ჰანსის ქარხანაში პროფკავშირის დაარსებას ცდილობენ. აგიტატორებზე ცუდი ხმები დადის, მათ არც ჰანსი ენდობა. გაზეთები საესეა წინააღმდეგობრივი რეპორტაჟებით პარლამენტში გაჩაღებულ პოლიტიკურ ბრძოლებზე, ძნელია ამ კაკოფონიაში გარკვევა. ჰანსს ეჭვი აქვს, რომ არსებული პოლიტიკური პარტიები საკუთარ ინტერესებზე ზრუნავენ და მისთვის

არავინ იტყობს თავს. გერმანიის ის მხარე, საიდანაც ჰანსია, დიდი რაიხის ნაწილი გახდა, რომლითაც შეუძლია, იამაყოს კიდევ, თუმცა არავინ იცის საით მიექანება ის. ჰანსი თავს ეუღლად, გარე სამყაროსაგან გამოთიშულად გრძნობს. მას მშობლიური სოფელი ენატრება, მაგრამ დაბრუნებაზე ფიქრზე უარს ამბობს, ეს ხომ პიროვნული მარცხის ტოლფასი იქნება. პირველად ცხოვრებაში ჰანსს არჩევანის ვაკეთების შესაძლებლობა აქვს, მას ცხოვრების წარმართვა საკუთარი შეხედულებისამებრ შეუძლია, თუმცა ვერ გადაუწყვეტია ვინ არის და რა უნდა. იდენტობის საკითხი, რომელიც სოფელში პრობლემატური არასდროს ყოფილა, ახლა მწვავედ დგას.

ჰანსის ამბავი მე-19 საუკუნის გერმანულმა სოციოლოგმა და ფილოსოფოსმა ფერდინანდ ტონისმა დაახასიათა როგორც Gemeinschaft-ის ანუ სოფლის თემის Gesellschaft-ით ანუ ურბანული საზოგადოებით ჩანაცვლება. ასეთი ცვლილება მე-19 საუკუნის მილიონობით ევროპელმა გამოსცადა. ახლა იმავეს განიცდიან გამალეებული ინდუსტრიალიზაციის ქვეყნებში: ჩინეთში, ვიეტნამში და ა. შ.

Gemeinschaft-იდან Gesellschaft-ზე გადასვლით გამოწვეულმა ფსიქოლოგიურმა დისლოკაციამ საფუძველი ჩაუყარა ნაციონალიზმის იდეოლოგიას, რომელიც წარმოსახვითი წარსულის სიდიადის მწვავე ნოსტალგიას ეფუძნება. ამ წარმოსახვით წარსულში საზოგადოება ძლიერი და ერთიანი იყო, არ ჰგავდა დღევანდელ პლურალისტულ საზოგადოებას, რომელიც დაყოფილი და არეულია. 1930-იან წლებში შიტლერის პოლიტიკური აღმასვლის დაწყებამდე, გერმანელი მწერლები მოთქვამდნენ Gemeinschaft-ის დაკარგვის შესახებ და აკრიტიკებდნენ კოსმოპოლიტიკური ლიბერალური საზოგადოების მიერ მოტანილ პერვერსიებს.

ისტორიკოსმა ფრიც შტერნმა გააანალიზა გერმანული იდენტობის იდეოლოგიის ადრეული წარმომადგენლები, მათ შორის, ბიბლიის გავლენიანი მკვლევარი პოლ დე ლაგარდი. ლაგარდი ბისმარკის მიერ გაერთიანებულ გერმანიაში, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ცხოვრობდა. ამ დროს გერმანია უპრეცედენტო ეკონომიკურ ზრდას, გამალეებულ ინდუსტრიალიზაციას და მძლავრ სამხედრო-პოლიტიკურ აღმასვლას განიცდიდა მიუხე-

დავად ამისა, ლაგარდი მის გარშემო მხოლოდ კულტურულ გადაგვარებას ამჩნევდა, რასაც უამრავი სტატია და პამფლეტი (კრებული გერმანული ჩანაწერები, 1886) მიუძღვნა. რაციონალიზმისა და მეცნიერებაზე დაფუძნებული ლიბერალური დოქტრინების გამო გერმანული სული გადაგვარების გზაზე შემდგარიყო. ძველი გერმანიის დაბრუნება ღირსების საქმე იყო, რომელიც ძლიერი საზოგადოების აღდგენის საწინდარი უნდა გამხდარიყო. ლაგარდი ახალი ეროვნული იდენტობის საფუძვლად ახალ რელიგიას მოიაზრებდა ეს რელიგია ქრისტიანობის „გერმანელთათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებთან“ სინთეზის შედეგი იქნებოდა. ლაგარდი წერდა. „როცა ერს ერთიანი ნება გააჩნია, ყველა კონფლიქტი გამორიცხებულია“. ლაგარდმა ვერასდროს მოახერხა აკადემიურ წრეებში ადგილის დამკვიდრება, იმ დაფასების მოპოვება რომელსაც მისი აზრით. თუნდაც სექტუარინტის განმარტებისთვის განეული სამუშაოსათვის იმსახურებდა. გერმანელი ხალხის ერთობა, როგორც მისი პირადი მარტოობიდან გამოსავლად, ისე იმ საზოგადოებრივი აღიარების მოპოვების გზად ჩანდა, რომლის მიღწევაც ლაგარდმა მეცნიერული მოღვაწეობით ვერ შეძლო¹².

ლაგარდი, ისევე როგორც იულიუს ლანგბენი. არტურ მიულერ ვან დენ ბრუკი და მე-19 საუკუნის სხვა გერმანელი ნაციონალისტები, გერმანელ ხალხს გარეშე ძალების მსხვერპლად მიიჩნევდა. ლაგარდს გერმანული კულტურის გადაგვარების შესახებ თავისი შეთქმულების თეორია გააჩნდა: თანამედროვე ლიბერალიზმის მთავარი მატარებლები ებრაელები იყვნენ, ისინი აღწევდნენ თანამედროვე გერმანიის კულტურულ ცხოვრებაში ავრცელებდნენ დემოკრატიისა და სოციალიზმის უნივერსალისტურ იდეებს, რითიც ძირს უთხრიდნენ გერმანული ხალხის ერთობას გერმანული დიდების აღსადგენად აუცილებელი იყო ახალი გერმანული წესრიგიდან ებრაელთა მოკვეთა.

ცნობილია, რომ გერმანელი ინტელექტუალების ნაწილი, მათ შორის ფრიდრიხ ნიცშე, ერნსტ ტროლჩი და თომას მანი, ლაგარდის იდეებისადმი კეთილგანწყობით გამოირჩეოდნენ. მისი ნაშრომების ფართოდ გავრცელებას ნაცისტებმა შეუწყვეს ხელი¹³. ლაგარდი იმ შიშებს და შფოთვას ეხმიანებოდა, რომლებსაც აგ-

რარული საზოგადოებიდან თანამედროვე, ურბანულ და ინდუსტრიულ ცხოვრებაზე გადასვლა იწვევდა სოფლის მოსახლეობაში ამ ტრანზიციამ იდენტობის საკითხი მილიონობით ევროპელი-სათვის გახადა აქტუალური. ეს ის დროა, როცა პირადი საკითხები პოლიტიკურად გარდაიქმნა. პასუხი, რომელსაც ჰანსის მსგავს დაბნეულ გლეხებს ლაგარდი და სხვა ნაციონალისტი იდეოლოგები აძლევდნენ, მარტივი იყო: შენ ამაყი გერმანელი ხარ, უძველესი კულტურის მატარებელი და შთამომავალი, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში გაფანტულ მილიონობით გერმანელთან საერთო ერთ დაკავშირებული. მარტოსულ და დაბნეულ მშრომელს ამ პასუხით საკუთარი ღირსების განცდის ნათელი გრძობა ეუფლებოდა – ღირსების. რომელსაც, მისი აზრით, მის საზოგადოებას მიტმასნილი ცუდი ხალხი არაფრად აგდებდა.

საერთო კულტურასა და ენაზე დაფუძნებულმა იდენტობის ახალმა ფორმამ ვნებათაღელვის ახალი ტალღა აავიწროა სიტუაციას ამძაფრებდა ახლად ჩამოყალიბებული კულტურული ჯგუფების მდგომარეობა. რომლებსაც დინასტიურ კავშირებზე დაფუძნებული ავსტრია-უნგრეთის მსგავსი მოძველებული ფორმაციის იურისდიქციაში უწევდათ ცხოვრება. გაფანტულ გერმანელთა ერთიან რაიხში გაერთიანება გერმანელთა შემდეგი სამი თაობის მთავარ ამოცანად და პოლიტიკურ ლიდერთა (ბისმარკიდან პიტლერამდე) ძირითად მიზნად იქცა. სხვა ერები – პოლონელები სერბები, უნგრელები, რუსები – ასევე ცდილობდნენ ეთნონაციონალიზმზე დაფუძნებული ქვეყნების შექმნას ან კონსოლიდაციას. ამ ტენდენციამ მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში, ევროპა კატასტროფული შედეგებით დასრულებულ ორ მსოფლიო ომამდე მიიყვანა.

იდენტობა უმნიშვნელოვანესი საკითხი აღმოჩნდა იმდროინდელ კოლონიურ სამყაროში. ევროპელთა დომინაციის ქვეშ მყოფი ამიის, აფრიკისა და სამხრეთ ამერიკის ტერიტორიებზე ინდუსტრიალიზაციის ტემპი ევროპაზე გაცილებით დაბალი ინტენსივობის იყო. ამ ტერიტორიებზე სცენარი განსხვავებულად განვითარდა აქ ადგილი ჰქონდა ფენომენს. რომელსაც უწოდებენ „მოდერნიზაციის განვითარების გარეშე“. ეს გულისხმობს ურბანიზა-

ციას და სწრაფ სოციალურ ცვლილებებს, მდგრადი ეკონომიკური ზრდის გარეშე. გაჩნდა ახალი ქალაქები მცირე ადგილობრივი ელიტებით, რომლებიც, მათი ტერიტორიების ადმინისტრირებით, კოლონიურ რეჟიმებთან დაახლოვდნენ. ამ ელიტის წევრებმა ევროპული განათლება მიიღეს და მეტროპოლიის უნასაც ფლობდნენ. ისინი ინტენსიურ შინაგან წინააღმდეგობას განიცდიდნენ – მათი შექმნილი იდენტობა წინააღმდეგობაში იყო იმ ტრადიციებთან, რომლის მიხედვითაც იზრდებოდნენ. ევროპაში გავრცელების შემდეგ, ნაციონალიზმი კოლონიებს მოელო. მე-20 საუკუნის შუა წლებში ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა სახელით აჯანყებებმა იფეთქა ინდოეთში, ვიეტნამში, კენიასა და ალჟირში. კოლონიებში ნაციონალიზმის გავრცელებამ ინტელექტუალებს კულტურული რევოლუციისაკენ უბიძგა შავკანიანმა მწერლებმა. ემე სეზარმა, ლეონ დამასმა და ლეოპოლდ სენგორმა Négritude-ის „ზანგობის“ კონცეფცია შეიმუშავეს, რომელიც შავკანიანებს თავიანთი წარმომავლობისა და მემკვიდრეობის სიამაყით აღქმაში უნდა დახმარებოდა და კოლონიური რეჟიმების მიერ მათი დამცირება შეეჩერებინა.

ერნესტ გელნერი ნაციონალიზმის ერთ-ერთი მთავარი თეორეტიკოსი იყო. მისი ვარაუდით, თანამედროვე ისლამიზმიც მოდერნიზაციისა და იდენტობის ფაქტორთა გათვალისწინებით უნდა იქნას აღქმული. ისლამიზმი, ისევე როგორც ნაციონალიზმი, მოდერნიზაციის შედეგია. Gemeinschaft-იდან Gesellschaft-მე გადასვლის პროცესი ახლო აღმოსავლეთისთვისაც ნაცნობია. ასევე ათასობით მიწათმოქმედმა და ბედუინმა მიატოვა თავიანთი დასახლებები და კაიროში. ამანსა თუ ალჟირში დაიდო ბინა უკეთესი ყოფის ძიებაში მყოფი მილიონობით მუსლიმი ევროპაში და დასავლეთის სხვა ქვეყნებში გადასახლდა, სადაც – მარსელში, ბედფორდსა თუ როტერდამში – კიდევ უფრო ინტენსიური მოდერნიზაციის მონაწილე და მომხმარებელი გახდა და უცხო კულტურულ გარემოში აღმოჩნდა. მეორე მხრივ, თანამედროვე სამყარო შეეხო მათაც, ვინც მშობლიურ სოფელში დარჩა და, სატელიტური ტელევიზიის მეშვეობით, ახალ ამბებს აღტახებინა და CNN-ის საშუალებით იგებს. სოფლების ტრადიციულ გარემოში, უკიდურესად შეზღუდული ცხოვრებისეული არჩევანის

პირობებში მცხოვრები ადამიანების ყოფაში, მოულოდნელად, პლურალისტური სამყარო შეიჭრა. ცხოვრების მრავალფეროვანი და განსხვავებული კანონებით, რომლებიც, როგორც წესი, ტრადიციულ ადათებს არ ითვალისწინებს.

იდენტობის პრობლემა განსაკუთრებული სიმწვავეთ დასავლეთ ევროპაში დაბადებული მეორე თაობის მუსლიმების წინაშე დგას. მათ ცხოვრება სეკულარულ, ძირითადად ქრისტიანულ ტრადიციებზე დაფუძნებულ საზოგადოებებში უწევთ, რომლებშიც მათ რელიგიურ პრაქტიკასა და ღირებულებებს მცირე მხარდაჭერა აქვს. ხშირ შემთხვევაში. მათი მშობლები წარმოშობით იბოლურებული სოფლებიდან არიან, სადაც ადგილობრივი წეს-ჩვეულებების გავლენით სახეცვლილი რელიგიური პრაქტიკა იყო მიღებული. როგორც ემიგრანტთა შვილების უმეტესობა, ისინი მათი ოჯახების დრომოჭმული ცხოვრების წესისაგან დისტანცირებას ცდილობენ. თუმცა ადვილი არც ახალ ევროპულ გარემოში ინტეგრაციაა: ახალგაზრდებში, განსაკუთრებით მუსლიმებში, უმუშევრობის მაჩვენებელი 30%-ზე მაღალია. ბევრ ევროპულ ქვეყანაში დომინანტი კულტურული თემის სრულუფლებიანი წევრობა კვლავაც ეთნიკურ წარმოშობასთანაა დაკავშირებული (ამ საკითხს მომდევნო თავებში მივუბრუნდებით).

ამ გარემოებათა გამო, იდენტობის საკითხი ისევე მწვავედ დგას დღეს, როგორც ეს მე-19 საუკუნის ევროპაში, გაცხოველებული ურბანიზაციის ფონზე იყო. მუსლიმთა ნაწილმა იდენტობის საკითხი არა ამა თუ იმ ერში ინტეგრაციით, არამედ ბევრად ვრცელ რელიგიურ ჯგუფში – უმმაში – გაწევრიანებით გადაჭრა. მორწმუნეთა თემის ინტერესებს სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები – მუსლიმთა საიმო (ეგვიპტეში), სამართლიანობისა და განვითარების პარტია (თურქეთში), უნაჰდა (ტუნისში) – იცავენ. ნაციონალისტების მსგავსად. თანამედროვე ისლამისტები პრობლემის იდენტიფიცირებასთან ერთად, მისი გადაწყვეტის გზასაც გვთავაზობენ: შენ საამაყო და უძველესი თემის წევრი ხარ, გარესამყარო შენ რელიგიურ იდენტობას პატივს არ სცემს, ჩვენ გაძლევთ საშუალებას, დაუკავშირდე შენს ჭეშმარიტ იმებსა და დებს და მათთან ერთად მორწმუნეთა მსოფლიო თემის ნაწილი გახდე.

საკუთარი იდენტობით სიამაყის გრძობა მუსლიმურ სამყაროში მომხდარი ბოლოდროინდელი კულტურული ძვრების მიზეზი შეიძლება იყოს. ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, რომლის განმავლობაშიც ახლო აღმოსავლეთში მცხოვრებთა განათლებული ნაწილისთვის კარგ ტონად ითვლებოდა ევროპულ ყაიდაზე ცხოვრება. ეგვიპტეში თურქეთში, იორდანიაში და ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში ახალგაზრდა მუსლიმ ქალთა მზარდი რაოდენობა ჰიჯაბისა და თავშლის ტარებას არჩევს. გამოჩნდნენ ქალთა ჩაცმის უფრო მკაცრი წესის მიმდევრებიც, რომლებიც სახეს მთლიანად იფარავენ ან ნიქაბს ატარებენ. ამ ქალთა შორის ბევრი მართლაც ღვთისმოსავი მუსლიმია, თუმცა მათ შორის ნაკლებად მორწმუნენიც მოიძებნებიან. მათთვის ჰიჯაბის ტარება იდენტობის აფიშირების საშუალებაა, მუსლიმად საჯაროდ თვითიდენტიფიცირებისა და საკუთარი კულტურით სიამაყის ნიშანი.

ზემოხსენებული და მათი მსგავსი ისლამისტური პარტიები მზად იყვნენ პოლიტიკურ პროცესებში ჩართვისთვის და გარკვეულ ელექტორალურ გამარჯვებებსაც მიაღწიეს, რომელთა წყალობითაც ისინი ხელისუფლებაში მოვიდნენ. მიუხედავად საჯარო განცხადებებისა დემოკრატიისადმი ერთგულების შესახებ, ისლამისტთა სეკულარული პოლიტიკური ოპონენტები ეჭვის თვალით უყურებენ მათ გრძელვადიან გეგმებს. იგივე შეიძლება ითქვას როგორც მე-19 საუკუნის ისე თანამედროვე ნაციონალისტთა შესახებ. ხშირად ისინი მართლაც დემოკრატიის წესების დაცვით თამაშობენ, თუმცა ერთიანობისა და უნიფორმიზაციისაკენ სწრაფვის კვალდაკვალ თვისობრივად ანტიდემოკრატიული ტენდენციები ახასიათებთ.

ნაციონალიზმის მსგავსად, პოლიტიზირებული რელიგიის ყველაზე ექსტრემისტული ხედვები იდეოლოგებმა – ოსამა ბენ ლადენმა, ისლამური სახელმწიფოს დამაარსებელმა აბუ ბაქრ ალ-ბაღდადიმ და სხვებმა – გამოთქვეს. მათი ნარატივი შეერთებული შტატების, ისრაელის, ასაღის რეჟიმისა თუ ირანის მოქმედებით გამოწვეული ვიქტიმიზაციის გაღვივებაზეა კონცენტრირებული. ისინი საკუთარ მიმდევართა შორის კავშირების განმტკიცებას და ერთ მუშტად შეკრულ თემად ჩამოყალიბებას მათზე პირდაპირი

პოლიტიკური მოქმედების და მიზნის მისაღწევად ძალადობრივი მეთოდების გამოყენების ვალდებულების დაკისრებით ცდილობენ.

ახლო აღმოსავლეთის ფრანგმა მკვლევარმა, ოლივიე როიმ ბევრი ტერორისტის მათ შორის 2015 წლის ბატაკლანის ტერაქტის ავტორების პროფილთა შორის მსგავსებაზე მიგვანიშნა: ისინი ევროპაში დაბადებული მუსლიმები არიან, რომლებმაც უარი თქვეს ისლამის მშობლებისეულ ხედვაზე (ჯიჰადისტთა ახალი თაობის 25% მუსლიმად მოქცეულია. თუმცა მუსლიმად დაბადებულთა მსგავსი პირადი ისტორია აქვს)¹⁴. ადრეულ ასაკში ისინი დასავლელი ახალგაზრდებისაგან არ განსხვავდებოდნენ: სვამდნენ ალკოჰოლს და უწეოდნენ მარიხუანას, ხვდებოდნენ გოგოებს. თვალს ადევნებდნენ სპორტულ მოვლენებს და ყველანაირად შეესაბამებოდნენ მათ გარემოს თუმცა ბევრმა მათგანმა ვერ შეძლო ეპოვა მუდმივი სამსახური, წვრილი დანაშაულების ჩადენა დაიწყო და პოლიციასთან ურთიერთობა გაურთულდა. ისინი თავიანთი თემის პერიფერიაზე ცხოვრობდნენ. არ გამოირჩეოდნენ ღვთისმოსაობითა და რელიგიისადმი ინტერესით სანამ მოულოდნელად, 'მეორედ არ დაიბადნენ', რაც რადიკალ იმამთა ვიდუბის ყურებისას ან ციხეში ექსტრემისტთა ქადაგებისას ხდებოდა. მოშველებული წვერით და კალაშნიკოვის ავტომატით ხელში მათი სირიაში გამოჩენა ან ევროპელი თანამოქალაქეების წინააღმდეგ სისხლისმღვრელი ტერაქტების მოწყობა მათი ოჯახების მხრიდან გაკვირვებას და ვერგაგებას იწვევდა. რომ ეს ფენომენი აღწერა არა როგორც ისლამის რადიკალიზაცია, არამედ როგორც რადიკალიზმის ისლამიზაცია. მისი აზრით, ამ პროცესის სათავე ისევ ის გაუცხოებაა. რომელიც ექსტრემისტთა წინა თაობებს ამოძრავებდა, იქნებოდნენ პოლ ლაგარდის მსგავსი ნაციონალისტები თუ ლევ ტროცკის თანამოაზრე კომუნისტები¹⁵.

როის კვლევაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ ჯიჰადისტ ტერორისტთა მიერ ჩადენილი ტერაქტების ვაშლმწვევი მიზეზები არა რელიგიური, არამედ პირადი და ფსიქოლოგიური ხასიათისაა და ასახავს იდენტობის იმ მწვავე კრიზისს, რომელთან გამკლავებაც მოქალაქეთა ნაწილს უწევს. ევროპაში დაბადებულ ახალგაზრდა მუსლიმებს ორ განსხვავებულ კულტურას შორის უწევთ არსებობა: ერთ მხარესაა მათი მშობლები, რომლებთანაც იდენტიფიცირებას

ველარ ახდენენ, მეორე მხარეს კი – მასპინძელი ქვეყნის საზოგადოება, რომელში სრულ ინტეგრაციასაც ვერ ახერხებენ. რადიკალი ისლამისტები მათ განსხვავებულად, მალალი მიმღებლობითა და კეთილგანწყობით ხვდებიან. როის მტკიცებით, ტერორისტთა და თვითშეკვლელთა წილი მუსლიმთა მილიარდიან მოსახლეობაში ძალზე მცირეა სიღარიბე. გაუსაძლისი ყოფა ან ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკით გამოწვეული აღშფოთება არ არის საკმარისი მიზეზები ადამიანთა რადიკალიზაციისათვის. ბევრი ტერორისტი შეძლებული საშუალო ფენის წარმომადგენელია. ბევრსაც აპოლიტიკური წარსული აქვს არცერთ ჩამოთვლილ ფაქტორს ან რელიგიურობას არ უთამაშია მათ რადიკალიზაციაში ისეთი მნიშვნელოვანი როლი, როგორც ცხადი იდენტობის, ცხოვრებისეული დანიშნულების და საკუთარი თავით სიამაყის საჭიროებამ შეასრულა. მათ გააცნობიერეს საკუთარი შინაგანი, არალიარებული არსის ბუნება, რომლის დათრგუნვასაც გარესამყარო ცდილობდა⁶.

თანამედროვე ჯიჰადის ოლიგიე როისეულმა ხედვამ და მასში რელიგიის როლის მნიშვნელოვანმა დაკნინებამ მწვავე კრიტიკა გამოიწვია. განსაკუთრებული სიმწვავეთ მისი ფრანგი კოლეგა, ისლამის მკვლევარი ჟილ კეპელი გამოირჩეოდა კეპელი ამტკიცებს, რომ ექსტრემიზმის და ძალადობრივი მეთოდების გამოყენების გადანაცვრეტილების გააზრება შეუძლებელია იმ რელიგიურ დოქტრინათა გათვალისწინების გარეშე, რომლებიც დღეს მსოფლიოში ვრცელდება, მათ შორის განსაკუთრებული ყურადღების ღირსი საუდის არაბეთიდან ექსპორტირებული ულტრაკონსერვატორული სალაფიზმია. ჟილ კეპელის აზრით, შეცდომაა ისლამის ფაქტორის უგულებელყოფა, რაშიც ის ბრალს სდებს ოლიგიე როისა და ფრანგ მემარცხენეთა ნაწილს, რომლებიც უარყოფენ კავშირს რომელიმე რელიგიასა და ჯიჰადიზმს შორის. სხვებმა ხაზი გაუსვეს ოლიგიე როის ტერორისტთა დახასიათებისას დაშვებულ შეცდომებს⁷.

როი-კეპელის დებატის მთავარი კითხვა ისლამური რადიკალიზაციის ბუნებას ეხება: შეიძლება თუ არა 21-ე საუკუნის დასაწყისში ისლამური რადიკალიზაციის გაძლიერება განხილული იყოს, როგორც იდენტობასთან დაკავშირებული პრობლემა, თუ

საქმე წმინდად რელიგიურ ფენომენთან გვაქვს? ეს ჩვენი დროის სოციოლოგიის, მოდერნიზაციითა და გლობალიზაციით გამოწვეული ძვრების თანამდევი პროდუქტია, თუ ცალკეული რელიგიისათვის დამახასიათებელი თვისების ეპოქისაგან დამოუკიდებელი გამოხატულება? ამ კითხვებზე პასუხის გაცემას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ისლამური რადიკალიზაციის პრობლემასთან გამკლავების პრაქტიკული მეთოდების შემუშავებისთვის.

ამავე დროს, უნდა აღვნიშნოთ, რომ როისა და კეპელის განსხვავებული ინტერპრეტაციები ერთმანეთს არ გამოირიცხავს და შესაძლებელია მათი კომპლემენტარული გამოყენება. ოლიგიე როი თვლის, რომ მსოფლიოში მცხოვრებ მუსლიმთა უმეტესობა შორსაა რადიკალიზაციისაგან, რაც ნამდვილად ასეა. შესაბამისად, ექსტრემიზმის გამოვლინებები ინდივიდუალურ პარამეტრებთან და სოციალურ პირობებთანაა დაკავშირებული. ამავე დროს, მართალია კეპელიც, რომელსაც ახალგაზრდა ევროპელი მუსლიმების მაგალითი მოჰყავს, უკმაყოფილების საფუძველზე არა ანარქისტები ან კომუნისტები, არამედ ისლამის სპეციფიკური მიმდინარეობის მიმდევარი ჯიჰადისტები რომ ხდებიან ისლამის ინტერპრეტაციის გავლენა მათ მიერ არჩეულ ბრძოლის მეთოდებშიც ჩანს: რადიკალიზირებულთა წინა თაობების წარმომადგენლები ერიდებოდნენ თავის აფეთქებებს და სხვა ფორმის სუიციდურ ტერორისტულ აქტებს. ამ მეთოდოლოგიის ცვლილებაც სპეციფიკური იდეების გავლენით აიხსნება

სოციალური ცვლილებები და იდეოლოგია პარალელური ფაქტორები იყო ევროპული ნაციონალიზმის შემთხვევაშიც. იდენტობის ტრადიციული ფორმების რყევამ საფუძველი ჩაუყარა ნაციონალიზმს გერმანიასა და სხვა ევროპულ ქვეყნებში თუმცა ეს არ იყო ერთადერთი ფაქტორი, რომელსაც ადოლფ ჰიტლერისა და მისი ნაციონალ-სოციალისტური პარტიის გამორჩეულად აგრესიული და ექსტრემისტული ნაციონალიზმის აღზევება შეიძლება დავაბრალოთ. მსგავსი სოციალური ცვლილებები სხვა ქვეყნების – საფრანგეთის, აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის – მოსახლეობებმაც განიცადეს. რადიკალური ნაციონალიზმის დოქტრინები ამ ქვეყნების მოქალაქეებისთვისაც მიმზიდველი ჩანდა, თუმცა არსად მოუპოვებია გერმანიის მსგავსი მხარდაჭერა ნაციონალიზმისთვის.

მოძრაობის გამარჯვებისთვის საჭირო აღმოჩნდა პიტლერის მსგავსი გამორჩეული პოლიტიკური ანტრეპრენიორისა და იდეოლოგის და გერმანიაში 1920-30-იანი წლების ყოვლისმომცველი ეკონომიკური კრიზისის დამთხვევა.

30-იანი წლების გერმანიის მსგავსად, დღევანდელ ახლო აღმოსავლეთშიც ბევრი მუსლიმი განიცდის იდენტობის კრიზისს, რომლის გადასაწყვეტად და კითხვაზე „კინ ვარ მე?“ პასუხის საპოვნელად რელიგიისაკენ იბრუნა პირი. ამ ფენომენის უწყინარი ფორმა სამსახურში ჰიჯაბით სიარული ან პლაჟზე ბურკინით გასვლაა თუმცა, სხვა შემთხვევაში, ის პოლიტიკური აქტივიზმისა და ტერორიზმის საშიში და ძალადობრივი ფორმებით შეიძლება გამოიხატოს. 21-ე საუკუნის დასაწყისში გავრცელებული მუსლიმთა იდენტობის ექსტრემისტული ფორმები ისეთივე შეუთავსებელია საერთაშორისო მშვიდობასთან, როგორც მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის ნაციონალისტური დოქტრინები იყო.

ამგვარად, ნაციონალიზმიცა და ისლამიზმიც იდენტობის პოლიტიკის სახეობებად შეიძლება განვიხილოთ. ეს პოსტულატი სრულად ვერ გამოხატავს ამ ფენომენთა კომპლექსურ და სპეციფიკურ ხასიათს, თუმცა გვერდს ვერც მათ შორის არსებულ ბევრ მსგავსებას ავუვლით. ორივე მათგანი ტრადიციული, იზოლირებული, აგრარული საზოგადოებების თანამედროვე საზოგადოებებად გარდაქმნის და თანამდევი სოციალური ცვლილებების დროს გამოჩნდა მსოფლიო სცენაზე. ორივე მათგანი გვთავაზობს იდეოლოგიას, რომელიც ადამიანის მარტოობისა და დაბნეულობის მიზეზებს ხსნის ორივე მათგანი იყენებს ვიქტიმიზაციას როგორც კაპიტალს და ინდივიდთა უბედურ მდგომარეობაში ჩაგდებას გარე ძალებს აბრალებს. ორივე მათგანს ადამიანური ღირსების აღიარება შეზღუდული ფორმით სურს არა ყველასთვის, არამედ მხოლოდ გარკვეული ნაციონალური ან რელიგიური ჯგუფის წევრთათვის.

მცდარი მისამართი

21-ე საუკუნის მეორე ათწლეულის გლობალური პოლიტიკის ერთ-ერთი ნიშანდობლივი მახასიათებელი იმ ახალი პოლიტიკური ძალების ბუნებაა, რომლებიც გადამწყვეტ გავლენას ახდენენ ამ პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე. ეს ძალები ნაციონალისტური და რელიგიური დღის წესრიგის მეორე პოლიტიკური პარტიები და პოლიტიკოსებია. მათ ჩაანაცვლეს მე-20 საუკუნის განმავლობაში პოლიტიკური ჰეგემონიის მეორე მემარცხენე, საზოგადოების კლასობრივი ხედვის მეორე პოლიტიკური პარტიები.

ნაციონალიზმის თავდაპირველი გაღვივება ინდუსტრიალიზაციასა და მოდერნიზაციას უკავშირდება. თუმცა დღევანდელ მსოფლიოშიც უდაოდ ანგარიშგასაწევ ფენომენს წარმოადგენს და მყარ პოზიციებს ინარჩუნებს იმ ქვეყნებშიც კი, რომლებსაც ინდუსტრიალიზაციის ხანგრძლივი ისტორია და მაღალი დონე ახასიათებს. ნაციონალისტ და პოპულისტ ლიდერთა ახალი თაობა არჩევნებით მოპოვებულ დემოკრატიულ ლეგიტიმაციას იჩემებს, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ეროვნულ სუვერენიტეტსა და ეროვნულ ტრადიციებს და მათ დაცვას „ხალხის“ სასიცოცხლო ინტერესად თვლის. ამ ლიდერთა შორის არიან პუტინი რუსეთში, ერდოღანი თურქეთში, ორბანი უნგრეთში, კაჩინსკი პოლონეთში და დონალდ ტრამპი ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომლის საარჩევნო სლოგანები იყო „დავბრუნოთ ამერიკას წარსული დიდება“ და „ამერიკა უპირველეს ყოვლისა“. ბრეგზიტის მოძრაობას გამოკვეთილი ლიდერი არ ჰყოლია, თუმცა მისი ძირითადი იმპულსი ასევე ეროვნული სუვერენიტეტის

განმტკიცების მოთხოვნა იყო. ჩასაფრებულები და მოქმედებისთვის მზადყოფნაში არიან საფრანგეთის, პოლანდიისა და სკანდინავიის ქვეყნების პოპულისტური პარტიები ნაციონალისტური რიტორიკის გამოყენებით სხვა პოლიტიკურმა ლიდერებმაც გამოიჩინეს თავი. ინდოეთისა და იაპონიის პრემიერ-მინისტრები ნარენდრა მოდი და შინძო აბე არ თაკილობენ ნაციონალისტურ დღის წესრიგთან სიახლოვეს. ნაციონალიზმი არ ეუცხოვება სი ძინპინსაც, რომელმაც ხაზი გაუსვა ჩინური სოციალიზმისთვის დამახასიათებელი მკაფიოდ ჩინური ნიშან-თვისებების მნიშვნელობას.

პარალელურ აღმასვლას განიცდიდა პოლიტიკურ ფენომენად ჩამოყალიბებული რელიგიაც. განსაკუთრებით ნათლად ეს არაბულ ახლო აღმოსავლეთში ჩანს სადაც ისლამისტურმა (მუსლიმთა საძმომ) და ტერორისტულმა (ისლამური სახელმწიფომ) ორგანიზაციებმა არაბული გაზაფხულის უზურპირება მოახდინეს. ერაყსა და სირიაში ბრძოლების შემდეგ, ისლამური სახელმწიფოს განადგურების მიუხედავად, ისლამისტური მოძრაობები ძლიერდება ბანგლადეშში, ტაილანდსა და ფილიპინებზე. ინდონეზიაში, დაუსჯელობით გათამამებული ისლამისტები თავს დაესხნენ ჯაკარტის პოპულარულ მმართველს, ქრისტიანული აღმსარებლობის ბასუვი ჩახაია პურნამას. რომელსაც მკრეხელობაში დასდეს ბრალი და არჩევნების მინიმალური სხვაობით წაგების შემდეგ ციხეში უკრეს თავი აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისლამი პოლიტიზირებული რელიგიის ერთადერთ შემთხვევას არ წარმოადგენს პრემიერ-მინისტრ ნარენდრა მოდის პარტია ბჰარატია ჯანატა ინდური ეროვნული იდენტობის ინდუისტურ ხედვაზე დაფუძნებული. სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში გააქტიურებულმა პოლიტიკური ბუდიზმის პრომელიტიზმმა კონფლიქტები წარმოშვა ადგილობრივ ინდუისტურ და მუსლიმურ ჯგუფებთან. დაძაბულობის კერები გაჩნდა შრი-ლანკასა და მიანმარში. რელიგიური ჯგუფები კონსერვატორთა კოალიციების ნაწილია ისეთ შემდგარ დემოკრატიებშიც კი, როგორც იაპონია, პოლონეთი ან ამერიკის შეერთებული შტატებია. ისრაელშიც, სადაც დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, პოლიტიკურ ცხოვრებაზე ყველაზე დიდ გავლენას ორი ევროპული ყაიდის იდეოლოგიური პლატფორმის მქონე პარტია ახდენდა (ლიქუდი

და ლეიბორისტული პარტია), რელიგიური პარტიები აღმასვლას განიცდიან, ისეთი პარტიები. როგორც შასი ან აგუდათ ისრაელია. ხმების სტაბილურად მზარდ რაოდენობას იღებენ.

ძველი ყაიდის, საზოგადოების კლასობრივ ხედვაზე დაფუძნებული შემარცხნე პარტიები მსოფლიო მასშტაბის კრიზისს განიცდიან, რაც მათი პოპულარობის მნიშვნელოვნად შემცირებაში გამოიხატა. კომუნიზმის იდეოლოგიამ თავი 1989-1991 წლებში ამოწურა, კომუნისტური რეჟიმები, გამონაკლისის სახით, ჩრდილოეთ კორეაში და კუბაზე შემორჩა. პოზიციებს თმობს სოციალ-დემოკრატიაც – მეორე მსოფლიო ომის შემდგომი დასავლეთევროპული პოლიტიკის ყველაზე ძლიერი მიმდინარეობა. გერმანელმა სოციალ-დემოკრატებმა 1998 წელს ამომრჩეველთა 40%-ის ხმები მოიპოვეს, 2016-ში კი 20%-ს დასჯერდნენ. საბედისწერო აღმოჩნდა 2017 წელი ფრანგი სოციალისტებისთვის. როცა მათი პარტია პრაქტიკულად დაიშალა 1993-2017 წლებში ევროპული ცენტრისტული და მემარცხენე პარტიების საარჩევნო შედეგები მთელი ევროპის მასშტაბით შემცირდა: ჩრდილოეთ ევროპაში 30%-დან 24%-მდე, 36%-დან 21%-მდე სამხრეთ ევროპაში და 25%-დან 18%-მდე ცენტრალურ ევროპაში. ეს პარტიები კვლავ მოქმედი და ანგარიშგასაწვეი პოლიტიკური ძალების სტატუსს ინარჩუნებენ, თუმცა ზოგადი ტენდენცია მრავლისმეტყველია¹⁶.

1990-იან წლებში საბაზრო ეკონომიკის ლოგიკის მიღების აუცილებლობამ ევროპულ მემარცხენე პარტიებს ცენტრისტული პოზიციების გამიარებისკენ უბიძგა. კოალიციებში გაერთიანებულ მემარცხენე და მემარჯვენე ცენტრისტებს ერთმანეთისაგან ცოტა რამ თუ ანსხვავებდათ. ცივი ომის ეპოქაში ახლო აღმოსავლეთი ბევრ კომუნისტური და მემარცხენე იდეოლოგიის პოლიტიკურ ჯგუფს ითვლიდა, სამხრეთ იემენში თვითგამოცხადებული კომუნისტური რეჟიმიც კი დამყარდა. თუმცა ცივი ომის დასრულების შემდეგ ამ ძალებმა მარჯინალიზაცია განიცადეს და ისლამისტურმა პარტიებმა ისინი უკან მოიტოვა. მემარცხენე პოპულისტებმა ყველაზე დიდ წარმატებას სამხრეთ ამერიკაში მიაღწიეს, სადაც 1990-იან და 2000-იან წლებში უგო ჩავესმა. ლუის ინასიო ლულა და სილვამ და კირშნერებმა ვენესუელაში, ბრაზილიასა და არგენტინაში მოიპოვეს ძალაუფლება. უგო ჩავესის მემკვიდრის,

ნიკოლას მადუროს მმართველობის მიერ ვენესუელის განადგურების პირას მიყვანამ ამ ტენდენციას საბოლოო წერტილი დაუსვა. დიდ ბრიტანეთში ჯერუმი კორბინის, ამერიკის შეერთებულ შტატებში კი ბერნი სანდერსის მზარდი ელექტორალური შედეგები ამ ტენდენციის გაგრძელების ნიშნებად შეიძლება მოგვეჩვენოს, თუმცა ფაქტია, რომ შემარცხენე პოლიტიკური პარტიები ახლოსაც კი არ დგანან იმ დომინანტურ პოზიციებთან რომლებიც მე-20 საუკუნის განმავლობაში ეკავათ.

შემარცხენე ძალების ასეთი მასშტაბური დასუსტება განსაკუთრებით გაუგებარია ბოლო სამი ათწლეულის მანძილზე სტაბილურად მზარდი გლობალური უთანასწორობის ფონზე მზარდ გლობალურ უთანასწორობაში იგულისხმება უთანასწორობის არა ქვეყნებს შორის, არამედ ცალკე ადამიანებს შორის. მნიშვნელოვნადაა შემცირებული მსოფლიოს ღარიბ და მდიდარ ქვეყნებს შორის განსხვავება, რამაც დიდი გავლენა მოახდინა აღმოსავლეთ აზიის, სამხრეთ ამერიკისა და სუბსაპარული აფრიკის ქვეყნების ეკონომიკური ზრდის გაუმჯობესებამ თუმცა, ამავე დროს. როგორც ეკონომისტმა თომას პიკეტიმ აჩვენა, 1980 წლის შემდეგ მნიშვნელოვნადაა გაზრდილი ქვეყნების შიდა უთანასწორობა: ეკონომისტ საიმონ კუზნეცის ფართოდ მიღებული თეორიის საპირისპიროდ, აღმოჩნდა, რომ განვითარებულ ქვეყანათა მოსახლეობის შემოსავლები არა კონვერგენტული, არამედ დივერგენტულია¹⁶. მსოფლიოს თითქმის ყველა რეგიონში გამოჩნდა მილიარდერებისაგან შემდგარი ოლიგარქების ახალი კლასი რომლებიც სიმდიდრეს პოლიტიკური მიზნების მისაღწევად საკუთარი საოჯახო ინტერესების დაცვისთვის იყენებენ²⁰.

ეკონომისტმა ბრანკო მილანოვიჩმა, მის ხშირად ციტირებულ „სპილოს დიავრამაში“, ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის ზრდა გლობალური შემოსავლის დისტრიბუციის განსხვავებულ სექტორებზე განაწილების მიხედვით გამოსახა. 1998-2008 წლებში, გლობალიზაციის და წარმოების პროდუქტიულობის გაუმჯობესების წყალობით, მსოფლიო სიმდიდრე მნიშვნელოვნად გაიზარდა. თუმცა ეს სიმდიდრე უთანასწოროდ გადანაწილდა

განვითარებულ ქვეყნებში, უთანასწორობა ყველაზე მკვეთრად ამერიკის შეერთებულ შტატებში და დიდ ბრიტანეთში გამოიხატა –

ორ ქვეყანაში, რომლებიც 1980-იან წლების. მარგარეტ ტეტჩერისა და რონალდ რეიგანის მიერ ინიცირებული, „ნეოლიბერალური“ საბაზრო ეკონომიკის განსამტკიცებელი რეფორმების სათავეში იდგნენ ამერიკის შეერთებული შტატების 1980-იანი და 90-იანი წლების მძლავრი ეკონომიკური ზრდის სარგებელი უთანასწოროდ გადანაწილდა და. ძირითადად, მოსახლეობის განათლებული ნაწილი გაამდიდრა ძველი ამერიკული მეშათა კლასი, რომელიც თავს საშუალო ფენის ბირთვად მოიხარებდა. სტაბილურად თმობდა პოზიციებს საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვლევის მიხედვით, 2000-2014 წლებში, გაუჩინარების პირას მდგომი საშუალო ფენის წარმომადგენლებში, ინდივიდთა რიცხვი, რომელთა შემოსავალი საშუალო შემოსავლის 50%-დან 150%-მდე მერყეობს 58%-დან 47%-მდე შემცირდა. მოსახლეობის 1%-ის მხოლოდ ერთმა მეოთხედმა მოახერხა უფრო მაღალი შემოსავლის კატეგორიაში გადანაცვლება. შოკისმომგვრელია მოსახლეობის იმ ნაწილის რაოდენობა, 3.5%, რომლის შემოსავალიც შემცირდა²¹. უთანასწორობის გაღრმავებას ხელი შეუწყო 2008 წლის ფინანსურმა კრიზისმა. ფინანსისტთა მანიპულაციებისა და სტრატეგიული შეცდომების შედეგად შექმნილი აქტივების „საპნის ბუბლის“ გახეთქვამ გააქრო როგორც შეერთებული შტატების, ისე სხვა ქვეყნების მილიონობით მოქალაქის სამუშაო ადგილები და ფულადი დანაშაულები.

ამ პირობებში ბევრი ელოდა შემარცხენე პოპულისტური პოძრაობების მომწაავრებას რაც განსაკუთრებით იმ ქვეყნებში იყო მოსალოდნელი, რომლებიც შემოსავლების უთანასწორო გადანაწილების კუთხით ლიდერობდნენ. საფრანგეთის რეფორმულიდანვე, შემარცხენე ძალებმა თავი განსაზღვრეს ეკონომიკური თანასწორობისთვის მებრძოლ პარტიად, რომელიც სახელმწიფო ძალაუფლებას სიმდიდრის მდიდართა და ღარიბთა შორის თანასწორი გადანაწილებისთვის გამოიყენებდა. მიუხედავად ამისა, კრიზისის შემდგომმა წლებმა საპირისპირო მოცემულობა აჩვენა – განვითარებული სამყაროს ბევრ ქვეყანაში მემარჯვენე, პოპულისტი ნაციონალისტები გაძლიერდნენ. ამის ყველაზე ნათელი მაგალითები დიდი ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები იყო. სადაც დეინდუსტრიალიზაციამ ძველი მეშათა კლასი გაანადგურა. ფინანსური კრიზისის შემდეგ ამერიკის შეერთებულ

შტატებში შემარცხენე იდეოლოგიის მოძრაობა „დაიპყარი უოლ სტრიტი“ და შემარჯვენე „ჩაის სმის“ პარტია გამოჩნდა. დემონსტრაციებისა და ხმაურიანი ქუჩის აქციების შემდეგ მოძრაობა „დაიპყარი უოლ სტრიტი“ თვალთახედვიდან გაუჩინარდა „ჩაის სმის“ პარტიამ კი რესპუბლიკელებსა და კონგრესის მნიშვნელოვან ნაწილზე მოახერხა კონტროლის დამყარება 2016 წელს შემარცხენე პოპულისტებსა და ნაციონალისტური დღის წესრიგის მქონე კანდიდატებს შორის ამომრჩეველთა არჩევანი, შემთხვევათა უმეტეს ნაწილში, ამ უკანასკნელთა სასარგებლოდ გაკეთდა

როგორ ავსხნათ უთანასწორობის გლობალური ზრდის ფონზე შემარცხენეთა დასუსტება და შემარჯვენე ნაციონალისტთა მიერ ამ ფენომენის ბევრად წარმატებული კაპიტალიზაცია? ეს ფენომენი არახალია. ას წელზე მეტი იქნება, რაც შემარცხენე ძალები ხელმოკლეთა და მუშათა კლასის ხმების მოპოვებისთვის ბრძოლაში ნაციონალისტებთან აგებენ. აგებენ იქ, სადაც მათი მხარდაჭერის ყველაზე მყარი საფუძველი უნდა იყოს. 1914 წელს, პირველი მსოფლიოს ომის დაწყებისას, ევროპული მუშათა კლასი არა სოციალისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ, არამედ თავიანთ ეროვნულ მთავრობათა გარშემო მობილიზდა. ამ ჩავარდნამ მარქსისტები შეცდომაში შეიყვანა. როგორც ერნესტ გელნერმა თქვა: „მთავარანგელოზ გაბრიელის შეცდომაში დარწმუნებულ შიიტ მუსლიმთა ნაწილი თვლის, რომ მან ალისთავის განკუთვნილი გზავნილი შეჰამედს მიუტანა. ანალოგიურად ფიქრობენ მარქსისტებიც, რომლებსაც სჯერათ კაცობრიობის ცნობიერების ისტორიული შეცდომის, სჯერათ რომ კლასებისთვის განკუთვნილი გამოსაფხიზლებელი გზავნილი, გაურკვეველ მიზეზთა გამო, ერებმა მიიღეს“²⁷.

თუ ამ ანალოგიას თანამედროვე ახლო აღმოსავლეთზე გადმოვიტანთ, მსგავსი გზავნილი, რომელიც სოციალური კლასებისთვის იყო განკუთვნილი, რელიგიებმა მიიღეს.

მიმდებარისთვის გზავნილის გადაცემისას დაშვებული შეცდომები გამონვეულია იმით, თუ როგორაა ადამიანურ ქცევაში ერთმანეთთან გადახლართული ეკონომიკური მოტივაციები და იდენტობის პრობლემები იყო ლატაკი. ნიშნავს იყო უჩინარი შენივე თანამოქალაქეებისათვის ამ შეუქმნევლობით გამონვეული რისხვა კი ხშირად მატერიალური რესურსის უქონლობაზე უარესია

უჩინარი კაცი

ეკონომისტები მიიჩნევენ, რომ ადამიანის მოტივაცია „სარგებლის“ და „შელავათების“ ცნებებთანაა დაკავშირებული და მას მატერიალური რესურსებისა და საქონლის დაუფლების სურვილი ამოძრავებს ისინი არ ითვალისწინებენ თიშოსს. ადამიანის შინაგანი არსის ნაწილს, რომელიც ინდივიდს სხვების მიერ აღიარებისა და დაფასების სურვილს უყალიბებს თიშოსი შეიძლება გამოიხატოს იზოთიმიის ფორმით, რაც თანასწორად აღიარებას გულისხმობს, ან მეგალოთიმიის ფორმით, რაც სხვებზე უპირატესად აღიარებისაკენ მოსწრაფებაა. იმის დიდი ნაწილი, რასაც, ჩვეულებისამებრ, მატერიალურ გამორჩენაზე დამყარებულ ეკონომიკურ მოტივაციად მივიჩნევთ. სინამდვილეში თიშოსური ბუნებისაა და საკუთარი ღირსების სხვების მიერ აღიარების, სოციალური სტატუსის დამკვიდრების მცდელობაა.

მაგალითად ავიღოთ თანაბარი ანაზღაურების საკითხი, რომელიც ქალთა უფლებებისთვის მებრძოლთა დღის წესრიგის ერთ-ერთი მთავარი საკითხი იყო ათწლეულების განმავლობაში. ბოლო 50 წლის მანძილზე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ქალების, როგორც დასაქმებულთა, მდგომარეობა. ამავე დროს, ყურადღების ცენტრში მოექცა ის მუშის უჩინარი ბარიერი, რომელიც მათ გზას უღობავს მენეჯმენტის უმაღლესი დონის პოზიციებისაკენ რის მაგალითადაც სახელდება სილიკონის ველის ტექნოლოგიური კომპანიების ტოპ-მენეჯმენტის კომპიციებზე მათი ნაკლებობა.

თანამედროვე ფემინიზმის დღის წესრიგის დიდი ნაწილი შექმნილია არა მუშათა კლასის, მეხანძრედ ან მებღავურად დასაქმების ძიებაში მყოფი, არამედ უმაღლესი განათლების მქონე, პროფესიონალი ქალების მიერ, რომლებიც სოციალური იერარქიის უმაღლესი საფეხურების დაკავებას ისახავენ მიზნად

რა არის იმ ხალხის ნამდვილი მოტივაცია, რომელიც თანაბარი ანაზღაურების მოთხოვნას კვებავს? ვერ ვიტყვით, რომ ეს მიზეზები ეკონომიკური ხასიათისაა. ქალი ადვოკატი, რომელიც იურიდიულ ფირმაში პარტნიორის სტატუსს აღწევს ან ვიცეპრეზიდენტად ინიშნება, ვერ ჩაითვლება მატერიალურად შემზღვეულად იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის მამაკაც კოლეგებზე 10%-ით ნაკლებ ანაზღაურებას იღებს. ასეთი ქალი, დიდი ალბათობით, ქვეყნის მასშტაბით ყველაზე მაღალ ანაზღაურებად კატეგორიაშია და ეკონომიკური ხელმომჭირნეობის მინიმალური საფრთხე ემუქრება მისი და მამაკაცი კოლეგის ხელფასის ორჯერ გაზრდის შემთხვევაშიც. არათანაბარი ანაზღაურების პრობლემა გადაჭრილი ვერ იქნება.

შეგვიძლია ვივარაუდოთ რომ მსგავს შემთხვევებში პროტესტს არა ამა თუ იმ რესურსის ნაკლებობა არამედ უსამართლობა იწვევს: ხელფასი, რომელსაც ქალი ადვოკატი იღებს. მნიშვნელოვანია არა როგორც მატერიალური რესურსი არამედ როგორც მისი ღირსების საზომი მსგავსი ან უფრო დაბალი კვალიფიკაციის მამაკაცისთვის იგივე სამუშაოს შესრულებისთვის უფრო მაღალი ანაზღაურების შეთავაზება ერთგვარი განაცხადია, რომლითაც კომპანია ხაზს უსვამს მამაკაცი თანამშრომლის უპირატეს მდგომარეობას. ხელფასი აღიარების ინსტრუმენტია. თანაბარი ანაზღაურების შემთხვევაშიც. ქალი ხომ ისევე შეურაცხყოფილად იგრძნობს თავს თუ სასურველი თანამდებობის დაკავება მხოლოდ იმიტომ აკრძალება, რომ ქალია.

ეკონომიკურ ინტერესსა და აღიარებას შორის კავშირი კარგად ჰქონდა გააზრებული თანამედროვე პოლიტიკური ეკონომიკის ფუძემდებელს. ადამ სმიტს, წიგნში „მორალური გრძობების თეორია“. ადამ სმიტის დაკვირვებით, მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის ბრიტანეთშიც კი, მოსახლეობის ხელმოკლე ნაწილის

ნარმომადგენლები არ ცხოვრობდნენ უკიდურეს გაჭირვებაში. სიმდიდრის მოპოვებისკენ მათ სხვა მიზეზები ამოძრავებდა: „იყო დანახული და შემჩნეული ინვესტე სიმპათიასა და მოწონებას, ის უპირატესობებია, რომლებიც სიმდიდრეს მოაქვს. ჩვენ არა ცხოვრების გაადვილება ან სიაბოვნება, არამედ პატივმოყვარეობა გვამოძრავებს პატივმოყვარეობა ემყარება რწმენას, რომ ჩვენ ყურადღებას გვაქცევენ და მოვწონვართ.“

მდიდარი სიმდიდრით იწონებს თავს. მას ჰგონია, რომ მისდამი გარესამყაროს ყურადღება მისი სიმდიდრით არის გამომწვეული. კაცობრიობა მის მიმართ კეთილგანწყობილია და მის დადებით ემოციებს იზიარებს. რომლებსაც მას მისი მატერიალური მდგომარეობა ჰვრის... დარიბს კი პირიქით, სცხვენია საკუთარი ხელმოკლეობის. ის ფიქრობს, რომ მძიმე მატერიალური მდგომარეობა მას ან კაცობრიობის თვალთახედვის მიღმა აქცევს ან თუ შეამჩნიეს, მის გაჭირვებასა და მძიმე ყოფას თანაბიარი არ ჰყავს.“

„მდიდარი სიმდიდრით იწონებს თავს“. თუ ჩვენი თანამედროვე მილიარდერების სოციალურ კატეგორიას ავიღებთ და დავსვამთ შეკითხვას თუ რა ამოძრავებთ მათ პასუხად ნამდვილად არ გამოგვადგება, რომ არის რაღაც, რის უფლებასაც ისინი ვერ მისცემენ თავს, თუკი დამატებით ასი მილიონი დოლარი არ იშოვებს. მათ აქვთ უამრავი სახლი, უთვალავი იახტა და თვითმფრინავი. არა, მათ სხვა რამ იტაცებთ: ფრენის ბეკონის ნახატების ყველაზე სრული კოლექციის შექმნა, ტრანსატლანტიკურ რეგატაში გამარჯვება ან ყველაზე დიდი საქველმოქმედო ფონდის დაფუძნება. ამგვარად, მათი მიზანი არა სიმდიდრის განუსაზღვრელი რაოდენობა არამედ სხვა მილიარდერთა თანაბარი სტატუსის მოპოვებაა.

მსგავსი რამის თქმა შეიძლება გერმანიის, შვედეთის ან ამერიკის შეერთებული შტატების მსგავს განვითარებულ ქვეყნებში არსებულ სიღარიბეზე. როგორც კონსერვატორებს უყვართ ხოლმე შესხენება, ამერიკის შეერთებულ შტატებში სიღარიბის ბღვარს მიღმა მცხოვრები მოსახლეობა ინარჩუნებს მატერიალური კეთილდღეობის საკმაოდ მაღალ დონეს ფლობს ავტორანსპორტს. საყოფაცხოვრებო ტექნიკას აცვია „ეარ ჯორდანები“. მათი პრობლემა მსოფლიოს სხვა გეოგრაფიული

არეალის, მაგალითად, სუბსაპარული აფრიკის იმავე კატეგორიის მოსახლეობისაგან განსხვავებით, არა სავცების ნაკლებობა, არამედ ჭანჭ-ფუდით გამომწვეული ჭარბი წონაა

რა თქმა უნდა, ამერიკელთა ნაწილი მატერიალურად შეზღუდულია, რაც პირველ რიგში, ჯანდაცვის და განათლების სისტემით სარგებლობის ხელმიუწვდომლობაში გამოიხატება. მაგრამ სიღარიბის სიმძიმე, ყველაზე ხშირად, ღირსების დაკარგვად არის განცდილი როგორც ადამ სმიტი აღნიშნავდა, სიღატაკე ადამიანს „კაცობრიობის თვალთახედვიდან აქრობს“, მის მიმართ ქრება სოლიდარობის განცდა ეს კარგად იყო ნაჩვენები რაღაც ელისონის კლასიკად ქვეულ რომანში „უჩინარი კაცი“, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთიდან ჰარლემში გადაბარგებული შავკანიანი მამაკაცის ისტორიას მოგვითხრობს. ამერიკის ჩრდილოეთში ის რასიზმის სპეციფიკურ და განსაკუთრებით დამამცირებელ ფორმას აწყდება, რომლის მიხედვით, შავკანიანი ამერიკელები მათი თეთრკანიანი თანამოქალაქეებისთვის პრაქტიკულად უჩინარები იყვნენ. თეთრკანიანები მათ ცუდად კი არ ეპყრობოდნენ, არამედ საერთოდ ვერ აღიქვამდნენ ადამიანებად. წარმოდგინეთ, რომ შემდეგ ჯერზე ქუჩაში უსახლკაროს ფული ისე მიანოდოთ რომ ზედაც არ შეხედოთ, თვალი აარიდოთ მას: გამოდის, რომ თქვენ მას მატერიალურად ეხმარებით, თუმცა, ამავე დროს, არ აღიარებთ თანასწორ ადამიანად.

შემოსავალსა და ადამიანურ ღირსებას შორის არსებული კავშირი გვიჩვენებს თუ რატომ ვერ იქნება გარანტირებული უნივერსალური შემოსავალი ავტომატიზაციის გამო დაკარგული სამუშაო ადგილების პრობლემის გადაჭრა და სოციალური მშვიდობის დამყარების გზა იყო დასაქმებული ნიშნავს არა მხოლოდ მატერიალურ რესურსებზე წვდომას, ეს ასევე გულისხმობს, იყო სოციალური მიერ აღიარებული ინდივიდად, რომელიც სამოგადობისთვის ღირებული საქმით არის დაკავებული. მას, ვისაც ფულს არაფრის კეთებაში უხდია, სიამაყის საფუძველიც არ გააჩნია.

ეკონომისტი რობერტ ფრანკი ხაზს უსვამს კავშირს სიმდიდრესა და სტატუსს შორის და მიგვანიშნებს, რომ ეს უკანასკნელი არა

მისი აბსოლუტური, არამედ შედარებითი ღირებულების გამო ფასობს. ფრანკი ამ ფენომენს „პოზიციურ საქონელს“ უწოდებს: მინდა, ტესლა მყავდე, არა იმიტომ, რომ გლობალური დათბობა მაშფოთებს. არამედ იმიტომ, რომ მოდური და ძვირადღირებულია. ჩემი მეზობელი კი კვლავ BMW-ს ატარებს ადამიანური ბედნიერება, ხშირად, ჩვენს შედარებით სტატუსთან უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული, ვიდრე აბსოლუტურთან ფრანკის მიხედვით, სოცოლოგიურ გამოკითხვებში, მაღალი შემოსავლის მქონე ადამიანები თავს უფრო ბედნიერად თვლიან. დიდი ცდენებაა, ბედნიერების განცდა აბსოლუტური შემოსავლის დონეს დავეკავშიროთ. მაგრამ მონაცემებში უფრო დეტალური გარკვევის შემდეგ, განსხვავებული სურათი ჩანს ადამიანები, რომლებიც მსგავს შედარებით სტატუსს ფლობენ, ბედნიერების განცდის დონითაც ემთხვევიან ერთმანეთს, მიუხედავად მათი აბსოლუტური სიმდიდრის ოდენობისა. მაღალშემოსავლიანი ნიგერიელები ისეთივე „ბედნიერები“ არიან როგორც მაღალშემოსავლიანი გერმანელები. მიუხედავად მათ მატერიალურ მდგომარეობებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებისა. ადამიანი თავს გლობალურ კონტექსტში არ განიხილავს და საკუთარ მატერიალურ მდგომარეობას არა სიმდიდრის აბსოლუტურ მაჩვენებლებს, არამედ ლოკალურ გარემოში, მის გარშემომყოფთა მატერიალურ მდგომარეობას ადარებს?

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში მიღწეული პროგრესი საფუძველს იძლევა ვივარაუდოთ, რომ სოციალური სტატუსის ამოღებისაკენ სწრაფვა – მეგალოთიმია – ადამიანის ბიოლოგიიდან გამომდინარეობს დაკვირვების შედეგად გამოვლინდა, რომ პრიმატებს, რომლებიც მათი ლოკალური ჯგუფის იერარქიაში დომინანტურ პოზიციებს იკავებდნენ ან ალფა-მამრების სტატუსს აღწევდნენ, სეროტონინის მომატებული რაოდენობა აღენიშნებოდათ სეროტონინი ადამიანებში „კარგად ყოფნის“ და ხალისიანი მდგომარეობის განმსაზღვრელია. სწორედ ამიტომ, პრეპარატების ნაწილი (პროზაკი, ზოლოფტი), რომლებიც სეროტონინის თავიდან შეწოვის ინჰიბიტორები არიან, დაბალი თვითმეფასების სიმპტომებისა და დეპრესიის სამკურნალოდ გამოიყენება³.

ფსიქოლოგიური რეალობა მოწმობს, რომ თანამედროვე პოლიტიკის გარკვეული ასპექტები არა რესურსებზე, არამედ სტატუსზეა დამოკიდებული. ექსპერიმენტული ბიჰევიორისტული ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი მიგნება იყო ადამიანების დანაკარგისადმი განსაკუთრებული შენაძენზე უფრო მძაფრი, მგრძობელობა. ადამიანი გაცილებით მეტ ძალისხმევას გასწევს ასი დოლარის დაკარგვის თავიდან ასაცილებლად, ვიდრე დამატებითი ასი დოლარის გამოგნებად⁴ ამან შეიძლება ახსნას ის ისტორიული ფენომენი, რომელსაც სემუელ პანტინგტონი აღნიშნავდა: პოლიტიკური დესტაბილიზაციის გამოწვევ ძალებს ხშირად არა ყველაზე ხელმოკლე მოსახლეობა, არამედ საკუთარი სოციალური სტატუსის დაკარგვის მიმით შეპყრობილი საშუალო ფენები წარმოადგენენ. პანტინგტონი ციტირებს ალექსის დე ტოკვილს, რომელიც საფრანგეთის რევოლუციის აღწერისას ხაზს უსვამდა ფაქტს, რომ რევოლუცია არა უქონელი გლეხების, არამედ აღმავლობის გზაზე მდგომი საშუალო ფენის წამოწყებული იყო, რომელიც რევოლუციის წინა წლებში საკუთარი ეკონომიკური და პოლიტიკური პერსპექტივების დაკნინებით იყო აღშფოთებული ხელმოკლე ადამიანებს პოლიტიკური დემორგანიზაცია და ყოველდღიურ სარჩობზე ზრუნვა ახასიათებთ. ის ხალხი კი, რომელიც საკუთარ თავს საშუალო ფენად მიიჩნევს. უკეთესად ორგანიზებული და განათლებულია. მეტი დრო აქვს პოლიტიკური აქტივობისთვის და უფრო ადვილად მობილიზებადია. რაც კიდევ უფრო ნიშანდობლივია ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ მატერიალური მდგომარეობა მათ პოლიტიკური აქტივობის უფლებას აძლევს. ისინი საზოგადოებისთვის სასარგებლო სამსახურს ასრულებენ. პატრონობენ ოჯახებს და საზოგადოების წინაშე აღებული აქვთ ისეთი ვალდებულებები, როგორც გადასახადების პირნათლად გადახდაა მათი გადმოსახედიდან, ეს ყველაფერი სახელმწიფოს მხრიდან პაცივისცემისა და დაფასების ღირსია მათ იცინ, რომ ეკონომიკური პირამიდის მწვერვალზე არ არიან, თუმცა, ამავე დროს, ამაყობენ ფაქტით, რომ სახელმწიფოს ტვირთად არ აწვებიან და მათი გადარჩენა მთავრობაზე არ არის დამოკიდებული⁵. ადამიანები რომლებიც თავს საშუალო ფენას

მიაკუთვნიებენ. არ გრძობენ თავს საზოგადოების პერიფერიაზე პირიქით, ისინი თავს ეროვნული იდენტობის ბირთვად მოიაზრებენ.

საშუალო ფენის სტატუსის დაკარგვით შეიძლება აიხსნას თანამედროვე პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე დაპირისპირება და საზოგადოების პოლარიზაცია რომელიც ტაილანდში მოხდა. ქვეყნის მოსახლეობა ორ დაპირისპირებულ – „ყვითელ-პერანგიანთა“ და „წითელ-პერანგიანთა“ – ბანაკად გაიხლიჩა. „ყვითელ-პერანგიანები“ მოსახლეობის მაღალი ფენების ყოფილი წარმომადგენლები არიან, რომლებიც მონარქიასა და ტაილანდის შილიტარისტულ წრეებს უჭერენ მხარს. „წითელ-პერანგიანები“ კი პარტია „ტაი რაკ ტაის“ მხარდამჭერები არიან. მათი ლიდერი თავსინ შინავატრაა. ამ კონფლიქტს, რომელმაც 2010 წელს ბანგკოკის პარალიზება მოახდინა და „ყვითელ-პერანგიანთა“ მიერ მხარდაჭერილი სამხედრო გადატრიალება გამოიწვია, ალტერნატიული ხედვებიც გააჩნია არსებობს მოსაზრება, რომ დაპირისპირება იდეოლოგიურ ნიადაგზე მოხდა, რომლის მიზეზი თავსინ შინავატრას და მისი დის, 2011-14 წლებში ტაილანდის პრემიერმინისტრის, იინგლაკის მიერ სოფლად მცხოვრები ტაილანდელებისთვის განკუთვნილი რედისტრიბუციის ის პროგრამები იყო, რომლებიც ითვალისწინებდა სოფლის მეურნეობის კრედიტების რესტრუქტურირებას. სხვათა მოსაზრებით, კონფლიქტი კორუფციასთან ბრძოლას უკავშირდებოდა. მკვლევარ ფედერიკო ფერარას აზრით კი, ეს კონფლიქტი აღიარებისთვის ბრძოლა იყო. ტრადიციული ტაილანდური საზოგადოება მკაცრად სტრატეგივიცირებულია „ტაილანდურობის“, ბანგკოკის ელიტარული საზოგადოებისგან გეოგრაფიული და ეთნოლინგვისტური დაშორების მიხედვით სტაბილური ეკონომიკური ზრდის ათწლეულებმა ძლიერი რეგიონალური იდენტობის მქონე მოქალაქეების, თავსინის ამომრჩეველების რიცხვის ზრდა გამოიწვია, რაც მიუღებელი აღმოჩნდა ბანგკოკის ელიტებისთვის. პოლიტიკურად ყველაზე აქტიური მოქალაქეები ყველაზე ხშირად საშუალო ფენის წარმომადგენლები იყვნენ, რაც ხსნის, თუ რატომ გადაიქცა ერთი შეხედვით ეკონომიკური კონფლიქტი ნულოვანი ჯამის ტიპის კონფლიქტად, რომლის მამოძრავებელი ფაქტორი თიმოსი აღმოჩნდა⁶.

ამგვარად, საშუალო ფენის სტატუსის დაკარგვის ნარმოსახვითი საფრთხე შეიძლება მივიჩნიოთ იმ პოპულისტური ნაციონალიზმის გაძლიერების მიზეზად მსოფლიოს ბევრ რეგიონში. რომელსაც ადგილი 21-ე საუკუნის მეორე ათწლეულში აქვს.

ამერიკის შეერთებული შტატების მუშათა კლასის ბოლო რაოდენობაზე თაობას, რომელიც შეგვიძლია განვსაზღვროთ, როგორც საშუალო ან არასრული საშუალო განათლების მქონე მოსახლეობა, ბევრი სიძნელის გადატანა მოუწია. ეს სიძნელეები გულისხმობს არა მხოლოდ წინა თავებში განხილულ სამუშაო ადგილების შემცირებას, შემოსავლის სტაგნაციასა და ვარდნას, არამედ სოციალურ დეგრადაციასაც. ეს იმ შავკანიანი ამერიკელებით დაიწყო, რომლებიც სამხრეთის შტატებიდან ჩრდილოეთისაკენ, ჩიკაგოს, ნიუ-იორკის და დეტროიტის მსგავსი ქალაქებისაკენ დაიძრნენ 1970-იან წლებში. სადაც კვების, მეტალურგიულ და საავტომობილო მრეწველობაში გაჩენილი სამუშაო ადგილები დაიკავეს დეინდუსტრიალიზაციამ მრეწველობის ამ სექტორების დეგრადაცია გამოიწვია, მნიშვნელოვნად შემცირდა სამუშაო ადგილები და ბევრი მათგანი სამსახურის გარეშე დარჩა. ამ ტენდენციამ მძიმე დაღი დაასვა სოციალურ ფონს, გაიზარდა კრიმინალი, კრეკის მოხმარებამ ეპიდემიის სახე მიიღო, ოჯახური ცხოვრების გაუარესებამ კი სიღარიბეს მემკვიდრეობითი ხასიათი შესძინა⁷.

გასულ ათწლეულში, მსგავსი სოციალური დეგრადაცია მუშათა კლასის თეთრკანიან სეგმენტსაც შეეხო, რისი კონსტატაციაც პოლიტიკური სპექტრის ორ საპირისპირო პოლუსზე მყოფმა მკვლევარებმა – ჩარლზ მიურეიმ და რობერტ პიტმანმა – მოახდინეს⁸. ოპიოიდურმა ეპიდემიამ სოფლად მცხოვრებთა და მუშათა კლასის დიდი ნაწილი მოიცვა. 2016 წელს ნარკოტიკის ზედღობირებას სამოცი ათასზე მეტი ამერიკელი ემსხვერპლა. რამაც საგზაო შემთხვევებში დაღუპულთა რიცხვს გადააჭარბა. თეთრკანიან მამაკაცთა სიცოცხლის ხანგრძლივობა შემცირდა, რაც განვითარებული ქვეყნების შემთხვევაში არცთუ ხშირი მოვლენაა⁹ 35,6 %-მდე გაიზარდა მუშათა კლასის თეთრკანიან სეგმენტში მარტოხელა მშობელთან მცხოვრებ ბავშვთა რიცხვი¹⁰

თუმცა ახალი ნაციონალიზმის (რომელმაც დონალდ ტრამპი თეთრ სახლში შეიყვანა, დიდი ბრიტანეთი კი ევროკავშირიდან გამოიყვანა) აღზევების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი შესაძლოა უხილავობის განცდა ყოფილიყო. ამის თქმის საფუძველს ქეთრინ კრამერისა და არლი ჰოკჩაილდის ვისკონსინისა და ლუიზიანის კონსერვატორ ამომრჩეველთა ახალი კვლევების შედეგებიც გვაძლევს. ვისკონსინის ამომრჩეველთა უმეტესობა, რომელიც სოფლად ცხოვრობს და მხარი რესპუბლიკელ გუბერნატორ სკოტ უოკერს დაუჭირა, აცხადებს, რომ ვისკონსინის შტატის დედაქალაქ მედისონის და სხვა დიდი ქალაქების პოლიტიკურ ელიტებს უბრალოდ აღარ ესმით მათი და არც მათ პრობლემებს აქცევენ ყურადღებას. კრამერის ერთ-ერთი თანამოსაუბრის მიხედვით ვაშინგტონი „ცალკე ქვეყანაა... იქ აზრზე არ არიან, რა დღეშია დანარჩენი ამერიკა, საკუთარი თავის იქით ვერ იყურებიან“¹¹. მსგავსია „ჩაის სმის პარტიის“ ლუიზიანელი მხარდამჭერის კომენტარიც: „ლიბერალები ჩემნაირ ხალხს ზემოდან უყურებენ. N სიტყვის (Nigger) თქმა არ შეიძლებაო, გვეუბნებიან. კი, ბატონო, ჩვენც გვესმის, რომ შეურაცხყოფელია და არც გვინდა ამ სიტყვის ხმარება. მაშინ რატომ შეუძლიათ ლიბერალებს R სიტყვის (Redneck) ხმარება“¹²“.

საშუალო ფენის სტატუსის დაკარგვით შეშინებული და გაბრაზებული მოქალაქეები თავიანთ პრობლემებში ადანაშაულებენ როგორც მმართველ ელიტებს, ვისთვისაც უხილავები არიან ისე მათზე ხელმოკლე მოსახლეობას, რომლებიც, მათი აზრით, არ იმსახურებენ გადამეტებულ კეთილგანწყობას, რომლითაც ბოროტად სარგებლობენ. კრამერის მიხედვით, თანამოქალაქეთა მიმართ განცდილი რესენტემენტი უპირველესია რასაც განწყობით. ხალხის აზრით, მათი მდგომარეობის სიმძიმეში არა ზოგადი ეკონომიკური, პოლიტიკური ან სოციალური პროცესები, არამედ საზოგადოების ის ნაწილია დამნაშავე რომელიც ზიანის მოშტანი და უღირსია¹³ ჰოკჩაილდი „ამერიკული ოცნების“ მეტაფორას იყენებს, რომლის რიგში მდგარი რიგითი მოქალაქეები საზოგადოების ნაწილს – აფრო-ამერიკელებს, ქალებს, მიგრანტებს – ურიგოდ გასვლაში ადანაშაულებენ. ელიტებს კი მათი უღირსი საქცი-

ელის ხელის შეწყობაში. საკუთარ ქვეყანაში უცხო ხარ, ველარ ხვდები სხვები როგორ გიყურებენ. თუ არ იბრძოლებ. არც ყურადღებას მოგაქცევენ და არც პატივისცემით მოგეპყრობიან პატივისცემა რომ იგრძნო და პატივისცემ ადამიანად აღგიქვამდნენ, თავი წარმატებულ ვინმედ უნდა მიგაჩნდეს, წინ მიდიოდე. თუმცა. შენგან დამოუკიდებელი და უცნობი მიზეზების გამო, მუდმივად უკან იხევ¹⁴”.

ეკონომიკური სიღუბე ინიციაციების მიერ ხშირად არა მატერიალური რესურსების შეზღუდვად, არამედ იდენტობის დაკარგვად აღიქმება. მძიმე შრომა ადამიანს ღირსებას უნდა ანიჭებდეს, მაგრამ ამ ღირსებას არა მხოლოდ არ აღიარებენ, არამედ გმობენ კიდევ. მაშინ როცა ხალხს, ვისაც წესების დაცვა არ სურს, დაუმსახურებელი სიკეთეები ეძლევა. შემოსავალსა და სტატუსს შორის არსებული კავშირი ცხადყოფს თუ რატომ არიან რელიგიური ან ნაციონალისტური ჯგუფები ბევრად პოპულარულები იმ ჯგუფებში, რომელთა სიმპათიები მემარცხენე ძალებისკენ უნდა იხრებოდეს ნაციონალისტებს ყოველთვის შეუძლიათ, ეკონომიკური რესურსების შეზღუდვა იდენტობის და სტატუსის დაკარგვით ახსნან: „შენ ამ დიდი ერის სრულყოფილი ნევრი იყავი, თუმცა მიგრანტებმა, უცხოელებმა და შენი თანამემამულეებისგან შემდგარმა მმართველმა ელიტამ გააუარესეს შენი მღვთმარება. შენი სამშობლო შენ აღარ გეკვთვნის და საკუთარ ქვეყანაშიც კი პატივით არავინ გეპყრობა“. ასე მსჯელობენ რელიგიური აქტივისტებიც: „შენ იმ დიდი მრევლის ნაწილი ხარ, რომელსაც ურწმუნოებმა ცილი დასწამეს ეს დალატი არა მხოლოდ შენი გაღარიბების მიზეზია, ის ღმერთის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულიცაა შენ შეიძლება უხილავი იყო შენი თანამოქალაქეებისთვის მაგრამ ღმერთი ხედავს სინამდვილეში ვინც ხარ“.

სწორედ ამიტომ გახდა მიგრაცია ასეთი პრობლემატური საკითხი მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. მიგრაცია შეიძლება ეროვნული ეკონომიკისთვის სასიკეთო იყოს, ან კიდევ არა – ვაჭრობის მსგავსად. მიგრაციაც ჭაბურად შეფასდეს. თუმცა მისი სარგებელი მოსახლეობის ყველა ფენაზე ერთნაირად არ ნაწილდება. ასეა თუ ისე, მიგრაცია თითქმის ყოველთვის კულტურული იდენტობის

გადაგვარების საფრთხედ აღიქმება, განსაკუთრებით მაშინ, როცა საზღვრის გადამკვეთთა რიცხვი ბოლო ათწლეულების მასშტაბს აღწევს. როდესაც ეკონომიკური სიტუაციის გაუარესება სოციალური სტატუსის დაკარგვად აღიქმება, ადვილი გასაგებია, რატომ გახდა მიგრაცია ეკონომიკური ცვლილებების ინდიკატორი.

მემოთქმული მაინც ვერ სცემს სრულად პასუხს კითხვას, თუ როგორ გადაიბირეს მემარჯვენე ნაციონალისტებმა ის ამომრჩევლები, რომლებიც ტრადიციულად მემარცხენე პარტიებს აძლევდნენ ხმას, როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში, ისე ევროპაში. ევროპას ტექნოლოგიური ცვლილებებისა და გლობალიზაციით გამონვეული ეკონომიკური სიძნელეების გასაწინეიტრალებლად სოციალური უსაფრთხოების მნიშვნელოვანი მექანიზმები გააჩნია. მეტიც, პროგრესისტებმა, გარკვეულწილად, მოახერხეს თემური იდენტობის გარშემო მობილიზება მდიდარ კაპიტალისიკთა მხრიდან ექსპლუატაციისა და რესენტიმენტის საფუძველზე: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“. ამერიკის შეერთებულ შტატებში მუშათა კლასი სტაბილურად უჭერდა მხარს დემოკრატიულ პარტიას 1930-იანი წლებიდან მოყოლებული, ვიდრე რონალდ რეიგანის პრეზიდენტობამდე. ევროპული სოციალ-დემოკრატია პროუკავშირულ მოღვაწეობასა და მუშათა კლასის სოლიდარობაზეა დაფუძნებული.

თანამედროვე მემარცხენე ძალების პრობლემა იდენტობის იმ სპეციფიკურ ფორმებშია. რომლებიც მათი ყურადღების ცენტრში მოექცა. ეკონომიკურად ექსპლუატირებულთა და მშრომელთა ფართო ჯგუფებისადმი სოლიდარობის მაგივრად, ისინი ბევრად უფრო ვიწრო, სპეციფიკურად მარგინალიზებულ ჯგუფებზე კონცენტრირდნენ ეს ცვლილება ბევრად უფრო ზოგადი თემის ნაწილია, რომელიც თანამედროვე ლიბერალიზმის ევოლუციას ეხება სადაც უნივერსალური და თანასწორი აღიარების პრინციპი ცალკეული ჯგუფების სპეციფიკური აღიარების პრინციპად გარდაიქმნა.

ღირსების დემოკრატიზაცია

როგორც წინა თავებში ვნახეთ, მე-19 საუკუნის შემდეგ ღირსების ცნების ევოლუცია ორი სხვადასხვა მიმართულებით მიმდინარეობდა: ლიბერალური ინდივიდუალიზმისაკენ, რომელიც თანამედროვე ლიბერალური დემოკრატიების პოლიტიკური უფლებების ნაწილია, და კოლექტიური იდენტობებისაკენ, რომლებიც ეროვნებით ან რელიგიით შეიძლება იყოს დეტერმინირებული. იდენტობის კოლექტივისტურ გაგებათა პირველადი მიმოხილვის შემდეგ, დავუბრუნდეთ იდენტობის ინდივიდუალისტურ ხედვებს. ეს ხედვები დაედო საფუძვლად იდენტობის იმ ფორმას, რომელიც ჩრდილოეთ ამერიკისა და ევროპის ლიბერალურ დემოკრატიებში ჩამოყალიბდა.

ევროპის ქვეყნებში ღირსების დემოკრატიზაცია უკავშირდებოდა პოლიტიკური სისტემების ევოლუციას, რომლებიც მოსახლეობის უფრო და უფრო ფართო ჯგუფებს ანიჭებდნენ უფლებებს. 1788 წელს ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის რატიფიკაციისას, საზოგადოების პოლიტიკური უფლებების მქონე წევრებად მხოლოდ კერძო საკუთრების მქონე თეთრკანიანი მამაკაცები განიხილებოდნენ. სრულუფლებიან მოქალაქეთა წრე თანდათან იზრდებოდა და ეტაპობრივად მოიცვა თეთრკანიანი მამაკაცები საკუთრების გარეშე, შავკანიანები, ინდიელები და ქალები ამ კუთხით. ლიბერალურმა ინდივიდუალიზმმა ეტაპობრი-

ვად შეასრულა დემოკრატიზაციის დაპირება. თუმცა ამ დაპირების შესრულებამ კოლექტიური მიმართულებით ევოლუციასაც შეუწყო ხელი, რამაც, საბოლოო ჯამში, საკმაოდ მოულოდნელი შედეგი მოიტანა.

როცა პლატონის „სახელმწიფოში“ პირველად შევხვდით თიმოსის ცნებას და ღირსების აღიარების მოთხოვნილებას, აშკარა იყო, რომ ისინი ადამიანთა მხოლოდ ნაწილს ახასიათებდა. ეს ადამიანები, ძირითადად, მეომრების ჯგუფებს მიეკუთვნებოდნენ. ჯგუფებს, რომელთა წევრები შზად იყვნენ, საკუთარი სიცოცხლის ფასად დაეცვათ მათი თემი. შემდეგ ვნახეთ ღირსების უნივერსალიზაცია ქრისტიანულ ტრადიციაში, რომლის მიხედვით ყველა ადამიანს გააჩნია მორალური არჩევანის გაკეთების უნარი პროტესტანტული აზროვნების მიხედვით, ეს უნარი თითოეული ინდივიდის სულის განუყოფელი ნაწილია. უნივერსალური ღირსების კონცეფციის სეკულარიზაცია მოახდინა კანტმა რომელმაც ის, რაციონალურ მორალურ წესებად გარდაქმნა. ამ ყველაფერს რუსომ კომპლექსურობა შემატა: ადამიანის შინაგან არსს ბინარული მორალური არჩევანის გაკეთებაზე ბევრად მეტი შეუძლია, ის სავსეა ათასგვარი გრძნობითა და პირადი გამოცდილებით რომლებსაც საზოგადოება უთრგუნავს. ამ გრძნობებზე წვდომა და არა მათი დათრგუნვა გახდა მორალური იმპერატივი. ამგვარად, ღირსება დაეფუძნა ავთენტური შინაგანი არსის აღდგენას და საზოგადოების მიერ იმ შესაძლებლობების აღიარებას, რომლებიც თითოეულ მის წევრს გააჩნია. ლიბერალური საზოგადოება გაგებულ იქნა არა მხოლოდ პოლიტიკურ წყობად, რომელიც ინდივიდუალურ უფლებათა გარკვეულ რაოდენობას იცავდა არამედ საზოგადოებად, რომელიც თითოეული ინდივიდის თვითრეალიზაციას, შინაგანი არსის მაქსიმალურად გამომხატვას აქტიურად უწყობდა ხელს.

ქრისტიანულ ტრადიციაში ადამიანის შინაგანი არსი პირველცოდვის წყაროა, ისევე, როგორც მორალური არჩევანის, რომლის მეშვეობითაც ეს ცოდვა შეიძლება დაიძლიოს. ღირსება ეფუძნებოდა მორწმუნის უნარს, შინაგანი ცოდვილი მისწრაფებების

ხარჯზე, დამორჩილებოდა მისი სექსუალური და ოჯახური ცხოვრების, მეზობლებთან და მშართველებთან ურთიერთობის განმსაზღვრელ მორალურ წესთა ნაკრებს. დასავლეთის ქვეყნებში, საერთო რელიგიით განსაზღვრული მორალური პორტიზონის ერობიასთან ერთად შეუძლებელი გახდა მხოლოდ იმ ადამიანთა ღირსების აღიარება, რომლებიც ქრისტიანობის მიერ დადგენილ მორალურ წესებს ემორჩილებოდნენ. რელიგია დანახულ იქნა, როგორც კერპთაყვანისმცემლობისა და ცრურწმენის ფორმა და უპირატესობა მიენიჭა ადამიანის შინაგანი არსისა და ბუნების გამოხატვას, რომელიც შეიძლება, რელიგიური ნორმების დარღვევასაც კი ითხოვდეს.

ამ იდეების 21-ე საუკუნეში რეალიზაციის ილუსტრაციად შეიძლება გამოდგეს თვითშეფასების ამალღებისა და სოციალური პასუხისმგებლობის ხელშეწყობის კალიფორნიის სამუშაო ჯგუფის" მოღვაწეობა, რომელმაც 1990 წელს ვრცელი საგანგებო მოხსენება გამოაქვეყნა. სამუშაო ჯგუფი კალიფორნიელი კანონმდებლის, ჯონ ვასკონსელოსის ქმნილება იყო. ვასკონსელოსზე დიდი გავლენა მოახდინა ადამიანის პოტენციალის განვითარების მოძრაობამ, რომელიც კალიფორნიის ყურეში 1960-იან წლებში "აგრძნობლად განვითარდა" ამ მოძრაობას ცნობილი „მასლოუს პირამიდის" ავტორის. ფსიქოლოგ აბრაჰამ მასლოუს იდეები დაედო საფუძვლად. იერარქიის პირველ საფეხურზე საკვებისა და სასმელის მსგავსი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებია. პირამიდის შუა საფეხურებზე ისეთი სოციალური მოთხოვნილებებია როგორც უსაფრთხოება და დაცულობა. იერარქიის მწვერვალზეა თვითაქტუალიზაციის" მოთხოვნილება როგორც მასლოუს უწოდა მას. მასლოუს ამტკიცებდა, რომ ადამიანთა უმეტესობას წარმოდგენა არ აქვს საკუთარი შესაძლებლობების მასშტაბზე თვითაქტუალიზაციისთვის კრიტიკული მნიშვნელობა ენიჭება თვითშეფასებას; დაბალი თვითშეფასების მქონე ადამიანები საკუთარ შესაძლებლობებსაც აკნინებენ იდენტობის თანამედროვე კონცეფციასთან თანხვედრაში მოდის ინდივიდის თვითაქტუალიზაციის პრიმატი საზოგადოების მოთხოვნილებებზე?

სამუშაო ჯგუფი საკუთარი თავის პატივისცემას ასე აღწერდა: „ცოცხალ ადამიანს თანდაყოლილი მნიშვნელობა აქვს. მნიშვნელობა, რომელსაც თავისუფლების დეკლარაციის ავტორებმა გაუსვეს ხაზი: „ადამიანებს შემოქმედმა თანდაყოლილი უფლებები მიანიჭა...". ყველა ინდივიდის თანასწორი ღირსების მქონე ადამიანად დანახვა ჩვენი ერის მორალური და რელიგიური მემკვიდრეობის ნაწილი იყო. ყველა პიროვნება უნიკალურია, სწორედ ამიტომ მიეცათ მათ ეს ძვირფასი და იღუმალის საჩუქარი – სიცოცხლე ის თანდაყოლილი ფასეულობაა, რომლის წართმევაც არცერთ მოწინააღმდეგეს და მტრულ გარემოს არ შეუძლია“.

როგორც მათ მოხსენებაში იყო აღნიშნული: „ჩემი მნიშვნელობისა და ღირებულების შეფასება არ არის დამოკიდებული ჩემი უნარების სხვა ადამიანების უნარებთან შედარებაზე. ყველა ადამიანის უნარები ძვირფასი და საჭიროა. საზოგადოებისთვის ყოველი ჩვენთაგანის წვლილი მნიშვნელოვანია.. მთავარია, გახდეს არა ვინმესთვის მისაღები ან რამის ღირსი, არამედ გააცნობიერო საკუთარი ღირსებები, რომლებიც თავისთავად არსებობს ჩვენი გრძნობები ამის ნაწილია და მათი მიღება ჩვენს თვითშეფასებას ამალღებს.. ჩვენი რასა, ეთნოსი და კულტურა აღნიშვნის ღირსია ჩვენ შეგვიძლია დავაფასოთ ჩვენი სხეული, სქესი. სექსუალობა შეგვიძლია მივიღოთ ჩვენი იდეები, გრძნობები და კრეატიულობა“.

ამ რამდენიმე წინადადებაში შეგვიძლია დავინახოთ იმ იდეების გამოხატვა, რომლებიც სათავეს ჟან-ჟაკ რუსოსთან იღებს. ყოველ ჩვენთაგანს გარემოსაგან დამალული შინაგანი არსი გააჩნია, რომელიც უნიკალურია და შემოქმედებითი ენერჯის წყაროს წარმოადგენს. ყველა ადამიანის შინაგანი არსი თანაბრად ძვირფასია, ადამიანის პიროვნება არა გონების, არამედ გრძნობების საშუალებით გამოხატავს თავს და ბოლოს, ადამიანის შინაგანი არსი საფუძველია ადამიანის ღირსებისა, რომელსაც დამოუკიდებლობის დეკლარაციის მსგავსი პოლიტიკური დოკუმენტები აღიარებენ. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს პოსტ-რუსოსეული იდენტობის კონცეფციის გამოხატულებაა

კალიფორნიის სამუშაო ჯგუფის მოხსენება შეიცავს მნიშვნელოვან შინაგან წინააღმდეგობას, რომელიც იზოთიმისა და მეგალოთიმის შორის თვისობრივი დაპირისპირების ამსახველია. მოხსენებაში ვკითხულობთ, რომ ყოველ ადამიანს შემოქმედებითი და უნარიანი შინაგანი ბუნება გააჩნია, ჩვენ მოგვიწოდებენ, არ განვსაჯოთ სხვები, არ შევადაროთ ჩვენი თავი სხვებს და არ შევხედოთ ჩვენს თავს სხვა ადამიანთა თვალთ, მათი სტანდარტით. ამავე დროს, მოხსენების ავტორებს მალევე უწევთ რეალობისთვის თვალის გასწორება: ადამიანის შინაგანი არსი ადვილად შეიძლება აღმოჩნდეს დაუნდობელი, ძალადობისკენ მიდრეკილი, ნარცისიზმით შეპყრობილი, ზარმაცი ან არაკეთილსინდისიერი. უნივერსალური თვითშეფასების მნიშვნელობის ხაზგასმის შემდეგ, მოხსენებაში ნათქვამია, რომ თვითშეფასება უნდა გულისხმობდეს „სოციალურ პასუხისმგებლობასა“ და „სხვათა პატივისცემას“ და კრიმინალი ამ ფაქტორების გაუთვალისწინებლობის პირდაპირი შედეგია. თვითშეფასების განუყოფელი ნაწილი უნდა იყოს „ხასიათის კეთილსინდისიერება“. რომელიც შედგება „პატიოსნების, ემპათიის, დისციპლინის, პატივისცემის, მიზანდასახულობის, ერთგულების, შენდობის უნარის ზრდილობის, სიკეთის, სიამაყისა და თავდაჭერილობისაგან“. თუმცა ჩვენს დროში ღირსეულს ვერ ვწოდებთ გარშემო მყოფ ყველა ადამიანს, შესაბამისად, ზოგიერთი მეთ პატივისცემას იმსახურებს, ზოგი – ნაკლებს. ჩვენ ვერასდროს ვცემთ მოძალადესა და მკვლელს ისეთსავე პატივს, როგორსაც პატიოსან მოქალაქეს.

შეხედულება, რომლის მიხედვითაც თვითშეფასების საფუძველი ადამიანის მიერ გარკვეული სოციალური წესების დაცვის უნარია. რაც ღირსებების ქონას გულისხმობს. ადამიანური ღირსების ტრადიციული გაგებაა. თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ ღირსეულ ადამიანთა რიცხვი შემლუღულია, თვითშეფასების ეს ხედვა ეწინააღმდეგება მოხსენების პოსტულატს საყოველთაო შინაგანი სიმდიდრის შესახებ. ეს წინააღმდეგობა მიგვითითებს იზოთიმისა და მეგალოთიმის შორის არსებულ ბუნებრივ დაპირისპირებაზე. ზოგიერთი ადამიანი მცირე დაფასებითაც კმა-

ყოფილია, ზოგს კი მეტი სჭირდება. თუ ინდივიდს სირცხვილის გრძობა არ გააჩნია (შესაბამისად, საკუთარი თავის პატივისცემაც დაბალი აქვს), როცა სხვებს ბოროტად ექცევა, ძნელი წარმოსადგენია, შემდეგ მათზე პასუხისმგებლობა იკისროს. მიუხედავად ამისა, სამუშაო ჯგუფის მოხსენებაში, ერთმანეთის მომდევნო პუნქტებში ვკითხულობთ რეკომენდაციას, რომლის მიხედვითაც შტატის საგანმანათლებლო სისტემამ „უნდა გაათავისუფლოს და არა განვრთნას“ და. ამავდროულად, „ხელი შეუწყოს პასუხისმგებლობის, როგორც ფასეულობისა და ხასიათის თვისების, დანერგვას“. ამ პუნქტების კითხვისას ადვილი წარმოსადგენია სამუშაო ჯგუფის ლიბერალ და კონსერვატორ წევრებს შორის კამათი, პირველები მეტი ინკლუზიურობისაკენ იხრებიან. მეორენი ამ ყველაფრის მოსალოდნელ შედეგებზე შფოთავენ

კალიფორნიის სამუშაო ჯგუფის მოხსენება გამოქვეყნებისთანავე დაცინვის ობიექტად იქცა. საზოგადოების ყველა წევრის თვითშეფასების ამაღლებისაკენ მიმართული ძალისხმევა, იმ დროს, როცა ვერ აყალიბებ, რას თვლი დასაფასებლად და პატივსაცემად, როცა ვერ არჩევ კარგ და ცუდ ქცევას, ბევრმა ადამიანმა არა მარტო შეუძლებელ, არამედ აბსურდულ ამოცანად ჩათვალა. მომდევნო წლებში ამ დღის წესრიგმა ბევრი არასამთავრობო და არაკომერციული ორგანიზაცია, სკოლა, უნივერსიტეტი და თავად კალიფორნიაც დააინტერესა. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვა ლიბერალურ დემოკრატიებში იდენტობის პოლიტიკის ასეთი წარმატების ერთ-ერთი მიზეზი საზოგადოებაში თვითშეფასებაზე ზრუნვის აუცილებლობის აღმოჩენა და ე. წ. „თერაპიის ტრიუმფი“ გახდა.

ეს უკანასკნელი 1966 წელს სოციოლოგ ფილიპ რიფის მიერ დანერგილ წიგნს ეხება, რომელშიც ავტორი ამტკიცებდა, რომ საზოგადოებრივი სივრციდან რელიგიის გაძევების და საერთო მორალური კორომონტის გაქრობის შემდეგ შეიქმნა უზარმაზარი სიცარიელე რომელიც ფსიქოთერაპიის, როგორც ახალი რელიგიის. ქადაგებით დაკავებულმა ფსიქოლოგებმა შეაგსეს. რიფის თქმით, ტრადიციული კულტურა „საკუთარი თავის

გარე სამყაროს სამსახურში ჩაყენების მოტივაციის სინონიმი, იმ საერთო მიზნების მისაღწევად, რომლებიც საკუთარი თავის რეალიზაციისა და დაკმაყოფილების ერთადერთი საშუალებაა. ასეთი ცხოვრების წესით არსებობა ადამიანს ცხოვრებისეულ მიზანს სძენს, აკავშირებს სხვა ინდივიდებთან, აჩვენებს მათ ადგილს სამყაროში, რაც, ერთობლიობაში, ერთგვარ თერაპიულ როლს ასრულებს. ეს გარე კულტურა ადამიანის შინაგანი არსის რკინის გალიად, ციხედ გამოცხადდა, ხალხს საკუთარი თავის გათავისუფლებისაკენ მოუწოდეს, მოუწოდეს, ყოფილიყვნენ „ავთენტურები“ და „მონდომებულები“, მაგრამ არ უთხრეს, თუ რის გასაკეთებლად უნდა ყოფილიყვნენ „მონდომებულები“. მღვდელმსახურების მიერ დატოვებული სიცარიელე თერაპიული ტექნიკით აღჭურვილი ფსიქოლოგებით შეივსო, რომლებიც „მანიპულირებადი „კარგად ყოფნის“ შეგრძნების გარდა არაფერს რისკავდნენ“. რიფის კრიტიკამ სათავე დაუდო სოციალურ საკითხებზე კომენტარის ახალ ჟანრს, რომლის შემდგომი კრიტიკის ობიექტი იდენტობის თანამედროვე მოდელი გახდა⁵.

თერაპიული მოდელი ფარული იდენტობის აღმოჩენის გარემო შეიქმნა. მიგმუნდ ფროიდმა ფსიქოლოგიური დასკვნები ვენელ ქალებზე დაკვირვებების შედეგად გააკეთა, რომლებსაც, როგორც თავად წერდა, ისტერიისგან კურნავდა. მის პაციენტთა მდგომარეობა ბუნებრივი სექსუალობის ინტენსიური ქვეცნობიერი დათრგუნვით იყო გამოწვეული ამ დათრგუნვას სათავეში, ფროიდის ევრმინოლოგიით, სუპერეგო ედგა. ადამიანის შიდა არსის ფროიდისეული აღწერა დროთა განმავლობაში შეიცვალა – ბავშვობაში ცუდად მოპყრობის მოგონებებიდან პროეცირებულ სექსუალურ ფანტაზიებამდე ორივე შემთხვევაში თერაპია გულისხმობდა იმ ცოდნის დაუფლებას, რომელიც პაციენტის მიმდინარე მდგომარეობას ახსნიდა. ადამიანის შიდა არსსა და საზოგადოებრივ მოთხოვნებს შორის დაპირისპირებაში ფროიდმა მორალური ნეიტრალიტეტი შეინარჩუნა და აღიარა ორივე მათგანის მოთხოვნათა საფუძვლიანობა თუმცა იგი, საჭიროების შემთხვევაში, ყოველთვის საზოგადოების მხარეს იყო.

მიუხედავად ამისა, ლაიონელ თრილინგის კლასიფიკაციით, ფროიდი „ნიღბის ჩამოსხნის“ მიმდინარეობის ნაწილი იყო. ეს მიმდინარეობა ეფუძნებოდა რწმენას, რომ „ყველა ადამიანური ფენომენის გარეგნული ფორმის მიღმა იმალება გასხვავებული რეალობა და ამ რეალობის ძალისმიერად დღის სინათლეზე გამოტანა ადამიანისთვის ინტელექტუალურად, პრაქტიკულად და (რაც მთავარია) მორალურად სასარგებლოა“. ფროიდის ბევრი მიმდევარი, მათ შორის ჰერბერტ მარკუზე და შესაბამისი ფსიქიატრიული ტრადიციის გამგრძელებლები, მასზე ბევრად ნაკლებად ნეიტრალურები იყვნენ და თავიანთ დანიშნულებას რეპრესიული საზოგადოებისგან ინდივიდის გათავისუფლებაში ხედავდნენ.

შინაგანი იდენტობის აფირმაცია დამოკიდებულია რუსოს განაცხადის სიმართლეზე, რომლის მიხედვით, ადამიანები კეთილშობილი არსებები არიან: მათი შინაგანი ბუნება განუსაზღვრელი შესაძლებლობების წყაროა და ადამიანური ბედნიერების მიღწევა დამოკიდებულია ამ შინაგანი არსის ხელოვნური სოციალური ზეგავლენებისაგან გათავისუფლებაზე. ეს ვარაუდი ადამიანის პოტენციალის განვითარების მოძრაობისა და კალიფორნიის სამუშაო ჯგუფის ამოსავალი იყო.

მაგრამ რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ რუსო ცდება და, როგორც ტრადიციონალისტი მორალისტები აცხადებენ, ადამიანის შინაგანი არსი ასოციალური, შავნებელი იმპულსებისა და ბოროტების სათავეა? ადამიანის პოტენციალის განვითარების მოძრაობის ზოგიერთი წარმომადგენელი მათ ერთ-ერთ წინაპრად ფრიდრიხ ნიცშეს მიიჩნევდა. ნიცშე დაუნდობლად გულახდილი იყო, როცა პიროვნული გათავისუფლების შესაძლო შედეგებზე საუბრობდა: ასეთმა გათავისუფლებამ ბედნიერი ეგალიტარული საზოგადოების ნაცვლად, შეიძლება, გზა გაუკვალოს პოსტქრისტიანულ მორალს, რომლის მიხედვით ძლიერი სუსტზე ბატონობს. გამოდის, რომ ადოლფ ჰიტლერი მხოლოდ და მხოლოდ თავის შინაგან ვარსკვლავს მიყვებოდა.

სწორედ მსგავს კრიტიკას გამოთქვამდა 1970-იანი წლების

ბოლოს კრისტოფერ ლამი. რომლის მტკიცებითაც, თვითშეფასების ამალღების ხელშეწყობამ არა ინდივიდთა შინაგან პოტენციალს. არამედ მახინგი ნარცისიზმის გამოხატვას გაუხსნა გზა ნარცისიზმს, რომელიც, მისი აზრით, ამერიკული საზოგადოების მახასიათებელი გახდებოდა. გათავისუფლებამ ხალხი, პოტენციალის რეალიზების მაგივრად ემოციური დამოკიდებულების მახეში მოაქცია: „მიუხედავად ყოვლისშემძლეობის პერიოდული ილუზიებისა, ნარცისის თვითშეფასება გარშემომყოფთა შეხედულებაზე დამოკიდებული. მას არ შეუძლია ალტაცებული აუდიტორიის გარეშე არსებობა“. ამას საგრძნობი უარყოფითი სოციალური შედეგები მოაქვს: „მაშინაც კი, როცა ფსიქოთერაპევტები პაციენტებისთვის „სიყვარულისა“ და „მნიშვნელობის“ საჭიროებაზე საუბრობენ, ისინი „სიყვარულისა“ და „მნიშვნელობის“ ქონაში პაციენტის ემოციური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას გულისხმობენ. მათ ძნელად თუ ესმით (ან კი როგორ გაიგებენ მათი თერაპიული საქმიანობის ბუნების გათვალისწინებით), რომ შეუძლიათ ადამიანი ნახალისონ, რათა მათ საკუთარი სურვილები და საჭიროებები გარშემომყოფებს, რაიმე მიზანს ან ტრადიციას მიუსადაგონ“.

ლაში ამტკიცებდა, რომ, ამერიკულ კონტექსტში, ნარცისიზმი, როგორც სოციალური ფენომენი, არა ფაშიზმს, არამედ ამერიკული საზოგადოების მასშტაბურ დეპოლიტიზაციას მოიხსენიებდა. სოციალური სამართლიანობისთვის ბრძოლას კი პირად ფსიქოლოგიურ პრობლემებამდე დაიყვანდა⁸. ლაში ეს დონალდ ტრამპის პოლიტიკაში გამოჩენამდე დიდი ხნით ადრე დაწერა. ტრამპის, როგორც პოლიტიკური ფიგურის მაგალითი მისი ვარაუდის თითქმის სრულყოფილი განსახიერებაა. ტრამპი პოლიტიკაში ნარცისიზმმა მოიყვანა, თუმცა პოლიტიკა მისთვის არა საზოგადოებრივი მსახურება, არამედ პირადი და შინაგანი საჭიროების დაკმაყოფილების საშუალებაა.

რიფი, ლაში და სხვა მორალისტები შეიძლება მართლებიყვნენ საზოგადოების თერაპიის გავლენის ქვეშ მოქცევის სოციალურ შედეგებზე მსჯელობისას. მაგრამ მაშინ, როცა ისინი თავიანთ მოსაზრებებს გამოთქვამდნენ, შეიქმნა სრულიად ახალი

ფსიქიატრიული პროფესია. რომლის წარმომადგენლები საკუთარ თავს არა მხოლოდ ბუნებრივ ფენომენტთა დამკვირვებელ მეცნიერებად ხელავდნენ, არამედ ექიმებადაც. რომელთა მიზანი და მოვალეობა პაციენტთა განკურნება და მათი ქმედითუნარიანობის გაუმჯობესება იყო. ჩვეულებრივმა ადამიანებმა, რომლებსაც სურდათ თავი უკეთ ეგრძნოთ, მათ მომსახურებაზე უზარმაზარი მოთხოვნა შექმნეს. ფროიდისეული ფსიქოანალიზი მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულებში სტაბილურ დადმასვლას განიცდიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. თუმცა მის საფუძველში არსებული თერაპიული მოდელი ძალას იკრებდა, ფსიქოლოგიურმა ტერმინოლოგიამ კი განვითარებული საზოგადოებების პოპულარულ კულტურაში დაიწყო შეღწევა. მაგალითად, 1980-იანი წლების ბრიტანულ განვითარებში ვერ შეხვდებით ტერმინს „თვითშეფასება“, 2000 წელს კი ეს სიტყვა უკვე 3300-ჯერ იყო გამოყენებული. ფართოდ გავრცელდა ფსიქოლოგიური კონსულტაცია, 1970-1995 წლებში ფსიქიკური ჯანმრთელობის პროფესიონალობა რიცხვი გაოთხმაგდა⁹.

თუ ფსიქოთერაპია რელიგიის შემცვლელად გადაიქცა, თავად რელიგიამ თერაპიის ფუნქციები შეითავსა. ეს ეხებოდა ამერიკის შეერთებული შტატების როგორც ლიბერალურ, ისე ევანგელისტურ ეკლესიას. რომელთა ლიდერებმა ივარაუდეს, რომ მათი მრევლის შემცირების დინამიკას შეაჩერებდნენ თუ ხალხს ფსიქოლოგიური კონსულტაციის მომსახურებას შესთავაზებდნენ. რობერტ შულერმა, ცნობილმა ტელეევანგელისტმა, რომლის ტელეშოუ მილიონობით მაყურებელს იზიდავდა, ხოლო კალიფორნიაში მდებარე მისი ტაძარი ერთ-ერთი უდიდესი იყო შეერთებულ შტატებში, დაწერა წიგნი სახელწოდებით „თვითშეფასება: ახალი რეფორმაცია“¹⁰. რიკ უორენმაც, რომლის ეკლესიის ბრდის მოძრაობამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ათასობით ევანგელისტურ ეკლესიაზე, მსგავსი ფსიქოთერაპიული მიდგომა აირჩია. მის მოძრაობაში ხაზგასმულია პასტორთა მიერ ურწმუნოთა „განცდილი საჭიროებები“ შეცნობის მნიშვნელობა. ფსიქოლოგიური ტერმინოლოგიის ასეთი პირდაპირი გამოყენება წინააღმდეგობაში მოდის ტრადი-

ციულ ქრისტიანულ დოქტრინასთან. შულერისა და კალიფორნიის სამუშაო ჯგუფის მსგავსად, უორენიც აკნინებს ცოდვის მნიშვნელობასა და ტრადიციული რელიგიების განსჯით ხასიათს. უორენის ლოგიკით, სახარება ერთგვარი გზამკვლევაა, რომლითაც ბედნიერება არა იმქვეყნად, არამედ სიცოცხლეშივე უნდა ვიპოვოთ¹¹. თუ ლუთერისეული ქრისტიანული ღირსების დაუფლება მძიმე ტვირთი და რჩეულთა ხვედრი იყო. უორენის მსგავსი ახალი ევანგელისტური მოძრაობები საყოველთაო ხასიათს ატარებს და ყველასთვის ხელმისაწვდომია.

ამერიკის შეერთებული შტატების მსგავსი შემდგარი ლიბერალური დემოკრატიების პოპულტურაზე ფსიქოთერაპიის ასეთი ძლიერი გავლენის შემდეგ, გარდაუვალი იყო ამ ფენომენის პოლიტიკაზე და, ზოგადად, სახელმწიფოს როლის გავებაზე ასახვა. მე-19 საუკუნის კლასიკური ლიბერალიზმის მიხედვით სახელმწიფო პასუხისმგებელი იყო სიტყვისა და შეკრების თავისუფლების მსგავსი საბაზიზო უფლებების და კანონის უზენაესობის დაცვაზე. ასევე სატრანსპორტო სამართალდამცავი და საგანმანათლებლო სერვისების მსგავსი ძირითადი საჯარო სერვისების უზრუნველყოფაზე. ანიჭებდა რა ინდივიდუალურ უფლებებს, ხელისუფლება „სცნობდა“ საკუთარ მოქალაქეებს, თუმცა მის ფუნქციებში არ შედიოდა თითოეული მოქალაქის კარგად ყოფნის უზრუნველყოფა.

ფსიქოთერაპიული მოდელის მიხედვით კი, ინდივიდის ბედნიერების განცდა დამოკიდებულია მის თვითშეფასებაზე, თვითშეფასება, თავის მხრივ, საზოგადოებრივი აღიარების თანმდევი პროდუქტია. თუ გავითვალისწინებთ, როგორ ეპყრობა ხელისუფლება საკუთარ მოქალაქეებს და როგორ საუბრობს მათზე, ლიბერალურმა საზოგადოებებმა ბუნებრივად და შესაძლოა, გარდაუვლადაც დაიწყეს პასუხისმგებლობის აღება თითოეული მოქალაქის თვითშეფასების ამაღლებაზე ჩვენ უკვე აღვნიშნეთ უზენაესი სასამართლოს მოსამართლე კენედის აზრი, რომ თავისუფლება არა უბრალოდ მთავრობის შეგავლენისაგან თავისუფლად ცხოვრების შესაძლებლობას გულისხმობს, არამედ ის „თითოეული ჩვენგანის უფლებაა. საკუთარი შეხედულებისამებრ

ჩამოვყალიბოთ არსებობის. სამყაროს, საკუთარი თავისა და ადამიანის სიცოცხლის დანიშნულება და აზრი“. სრულიად შესაძლებელია, ეს შეხედულება ესაღენის ინსტიტუტისა გეგონოთ.

ფსიქოთერაპიულმა მომსახურებამ ღრმად გაიდგა ფესვები არა მარტო კალიფორნიის, არამედ ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა ლიბერალური დემოკრატიების სოციალურ პოლიტიკაში. სახელმწიფოებმა ფსიქოლოგიური კონსულტაციის და ფსიქიკური ჯანმრთელობის სხვა ტიპის სერვისების შეთავაზება დაიწყეს, სკოლებმა კი – ფსიქოთერაპიის მიგნებების სასწავლო მეთოდოლოგიაში შეიქმნა. ეს ექსპანსია ეტაპობრივად მიმდინარეობდა რუზველტის „ახალი კურსის“ დაწყების შემდეგ. „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“ ჩამოყალიბებასთან ერთად. მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში დელინკვენტობის ან მოზარდთა ორსულობის მსგავსი სოციალური დისფუნქციები დევიაციურ ქცევად ფასდებოდა და ხშირად გასამართლებასა და სასჯელსაც იმსახურებდა. მე-20 საუკუნის შუა წლებში, ფსიქოთერაპიული მიდგომების განვითარებასთან ერთად, მათ უკვე იყენებდნენ სოციალურ პათოლოგიებად აფასებდნენ, რომლებიც ფსიქოლოგიურ კონსულტაციასა და ფსიქიკურ მკურნალობას საჭიროებდა. 1956 წელს სოციალური დაცვის აქტში შესული შესწორებების მიხედვით ფედერალურ ანაბლურებას ექვემდებარებოდა ფსიქოთერაპიული სერვისების გარკვეული სახეობები რაც ოჯახური სიმძვიცისა და თვითგანვითარების ხელშეწყობას ისახავდა მიზნად მსგავსი სუბსიდიები 1962 წელს გაიმართა 1972 წელს კი მსგავსი შესწორებების მოქმედება, ხელმოკლეთა გარდა, საშუალო ფენის წარმომადგენლებზეც გავრცელდა¹².

ფსიქოთერაპიული სოციალური სერვისების სწრაფმა გავრცელებამ კონსერვატორთა უკურეაქტია გამოიწვია, ნიქსონისა და რეიგანის საპრეზიდენტო ადმინისტრაციებმა შესაბამისი საბიუჯეტო შემცირებები განახორციელეს. მიუხედავად ამისა, მილიონობით რიგითი მოქალაქე ცხოვრებისეულ სიძნელეებზე უკვე ასეთი სერვისების მეშვეობით ეძებდა პასუხს და აღარ მიმართავდა ღვთისმსახურებს, მშობლებს, კომპანიებსა და ძალაუფ-

ლები ტრადიციულ მატარებლებს ფსიქოთერაპიის უბედურად ინსტიტუტების ვრცელი სპექტრი მოიცავს, მათ შორის არაკომერციული სექტორი, რომელიც სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სოციალური სერვისების მიწოდების ინსტრუმენტად იქცა¹³

უნივერსიტეტები ფსიქოთერაპიული რევილუციის წინა ხაზზე აღმოჩნდნენ მათი მდგომარეობის საილუსტრაციოდ 1987 წელს სტენფორდის უნივერსიტეტში საგან „დასავლეთის კულტურის“ სწავლების გამო მომხდარი ინციდენტი გამოდგება. არსებული კურსი თხუთმეტიოდე ტექსტს ეყრდნობოდა, მათ შორის ძველი აღთქმის, კომეროსის, ნეტარი აგვისტინეს მაკიაველის, გალილეის, მარქსის, დარვინისა და ფროიდის. მოწინააღმდეგეები სილაბუსის გაფართოვებას და მასში არათერაპიულ და ქალავტორთა ტექსტების შეტანას ითხოვდნენ. მათი აზრით ეს უნდა მომხდარიყო არა ტექსტების ხარისხისა და მნიშვნელობის გამო, არამედ თავად მათი შეტანის ფაქტი იქნებოდა სხვა კულტურათა ღირსების ამალღების მანიშნებელი და, შესაბამისად, დადებითად იმოქმედებდა იმ სტუდენტების თვითშეფასებაზე, რომლებიც ამ კულტურებს წარმოადგენდნენ.

კურიკულუმის ცვლილების მომხრეთა ჩვენებები ცხადყოფს მათ მოთხოვნათა საფუძველში არსებულ ფსიქოთერაპიულ მოტივს. მათ შორის იყო ბილ კინგი, სტენფორდის შაკანთან სტუდენტთა კავშირის თავმჯდომარე, რომელიც აცხადებდა: „მესმის, რომ პროფესორები იცავენ იმ ტრადიციას, რომელსაც სწორად თვლიან, მაგრამ ამ იდეების ყოველ ჩვენგანზე პროექცირება მძიმედ მოქმედებს იმათ ფსიქიკაზე, ვისაც პოზი, ლოკი ან პლატონი არაფერს ეუბნება, ისინი უბედურად ახალ სტუდენტებსა და ქალებს მათი ინტელექტუალური პერსპექტივის გაფართოების შესაძლებლობას, რომელიც მათ საშუალებას მისცემს, მიიღონ, როგორც იუმი, ისე იმპოტეპი, როგორც მაკიაველი, ისე ალ მაღილი, როგორც ჟან-ჟაკ რუსო, ისე მერი უოლსტონკრაფტი... ის, რომ დასავლეთის კულტურის პროგრამა, რომელიც ამჟამად სტრუქტურირებულია დასავლეთის, როგორც მხოლოდ საბერძნეთის ევროპის და ევრო-ამერიკის დრომოჭმული ფილო-

სოფიის გარშემო, არასწორია და უარესი კი ის გახლავთ, რომ ეს პროგრამა მენტალურად და ემოციურად დამაზიანებელია, რასაც არც კი აღიარებენ¹⁴.

კინგის ჩვენებაში ნიშანდობლივია კურიკულუმის გაფართოების აუცილებლობის მისეული არგუმენტაცია, რომელიც მთლიანად ფსიქოლოგიურ ხასიათს ატარებს: არსებული წესი უმცირესობათა და ქალთა „ფსიქიკას ანგრევს“ და „ეს პროგრამა მენტალურად და ემოციურად დამაზიანებელია, რასაც არც კი აღიარებენ“. საკითხავის უფრო ვრცელი სია ვერ იქნება ღირებული და აუცილებელი ცოდნის გადაცემის გარანტია, მაგრამ ასეთი სია აამალღებს მარგინალიზებულ სტუდენტთა თვითშეფასებას და თავს უკეთ აგრძნობინებს მათ¹⁵.

ფსიქოთერაპიული მოდელი იდენტობის თანამედროვე გაგებიდან აღმოცენდა. ის გულისხმობს, რომ ჩვენ გავაჩნია ღრმა შინაგანი სივრცეები, რომელთა შესაძლებლობები არ ხორციელდება და საზოგადოება რომელშიც ვცხოვრობთ და რომელიც თავს გვახვევს საკუთარ წესებს, როლებს და მოლოდინებს, პასუხისმგებელია ჩვენს შეგავებაზე. ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად საჭიროა, როგორც საკუთარი შინაგანი სივრცის ზონდირება, ისე რევილუციური დღის წესრიგი, რომელიც ამ შემთავებელი წესებისაგან გაგვათავისუფლებს. ფსიქოთერაპევტი არ არის დაინტერესებული ჩვენი შინაგანი სამყაროს სუბსტანციური შემადგენლობით ან იმით, თუ რამდენად სამართლიანია ჩვენს მიმართ საზოგადოება, მას მხოლოდ ის აინტერესებს, რომ მისმა პაციენტმა თავი უკეთ იგრძნოს, რისთვისაც მისი თვითშეფასების ამალღებაა საჭირო.

ფსიქოთერაპიული მოდელის აღმგებამ განვითარებულ ლიბერალურ დემოკრატიებში იდენტობის თანამედროვე პოლიტიკის დაბადებას შეუწყო ხელი. იდენტობის პოლიტიკა ყველგან ღირსების აღიარებისთვის ბრძოლაა. ლიბერალური დემოკრატიები საკუთარ მოქალაქეთა, როგორც ინდივიდთა, ღირსების თანაბრად აღიარების პრინციპს ეფუძნება. დროთა განმავლობაში, თანაბარი აღიარების ველი გაიზარდა, როგორც რაოდენობრივად (უფრო

და უფრო მეტი ინდივიდის მიენიჭა თანასწორუფლებიანი მოქალაქის სტატუსი), ისე ხარისხობრივად (აღიარების ცნების ცვლილებით, რომელიც არა უბრალოდ ფორმალური უფლება, არამედ საკუთარი თავის ნამდვილი პატივისცემა).

ღირსებამ დემოკრატიზაცია განიცადა, მაგრამ ლიბერალური დემოკრატიების იდენტობის პოლიტიკა იდენტობების ისეთ კოლექტიურ და არალიბერალურ ფორმებს დაუახლოვდა როგორებიც ერი და რელიგიაა, რადგანაც ინდივიდებს არა მათი ინდივიდუალობის, არამედ სხვებთან იგივეობის აღიარება სურდათ.

იდენტობიდან იდენტობებამდე

1960-იანი წლებში მსოფლიოს განვითარებულ ლიბერალურ დემოკრატიებში ახალი მძლავრი სოციალური მოძრაობები გაჩნდა. ამერიკის შეერთებულ შტატებში, სამოქალაქო უფლებებისთვის მოძრაობის წევრები დამოუკიდებლობის დეკლარაციასა და სამოქალაქო ომის შემდეგ მიღებულ კონსტიტუციაში რასობრივი თანასწორობის შესახებ ჩანაწერის სისრულეში მოყვანას ითხოვდნენ. მათ მალე მოჰყვა ქალთა თანასწორობისთვის მებრძოლი ფემინისტური მოძრაობა. ქალებისთვის თანაბარი პირობებისა და მოპყრობის მოთხოვნა განსაკუთრებით აქტუალური სამუშაო ბაზარზე ქალთა რიცხვის მნიშვნელოვანი ზრდის შემდეგ გახდა. პარალელურად მიმდინარე სექსუალურმა რევოლუციამ ოჯახისა და სექსუალობის ტრადიციული ნორმები დაამსხვრია. ეკოლოგიურმა მოძრაობებმა კი ადამიანსა და ბუნებას შორის ურთიერთობის გადაფასება გამოიწვია მომდევნო წლებში აღმოცენდება სოციალური მოძრაობები, რომლებიც შშმ პირთა, ინდიელთა, მიგრანტთა გვების, ლესბოსელთა და ტრანსგენდერთა უფლებებისთვის იბრძოლებენ.

ევროპაც მსგავსი სოციალური აფეთქების წინაშე იდგა, პროცესები განსაკუთრებით 1968 წელს საფრანგეთში მომხდარი მოვლენების შემდეგ დაჩქარდა. ფრანგი შემარცხენეები ძველ კომუნისტთა ბირთვის გარშემო იყვნენ ორგანიზებულნი, რომელთა მხარდამჭერთა შორის ჟან-პოლ სარტრი და სხვა ცნობილი ინტელექტუალები ირიცხებოდნენ მათი დღის წესრიგი

ინდუსტრიულ მუშათა კლასზე და მარქსისტულ რევოლუციაზე რჩებოდა ფოკუსირებული. 1968 წლის გამოსვლებისას ეს მემარცხენეთათვის ტრადიციული საკითხები იმ სოციალურმა პრობლემებმა ჩაანაცვლა, რომლებმაც ამერიკის შეერთებულ შტატებში ლაპარაკობდნენ უმცირესობათა და მიგრანტთა უფლებები, ქალების სტატუსი, ეკოლოგია და ა. შ. ევროპაში არსებული პრობლემების ფონზე პროლეტარული რევოლუცია რელიგიანტური აღარ ჩანდა. საფრანგეთის სხვადასხვა კუთხეში მომხდარი სტუდენტური საპროტესტო აქციები და საყოველთაო გაფიცვები გამოძახილს გერმანიაში, პოლანდიაში სკანდინავიასა და ევროპის სხვა ქვეყნებში პოპულარდნენ. მემარცხენეთა „1968-იანების თაობა“, ექსკლუზიურად კლასობრივ ბრძოლაზე ფოკუსირების მაგივრად, მარგინალიზებული ჯგუფების ფართო სპექტრის უფლებების დაცვაზე გადაერთო.

ეს სოციალური მოძრაობები ლიბერალურ დემოკრატიებში მცხოვრები ყველა მოქალაქის ღირსების თანასწორად აღიარებისკენ სწრაფვისაგან წარმოიშვა თუმცა დემოკრატიებმა ვერ შეძლეს ამ ამბიციური მიზნის სრულად მიღწევა: მიუხედავად იმისა თუ რას ამბობს კანონი, ხალხს ხშირად არა მათი უნარების ან ინდივიდუალური თვისებების მიხედვით აფასებენ არამედ იმის მიხედვით თუ რამდენად კარგი ჯგუფის წევრები არიან

სამწუხაროდ, მოქალაქეთა გარკვეული ჯგუფებისადმი მიკერძობული დამოკიდებულება წლების განმავლობაში იყო ასახული ამერიკის შეერთებული შტატების კანონებში, რომელთა მიხედვით შავკანიანი და თეთრკანიანი ბავშვები ერთ სკოლაში ვერ ივლიდნენ ან ქალებს არ ჰქონდათ ხმის მიცემის უფლება რადგანაც არასაკმარისად რაციონალურებად ითვლებოდნენ მიუხედავად სკოლების დესეგრეგაციისა და საყოველთაო ხმის უფლების შემოღებისა, საზოგადოება საკუთარ თავს მაინც განცალკევებულ ჯგუფებად აღიქვამდა. დისკრიმინაციის, მიკერძობის, მეურაცხყოფისა და გარიყულობის ფსიქოლოგიური ტვირთი სოციალურ ცნობიერებაში გამჭდარი რჩებოდა. ამას ხელს უწყობდა სოციალურ ჯგუფთა შორის განსხვავება ქცევისა და ტრადიციებში, მათ მატერიალურ მდგომარეობებში და მიღწეულ შედეგებში.

ახალი სოციალური მოძრაობები გაჩნდა საზოგადოებებში, რომლებიც უკვე იწყებდნენ იდენტობის კონცეფციის მიღებას

და რომელთა ინსტიტუტები უკვე ჩართულიყვნენ მოქალაქეთა თვითშეფასების ამაღლების ფსიქოთერაპიულ შისიაში. 1960-იან წლებამდე იდენტობასთან დაკავშირებული საკითხები მხოლოდ იმ ხალხს იტაცებდა რომლებიც საკუთარი ინდივიდუალური შესაძლებლობების გაუმჯობესებით იყვნენ დაინტერესებული. სოციალური მოძრაობების გამრავლებასა და გააქტიურებასთან ერთად, იმატა იმ ხალხის რიცხვმა, ვინც მათი სოციალური ჯგუფების ღირსების ამაღლების გზებზე დაიწყეს ფიქრი მსოფლიოს სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფთა კვლევამ აჩვენა, რომ ადამიანის ინდივიდუალური თვითშეფასება დამოკიდებულია იმ ეთნიკური ჯგუფის სოციალურ სტატუსსა და მდგომარეობაზე, რომელსაც ის მიეკუთვნება. შესაბამისად, პოლიტიკურმა ცვლილებამ პირადი ხასიათის ცვლილებები შეიძლება გამოიწვიოს¹. ყველა სოციალური მოძრაობა წარმოადგენდა ადამიანებს, რომლებიც, მოცემულ მომენტამდე, საზოგადოების ჩაგრული და უხილავი წევრები იყვნენ. ყოველ მათგანს აღიზიანებდა ეს უხილავი მდგომარეობა და საკუთარი შინაგანი სამყაროს საზოგადოებისთვის ღირებულების მქონედ აღიარებას ესწრაფოდა. ამ შემთხვევაში სიახლე მხოლოდ ტერმინოლოგიური იყო, ეს ჯგუფები ნაციონალისტური და რელიგიური იდენტობისთვის მებრძოლ წინამორბედთა ბრძოლის შედეგად იმეორებდნენ.

ყველა მარგინალიზებულ ჯგუფს აქვს არჩევანი. საკუთარი თავი იდენტობის ფართო ან ვიწრო გაგებით დაინახოს. ამ ჯგუფს შეუძლია საზოგადოებისაგან საკუთარი წევრებისთვის დომინანტი ჯგუფების მსგავსი მოპყრობა მოითხოვოს ან ისინი განსხვავებული იდენტობის მატარებლებად გამოაცხადოს და, შესაბამისად მათი, როგორც დანარჩენი საზოგადოებისგან განსხვავებული იდენტობის მქონე ადამიანების, პატივისცემა მოითხოვოს. დროთა განმავლობაში მეორე სტრატეგია უფრო წარმატებული აღმოჩნდა. სამოქალაქო უფლებების მოძრაობის არსებობის ადრეულ ეტაპებზე მარტინ ლუთერ კინგი უმცროსი შავკანიანთა თეთრკანიანებთან თანასწორუფლებიანობას ითხოვდა. ის არ უპირისპირდებოდა იმ წესებსა და ფასეულობებს, რომლებითაც თეთრკანიანები ხელმძღვანელობდნენ და არც სახელმწიფოს დემოკრატიული ინსტიტუტების შეცვლას ითხოვდა. 1960-იანი წლების ბოლოს გამოჩნდნენ „შავი პანტერების“ და „ისლანის ერის“

მსგავსი მოძრაობები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ შავკანიანებს საკუთარი ტრადიციები და ცნობიერება გააჩნდათ. მათ უნდა ეამაყათ იმით, რაც იყვნენ და არა იმით, რაც დანარჩენ საზოგადოებას უნდოდა, რომ ისინი ყოფილიყვნენ. შავკანიანთა ავტენტური შინაგანი არსი, რომელიც მტრულად განწყობილ თეთრკანიანთა საზოგადოებაში ცხოვრების გამოცდილებამ ჩამოაყალიბა, განსხვავდებოდა თეთრკანიანთა არსისგან. მათი ცხოვრებისეული გამოცდილება შედგებოდა რასიზმის, ძალადობისა და დამცირებისგან. მათ ვერასდროს გაუგებდა ხალხი, რომელიც იმავეს არ გამოცდიდა.

ეს მიდგომა შეიძლება შევამჩნიოთ მოძრაობაში „შავი სიცოცხლე ფასობს“. რომლის კრისტალიზაცია ნიუ-იორკში. ბალტიმორში, ფერგიუსონსა და შეერთებული შტატების სხვა ქალაქებში მომხდარი პოლიციის მიერ ძალის გადაშეყენების ფაქტებს მოჰყვა. ერთი გარნერის, მაიკლ ბრაუნის და პოლიციის სხვა მსხვერპლთა ცალკეული საქმეების სამართლიანი გამოძიების მოთხოვნებიდან, ეს მოძრაობა საზოგადოებისთვის შავკანიანთა ყოველდღიური ცხოვრების გაცნობის მსგავს, უფრო ზოგად ამოცანებზე ბრუნვამდე გადაართოდა. ტა-ნეჰსასი კოუტსმა და სხვა მწერლებმა თანამედროვე საზოგადოებაში პოლიციის მიერ შავკანიანთა მიმართ ძალის გადაშეყენების გახშირებული ფაქტები მონობისა და ლინჩის წესით გასამართლების ისტორიულ მოვლენებს დაუკავშირეს. მსგავსი ფაქტებით გაჭრებული შავკანიანთა ისტორიული მეხსიერება ნაწილია იმ ურთიერთგაგების უფსკრულისა, რომელიც შავკანიანებსა და თეთრკანიანებს ამორებს და რომელიც განსხვავებულ ცხოვრებისეულ გამოცდილებას ეყრდნობა?

მსგავს ევოლუციას ოლონდ უფრო სწრაფსა და მძლავრს, ადგილი ჰქონდა ფემინისტურ მოძრაობაშიც. სამოქალაქო უფლებების მოძრაობის მსგავსად, ფემინისტური მოძრაობა, ადრეულ ეტაპზე, ქალებისთვის განათლებაში, დასაქმებაში, სასამართლოსა და სხვა სფეროებში თანაბარი პირობების მოთხოვნაზე იყო ფოკუსირებული ფემინისტთა ნაწილი თავიდანვე თვლიდა, რომ ქალთა ცნობიერება და ცხოვრებისეული გამოცდილება ფუნდამენტურად განსხვავდებოდა მამაკაცურისაგან და, შესაბამისად, ფემინისტთა მიზანი ქალების მამაკაცთა მსგავსად ამროვნების და ქვევის ხელშეწყობა არ უნდა ყოფილიყო. სიმონ დე ბოვუარის 1949

წელს გამოცემულ ცნობილ წიგნში „მეორე სქესი“ ვკითხულობთ, რომ ქალთა სხეულზე და მათ ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე კრიტიკული გავლენა მოახდინა პატრიარქალურმა საზოგადოებამ და მამაკაცებისთვის შეუძლებელი იყო ამის გათავისება? ეს შეხედულება ბევრად ექსტრემალური ფორმით გამოთქვა სამართლის მკვლევარმა ქეთრინ მაკკინონმა, რომელმაც ერთმანეთს გაუპატიურება და სქესობრივი კავშირი შეადარა და გამოთქვა ამრი, რომ „ძნელი იყო მათი გარჩევა“ და სქესობრივი ძალადობის შესახებ არსებული კანონები მოძალადის პოზიციიდან იყო დანერგილი. მიუხედავად იმისა, რომ ამ კანონთა დამწერები არ იყვნენ მოძალადეები, „ისინი არიან წევრები იმ ჯგუფისა, რომელიც აუპატიურებს და ამას აკეთებს იმ მიზეზთა გამო, რომლებიც მათ საერთო აქვთ იმათთანაც კი, ვინც არ ძალადობს. ეს მიზეზებია მასკულიზობა და მასკულიზურ ნორმებთან თვითიდენტიფიკაცია“.

ამრი, რომლის მიხედვითაც ყველა ჯგუფს გააჩნია საკუთარი იდენტობა, რომლის გათავისება უცხოთათვის შეუძლებელია, ასახულია გამოთქმაში „გადატანილ გამოცდილება“, რომლის გამოყენება განსაკუთრებით გახშირდა 1970-იანი წლების შემდეგ³. აღსანიშნავია, რომ ამროვნების ამ ხაზს ჟან-ჟაკ რუსოსთან მივყავართ, რომლის მიერ „არსებობის განცდის ხაზგასმა უპირატესობას ანიჭებდა შინაგან გრძობებს და არა გარემოს, საზოგადოების წესჩვეულებებსა და შეხედულებებს

განსხვავება Erfahrung-სა და Erlebnis-ს შორის იგივეა, რაც „გამოცდილება“ და „ცხოვრებისეულ გამოცდილებას“ შორის. ეს უკანასკნელი ინგლისურ ენაში სიმონ დე ბოვუარის მეშვეობით მოხვდა: L'expérience vecue ანუ ცხოვრებისეული გამოცდილება „მეორე სქესის“ მეორე ტომის სათაური იყო. ქალთა ცხოვრებისეული გამოცდილება განსხვავდებოდა კაცთა ცხოვრებისეული გამოცდილებისგან. ქალთა გამოცდილების სუბიექტურობამ სხვა ეთნიკურ, გენდერულ, რასობრივ და ა. შ. ჯგუფთა და კატეგორიათა სუბიექტურობას მიანიჭა მეტი მნიშვნელობა. ცხოვრებისეული გამოცდილება განსხვავდებოდა ამ კატეგორიათა შორისაც: გუებისა და ლესბოსელების განსხვავდებოდა ტრანსგენდერების გამოცდილებისაგან, ბალტიმორში მცხოვრები შავკანიანი მამაკაცის ცხოვრებისეული გამოცდილება კი განსხვავდებოდა ალაბამას შტატში მცხოვრები შავკანიანი ქალია გამო-

ცდილებისაგან.

ცხოვრებისეული გამოცდილების ახალი მნიშვნელობა გრძელ-
ვადიანი მოდერნიზაციის ზოგად ბუნებას ასახავს, რომელმაც,
როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იდენტობის პრობლემის ჩამოყალი-
ბებას შეუწყო ხელი. მოდერნიზაცია კომპლექსური საზოგადოების
გამოჩენას უწყობს ხელს. ასეთ საზოგადოებას ახასიათებს შრომის
დანაწილების რთული სერუქტურა, პერსონალური მობილობა,
რომელიც საფუძვლად უდევს თანამედროვე საბაზრო ეკონომიკას
და სოფლიდან ქალაქისკენ მოძრაობა, რომელიც ხელს უწყობს
ერთმანეთის გვერდით მცხოვრებ მრავალფეროვან ინდივიდთა
პლურალიზმის ჩამოყალიბებას. თანამედროვე საზოგადოებებში
ეს სოციალური ცვლილებები სოციალურმა მედიამ და კომუნიკა-
ციის თანამედროვე ტექნოლოგიებმა გააღრმავა, რომლებმაც
მსგავს შეხედულებათა მქონე ადამიანებს, გეოგრაფიული მდებარე-
ობის მიუხედავად, ინტენსიური კომუნიკაციის საშუალება მისცა.
ასეთ სამყაროში, ცხოვრებისეული გამოცდილებები და, შესაბა-
მისად, იდენტობები ექსპონენტურად ვრცელდება ასევე სწრაფ
დაღმასვლას განიცდის დრომოჭმული „გამოცდილება“. რომელიც
განსხვავებულ ჯგუფებს შორის პერსპექტივებისა და გრძნობების
გაზიარების შესაძლებლობას გულისხმობს.

ფსიქოთერაპიის გავლენამ, რომელიც სკოლებმა, უნივერსი-
ტეტებმა, ჯანდაცვის ცენტრებმა და სხვა სოციალურმა სერვისებ-
მა განიცადეს, ისინი ხალხის ფსიქიკაზე და მატერიალურ მდგო-
მარეობაზე ბრუნვისთვის შეამზადა. 1970-იან და 80-იან წლებში,
რასობრივ უმცირესობათა და ქალთა თვითშეგნების გაძლიერე-
ბასთან ერთად, მზად იყო მათი მარგინალიზაციის გამოცდილების
გასაგებად საჭირო ტერმინოლოგია და თეორიული ჩარჩოები.
იდენტობა, რომელიც უნინ ინდივიდუალური საკითხი იყო, ახლა
ჯგუფების საკუთრებად იქცა, რომლებიც ცხოვრებისეული გამოც-
დილებით ჩამოყალიბებული მათთვის სპეციფიკური კულტურით
ხასიათდებოდნენ.

მულტიკულტურალიზმი აღწერდა საზოგადოებებს, რომლე-
ბიც დე ფაქტო არაერთგვაროვანი იყვნენ, თუმცა, დროთა განმავ-
ლობაში, ეს ცნება იმ პოლიტიკის აღმნიშვნელად გადაიქცა რომე-
ლიც ყველა კულტურისა და ცხოვრებისეული გამოცდილების
თანაბრად დაფასებას ცდილობდა და განსაკუთრებულ ყურადღე-

ბას წარსულში ჩაგრულებსა და შეუმჩნეველებს აქცევდა. თუ კლა-
სიკური ლიბერალიზმი თანასწორი ინდივიდების ავტონომიის
დაცვას ცდილობდა. მულტიკულტურალიზმის ახალი იდეოლოგია
ყველა კულტურის თანაბარ პატივისცემას ახალისებდა, იმ კულ-
ტურათა შემთხვევაშიც კი რომლებიც ინდივიდის თავისუფლებას
ზღუდავდნენ.

მულტიკულტურალიზმი თავდაპირველად ფრანკოფონი კანა-
დელების, მუსლიმი მიგრანტების ან აფროამერიკელების მსგავსი
ვრცელი კულტურული ჯგუფების განხილვისას გამოიყენებოდა.
ამ დიდი ჯგუფების უფრო მცირე და სპეციფიკურ, თავისებური
გამოცდილების მქონე ჯგუფებად ფრამენტიაციის შემდეგ გამო-
იკვეთა ჯგუფები. რომლებიც დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმის
გადაკვეთაზე იყვნენ, მაგალითად, ფერადკანიანი ქალები რო-
მელთა ცხოვრების გაგება ვერ მოხდებოდა მხოლოდ ერთი,
რასობრივი ან გენდერული, ფაქტორის გათვალისწინებით.

იდენტობის ყურადღების ცენტრში მოხვედრის ხელშეწყობი
კიდევ ერთი ფაქტორი იყო მასშტაბური სოციალურ-ეკონომიკური
ცვლილების მომხდენი პოლიტიკის წარმოების მზარდი სიძნელე
1970-იან და 1980-იან წლებში განვითარებული ქვეყნების პროგ-
რესული ჯგუფები ეგზისტენციალური კრიზისის წინაშე იდგნენ.
მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში მემარცხენეები მარქსიზმის
პრინციპებითა და მარქსის მიერ მუშათა კლასისთვის და პრო-
ლეტარული რევოლუციისთვის მინიჭებული გადაზნეუტი როლით
ხელმძღვანელობდნენ. მემარცხენე სოციალ-დემოკრატებს, რომ-
ლებისთვისაც, მარქსისტებისგან განსხვავებით, ლიბერალური
დემოკრატიის პრინციპები მისაღები აღმოჩნდა. განსხვავებული
დღის წესრიგი გააჩნდათ. ისინი ცდილობდნენ, რომ სოციალური
დაცვის მექანიზმებს მოსახლეობის მაქსიმალურად მრავალრი-
ცხოვანი კატეგორია მოეცვა. მემარცხენეები, როგორც მარქსის-
ტების ისე სოციალ-დემოკრატების შემთხვევაში, სოციალური და
ეკონომიკური თანასწორობის გაუმჯობესებას სახელმწიფოებრივი
ბერკეტების მეშვეობით ითვალისწინებდნენ ეს ეხებოდა, როგორც
თითოეული მოქალაქისთვის სოციალურ სერვისებზე წვდომის
შესაძლებლობას, ისე სიმდიდრისა და შემოსავლების ახლებურ
გადანაწილებას.

ამ სტრატეგიის ნაკლოვანება საუკუნის მიწურულსკენ გამოჩნდა საკუთარი რეჟიმების სანინალმდევოდ წასული ნიკიტა ხრუშჩოვისა და მიხეილ გორბაჩოვის ფონზე მარქსისტებს ჩინეთის და საბჭოთა კავშირის კომუნისტურ საზოგადოებათა გროტესკულ და სასტიკ დიქტატურებად ჩამოყალიბების ფაქტისთვის მოუწიათ თვალის გასწორება. ამავე დროს ინდუსტრიულად ყველაზე განვითარებული ქვეყნების მუშათა კლასი მდიდრდებოდა და თანდათან საშუალო ფენას უერთდებოდა კომუნისტური რევოლუცია და კერძო საკუთრების გაუქმება საბოლოოდ გამოირიცხა.

მსგავს ჩიხში შევიდნენ მემარცხენე სოციალ-დემოკრატებიც სოციალური დაცვის მექანიზმებით მოსახლეობის სრულად მოცვის პროცესი ფისკალური შეზღუდვების გადაუღახავ დაბრკოლებას წააწყდა. 1970-იანი წლების ეკონომიკურ სირთულეებს მთავრობებმა ფულის ბეჭდვით უპასუხეს, ამან ინფლაცია დააჩქარა და ფინანსური კრიზისი გამოიწვია. რედისკრიბუციის სოციალური პროგრამები ხელს უწყობდა მუშაობის, დანაშოვის და მენარმეობის ცნებათა დევალვაციას, ამით გამოწვეული ეკონომიკის უარყოფითი დინამიკა რედისკრიბუციისათვის ხელმისაწვდომი სახსრების რაოდენობას ამცირებდა ლინდონ ჯონსონის „დიდი საზოგადოების“ მსგავსი ნაბიჯების მიუხედავად, საზოგადოებაში ღრმად გამჭდარი უთანასწორობა კვლავაც მნიშვნელოვან პრობლემად რჩებოდა. 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლისა და 1978 წელს ჩინეთის საბაზრო ეკონომიკის შეტრიალების შემდეგ მარქსისტები, დიდწილად, გაქრნენ, სოციალ-დემოკრატებმა კი კაპიტალიზმთან საერთო ენის გამოხახვა არჩიეს. ვიეტნამის ომისა და უოტერგეიტის სკანდალის შემდეგ მემარცხენეები მთავრობის როგორც ინსტიტუტის, შესაძლებლობებით იმედგაცრუებაში მემარჯვენეებს შეუერთდნენ.

ფართომასშტაბიანი სოციალურ და ეკონომიკურ ცვლილებათა მოლოდინის შეცირება მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულებში მემარცხენეთა მიერ მულტიკულტურალიზმის და იდენტობის პოლიტიკის შეთავსებას დაემთხვა. მემარცხენე პოლიტიკური ძალები კვლავაც თანასწორობის პრინციპთან ასოცირდებოდნენ, თუმცა მათ დღის წესრიგში მუშათა კლასის მდგომარეობის საკითხის ცენტრალური ადგილი მარგინალიზებულ ჯგუფთა ხში-

რად ფსიქოლოგიური ხასიათის მოთხოვნებმა დაიკავა. გამოჩნდნენ აქტივისტები, რომლებიც ძველ მუშათა კლასს პრივილეგიურებულ კატეგორიად თვლიდნენ და მიგრანტთა და რასობრივ უმცირესობათა მსგავსი, უფრო მძიმე მდგომარეობაში მყოფი, ჯგუფების მიმართ გულგრილობაში ადანაშაულებდნენ. აღიარებისთვის ბრძოლა ახალ ჯგუფებსა და მათ უფლებებს ეხებოდა, ძველი მუშათა კლასი და ინდივიდებს შორის ეკონომიკური უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლა კი აღარავის აინტერესებდა.

მსგავსი რამ მოხდა საფრანგეთშიც, სადაც მემარცხენეებს ბევრად მეტი გავლენა ჰქონდათ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში. 1968 წლის მოვლენების შემდეგ, ძველი ყაიდის მარქსისტთა რევოლუციური მიზნები განახლებული ევროპისთვის არარელევანტური აღმოჩნდა მემარცხენეთა დღის წესრიგი კულტურაზე გადაერთო. დასამარცხებელი არა მუშათა კლასის ექსპლუატატორი არსებული პოლიტიკური სისტემა იყო, არამედ დასავლური კულტურა და ღირებულებები, რომლებიც შინ უმცირესობებს, გარეთ კი განვითარებად ქვეყნებს ჩაგრავენენ. კლასიკურმა მარქსიზმმა დასავლელ განმანათლებელთა ბევრი პოსტულატი მიიღო: მეცნიერებისა და რაციონალიზმის, ისტორიული პროგრესის, მოდერნიზაციისა და რაციონალიზმის, ისტორიული პროგრესის, მოდერნიზაციის საზოგადოებათა ტრადიციულ საზოგადოებებზე უპირატესობის რწმენა ახალი კულტურული მემარცხენეები კი პირიქით, უფრო ნიცშეანელები და რელატივისტები არიან, თავს ესხმიან ქრისტიანულ და დემოკრატიულ ღირებულებებს, რომლებსაც განმანათლებლობა ემყარებოდა. ისინი დასავლურ კულტურას კოლონიალიზმის, პატრიარქატის და ბენებრივი გარემოს განადგურების ინკუბატორად თვლიან. ამ კრიტიკულმა მიდგომამ ამერიკის შეერთებული შტატების უნივერსიტეტებში პოსტმოდერნიზმისა და დეკონსტრუქციის სახით შეაღწია

ევროპელები უფრო მულტიკულტურულები გახდნენ როგორც ფაქტობრივად, ისე პრინციპულად. მეორე მსოფლიო ომით გამოწვეულმა სამუშაო ძალის კატასტროფულმა ნაკლებობამ ევროპაში მიგრანტთა ძირითადად მუსლიმთა, მრავალრიცხოვანი თემის გაჩენას ჩაუყარა საფუძველი. ადრეულ ეტაპებზე, ამ თემის წევრი აქტივისტები მიგრანტებისა და მათი შვილებისთვის თანას-

წორეულებიანობას ითხოვდნენ, თუმცა სოციალური მობილობითა და ინტეგრაციის გზაზე უსასრულო დაბრკოლებებით მალევე იმედგაცრუებულნი დარჩნენ ევროპაში 1979 წლის ირანული რევოლუციითა და სალათისტური მეჩეთებისა და მადრასების საუდის არაბეთის მიერ მხარდაჭერით შთაგონებული ისლამისტები გამოჩნდნენ, რომლებიც მუსლიმებს დასავლურ სამოგადოებებში ინტეგრაციაზე უარის თქმისაკენ მოუწოდებდნენ, მათ საკუთარი კულტურული იდენტობა მათგანვე შექმნილი, მუსლიმებისთვის განკუთვნილი კულტურული ინსტიტუტების მეშვეობით უნდა შეენარჩუნებინათ. ევროპელ შემარცხენეთა დიდმა ნაწილმა ამ ტენდენციას მხარი დაუჭირა. მათი აზრით, ისლამისტები ევროპულ სამოგადოებებში მარგინალიზებულ მუსლიმთა უფრო ლეგიტიმური წარმომადგენლები იყვნენ. ვიდრე ამ სოციალურ სისტემაში ინტეგრირებული მუსლიმები². საფრანგეთში მუსლიმები ახალ პროლეტარიატად ჩამოყალიბდნენ, შემარცხენეთა ნაწილმა, კულტურული პლურალიზმის ხათრით, მათთვის ტრადიციულ სეკულარიზმზეც კი თქვა უარი. კრიტიკული შენიშვნები, რომლებიც ისლამისტთა შეუნყნარებელ და ძალადობრივ ხასიათზე მიუთითებდა, ანტირასიზმისა და ისლამოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის მომიზნებით, ხშირად უყურადღებოდ რჩებოდა.

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპაში პროგრესისტ შემარცხენეთა დღის წესრიგის ცვლილებას როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები გააჩნია. იდენტობის პოლიტიკის შემარცხენეთა დღის წესრიგში შეტანა გასაგები და აუცილებელი იყო. საერთო იდენტობის ჯგუფთა ცხოვრებისეული გამოცდილებები ერთმანეთისაგან განსხვავებულია და ხშირად კონკრეტული ჯგუფისთვის შემუშავებულ, სპეციფიკურ გადანყვებას საჭიროებს. ჯგუფის გარეთ მყოფები ხშირად ვერ ხედავენ იმ ზიანს რომელსაც ამ ჯგუფს საკუთარი ქმედებით აყენებენ, როგორც ამას ბევრი მაშაკაცი მიხვდა მოძრაობა #MeToo-ს მიერ სექსუალური ძალადობის ფაქტების გამოამჟღავნების შემდეგ. იდენტობის პოლიტიკის მიზანი კულტურისა და ქცევის ისეთი ცვლილებაა, რომელიც სასიკეთო იქნება ყველასთვის ვისაც ეს ცვლილება ეხება.

უსამართლობის მსხვერპლთა გამოცდილების ხაზგასმით იდენტობის პოლიტიკამ საჭარო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ასპექტები შეცვალა. რაც, საბოლოო ჯამში, სასიკეთოდ აისახა, რო-

გორც მარგინალიზებულ ჯგუფებზე, ისე კულტურაზე. მიუხედავად პოლიტიკის მიერ ჩაღვნილი ძალის გადამეტების ფაქტების სიხშირისა, მოძრაობამ „შავი სიცოცხლეც ფასობს!“ უდავო გავლენა მოახდინა პოლიციელებზე, რომლებსაც უმცირესობათა წარმომადგენელ მოქალაქეებთან მოპყრობის მეთოდების გადახედვისკენ უბიძგა. მოძრაობა #MeToo-ს დამსახურებაა სექსუალური ძალადობის ცნების გაფართოება და საჭარო დისკუსიის დანყება ამ დანაშაულის ჩამდენთა მიმართ არსებული კანონმდებლობის ნაკლოვანების შესახებ. ამ მოძრაობის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი ალბათ იმ წესების ცვლილებაა, რომლებიც სამუშაო ადგილზე მაშაკაცთა და ქალთა შორის ქცევას განსაზღვრავს

ამგვარად, იდენტობის პოლიტიკაში არაფერია თავისთავად ცუდი. ეს პოლიტიკა ბუნებრივი და გარდაუვალი პასუხია უსამართლობაზე. ის პრობლემატური მაშინ ხდება როცა სპეციფიკური ფორმებით გამოიხატება. პროგრესისტთა ნაწილისთვის იდენტობის პოლიტიკა აღმოჩნდა ის იაფფასიანი შემცვლელი, რომელიც სიღრმისეული გააზრების გარეშე აპოგინებდა ლიბერალურ დემოკრატიებში უთანასწორობის შრდის ბოლო ოცდაათი წლის ტენდენციის შეწყვეტის გასაღებს. კულტურულ პრობლემებზე ელიტურ ინსტიტუტებში დებატების გამართვა ნამდვილად უფრო მარტივია. ვიდრე სკეპტიკოსი კანონმდებლების ამა თუ იმ სფეროში არსებული პოლიტიკის შეცვლის აუცილებლობაში დარწმუნება. იდენტობის პოლიტიკის ყველაზე ხილული გამოვლინებები ამერიკულ უნივერსიტეტებში 1980-იანი წლებიდან დაიწყო უმცირესობათა და ქალ ავტორთა ინტეგრაცია უნივერსიტეტების კურიკულუმებში ბევრად მარტივია, ვიდრე ამ კატეგორიის ადამიანთა ეკონომიკური და სოციალური პირობების რეალური შეცვლა. სილიკონის ველის ტომ-შენეჯერთა ან პოლიოვლის დამწყებ ქალ რეჯისორთა და მსახიობთა მოთხოვნები სრულიად სამართლიანი იყო. თუმცა აღსანიშნავია, რომ ისინი სამოგადოების ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი კატეგორიის წევრები არიან და მათი თუნდაც სამართლიანი, მოთხოვნების დაკმაყოფილება, არაფერს ცვლის სამოგადოების 99%-თვის.

ეს მიგვიითითებს მეორე პრობლემაზე რომელიც ახალ და უფრო ვიწროდ განსაზღვრულ მარგინალიზებულ ჯგუფებზე ფოკუსირებისას ჩნდება: ყურადღება აკლდება ძველ და უფრო ვრ-

ცელ ჯგუფებს, რომელთა სერიოზული პრობლემები არავის გადაუნწყევთა. შეერთებული შტატების თეთრკანიანი მუშათა კლასის დიდმა ნაწილმა დეკლასირება განიცადა, თუმცა ამის შესახებ მემარცხენეთა მხრიდან არაფერი გვსმენია. არაფერი გაგვივია ოპოზიციის ეპიდემიის ან ხელმოკლე და მარტოხელა მშობლებთან მცხოვრებ ბავშვებზე, რომელთა რიცხვი მუდმივად იზრდება. დღევანდელ პროგრესისტებს არ გააჩნიათ ამბიციური სტრატეგია, რომელიც მრენველობის გამაღებელი ავტომატიზაციით გამოწვეული სამუშაო ადგილების მოსალოდნელ მასობრივ დაკარგვას გაუმკლავდება. იგივე პრობლემა აქვთ ევროპულ მემარცხენე პარტიებს: ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ფრანგმა კომუნისტებმა და სოციალისტებმა მრავალრიცხოვანი ამომრჩეველი ნაციონალური ფრონტის სახარგებლოდ დაკარგეს. ანგელა მერკელის მიერ სირიელ ლტოლვილთა მიღების გადანწყვეტილების მხარდაჭერის შემდეგ მსგავსი ბედი უნიათ გერმანელ სოციალ-დემოკრატებსაც⁹.

იდენტობის თანამედროვე ინტერპრეტაციების მესამე პრობლემა სიტყვის თავისუფლებისთვის და, ზოგადად, დემოკრატიისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი რაციონალური დისკურსისთვის საფრთხის შექმნის შესაძლებლობაა. ლიბერალური დემოკრატიების ერთ-ერთი ქვაკუთხედი ნებისმიერი აზრის თავისუფლად გამოთქმის უფლებაა, განსაკუთრებით პოლიტიკაში იდენტობის გარშემო გაერთიანებული ჯგუფების ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე ფოკუსირება უპირატესობას ადამიანის შინაგანი არსის ემოციურ განცდებს ანიჭებს, რაციონალურ მსჯელობას კი მეორეხარისხოვნად აფასებს. როგორც ერთი პოლიტიკური მიმომხილველი აღნიშნავდა: „ჩვენს პოლიტიკურ კულტურას ახასიათებს მიკრო დონეზე მომხდარი სინთეზი მოცემული პიროვნების აზრსა და მის (როგორც თავად თვლის) განსაკუთრებულ და ავთენტურ შინაგან არსს შორის“. ასეთი მიდგომა უპირატესობას ანიჭებს მოსაზრებას, რომელიც გულწრფელადაა გამოთქმული და აკნინებს რაციონალურ მსჯელობას, რომელიც შეიძლება, საკუთარი აზრის სანინააღმდეგოდ წასვლას მოითხოვდეს¹⁰. ტენდენციას, რომლის მიხედვითაც არგუმენტის დღეუგიტიმაციისთვის საკმაოსია ამ არგუმენტის ვინმესთვის შეურაცხყოფლად აღქმა ხე-

ლს უწყობს სოციალური მედიისათვის დამახასიათებელი მსჯელობის მოკლე ფორმის გავრცელება¹¹.

მარკ ლილას მიხედვით, ასევე პრობლემატურია განსხვავებული იდენტობის ჯგუფებისგან კოალიციის შექმნის პოლიტიკური სტრატეგია¹² ამერიკული პოლიტიკური სისტემის მიმდინარე დისფუნქციურობა და გადაგვარება პირდაპირ კავშირშია ამერიკული პოლიტიკის უკიდურეს პოლარიზაციასთან. რაც მეტად ართულებს მმართველობას და სახელმწიფო ინსტიტუტების პოლიტიზაციის საფრთხესაც შეიცავს პოლიტიკური პოლარიზაციის გამწვავებაში ბრალი როგორც მემარცხენეებს ისე მემარჯვენეებს მიუძღვით, თუმცა არათანაბრად. როგორც თომას მანი და ნორმან ორნშტაინი ამტკიცებდნენ, რესპუბლიკური პარტია ბევრად სწრაფად დაუახლოვდა „ჩაის სმის პარტიის“ ექსტრემისტულ შეხედულებებს, ვიდრე ეს დემოკრატიულმა პარტიამ განახორციელა მემარცხენე შეხედულებების მიმართ¹³. აქვე უნდა აღინიშნოს მემარცხენეთა კიდევ უფრო მარცხნივ გადანაცვლება ამგვარი მოქმედებით, ორივე პარტია პასუხობს იმ ქვეყნის წამახალისებელ ფაქტორებს, რომლებსაც ორპარტიული ელექტორალური სისტემა და სახალხო ფრაიმერიზის სისტემა სთავაზობს პოლიტიკური ცნობიერების მქონე აქტივისტებს. იდენტობის პოლიტიკით ყველაზე ძლიერად დაინტერესებული აქტივისტები იშვიათად წარმოადგენენ ფართო ელექტორატს, იდენტობის საკითხთა ხაზგასმა ხშირად მენისტრიმული ამომრჩეველის გაუცხოვებას იწვევს. მეტიც, იდენტობის თანამედროვე კონცეფციის ბუნება, მისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალურ ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე ფოკუსირება, კონფლიქტს ლიბერალური კოალიციის შიგნითაც იწვევს. მაგალითად შეიძლება ავიღოთ „კულტურული აპროპრიაციის“ გამო ატეხილი ვნებათაღელვა რომელმაც ერთ პროგრესისტულ პოლიტიკურ ბანაკში მყოფი შავკანიანები და თეთრკანიანები დაუპირისპირა ერთმანეთს¹⁴.

ბოლო და, სავარაუდოდ, ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა რომელიც მემარცხენეთა მიერ იდენტობის პოლიტიკის ექსპლუატაციამ გამოიწვია, მემარჯვენეთა მიერ თავისი იდენტობის პოლიტიკის შემუშავება იყო. იდენტობის პოლიტიკამ ხელი შეუწყო პოლიტიკორექტულობის ფენომენის გამოჩენასა და გაძ-

ლიერებას, რომლის წინააღმდეგ გალაშქრება შემარჯვენეთა მობილიზაციის მთავარი წყაროა. პოლიტკორექტულობა ამერიკის შეერთებული შტატების 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნების ერთ-ერთ ცენტრალურ პრობლემად იქცა. სასურველია, ერთი ნაბიჯით უკან დავიხიოთ და ამ ტერმინის წარმოშობა განვიხილოთ.

პოლიტკორექტულობა ეხება იმ საკითხებსა და ტერმინებს, რომლებზე საჯარო საუბარი მძაფრი და უარყოფითი მორალური უკურეაქციის საბაზი შეიძლება გახდეს. ყველა საზოგადოებაში მოინახება იდეები, რომლებიც ამ საზოგადოების ლეგიტიმაციის ფუნდამენტურ პრინციპებს ეწინააღმდეგება და შესაბამისად, საჯარო სივრციდან განდევნილია ლიბერალურ დემოკრატიაში. ადამიანს სრული უფლება აქვს სჯეროდეს და პირად საუბრებში პიტლერის მიერ ჩადენილ პოლოკოსტს ამართლებდეს ან სწამდეს რომ შონობა ნებაყოფლობითი. მოხალისეობრივ საწყისებზე დაფუძნებული ინსტიტუტი იყო. ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის პირველი შესწორების მიხედვით, ადამიანთა მიერ მსგავსი იდეების გამოხატვის უფლება კონსტიტუციით არის დაცული, მაგრამ მორალური უკურეაქციის ქარიშხალი ელის ნებისმიერ პოლიტიკოსს, ვინც თავს უფლებას მისცემს, მსგავსი შეხედულებები გაიზიაროს. ამერიკის შეერთებული შტატებისგან განსხვავებით, ბევრ ევროპულ დემოკრატიაში სიტყვის თავისუფლების ნაკლებად რადიკალური ხედვა აქვთ და დიდი ხანია, რაც მსგავსი გამონათქვამები კრიმინალური გამოძიების დაწყების საბაზი

თუმცა პოლიტკორექტულობის სოციალური ფენომენი ბევრად უფრო კომპლექსურია. ახალ იდენტობათა პერიოდული აღმოჩენა და საზოგადოებისთვის მისაღები ტერმინოლოგიის ხშირი ცვლა პერმანენტული კონცენტრაციის რეჟიმში ყოფნას საჭიროებს. ცნობილ ბიოლოგ ე. ო. უილსონს მხოლოდ იმიტომ შეუთიეს, რომ გენდერულ განსხვავებათა ბიოლოგიური საფუძვლები ახსენა. ამა თუ იმ სიტყვის არასწორად ხმარებას არ აქვს კავშირი დემოკრატის ფუნდამენტურ პრინციპებთან, აგრესია გამონწვეულია გარკვეული ჯგუფის მიერ მიმართვის ამ ფორმის შეურაცხყოფად აღქმის გამო და გამოხატავს ინდეფერენტულობას ან ცოდნის ნაკლებობას ამ ჯგუფის მიმართ.

ყურადღებით დაკვირვება ცხადყოფს, რომ პოლიტკორექტულობის ყველაზე ექსტრემალურ ფორმებს შემარჯვენე მწერალთა,

ხელოვანთა, სტუდენტთა და ინტელექტუალობა მხოლოდ მცირე ნაწილი იყენებს, თუმცა სწორედ მათგან ფოკუსირებული კონსერვატორული მედია, რომელიც მათ შეხედულებებს მთლიანად შემარჯვენეთა შეხედულებად ასაღებს. ეს შეიძლება ხსნიდეს 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნების ერთ-ერთ ექსტრაორდინარულ ასპექტს, ვერძოდ, დონალდ ტრამპის სტაბილურ პოპულარობას, მიუხედავად მისი ქცევისა. რომელიც ნებისმიერი სხვა პოლიტიკოსის კარიერას დაასრულებდა. საპრეზიდენტო კამპანიისას მან შშმ ჟურნალისტს დასცინა, შექსიკულებს კრიმინალები უწოდა და ა.შ რა თქმა უნდა, ბევრ მის მხარდამჭერს არ მოსწონდა მისი ესა თუ ის ქცევა თუმცა ერთსულოვან სიმპათიას ინვეცდა პოლიტკორექტულობის წნეხისადმი მისი წინააღმდეგობის უნარი. ტრამპი ჩვენი ეპოქისთვის დამახასიათებელი ავთენტურობის ეთიკის სრულყოფილ განსხეულებად მოგვევლინა: ის შეიძლება იყოს ღვარძლიანი. ბოროტი და შეუნყნარებელი, საპრეზიდენტო სავარძლისთვის შეუფერებელი, მაგრამ, სხვებისგან განსხვავებით, ამბობს იმას, რასაც ფიქრობს.

პოლიტკორექტულობასთან დაპირისპირებით, ტრამპმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იდენტობის პოლიტიკის შემარჯვენე ფრთიდან (სადაც ეს პოლიტიკა ჩაისახა) შემარჯვენეებთან შედნევაში, სადაც ის ახლა ფესვს იდგამს. შემარჯვენეთა მიერ გატარებული იდენტობის პოლიტიკა ტენდენციური იყო - ლეგიტიმაცია იდენტობის მხოლოდ გარკვეულ ფორმებს ეძლეოდა იმ კატეგორიის იდენტობები რომლებსაც ისინი უპირატესობას არ ანიჭებდნენ (იქნებოდა ეს ევროპული, ქრისტიანული. სოფლად მცხოვრებთა ტრადიციული ოჯახური ღირებულებებზე მცხოვრებთა და სხვ.) იგნორირებული იყო დონალდ ტრამპის მხარდამჭერთა დიდი ნაწილი თავს ქვეყნის პოლიტიკური ელიტებისგან უგულვებლყოფილად გრძნობდა. ისინი საკუთარ თავს ვერც პოლივლის ფილმებში ხედავდნენ, სადაც უპირატესობა ძლიერ ქალ, გვი შავკანიან გმირებს ენიჭებოდა და რომლებთან თვითიდენტიფიცირებას ვერ ახერხებდნენ. სოფლად მცხოვრებ ხალხს, რომელიც პოპულისტური მოძრაობების ბირთვის არა მარტო ამერიკაში, არამედ დიდი ბრიტანეთში, უნგრეთში, პოლონეთსა და სხვა ქვეყნებშიც შეადგენს, სჯერა, რომ მათთვის ძვირფას

ტრადიციულ ღირებულებებს კოსმოპოლიტი, ურბანული ელიტებისგან მომავალი საფრთხე ემუქრება. მათ აღიზიანებთ სეკულარული კულტურა, რომელიც ისლამისა და იუდაიზმის კრიტიკას თავს არიდებს, მათ ქრისტიანულ რწმენას კი ფანატიზმად მიიჩნევენ ისინი თვლიან, რომ პოლიტიკორექტულობის მარწმუნებში მოქცეული მედია მათ საფრთხეში აგდებს, როგორც ეს გერმანიაში 2016 წლის ახალი წლის საღმრთო საღმრთო ღონისძიებებისას მოხდა, როცა გერმანულმა მედიამ რამდენიმე დღის განმავლობაში ვერ მოახერხა ახალი წლის ღამეს მუსლიმთა მიერ ჩადენილი მრავალი სექსუალური ძალადობის ფაქტების გაშუქება, რაც ისლამოფობიის გაღვივების თავის არიდებით აიხსნებოდა.

მემარჯვენე იდენტობის ყველაზე საშიში ფორმები რასობრივ იდენტობასთან დაკავშირებული ფორმებია. პრემილენტი ტრამპმა სიფრთხილედ გამოიჩინა და რასობრივი შეხედულებები არ გამოუთქვამს, თუმცა კმაყოფილებით მიიღო რასისტული რიტორიკით გამორჩეული ჯგუფებისა და ინდივიდების მხარდაჭერა. კანდიდატად ყოფნის დროს ტრამპმა თავი აარიდა კუკლუქს-კლანის ლიდერის, დევიდ დიუკის კრიტიკას და 2017 წლის აგვისტოში შარლოტვილში მომხდარ შეტაკებებზე პასუხისმგებლობა „ორივე მხარეს“ დააკისრა. მან დიდი დრო დაუთმო მაკკანიან სპორტსმენთა და ცნობილ ადამიანთა კრიტიკას. კონფედერატთა ძეგლების აღების საკითხმა ამერიკული საზოგადოების პოლარიზაცია კიდევ უფრო გაზარდა. ტრამპმა არც ამ საკითხის თავის სასარგებლოდ გამოყენებისგან შეიკავა თავი. მისი პრემილენტი არჩევის შემდეგ, თეთრკანიანი ნაციონალისტები ამერიკის პოლიტიკური ცხოვრების ნაწილი გახდნენ. მათი მტკიცებით, თუ შოძლობის „შავკანიანთა სიცოცხლე ფასობს“ აქტივისტების, სექსუალურ უმცირესობათა და ლათინოს ამომრჩეველთა სპეციფიკური იდენტობის გარშემო მობილიზაცია პოლიტიკურად მისაღები იყო, ასეთივე უფლება თათრკანიანებსაც უნდა ჰქონოდათ, მაგრამ როგორც კი ინდივიდი სიტყვა „თეთრს“ თუნდაც თვითიდენტიფიკაციისთვის იყენებს ან კიდევ უარესი, „თეთრკანიანთა უფლებებზე“ ბრუნვისთვის პოლიტიკურ ორგანიზაციას აარსებს, დაუყოვნებლივ იდენტიფიცირებულია, როგორც რასისტი და რეაქციონერი. მსგავსი სიტუაციაა სხვა ლიბერალურ დემოკრატიებშიც. თეთრკანიანთა ნაციონალიზმს გრძელი ისტორია აქვს ევროპაში

სადაც მას ფაშიზმს უწოდებდნენ. ფაშიზმი სამხედრო გზით 1945 წელს იქნა დამარცხებული, რის შემდეგაც აკრძალულია. ფაშიზმის ჩახშობის მექანიზმები უახლოეს წარსულში მომხდარმა მოვლენებმა შეასუსტა. 2010-იანი წლების ლტოლვილთა კრიზისის შემდეგ აღმოსავლეთ ევროპაში მუსლიმთა მიერ ადგილობრივი დემოგრაფიული მდგომარეობის ცვლილების შიშით გამოწვეული პანიკა გაჩნდა. 2017 წლის ნოემბერში პოლონეთის დამოუკიდებლობის დღესასწაულზე, ვარშავის ქუჩებში სამოცი ათასი დემონსტრანტი გამოვიდა. მათი ლოზუნგები იყო სუფთა პოლონეთი, თეთრი პოლონეთი!“ და „ლტოლვილებო გაეთრიეთ!“ (მიუხედავად პოლონეთში მყოფ ლტოლვილთა მცირე რაოდენობისა). პოლონეთის მმართველი პარტია კანონი და სამართლიანობა დემონსტრაციისაგან დისტანცირდა, თუმცა მკაცრად არ გაუკრიტიკებია ისინი. რითაც, დონალდ ტრამპის მსგავსად, ვიანიშნა მათი მიზნების ლეგიტიმურობაზე¹⁵.

იდენტობის პოლიტიკის მემარჯვენე დამცველები ამტკიცებენ, რომ მემარჯვენეთა მოთხოვნები არალეგიტიმურია და არ შეიძლება მათი უმცირესობათა, ქალთა და სხვა მარგინალიზებულ ჯგუფთა მოთხოვნებთან ერთ სიბრტყეზე განილვა, რადგან ეს მოთხოვნები ისტორიულად პრივილეგირებული და დომინანტი კულტურის გამოიხილია

ეს არგუმენტები ნაწილობრივ ობიექტურია. კონსერვატორთა აზრით, ქალებს, უმცირესობებს ან ლტოლვილებს პრივილეგიები უსამართლოდ და დაუმსახურებლად ეძლევათ. ეს ხედვა დიდად გაზვიადებულია ასევე გაზვიადება იმის დაშვება, რომ პოლიტიკორექტულობამ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტი დაიპყრო ამ სიტუაციას ამძიმებს სოციალური მედია, რომლის გავლენით ერთეული ფაქტი ან კომენტარი შეიძლება სწრაფად გავრცელდეს და ადამიანთა რომელიმე კადეგორიაზე განზოგადდეს. ბევრი მარგინალიზებული ჯგუფის ცხოვრებისეული რეალობა უცვლელია: შავკანიანები კვლავ პოლიციური ძალადობის მსხვერპლნი არიან. ქალები აგრესიასა და ჩაგვრას განიცდიან.

აღნიშვნის ღირსია მემარჯვენეთა მიერ იდენტობის პოლიტიკის ტერმინოლოგიისა და სტრუქტურის მემარჯვენეებისგან გადაღება. საკუთარი ჯგუფის ვიქტიმიზაცია; აზრი, რომლის მიხედვითაც ეს სიტუაცია და ამ ჯგუფის წევრთა გასაჭირი დანარჩენი საზო-

გაღებისთვის უხილავია და ამ სიტუაციაზე პასუხისმგებელი პოლიტიკური სტრუქტურები (მედია და პოლიტიკური ელიტები) უნდა განადგურდეს. იდენტობის პოლიტიკა ლინზაა, რომლითაც იდეოლოგიური სპექტრის განსხვავებული ძალები ამა თუ იმ სოციალურ საკითხს ხელავენ და აფასებენ

დახურული იდენტობის ჯგუფების გამრავლების მიუხედავად, ლიბერალური დემოკრატიები მათგან დამოუკიდებლად არსებობენ, რაც უდავოდ სწორი გადაწყვეტილებაა. იდენტობის პოლიტიკის დინამიკა მსგავსის გამრავლებას უწყობს ხელს, განსხვავებული ჯგუფები ერთმანეთს საფრთხედ აღიქვამენ. ეკონომიკური რესურსებისთვის ბრძოლისგან განსხვავებით, იდენტობის პოლიტიკის მოთხოვნები, როგორც წესი, უკომპრომისოა: რასის, გენდერის ან რელიგიის მიხედვით მინიჭებული სოციალური აღიარების უფლება ფიქსირებულ ბიოლოგიურ თვისებებს ეყრდნობა და ვერ გადაიცვლება ან შეიცვლება.

იდენტობას, პოლიტიკური სპექტრის ორივე მხარეს, ბიოლოგიურად დეტერმინირებულად თვლიან, თუმცა რეალობა განსხვავებულია. იდენტობის ჩამოყალიბებაზე გავლენას გამოცდილება და გარემო ახდენს, იდენტობა ვინ როდ ან ფართოდ ფოკუსირებულად შეიძლება დაიყოს. დაბადების პირობები არ ნიშნავს ადამიანის ავტომატურად ამ პირობების შესაბამისად ჩამოყალიბებას. ცხოვრებისეული გამოცდილება შეიძლება, საერთო გამოცდილებად გადაიქცეს. საზოგადოებებს მარგინალიზებულთა და ჩაგრულთა დაცვა სჭირდება, თუმცა ასევე სჭირდება საერთო მიზნების მიღწევა, რაც მსჯელობითა და კონსენსუსით მიიღწევა. შემარჯვენეთა და შემარცხენეთა პოლიტიკურ დღის წესრიგში მომხდარი ცვლილებები ავიწროებს იმ ჯგუფებს, რომელთა იდენტობის დაცვასაც ისინი ითვალისწინებენ; ეს საფრთხეს უქმნის საზოგადოებაში სხვადასხვა ჯგუფებს შორის კომუნიკაციას და შესაბამისად საერთო მოქმედების უნარს. გამოსავალი ვერ იქნება იდენტობაზე უარის თქმა, რომლის მეშვეობით თანამედროვე ადამიანი საკუთარ თავს და გარემოს აფასებს. გამოსავალი იდენტობის უფრო ფართო და ინტეგრაციული მოდელის შემუშავებაა, რომელიც ლიბერალური დემოკრატიების საზოგადოებათა დე-ფაქტო მრავალფეროვნებას გაითვალისწინებს. ამანე მომდგენო ორ თავში ვისაუბრებთ.

ჩვენ, ხალხი

2011 წლის არაბული გაზაფხულის შემდეგ სირიაში გაჩაღებულმა სამოქალაქო ომმა ოთხასი ათასი ადამიანი შეიწირა. გაეროს სტატისტიკის მიხედვით, ქვეყანა ოთხმა მილიონმა ადამიანმა დატოვა აქედან ერთმა მილიონმა თავი ევროპას შეაფარა. ექვს მილიონზე მეტი სირიელი სირიის ტერიტორიაზევე განაწილდა. კონფლიქტის დაწყებამდე სირიის მოსახლეობა თვრამეტ მილიონს აღწევდა. სირიის ომის შედეგად დესტაბილიზირებულია მეზობელი ქვეყნების: თურქეთის, იორდანის, ლიბანის, ერაყის პოლიტიკური სიტუაცია. მიგრანტთა კრიზისი კი ევროკავშირს შეეხო

სირია იმის კარგი მაგალითია თუ რა მოსდის ქვეყანას, რომელსაც ეროვნული იდენტობის მკაფიო მოდელი არ გააჩნია. ომის დაწყების ყველაზე რეალური მიზეზი 2011 წლის ასადის საწინააღმდეგო გამოსვლები იყო, რომლებიც არაბული გაზაფხულის ტალღას მოჰყვა. გადადგომის ნაცვლად ასადმა მოწინააღმდეგეებს სასტიკი რეპრესიებით უპასუხა. სამთავრობო ძალების ძალადობას ოპოზიციის მხრიდან პასუხი მოჰყვა კონფლიქტმა გარე ძალების ყურადღება მიიქცია სირიისაკენ სხვადასხვა ქვეყნის მებრძოლები დაიძრნენ. სამოქალაქო ომი თურქეთის, ირანის საუდის არაბეთის, რუსეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევამ გაამძაფრა.

სამოქალაქო ომს საფუძვლად სირიული საზოგადოების ტრადიციული სექტური დაყოფა დაედო. 1970 წლის გადატრიალების შედეგად, სირიას სათავეში ჰაფეზ ალ-ასადი ჩაუდგა. რომელიც 2000 წელს მისმა შვილმა, ბაშარმა ჩაანაცვლა. ასადები ალავიტები არიან. შიიტ მუსლიმთა ეს შტო სირიის მოსახლეობის მაქსიმუმ 12%-ს შეადგენდა. მოსახლეობის დანარჩენი ნაწილი სუნიტი მუსლიმები იყვნენ, თუმცა მნიშვნელოვან უმცირესობებად ითვლებოდნენ ერისტიანები, იეზიდები და სხვ. სირია ეთნიკურად რელიგიურად და ენობრივად დაყოფილი ქვეყანა იყო, სადაც არაბები, დრუზები, თურქმენები, პალესტინელები, ჩერქეზები და ქურთები თანაცხოვრობდნენ შეიმჩნეოდა იდეოლოგიური დაყოფაც ექსტრემისტებსა და ზომიერ ისლამისტებს, მემარცხენეებსა და ლიბერალებს შორის. ალავიტები სირიის პოლიტიკური ცხოვრების სათავეში მათი ფრანგების სამხედრო სამსახურში ჩადგომის შედეგად მოაწვდნენ. სირიაში ფრანგების კოლონიური მმართველობა ხორციელდებოდა პრინციპით „გათიშე და იბადონე“. ასადის ოჯახის მმართველობა სხვა ჯგუფთა წინააღმდეგობას აწყდებოდა და ძალაუფლება ჰაფეზისა და ბაშარის რეპრესიულ პოლიტიკას ეყრდნობოდა. მოსახლეობის სექტების, ეთნიკური და რელიგიური ჯგუფებისადმი კუთვნილება ბევრად ძლიერი იყო ვიდრე სირიის, როგორც ქვეყნისადმი ერთგულება 2011 წელს. რეპრესიული სისტემის დასუსტებისთანავე, სირია დაიშალა.

სუსტი ეროვნული იდენტობა ახლო აღმოსავლეთის მნიშვნელოვანი პრობლემა იყო. იემენს და ლიბიას ერთიანი სახელმწიფო აღარ ეთქმოდა, ავღანეთი, სომალი და ერაყი ქაოსმა მოიცვა. სხვა განვითარებადმა ქვეყნებმა შედარებითი სტაბილურობა შეინარჩუნეს, თუმცა ეროვნული იდენტობის სისუსტით გამოწვეული პრობლემები არც მათ აკლდათ ასეთი სიტუაცია სუბსაპარული აფრიკის ქვეყნებშიც, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს მათ განვითარებას. კენია და ნიგერია ეთნიკურად დაყოფილი ქვეყნებია სტაბილურობის საწინდარი კი ეთნიკური ჯგუფების მიერ ქვეყნის ძარცვის შესაძლებლობის

მოლოდინია¹⁶. შედეგი კორუფციის და ხილარობის მაღალი დონე და შეჩერებული ეკონომიკური განვითარებაა.

განსხვავებულია იაპონიის, ჩინეთისა და კორეის შემთხვევები. რომლებსაც კარგად განვითარებული ეროვნული იდენტობის მოდელი მე-19 საუკუნეში დასავლურ ცივილიზაციასთან შეხებაში და მოდერნიზაციის დაწყებამდე გააჩნდათ. მე-20 და 21-ე საუკუნეებში ამ ქვეყნების შთამბეჭდავი წინსვლა. ნაწილობრივ, საერთაშორისო ინვესტიციებისა და ვაჭრობისადმი სამღვრების გახსნისას მინაგანი წინააღმდეგობების არქონის დამსახურებაა. სამოქალაქო ომი, ოკუპაცია და ტერიტორიის დაყოფა ამ ქვეყნებმაც გამოსცადა. თუმცა სახელმწიფოებრიობისა და საერთო ეროვნული მიზნების ქონის ტრადიციამ მათ კონფლიქტების შედარებით სწრაფად სტაბილიზაციის საშუალება მისცა

ეროვნული იდენტობა იწყება ქვეყნის პოლიტიკური სისტემის ლეგიტიმურობის საყოველთაო აღიარებით, მიუხედავად იმისა თუ რამდენად დემოკრატიულია ეს უკანასკნელი იდენტობა შეიძლება იყოს ინტეგრირებული კანონებსა და ინსტიტუტებში, რომლებიც, მაგალითად, საგანმანათლებლო სისტემას მიუთითებენ თუ რა ასწავლოს ბავშვებს ქვეყნის წარსულზე. ან რომელი უნა იყოს სახელმწიფო ეროვნული იდენტობა ღირებულებებისა და კულტურის სფეროებსაც მოიცავს. იდენტობა შედგება იმ ამბებისგანაც, რომლებიც ხალხმა საკუთარ თავზე იცის: საიდან მოვიდნენ, რას ზეიმობენ, საერთო ისტორიული მეხსიერება და ა. შ.¹⁷

თანამედროვე მსოფლიოში რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური, გენდერული, და ა. შ. მრავალფეროვნება ცხოვრებისეული მოცემულობა და, ამავე დროს, ღირებულებაა. მიზეზთა გამო, ეს მრავალფეროვნება საზოგადოებისთვის სიკვითის მომტანია ამროვნების და მოქმედების სხვადასხვა ტიპის არჩევის შესაძლებლობა ინოვაციის, კრეატიულობისა და მენარმეობის სტიმულაციას იწვევს. 1970 წელს ვაშინგტონი ვრთი მოსანყენი ქალაქი იყო, სადაც ეგზოტიკური კერძების გასინჯვის

შესაძლებლობა ერთადერთ ნინურ რესტორანში იყო შესაძლებელი. დღეს ვაშინგტონი ეთნიკური მრავალფეროვნების ქალაქია: ერთი უბნიდან მეორეში გადასვლა საშუალებას მოგცემთ. ეთიოპიური, კამბოჯური, ბრაზილიური ან პაკისტანური სამზარეულო დააგემოვნოთ. ქალაქის ინტერნაციონალიზაციამ ინტერესთა ახალი ფორმები გააჩინა: ახალგაზრდებისთვის მიმზიდველ ქალაქად ტრანსფორმაციის შემდეგ გაჩნდა სრულიად ახალი უბნები, ახლად დასახლებულებმა ვაშინგტონს ახალი მუსიკა, ხელოვნება და ტექნოლოგიები შესძინეს. ვაშინგტონის მსგავსად განვითარდა მსოფლიოს ბევრი ქალაქი. ჩიკაგოდან - სან ფრანცისკომდე, ლონდონიდან - ბერლინამდე.

მრავალფეროვნება მნიშვნელოვანი ფაქტია რემისტენტულობისთვისაც ბიოლოგები ხშირად მიუთითებენ მონოკულტურათა სისუსტეზე, რომელიც გენეტიკური ერთფეროვნებითაა გამოწვეული. გენეტიკური მრავალფეროვნება ევოლუციის მამოძრავებელი ძალაა. რომელიც გენეტიკურ ადაპტაციასა და ვარიაციას ეყრდნობა. ამიტომაც საშუალო მსოფლიოში ბიოლოგიური მრავალფეროვნების შემცირება რომელიც დროთა განმავლობაში რენისტენტულობის დაქვეითების საფრთხეს შეიცავს.

და ბოლოს. არ უნდა გამოგვრჩეს იდენტობის ინდივიდუალური ძიების საკითხი რომელიც წინა თავებში მიმოვიხილეთ. ხალხი ხშირად ეწინააღმდეგება უფრო ფართო კულტურებში ინტეგრაციას, განსაკუთრებით მაშინ როცა დაბადებით მას არ ეკუთვნის. მათ თავიანთი პიროვნების აღნიშვნა და აღიარება უფრო აინტერესებთ, ვიდრე მისი გაქრობა. მათ სურთ იცოდნენ, საიდან მოდიან და შეინარჩუნონ წინაპრებთან კავშირის შეგრძნება. აღამიანებს სურთ გაქრობის პირას მისული ენებისა და ცხოვრების წესის შენარჩუნება. მიუხედავად იმისა არიან თუ არა ამ კულტურის ნაწილი.

შეორე მხრივ, აუცილებელია ვაღიაროთ რომ მრავალფეროვნება არ არის აბსოლუტური და უნაკლო სიკეთე. სირია და ავღანეთი უაღრესად მრავალფეროვანი ადგილებია. თუმცა ამ

მრავალფეროვნებამ. კრეატიულობის მაგივრად, ძალადობა და კონფლიქტი გამოიწვია. კენიის მოსახლეობის მრავალფეროვნება ეთნიკური დაბირისპირებისა და კორუფციის საფუძველი გახდა. ეთნიკურმა მრავალფეროვნებამ გამოიწვია ლიბერალური ავსტრია-უნგრეთის იმპერიის დაცემა პირველი მსოფლიო ომის წინ. როცა იმპერიის შემადგენლობაში შეშავალმა ეთნოსებმა საერთო პოლიტიკური სტრუქტურის უპერსპექტივობა დაინახეს. მე-19 საუკუნის ბოლოს კოსმოპოლიტურმა გენამ გუსტავ მალერი, ჰუგო ფონ ჰოფმანსტალი და ზიგმუნდ ფროიდი მოგვცა როცა იმპერიაში შეშავალმა უფრო ვიწრო იდენტობის ჯგუფებმა, სერბებმა, ბულგარელებმა, ჩეხებმა და ავსტრო-გერმანელებმა თავის დამკვიდრება გადაწყვიტეს, რეგიონი ძალადობისა და შეუწყნარებლობის ეპიცენტრად იქცა¹⁸

ეროვნული იდენტობის კონცეფციამ ამ პერიოდში ორპირივანი რეპუტაცია სწორედ ეთნონაციონალიზმთან ასოცირების გამო შეიძინა. ამ ტიპის ეთნიკური ნიშნით გაერთიანებული იდენტობის ჯგუფები თავს ესხმოდნენ როგორც მათ ქვეყნებში მცხოვრებ ხალხს, რომელიც მათ ჯგუფს არ ეკუთვნოდა, ისევე უცხოელებსაც, რომლებსაც მათი ეთნიკური ჯგუფის სხვა ქვეყანაში მცხოვრებ წევრთა სახელით უსწორდებოდნენ. თუმცა პრობლემა არა თვისობრივად ეროვნული იდენტობის კონცეფციაში არამედ იმ ფორმაში იყო რომელიც მან მიიღო: ვიწრო ხედვის მქონე. ექსკლუზიურად ეთნიკური, შეუწყნარებელი და აგრესიული.

ეროვნულ იდენტობას სხვა ფორმაც შეიძლება ჰქონდეს შესაძლებელია მისი დემოკრატიულ და ლიბერალურ ღირებულებებზე აგება. იდენტობა, რომელიც გაითვალისწინებს იმსაერთო გამოცდილებებს, რომლებიც თანამედროვე საზოგადოების სოციალურ ქსოვილს ქმნის და სადაც ბევრ განსხვავებულ ჯგუფს შეუძლია მშვიდობასა და კეთილდღეობაში თანაცხოვრება. ინდოეთი, საფრანგეთი. კანადა და ამერიკის შეერთებული შტატები ის მაგალითებია, რომლებიც ამ მიმართულებით წავიდნენ. ეროვნ-

ნული იდენტობის ინკლუზიური მოდელის შემუშავებას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს თანამედროვე პოლიტიკური სისტემის სიცოცხლისუნარიანობისთვის. ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს.

პირველი მიზეზი უსაფრთხოებაა. ეროვნული იდენტობის სისუსტით გამოწვეული კატასტროფული შედეგების მაგალითად ლიბია ან სირია შეიძლება მოვიყვანოთ სუსტი ეროვნული იდენტობა, უსაფრთხოების კუთხით, ბევრ სხვადასხვა პრობლემას ქმნის. დიდი პოლიტიკური ერთეულები უფრო მძლავრები არიან და საკუთარი თავის დაცვაც შეუძლიათ ისინი საერთაშორისო არენაზე უკეთეს პოზიციებს იკავებენ და საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილების მეტი შესაძლებლობა აქვთ. ბრიტანეთი ვერასდროს ითამაშებდა იმ როლს მსოფლიო პოლიტიკაში, რომელიც მან გასულ საუკუნეში ითამაშა, შოტლანდია დამოუკიდებელი სახელმწიფო რომ ყოფილიყო. არც ესპანეთი იქნებოდა ის, რაც დღეს არის, მისი უმდიდრესი რეგიონის, კატალონიის გარეშე დანაწევრებული ქვეყნები სუსტები არიან, სწორედ ამიტომ არ იშურებს ვლადიმირ პუტინის რუსეთი დახმარებას ევროპის სეპარატისტული მოძრაობებისთვის და ძალისხმევას ამერიკის პოლიტიკური სპექტრის მაქსიმალური პოლარიზაციისთვის¹⁹.

მეორე მიზეზი მთავრობის ხარისხია. ეროვნული იდენტობა დიდ გავლენას ახდენს ხელისუფლების ხარისხზე მთავრობის მაღალი ხარისხი რაც ეფექტიან საჯარო სერვისებს და კორუფციის დაბალ დონეს ნიშნავს. დამოკიდებულია იმ მოხელეებზე, რომლებიც საკუთარ ინტერესებს საერთო, სახელმწიფოებრივ ინტერესებზე მაღლა არ აყენებენ. სისტემურად კორუმპირებულ საზოგადოებებში პოლიტიკოსები და ბიუროკრატები სახელმწიფო რესურსებს საკუთარი ტომის, ეთნიკური ჯგუფის, ოჯახის, რეგიონის ან პოლიტიკური პარტიის სასიკეთოდ მიმართავენ ან სულაც საკუთარ ჯიბეებს ისჯელებენ, რადგან ვერ გრძნობენ საჯარო ინტერესის მსახურების აუცილებლობას.

ამას ეროვნული იდენტობის შესამე ფუნქციასთან მივყავართ.

რომელიც ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას გულისხმობს. თუ ხალხი საკუთარი ქვეყნით არ იამაყებს, მას არც ქვეყნის სასიკეთოდ მუშაობა მოუნდება იაპონიის ჩინეთისა და სამხრეთ კორეის ძლიერმა ეროვნულმა იდენტობებმა წარმოშვა ელიტები, რომლებიც არა საკუთარ გამდიდრებაზე, არამედ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე ფიქრობდნენ და ზრუნავდნენ. უანგარო საჯარო მსახურებისადმი ასეთი მზაობა ბევრად ნაკლებად გვხვდებოდა სუბსპარულ აფრიკაში ახლო აღმოსავლეთსა და სამხრეთ ამერიკაში²⁰ ეთნოსზე ან რელიგიაზე დაფუძნებულ იდენტობის ჯგუფებს ერთმანეთში ვაჭრობა და ხელისუფლების მხოლოდ საკუთარი ჯგუფის სასიკეთოდ გამოყენება ურჩევნიათ ეს შეიძლება მყისიერად სასიკეთოდ აისახოს ისეთ ჯგუფზე, რომელიც მოცემულ ქვეყანაში ახლად ჩამოსული მიგრანტებისგან შედგება მაგრამ მათი გრძელგადიანი კეთილდღეობა და მომავალი მათ ასიმილაციის უნარზე იქნება დამოკიდებული. ყველა ქვეყნის ეკონომიკა ახალი და დიდი ბაზრების გამონახვას ცდილობს, რომლებზეც ეკონომიკური ტრანზაქციები მყიდველთა და გამყიდველთა ეთნიკური წარმოშობის მიღმა მოხდება და ეროვნული იდენტობა არ გახდება სხვა ქვეყნების საწინააღმდეგოდ მიმართული პროექციონიზმის საფუძველი²¹

ეროვნული იდენტობის მეოთხე ფუნქცია ნდობის წრის რადიუსის გაფართოებაა. ნდობა ერთგვარი საპოხი მასალაა, რომელიც საზოგადოებაში ეკონომიკურ ტრანზაქციებს და პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობას აადვილებს. ნდობა სოციალურ კაპიტალს ეფუძნება, რაც გულისხმობს ადამიანის უნარს იმუშაოს სხვა ადამიანებთან ერთად საერთო ღირებულებებსა და არაფორმალურ წესებზე დაყრდნობით. იდენტობის ჯგუფები მათ წევრთა შორის ურთიერთნდობის გაზრდაზე ზრუნავენ მაგრამ ასე შექმნილი სოციალური კაპიტალი ამ ვიწრო ჯგუფების შიგნით რჩება. მართლაც, ძლიერი იდენტობები ხშირად ჯგუფის შიდა და გარე ნდობის გაქრობის მიზეზია. საზოგადოების წინსვლას მის წევრებს

შორის ნდობა სჭირდება, მაგრამ, ამავე დროს, პროგრესისთვის ნდობის მაქსიმალურად გაფართოებული წრეა საჭირო²²

ეროვნული იდენტობის დიდი მნიშვნელობის მეხუთე მიზეზი ქვეყნის სოციალური ქსოვილის მოვლა-პატრონობაა, რომელიც ეკონომიკური უთანასწორობის შემსუბუქების მექანიზმის როლს ასრულებს. თუ საზოგადოების წევრები ერთმანეთს ენდობიან და თავს დიდი ოჯახის წევრებად თვლიან. ისინი იმ სოციალური პროგრამების მხარდაჭერებიც იქნებიან რომლებიც უარეს მდგომარეობაში მყოფ თანამოქალაქეთა დახმარებას ითვალისწინებს. სკანდინავიის ძლიერი სოციალური სახელმწიფო სისტემები ასეთივე ძლიერ ეროვნულ იდენტობას ეყრდნობიან. ისინი არ გვანან სახელმწიფოებს, რომლებიც მხოლოდ საკუთარ თავზე მბრუნველ სოციალურ ჯგუფებადაა დაყოფილი. იმ ჯგუფებად, რომლებიც ერთმანეთთან საერთოს ვერაფერს პოულობენ და რესურსების ნულოვანი ჯამის პრინციპით გადანაწილებამე თამაშობენ²³.

და ბოლოს. ეროვნული იდენტობის მთავარი ფუნქცია თავად ლიბერალურ-დემოკრატიული სისტემის არსებობის უზრუნველყოფაა. ლიბერალური დემოკრატია როგორც მთავრობასა და მოქალაქეს. ისე მოქალაქეთა შორის არსებული უსიტყვო შეთანხმებაა. რომლის მიხედვით ყველა მოქალაქე თმობს საკუთარ უფლებათა ნაწილს, რათა მთავრობამ შეძლოს ყველა მოქალაქის უფრო მნიშვნელოვანი და ძირითადი უფლებების დაცვა. ეროვნული იდენტობა ამ შეთანხმების ლეგიტიმურობას ეყრდნობა. თუ მოქალაქეებს არ სჯერათ, რომ ისინი საერთო სახელმწიფო სისტემის ნაწილი არიან, ეს სისტემა არ იმუშავებს²⁴.

დემოკრატიის ხარისხის უზრუნველსაყოფად მხოლოდ სისტემის ფუნქციონირებისთვის საჭირო საბაზისო წესების მიღება არ არის საკმარისი. დემოკრატია არ ნიშნავს საზოგადოებრივი შეთანხმების ავტომატურ მიღწევას, დემოკრატიებს ფუნქციონირებისთვის საკუთარი კულტურა სჭირდებათ, რომელიც საზოგადოებაში არსებული განსხვავებული ინტერესების, აზრებისა და

ღირებულებების მშვიდობიან თანაარსებობასა და თანაცხოვრებას ითვალისწინებს. დემოკრატიისთვის აუცილებელ მსჯელობასა და დებატებს ხალხის მიერ ქცევის შესაბამის ნორმებზე შეთანხმება სჭირდება. მოქალაქეებს ხშირად ისეთ შედეგთან შეგუება უნევთ. რომელიც არ აწყობთ ან არ მოსწონთ. მაგრამ ამას შეგნებულად, საზოგადო სიკეთის სახელით აკეთებენ ტოლერანტობისა და ურთიერთპატივისცემის კულტურამ მიკერძოებულ შეხედულებებს უნდა აჯობოს.

იდენტობა სათავეს თიმოსიდან იღებს, რომელიც სიამაყის, სირცხვილისა და რისხვის გრძნობებით განიცდება. ამ ემოციებს რაციონალურ მსჯელობასა და განსჯის უნარზე უარყოფითი გავლენის მოხდენა შეუძლია, რაც უკვე განვიხილეთ კიდევ. მეორე მხრივ, მოქალაქეთა მხრიდან კონსტიტუციურ მმართველობასა და თანასწორობის პრინციპზე პატრიოტიზმისა და სიამაყის გრძნობებით გამოხატული ემოციური ბმის გარეშე ვერც დემოკრატია გადარჩება. ეს ირაციონალური, ემოციური კავშირი საზოგადოებას კრიზისული პერიოდების გადალახვის საშუალებას აძლევს, როცა მართო ცივი გონებით მსჯელობა შეიძლება, სასოწარკვეთის მომგვრელი იყოს.

პოლიტიკურ საკითხებს შორის, ეროვნული იდენტობისთვის ყველაზე დიდი გამოწვევა მიგრაცია და მასთან დაკავშირებული ლტოლვილთა საკითხი აღმოჩნდა. ეს ორი საკითხი პოპულისტური ნაციონალიზმის აღმავლობის მამოძრავებელი ძალაა როგორც ევროპაში, ისე ამერიკის შეერთებულ შტატებში. ნაციონალური ფრონტი საფრანგეთში, თავისუფლების პარტია ჰოლანდიაში, ვიქტორ ორბანის „ფიდეში“ უნგრეთში, ბრეგბიტის მოძრაობები დიდ ბრტანეთში, პარტია „ალტერნატივა გერმანიისთვის“. ყოველი მათგანი მიგრანტების და ევროკავშირის საწინააღმდეგო რიტორიკით გამოირჩევა. ბევრი პოპულისტისთვის ეს ერთი საკითხია: მათ სძულთ ევროკავშირი, რადგან თვლიან, რომ ბრიუსელი მათ საკუთარი საზღვრების კონტროლის სუვერენულ უფლებას ართმევს. სამუშაო

ძალის თავისუფალი მიმოსვლის და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მიზნით, 1985 წელს ევროკავშირმა შენგენის უვიზო მიმოსვლის სივრცე დააფუძნა, რომელშიც წევრ ქვეყანათა უმეტესობა შევიდა გარდა ამისა, ევროკავშირი ფართო უფლებებს ანიჭებს ლტოლვილებს ნათი ევროპის ტერიტორიაზე შესვლის შემთხვევაში. ამ უფლებების გარანტიორი არაა წევრ სახელმწიფოთა სასამართლოები არამედ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოა¹.

შექმნილმა სისტემამ ჩანაფიქრის მიხედვით დაიწყო ფუნქციონირება - სამუშაო ძალა საჭიროებისამებრ გადაადგილდებოდა პოლიტიკურ დევნილებს კი თავშესაფარი გამოუჩნდათ. ამავ დროს, ევროკავშირის ბევრ ქვეყანაში მკვეთრად გაიზარდა ევროკავშირის გარეთ დაბადებულ ადამიანთა რიცხვი. ამ საკითხმა განსაკუთრებული მნიშვნელობა 2014 წელს შეიძინა, როცა სირიაში გაჩაღებულ სამოქალაქო ომს გამოქცეულთა რიცხვი ევროპაში მილიონს მიუახლოვდა.

ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, სადაც რესპუბლიკელთა ამომრჩევლებს შორის ჩატარებულმა კვლევამ²⁵ აჩვენა, რომ ხმის მიცემისას ისინი ბევრად მეტ ყურადღებას უთმობენ მიგრაციასთან დაკავშირებულ პრობლემატიკას რომელმაც რესპუბლიკელთა ამომრჩევლებისთვის ტრადიციული სოციალური და რასობრივი საკითხები თითქმის მთლიანად ჩაანაცვლა. 1960-იან წლებში სამოქალაქო უფლებებისთვის მოძრაობის დანაშაულები შემდეგ შევკანიანთა დემოკრატიულ პარტიაში ინკორპორაციამ სამხრეთის შტატების ამომრჩეველთა დიდი ნაწილი რესპუბლიკელების მხარდამჭერებად აქცია. მსგავსი პროცესი ვითარდება დღესაც. ერთი განსხვავებით. შავკანიანთა როლს მიგრანტების საკითხი თამაშობს. მექსიკელთა და მუსლიმთა შეერთებულ შტატებში მიგრაციის შემლუღვა დონალდ ტრამპის საპრეზიდენტო კამპანიის ცენტრალური საკითხი იყო კონსერვატორთა მიგრაციის საკითხით შეწუხების მთავარი მიზეზი შეერთებულ შტატებში მყოფი

11-12 მილიონი არალეგალი მიგრანტი იყო. ევროპის მსგავსად, მასობრივი მიგრაციის მონინაალმდევე პოლიტიკოსები შეერთებულ შტატებშიც ამახვილებენ ყურადღებას სახელმწიფოს საზღვრების დაცვის სუვერენული უფლების გამოუყენებლობაზე. ამ რეაქციის ნაწილია ტრამპის დაპირებაც „დიდი და ლამაზი“ კედლის შესახებ, რომლითაც შეერთებული შტატების მექსიკასთან საზღვარი იქნება უზრუნველყოფილი.

მიგრანტთა მაღალი და, ზოგ შემთხვევაში, ისტორიულად უპრეცედენტო რიცხვის და შესაბამისი კულტურული ცვლილებების გათვალისწინებით, ვერ ვიტყვით, რომ ანტიმიგრაციული პოლიტიკის გააქტიურება აბსოლუტური მოულოდნელობა უნდა ყოფილიყო. ამერიკის შეერთებული შტატების საზღვრებს გარეთ დაბადებულთა დღევანდელი რიცხვი 1920-იანი წლების შაზგენებელს უტოლდება, როცა შეერთებულმა შტატებმა მიგრანტთა რამდენიმე მნიშვნელოვანი ტალღა მიიღო

ევროპელ და ამერიკელ პოპულისტ პოლიტიკოსთა ლომუნგია „დავიბრუნოთ ჩვენი ქვეყანა“ ისინი ამტკიცებენ რომ ეროვნული იდენტობა. ამ ცნების ტრადიციული გაგებით, განადგურების საფრთხის წინაშე დგას ეს განსხვავებული კულტურისა და ღირებულებების მქონე ახლადჩამოსულთა და იმ მემარცხენეთა ბრალია, რომლებიც ეროვნული იდენტობის კონცეფციას რასიზმისა და შეუწყნარებლობის წყაროდ თვლიან და ებრძვიან მას.

რომელი ქვეყნის დაბრუნებას ცდილობენ ისინი? შეერთებული შტატების კონსტიტუცია იწყება სიტყვებით: „ჩვენ, შეერთებული შტატების ხალხი, იმ მიზნით, რომ შევქმნათ უფრო სრულყოფილი კავშირი, დავამკვიდროთ მართლმსაჯულება. დავამყაროთ საშინაო მშვიდობა, უზრუნველვყოთ საერთო თავდაცვა, ხელი შევუწყოთ საყოველთაო კეთილდღეობას და შევუნარჩუნოთ ჩვენს თავსა და ჩვენს შთამომავლობას თავისუფლების მაღლი. ვადგენთ და ვაფუძნებთ ამერიკის შეერთებული შტატების წინამდებარე კონსტიტუციას“ კონსტიტუცია ნათლად ამბობს, რომ სუვერენიტეტი

ხალხს ეკუთვის და ლეგიტიმური ხელისუფლება ხალხის ნებიდან გამომდინარეობს. თუმცა არაფერია ნათქვამი თუ ვინ არის ეს ხალხი ან რომელ კრიტერიუმზე დაყრდნობით ხდება იმ ინდივიდების გამორჩევა, რომლებიც სუვერენული საზოგადოების ნაწილად მოიაზრებიან.

სამღვარგარეთ დაბადებულთა წილი ევროპაში უმძროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ევთო) წევრი ქვეყნების მოსახლეობაში

	1960	1970	1980	1990	2000	2013	2015	2016
ავსტრალია	22 769	23 037	27 713		
ავსტრია	10 57	9 06	9 54	10 33	10 395	16 704	18 2	
ბელგია	...				10 328	15 508	15 3	
კანადა		15 234	17 36	19 993		
დანიი	3 689	5 781	8 478		..
ფინეთი		0 705	0 811	1 27	2 631	5 564	6	
საფრანგეთი	7 49	8 31	10 64	10 4	10 13	12 04		
გერმანია			12 402	12 776	13 3	..
საბერძნეთი	6 3	10 19	1 798	6 06	10 28			12 7
უნგრეთი		3 89	3 45	3 35	2 885	4 525	5 1	
ირლანდია	2 58	4 41	6 54	6 49	8 665	16 42	16 9	
იტალია	0 915	1 6	1 97	2 52	3 73	9 457	9 7	..
იაპონია	0 56	0 587	0 65	0 871	1 02			1 4
კორეა	0 316	0 42	1 23	0 1	0 321		..	2 6
ქოლანდია		2	3 47	8 14	10 143	11 625	12 1	...
ახალი ზელანდია	14 08	14 57	15 11	15 56	17 187	22 406
ნორვეგია					6 792	13 868	14 9	...
პოლონეთი		7 75	5 6	..	1 6	
ესპანეთი	0 695	0 95	1 31	2 12	4 891	13 439	12 7	
შვედეთი	..	6 55	7 52	9 22	11 314	15 973	17	
შვეიცარია	...	13 41	16 67	20 73	21 864	28 303	27 9	
დიდი ბრიტანეთი	...	5 29	5 96		7 925	12 261	13 3	
აშშ	7 919	11 024	13 079	13 44	..

წყარო ევრო

ეს სიჩუმე რამდენიმე მნიშვნელოვან კითხვას აჩენს: საიდან მოდის ეროვნული იდენტობა და რა არის მისი დეფინიცია? როგორ

შეიძლება გახდეს იმ „ხალხის“ ნაწილი, რომლის სუვერენიტეტი დემოკრატიული არჩევანის საფუძველია? ასუსტებს თუ არა მულტიკულტურალიზმი დე-ფაქტო, ან როგორც იდეოლოგია, მოქალაქეობის გრძობას და თუ ასუსტებს, არსებობს თუ არა ისეთი ეროვნული იდენტობის გაგების შექმნის საშუალება, რომელიც არაერთგვაროვანი მოსახლეობისთვის იქნება გასაგები და მისაღები?

ამერიკულ კონსტიტუციაში ამერიკელი ხალხის დეფინიციის არარსებობის პრობლემა ყველა ლიბერალური დემოკრატიისთვის დამახასიათებელ საერთო პრობლემას ასახავს. პოლიტოლოგი პიერ მანენი ამტკიცებს, რომ ლიბერალურ დემოკრატიათა უმეტესობა უკვე არსებულ ერთა ზედნაშენია, იმ საზოგადოებათა ნაყოფია, რომლებსაც უკვე გააჩნდათ ეროვნული იდენტობის მკაფიო გაგება, რომელიც სუვერენული „ხალხის“ გამორჩევის საშუალებას იძლეოდა. თუმცა არც ეს ქვეყნები ყოფილან დემოკრატიულად შექმნილები - გერმანია, საფრანგეთი, ქოლანდია და დიდი ბრიტანეთი არადემოკრატიულ რეჟიმებს შორის ტერიტორიისა და გავლენისთვის ხანგრძლივი და დაუნდობელი ბრძოლის თანმდევი ისტორიული შედეგებია. ამ საზოგადოებათა დემოკრატიზაციისას, მოცემული ქვეყნების იმ დროისთვის არსებული ტერიტორია და მოსახლეობა იქნა აღებული, როგორც სახალხო სუვერენიტეტის საფუძველი და ათვლის ნერტილი აღმოსავლეთ აზიაში იგივე შეიძლება ითქვას კორეასა და იაპონიაზე, რომლებიც დემოკრატიზაციას შემდგარი ქვეყნების მრავალსაუკუნოვანი ისტორიით შეხვდნენ და პოლიტიკის დემოკრატიული არჩევანისთვის გახსნისას აღარ სჭირდებოდათ „ხალხის“ დეფინიციასთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხების მოძებნა⁸.

პოლიტიკის თეორეტიკოსი პიერ მანენი თანამედროვე დემოკრატიულ თეორიაში არსებულ მნიშვნელოვან სიცარიელებზე მიგვითითებს. თომას ჰობსის, ჯონ ლოკის, ჟან-ჟაკ რუსოს, იმანუელ კანტის და ჯონ სტიუარტ მილის მსგავს მოაზროვნეებს შიამნდათ, რომ მსოფლიო დემოკრატიზაციას უკვე იმ ქვეყნებად დაყოფილი შეხვდა, რომლებიც შემდგომში დემოკრატიული

არჩევანის სისტემის დასაყრდენები იქნებოდნენ. მათ არაფერი უთქვამთ იმაზე თუ რატომ უნდა გადიოდეს მექსიკასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის საზღვარი რიო-გრანდეზე, ვის უნდა ეკუთვნოდეს ალზასი. უნდა შედიოდეს თუ არა კვებეკი კანადის შემადგენლობაში თუ „განსაკუთრებული ტერორია“ იყოს, როგორ შეიძლება კატალონია ესპანეთს ლეგიტიმურად გამოეყოს ან რა ღონებზე უნდა შენარჩუნდეს იმიგრაციის მაჩვენებლები.

მსგავს საკითხებზე მსჯელობის საშუალება სხვებს მიეცათ პოლ დე ლაგარდის და ადოლფ ჰიტლერის მსგავსი ნაციონალისტები ერის დეფინიციას ბიოლოგიურ ელემენტებზე აგებდნენ და ამტკიცებდნენ, რომ მსოფლიოში არსებული ერები იმ რასობრივ ერთეულებს წარმოადგენდნენ, რომლებიც უხსოვარი დროიდან არსებობდნენ. სხვებმა ეროვნების საფუძვლად მემკვიდრეობად მიღებული, დროში უცვლელი კულტურა მიიჩნიათ. ასეთი თეორიები მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის ევროპისთვის დამახასიათებელ აგრესიულ ნაციონალიზმთან დასაბუთებად და გამართლებას ინსტრუმენტებად იქცა.

მათ, ვისაც „გლობალისტი კოსმოპოლიტები შეიძლება ვუნოდოთ, მიაჩნიათ, რომ ეროვნული იდენტობისა და სახელმწიფო სუვერენიტეტის ცნებები დრომოჭმულია და მათი უფრო ყოვლისმომცველი ტრანსნაციონალური იდენტობებითა და ინსტიტუტებით ჩანაცვლების დროა ამ მიდგომას ორი ტიპის არგუმენტაცია უმაგრებს ზურგს. პირველი, ეკონომიკური და ფუნქციონალურია: თანამედროვე პრობლემები გლობალურ ხასიათს ატარებს და, შესაბამისად, გლობალურ პასუხსა და გადაწყვეტას მოითხოვს. ასეთი საკითხებია ტერორიზმი, გარემოს დაცვა, ინფექციური დაავადებები, ნარკობიზნესი, ცრეფიკინგი და ბევრი სხვა. ქვეყნები და ეროვნული იდენტობები საერთაშორისო კოოპერაციის დაბრკოლებებად შეიძლება იქცნენ და საჭიროა მათი გრადაციულად ჩანაცვლება ახალი ტრანსნაციონალური ნესებითა და ინსტიტუტებით.

არგუმენტაციის მეორე ხაზი უფრო თეორიულია და საერთაშორისო სამართლის პრინციპებიდან გამომდინარეობს. ლი-

ბერალური დემოკრატიები ადამიანთა თანასწორობის უნივერსალურ გაგებაზე დაფუძნებული და ეს თანასწორობა ამა თუ იმ ქვეყნის სახელმწიფო საზღვრების მიღმა ვრცელდება. 1948 წლის ადამიანის უფლებათა დეკლარაცია საერთაშორისო სამართლის ნორმათა დიდ ნაწილს დაედო საფუძვლად. ამ ნორმათა მიხედვით ადამიანის უფლებები თანდაყოლილია და ამ უფლებების დაცვა ყველა ქვეყნის მოვალეობაა²⁷. ადამიანის უფლებათა კანონის ევოლუციასთან ერთად შეიცვალა ქვეყნების ვალდებულებები, რომლებიც არა მარტო ამ ქვეყნების მოქალაქეებს, არამედ მიგრანტებსა და ლტოლვილებსაც შეეხო. ამ არგუმენტაციის მიმდევართა ნაწილი „მიგრაციის უნივერსალურ უფლებებზე“ კი საუბრობს²⁸.

ორივე არგუმენტაცია გარკვეულწილად მართალია თუმცა ისინი არ გამორიცხავენ ეროვნული სახელმწიფოების გარშემო ჩამოყალიბებულ საერთაშორისო წესრიგის კონცეფციას ან ეროვნული იდენტობის გამართული მოდელის საჭიროებას ამ ქვეყნებში. ამრი, რომლის მიხედვით სახელმწიფო მოძველებული კონცეფციაა და საერთაშორისო ინსტიტუტით ჩანაცვლებას მოითხოვს, მცდარია, რადგან ჯერ არ არსებობს მეთოდი, რომელიც ამ საერთაშორისო ინსტიტუტებს დემოკრატიულად ანგარიშვალდებულებს გახდიდა დემოკრატიული ინსტიტუტების გამართული ფუნქციონირება დამოკიდებულია საერთო ნორმებზე, პერსპექტივებსა და კულტურაზე, რომლებიც მხოლოდ სახელმწიფოს ღონებზე არსებობს და საერთაშორისო ფორმატში მათი არსებობა წარმოუდგენელია. ნაყოფიერი საერთაშორისო თანამშრომლობა ნამდვილად შესაძლებელია და უკვე ათწლეულებია, რაც ქვეყნები საკუთარი სუვერენიტეტის ნაწილს მათივე სახელმწიფო ინტერესების დასაცავად თმობენ²⁹. ამ გზით სვლამ და პრობლემათა მოსაგვარებლად საჭირო ხელშეკრულებათა გაფორმების პრაქტიკის გაგრძელებამ სასიკეთო შედეგები შეიძლება მოიტანოს.

ადამიანთა უნივერსალურ უფლებათა დაცვის მოვალეობა მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ ნებაყოფლობით იკისრა. ამავე დროს,

ყველა ლიბერალური დემოკრატიის საფუძველი სუვერენული სახელმწიფოა. რომლის კანონთა იურისდიქცია მისი საზღვრებითაა შემზღვეული. სახელმწიფოს არ ძალუძს მისი ტერიტორიის გარეთ მცხოვრებთა უფლებების დაცვა უზრუნველყოს ან ამის ვალდებულება იკისროს. ისიც უცნობია, რამდენად სიკეთის მომტანი იქნებოდა ეს. ქვეყნები სრულიად მართებულად გრძნობენ ლტოლვილებისთვის თავშესაფრის მიცემის და იმიგრანტთა მიღების ვალდებულებას, თუმცა არ უნდა გამოგვრჩეს ის ეკონომიკური და სოციალური ფასი, რომელიც ამ გადაწყვეტილებებს ახლავს თან. დემოკრატია ნიშნავს, რომ ხალხი სუვერენულია, მაგრამ თუ ვერ განისაზღვრა ვინ არის ეს „ხალხი“, ვერც დემოკრატიული არჩევანი გაკეთდება.

ამგვარად, პოლიტიკური ზესრიგი - როგორც სახელმწიფოთა შიგნით, ისე საერთაშორისო დონეზე - დამოკიდებული იქნება ისეთი ლიბერალური დემოკრატიების არსებობაზე, რომლებსაც ეროვნული იდენტობის სწორი ინკლუზიური მოდელი გააჩნიათ. თუმცა ჯერ უნდა ავხსნათ ამ იდენტობათა წარმომავლობა არსებულ დემოკრატიებში და რა ცვლილებები შეიძლება განიცადონ მათ მომავალში.

ხალხად ყოფნის ისტორიები

ეროვნული იდენტობის თეორიებზე მსჯელობა იოლი არაა, რადგანაც დღეს არსებული ქვეყნები რთული და უნესრიგო, ხშირად ძალადობრივი და სასტიკი ისტორიული პროცესების თანმდევი პროდუქტები არიან. ამ პროცესების შედეგად გაჩენილი ქვეყნები დემოკრატიული ინსტიტუტების შესაქმნელად გამოსადეგი მუშა პლატფორმებია თუმცა შედეგები დავის საგანია და დემოგრაფიულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცვლილებებზეა დამოკიდებული.

ისტორია ეროვნული იდენტობის შექმნის ოთხ ძირითად გზას იცნობს პირველი გზა მოსახლეობის მოცემული სახელმწიფოს საზღვრების იქით გადასროლაა, იქნება ეს ახალი ტერიტორიების დასახლებით, მოცემულ ტერიტორიაზე დასახლებულთა განდევნით, მათი გაყვლით თუ სამივე მეთოდის ერთდროულად გამოყენებით. მოცემული სამი მეთოდიდან მესამე რომელიც 1990-იანი წლების დასაწყისში ბალკანეთში გაჩაღებული ომისას იქნა გამოყენებული, ეთნიკურ წმენდად კვალიფიცირდა და საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ უმკაცრესად დაიგმო წარსულში ეთნიკური წმენდა ბევრი ქვეყნის, მათ შორის ავსტრალიის, ამერიკის შეერთებული შტატების, ჩილესა და ახალი ზელანდიის მსგავსი დემოკრატიების მიერ იქნა გამოყენებული. რომლებმაც მოშავალ დასახლებათა ტერიტორიებზე მცხოვრები მკვიდრი მოსახლეობა იძულებით განდევნეს ან გაყლიტეს.

მეორე გზა არის საზღვრების შეცვლა და გადაადგილება არსებული ლინგვისტური და კულტურული განსახლების მიხედვით. ისტორიულად ეს მეთოდი ან უნიფიკაციის ფორმით ხდებოდა (როგორც ეს გერმანიისა და იტალიის შემთხვევაში 1860-იან და 1870-იან წლებში მოხდა) ან სეპარაციის (როგორც 1919 წელს გაერთიანებული სამეფოდან ირლანდიის რესპუბლიკის გამოყოფის ან 1991 წელს უკრაინის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემთხვევაში განხორციელდა)

შესაძებ გზა არსებულ ეთნიკურ ან ლინგვისტურ ჯგუფში უმცირესობათა კულტურულ ასიმილაციას გულისხმობს. ფრანგები ორასი წლის წინ პოლიგლოტი ერი იყო. მაგრამ დროთა განმავლობაში პროვანსულის, ბრეიონულის და ფლამანდურის მსგავსი ლოკალური დიალექტები პარიზულმა ფრანგულმა ჩაანაცვლა. ასევე მოხდა არგენტინასა და შვედეთულ შტატებში. სადაც იმიგრანტებმა და მათმა შვილებმა ინგლისური და ესპანური დომინანტ კულტურაში ინტეგრაციისა და სოციალურ კიბეზე წინსვლისთვის ისწავლეს. დღევანდელი ჩინეთის ერთი შეხედვით ეთნიკური ჰომოგენურობა, სადაც მოსახლეობის 90% მსგავსი ეთნიკური წარმომობისაა, ეთნიკურ უმცირესობათა საშიათასწლეულის ისტორიის მქონე კულტურული და ბიოლოგიური ასიმილაციის შედეგია

მეოთხე გზა მოცემული საზოგადოებისთვის ეროვნული იდენტობის მისასადაგებლად საჭირო ცვლილებების გატარებაა. ნაციონალისტების შეხედულებათა საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ ერები არ არიან უხსოვარი დროიდან არსებული ბიოლოგიური სახეობები. ისინი თავიდან ბოლომდე სოციალურ კონსტრუქციას წარმოადგენენ ამ კონსტრუქციათა ავტორებს შეუძლიათ იდენტობათა გააზრებული შეცვლა ამა თუ იმ ნიშან-თვისებათა და ჩვევათა შეაბამისად. ამ მეთოდის საილუსტრაციოდ ინდოეთის დამფუძნებლები და დამაარსებლები, მაჰათმა განდი და ჯავაჰარლალ ნერუ შეგვიძლია მოვიყვანოთ სწორედ მათ შექმნეს დღევანდელი ინდოეთის „იდეა“ რომელსაც ინდოეთში მცხოვრები უკიდურესად მრავალფეროვანი მოსახლეობა უნდა მოეცვა. ტანზანიისა და ინდონეზიის დამაარსებლებმა. ასევე უკიდურესად

არაერთგვაროვან საზოგადოებათა გაერთიანებისათვის, ახალი სახელმწიფო ენები შექმნეს².

ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებაზე ყველაზე ძლიერად საშინაო პოლიტიკის შემდეგი ასპექტები მოქმედებს. ქვეყანაში ცხოვრებისა და მოქალაქეობის მიღების წესები, იმიგრაციისა და ლტოლვილთა შესახებ არსებული კანონმდებლობა, ქვეყნის წარსულის სწავლებისთვის სასწავლო დაწესებულებებში გამოყენებული კურიკულუმი ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს საკუთარი „ეროვნების“ შესახებ ხელოვანთა, მუსიკოსთა, პოეტთა, ისტორიკოსთა და რიგით მოქალაქეთა წარმოდგენებს.

დემოკრატიულ ქვეყანაში ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბების ერთ-ერთი ნათელი ილუსტრაცია მხატვრული ფილმი „ინვიტესია“, რომელიც სამხრეთ აფრიკაში 1995 წელს რაგბის მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზებასთან დაკავშირებულ მოვლენებს აღწერს. 1990-იანი წლების დასაწყისში აპარტეიდის რეჟიმის დამხობის შემდეგ ახლადშექმნილი დემოკრატიული სამხრეთ აფრიკა რასობრივი და ეთნიკური დაპირისპირების კერად იქცა. დაძაბულობა სუფევდა სპორტშიც, სადაც თეთრკანიანები რაგბს თამაშობდნენ, შავკანიანები კი ფეხბურთს ქვეყნის შორსმჯვრეულმა პრემიერმა წელსონ მანდელამ კარგად დაინაია სპორტის მნიშვნელობა ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებას საქმეში და თეთრკანიანი მოთამაშეებით დაკომპლექტებული სამხრეთ აფრიკის რაგბის ნაკრებისთვის საგულშემატიკოდ შავკანიანთა მობილიზება განიზრახა. ამას ის საკუთარი პარტიის ნების წინააღმდეგ აკეთებდა მას არ შეეძლო ეს საკუთარი მხარდამჭერებისთვის დაეძალებინა, ამას მხოლოდ დარწმუნებითა და მოთაფლვით თუ მოახერხებდა. მას სამხრეთ აფრიკელთა მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებაც დაეხმარა მათ ეს ახალგელანდიელთა დამარცხებით მოახერხეს, რომელთა ნაკრები მარცხის რიტუალური ჰაკას ყოველი თამაშის წინ შესრულებით, ეროვნული იდენტობის ნაკრების დონზე შენებით არის დაკავებული.

ეროვნული იდენტობისკენ მიმავალი ოთხივე გზის გავლა მშვიდობიანად და კონსენსუსის რეჟიმში ან ძალადობითა და

იძულებით შეიძლება. ყველა არსებული ქვეყანა ამ ოთხი მეთოდის ერთობლივად გამოყენების თანმდევი ისტორიული შედეგია და იძულებისა და კონსენსუსის კომბინაციას ეყრდნობა. იმიგრაციისა და მზარდი არაერთგვაროვნების ფონზე თანამედროვე ლიბერალური დემოკრატიების მთავარი გამოწვევა მესამე და მეოთხე ვიზების კომბინირებაა: ქვეყნის არაერთგვაროვან მოსახლეობას მორგებელი ინკლუზიური ეროვნული იდენტობის მოდელის ჩამოყალიბება და ქვეყანაში ახლადდამკვიდრებულთა ამ მოდელში ასიმილაცია. ამ საქმეში წარმატებაზეა დამოკიდებული თანამედროვე ლიბერალური დემოკრატიების გადარჩენა.

თანამედროვე ევროპის ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებისთვის განეული ძალისხმევა სათავეს ევროკავშირის დამფუძნებლებთან, ჟან მონესა და რობერ შუმანთან იღებს. მონესა და შუმანს კარგად ესმოდათ, რომ ეროვნული იდენტობის ექსკლუზიური მოდელები ევროპის მიერ გადატანილი ორი მსოფლიო ომის მიზეზები იყო³. პირველ ეტაპზე, 1951 წელს, მათ, ანტიდოტის სახით ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება შექმნეს, რომელშიც შედიოდნენ საფრანგეთი ბელგია, დასავლეთ გერმანია იტალია, ჰოლანდია და ლუქსემბურგი. ორგანიზაციის მიზანი გერმანიის გადაიარაღების თავიდან აცილება და ომით იავარქმნილ რეგიონში ეკონომიკური და სავაჭრო თანამშრომლობის გაადვილება იყო. ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება დროთა განმავლობაში ევროპის ეკონომიკურ თანამეგობრობად, შემდეგ კი ევროკავშირად გარდაიქმნა, რომელშიც, ეტაპობრივად, ევროპის 28 ქვეყანა გაერთიანდა.

ევროკავშირის დამფუძნებლებმა გააზრებულად დაგეგმეს წევრ სახელმწიფოთა ეროვნულ იდენტობათა „კოსტეროვნული“ ევროპული ცნობიერების სასარგებლოდ დასუსტება, რომელიც საუკუნის პირველი ნახევრის აგრესიულ ეთნონაციონალიზმთა ანტიდოტი უნდა ყოფილიყო⁴. მათ იმედი ჰქონდათ, რომ მზარდი ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება ომის ალბათობას შეამცირებდა და პოლიტიკური თანამშრომლობის გაღრმავებასაც გამოიწვევდა. ბევრი თვალსაზრისით, მათ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. დღეს ძნელი წარმოსადგენია გერმა-

ნიასა და საფრანგეთს, ორი მსოფლიო ომის მთავარ პროტაგონისტებს შორის ომი. გაჩნდა, ძირითადად, კარგად განათლებულ ახალგაზრდა ევროპელთა ახალი ფენა, რომლებიც ევროკავშირის ერთ ქვეყანაში იბადებიან, მეორეში განათლებას იღებენ, ქორწინდებიან მესამე ქვეყნის წარმომადგენლებზე და მუშაობენ ევროკავშირის და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. ისინი ინარჩუნებენ საკუთარი ეროვნების შეგნებას. მაგრამ მათი ცხოვრება, მთლიანობაში, ევროკავშირზეა დამოკიდებული.

ამავე დროს, არ არის ნათელი რამდენად მოახერხებს ძლიერი „ევროპული“ იდენტობა ეროვნულ იდენტობათა დაჭაბანასა და ჩანაცვლებას. ევროკავშირის არსებობის საწყის ეტაპებზე, წევრ სახელმწიფოთა მიერ ეროვნულ იდენტობათა ხაზგასმასა და აღნიშვნას კარგი თვალთ არ უყურებდნენ. ეს განსაკუთრებით ფაშისტური ნარსულის მქონე ესპანეთსა და გერმანიას ეხებოდა: მოქალაქეები არ აფრიალებდნენ სახელმწიფო დროშებს არ მღეროდნენ ეროვნულ ჰიმნებს და არც საკუთარ საპორტულ ეროვნულ ნაკრებებს გულშემატკივრობდნენ მეტისმეტად ხმაურიანად. მათთვის ევროპა თავშესაფარი იყო, მაგრამ არა ყველაზე სასურველი დანიშნულების ადგილი.

ევროკავშირის ლიდერები არ იყვნენ მზად ახალი ევროპული იდენტობის ჩამოყალიბებისათვის საჭირო ბერკეტების გამოსაყენებლად⁵. მათ არ შექმნეს ერთიანი ევროპის საერთო მოქალაქეობა, მოქალაქეობის მინიჭება წევრი სახელმწიფოების პრეზიდენტებს და დარჩა. სახელმწიფოებრიობის სიმბოლოები, დროშა და ჰიმნი. მოგვიანებით გამოჩნდა, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ვერც საერთო სამოქალაქო განათლების დანერგვა მოხერხდა ყველაზე მნიშვნელოვანი ჩავარდნა ევროკავშირის დემოკრატიული ანგარიშვალდებულების კუთხით მოხდა. ევროკავშირის ყველა მძლავრი ორგანო, ევროკომისია, ტექნოკრატიული ორგანოა, რომლის არცერთი წევრი არ არის არჩეული და რომლის მიზანი ევროპის შიგნით საერთო და ერთიანი ბაზრის განვითარების ხელშეწყობაა ევროკომისიის წევრები ირიბად ანგარიშვალდებულნი მხოლოდ მინისტრთა საბჭოსთან არიან, რომელიც წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლობითი ორ-

განლა. პირდაპირი არბევის წესით არჩეული ევროპარლამენტი შემლუღულ ძალაუფლებას ფლობს. არჩევნები, ძირითადად, დაბალი აქტიუობითა და ენთუზიაზმით ხასიათდება. ევროკავშირის მოქალაქეებს კარგად ესმით, რომ მათი საარჩევნო ხმა ყველაზე მნიშვნელოვანი კვლავაც საკუთარი ქვეყნის დონეზეა. შესაბამისად არის მიმართული მათი ენერგია და ენთუზიაზმიც შექმნილი სიტუაციის შედეგად. ევროკავშირის მოქალაქეები ევროპის მმართველობითი ორგანოების მიმართ გულგრილად არიან განწყობილნი

ევროპის პოლიტიკური ელიტების მიერ ევროკავშირის ფარგლებში „სპრეცედენტო სიახლოვეზე“ საუბრების პარალელურად, არსად წააულა ძველი ეროვნული იდენტობები. რომლებიც დაუპატიჟებელი სტუმრებით ყველას თვალში ხვდებოდა. ეს განსაკუთრებით ასაკოვან. შედარებით ნაკლები განათლების მქონე ამომრჩევლებს ეხებოდა, რომლებსაც არ სურდათ ან არ შეეძლოთ ახალი ევროპის მიერ შემოთავაზებული მობილობით სარგებლობა. ძველ იდენტობათა მოჩვენებები კრიტიკულ მომენტებსა და ადგილებში ჩნდებოდნენ, რითაც ზოგჯერ ევროკავშირის არსებობასაც ვეუქმნიდნენ საფრთხეს.

ამის კარგი მაგალითი იყო ევროს კრიზისი. საერთო ევროპულმა ვალუტამ 2000-იანი წლების დასაწყისში ბერძნებს მნიშვნელოვანი ოდენობის სესხების აღების საშუალება მისცა. გერმანელები, რომლებიც საკუთარ თანამოქალაქეთა დასახმარებლად სოციალური დახმარების მნიშვნელოვან ოდენობებს გასცემენ, არცთუ დიდი ენთუზიაზმით შეხვდნენ ბერძნების თხოვნას ფინანსური დახმარების აღმორჩენის თაობაზე. საბერძნეთს მართლაც გერმანიისგან რადიკალურად განსხვავებული მიდგომები ჰქონდა დანაზოგების, ვალისა და საბანკო რეგულირების მიმართ. ევროპის ცენტრალური ბანკის და საერთაშორისო სავალუტო ფონდის დახმარებით. გერმანიამ საბერძნეთს გამანადგურებლად მკაცრი ეკონომიკური პოლიტიკა დააკისრა. ევროს კრიზისმა გამოამკარავა ის დიდი უფსკრული, რომელიც ევროპის ჩრდილოეთისა და სამხრეთის ქვეყნებს ამორებს. დღეს ეს ქვეყნები ბევრად მეტ ყურადღებას უთმობენ მათ შორის

არსებულ განსხვავებებს, ვიდრე კრიზისის დაწყებამდე.

თუმცა ყველაზე მწვავე კონფლიქტი იმიგრაციისა და ლტოლვილების მიღების ერთმანეთთან დაკავშირებული საკითხების გამო მოხდა 1990-იან და 2000-იან წლებში უცხოეთში დაბადებულთა რიცხვის დრამატული მატება რამდენიმე მიზეზმა გამოიწვია. პირველი მიზეზი მუსულმანური ქვეყნებიდან – მაროკოდან, თურქეთიდან და პაკისტანიდან – დროებით სამუშაოდ ჩამოსულ მიგრანტთა ევროკავშირის ქვეყნებში დარჩენის და ოჯახების ჩამოყვანის გადაწყვეტილება იყო. ცივი ომის დასრულების შემდეგ ევროკავშირის გაფართოებამ აღმოსავლეთ ევროპელთა დასავლეთ ევროპაში მასობრივი მიგრაცია გამოიწვია – ეკონომიკური თეორიის წინასწარმეტყველების თანახმად, სამუშაოს მაძიებლები მდიდარი ქვეყნებისკენ მიისწრაფოდნენ.

მუსლიმთა მიგრაცია ყველაზე წინააღმდეგობრივი აღმოჩნდა ამის მიზეზები კომპლექსურია შემთხვევათა ნაწილში ეს უბრალოდ რასიზმის, ქსენოფობიისა და კულტურული მიუღებლობის გამოხატულება იყო. იყო შემთხვევები, როცა ადგილობრივი მოსახლეობა თვლიდა, რომ მუსლიმები მათ საზოგადოებას „ვერ ერგებოდნენ“. მუსლიმებსა და მათ შვილებს გეტოსმაგვარ დასახლებებში გამოკეტილად ცხოვრებასა და სახელმწიფო ენის უგულვებელყოფაში სდებდნენ ბრალს.

მდგომარეობა ნიუ-იორკის საგაჯრო ცენტრზე 11 სექტემბერს განხორციელებული ტერორისტული თავდასხმის შემდეგ დაიძაბა. ნიუ-იორკს ალ-ქაიდას მიერ ლონდონსა და მადრიდში ჩადენილი ტერაქტები მოჰყვა. ამ მოვლენებმა ბევრ ევროპულ ქვეყანაში ეროვნული იდენტობის საკითხი ხელახლა წამოჭრა და მძაფრი საზოგადოებრივი დებატები გამოიწვია. ზოგ შემთხვევაში ტერორისტები ხომ საკუთარ საზოგადოებას ესხმოდნენ თავს. ამ კუთხით საყურადღებო მდგომარეობა იყო პოლანდიაში. სადაც ევროპაში მუსლიმთა ერთ-ერთი ყველაზე მაღალი პროპორციული კონცენტრაცია იყო. სიტუაცია დაიძაბა ლიად კომოსექსუალი პოლიტიკოსის, პიმ ფორტიანის განცხადების შემდეგ, რომლითაც ის პოლანდიის მთავრობას მუსლიმთათვის ქვეყნის საზღვრების დაკეტვისაკენ მოუწოდებდა მისი აზრით მუსლიმები მუ-

წყნარებელნი იყვნენ მისი მსგავსი ადამიანების მიმართ და ჰოლანდიის თავისუფლებისმოყვარე კულტურას ვერ ერგებოდნენ. ფორტაინი 2002 წელს, რადიოეთერის დამთავრების შემდეგ, რადიოს ოფისიდან გამოსვლისას მოკლეს მისი მკვლელი არა მუსლიმი ექსტრემისტი, არამედ ცხოველთა უფლებების დამცველი აღმონდა 2004 წელს რჯისორ თეო ვან გოგს უკვე მაროკოული წარმომავლობის ჰოლანდიელი, მუჰამედ ბუიერი კლავს, რომელმაც მკვლელობის მიზეზად რჯისორის მიერ გადაღებული ერთ-ერთი ფილმით ისლამის შეურაცხყოფა დაასახელა.

ძალადობის ახალი ტალღა ევროპაში, სირიის სამოქალაქო ომის დაწყების წინ, სირიასა და ერაყში ისლამური სახელმწიფოს დაფუძნებას მოჰყვა: შარლი ებლოზე თავდასხმა 2015 წლის იანვარში, ბატაკლანის ტერაქტი (130 დაღუპული), აფეთქება ბრიუსელის აეროპორტში 2016 წლის მარტში. სატვირთო მანქანით ფეხით მოსიარულეთა წინააღმდეგ განხორციელებული ტერაქტები ბერლინში, ლონდონში, ნიცასა და ნიუ-იორკში. სირიულმა კონფლიქტმა დიდი რაოდენობით მუსლიმთა რადიკალიზაცია გამოიწვია, მათი ნაწილი, ექტრემისტთა მიერ, ინტერნეტის მეშვეობით იქნა რეკრუტირებული.

ამ ტერაქტებმა მოქალაქეობისა და ეროვნული იდენტობის საკითხებზე ყურადღების გამახვილება გამოიწვია, ტერორისტთა დიდი ნაწილი მეორე თაობის იმიგრანტები და იმ ქვეყნის მოქალაქეები იყვნენ, რომლებსაც თავს დაესხნენ. ნათელი იყო, რომ ევროპის ქვეყნების ნაწილი განრისხებულ იმიგრანტთა სწრაფად მზარდ მოსახლეობას იფარებდა. ისინი, როგორც წესი, ვერ ახერხებდნენ მასპინძელ საზოგადოებაში ინტეგრაციას, მათ ნაწილს კი დაუფარავად სძულდა ამ საზოგადოებათა ღირებულებები.

ეროვნული იდენტობით წარსულში გამოწვეული დაპირისპირებები ასეთი სიმძაფრით არ გამოირჩეოდა. მულტიკულტურალიზმის ერთ-ერთ სამშობლოდ კანადა ითვლება, სადაც კვებეკის ფრანგულენოვან მოსახლეობას, მეტწილად ინგლისურენოვან კონტინენტზე, საკუთარი ენისა და განათლების სისტემის შენარჩუნება უარდა. 1987 წელს დაღებული მიჩის ტბის შეთანხმება კანადის

კონსტიტუციაში კვებეკის „გამორჩეული საზოგადოების“ სტატუსის შეტანას ითვალისწინებდა. ამ შეთანხმების წინააღმდეგობრივი ხასიათი საზოგადოების გარკვეული ჯგუფის უპირატესი სტატუსის აღიარებაში მდგომარეობდა. კანადელ ფრანგებს ენიჭებოდათ ლინგვისტური უფლებები, რომლებითაც ინგლისურენოვანი კანადელები ვერ სარგებლობდნენ. მიუხედავად ამ შეთანხმების შეჩერებისა, კანადური ფედერალიზმი ითვალისწინებს კვებეკის განსაკუთრებული კულტურული უფლებების დაცვას და ფრანგული ენის გამოყენების მანდატს ანიჭებს კვებეკის ფრანგულენოვან მოსახლეობას და იმიგრანტებს.

მულტიკულტურალიზმის კბილის მოსინჯვაში მუსლიმი იმიგრანტები კვებეკელ ნაციონალისტებზე ბევრად შორს წავიდნენ. ამ უკანასკნელთა ყველაზე რადიკალური მოთხოვნების შესრულება კანადას ორად გაყოფდა, თუმცა, ამ შემთხვევაშიც კი, დემოკრატიულ ღირებულებებს საფრთხე არ შეექმნებოდა – დამოუკიდებელი კვებეკი განვითარებულ ლიბერალურ დემოკრატიად დარჩებოდა ფრანკოფონთა კულტურული ხასიათის მოთხოვნები კანადურ ლინგვისტურ წესებს ეხებოდა მაქსიმუმში, რასაც ეს მოთხოვნები, დაკმაყოფილების შემთხვევაში, ინგლისურენოვან მოსახლეობას მოუტანდა, ახალი ენის სწავლის აუცილებლობით გამოწვეული გალიაზიანება იქნებოდა.

იმავეს ვერ ვიტყვით მუსლიმთა თემის რწმენასა და წეს-ჩვეულებებზე. უკიდურეს შემთხვევებში, მუსლიმები საკუთარი თანამოქალაქეების წინააღმდეგ ტერორისტული აქტების ჩადენისთვისაც მზად იყვნენ. დაუფარავი აგრესია უკვე ზღვარს სცდებოდა და ნებისმიერი საზოგადოებისთვის მიუღებელი იქნებოდა. მათი ცხოვრების წესის სხვა ასპექტები უფრო კომპლექსური იყო. მუსლიმთა შორის ახალგაზრდა გოგონათა გარიგება მიღებული პრაქტიკად ითვლებოდა, რაც მათ მიერ პარტნიორის არჩევის უფლების იძულებითი შეზღუდვა იყო. დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, მათ ხშირად საკუთარი ოჯახი ასალმებდა სიცოცხლეს. ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ერთსქესიანთა ქორწინების დამწვების პარალელურად, მორწმუნე მუსლიმები ჰომოსექსუალიზმის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ მუსლიმთა ჯგუფები, მათი კულტურის

სპეციფიკური ხასიათის მომიზეზებით, განსხვავებულ მოპყრობას მოითხოვდნენ: ითხოვდნენ ქალთა და გოგონათა სეგრეგაციის უფლებას და უფლებას, ჰქონოდათ საშუალება ქალებისთვის მამაკაც ექიმებთან ვიზიტი აეკრძალათ. ისრაელის და პალესტინის მწვავე კონფლიქტის გამო ბევრი მუსლიმი ანტისემიტურ განწყობებს არ მალავდა. ეს განსაკუთრებით უადგილო ევროპაში იყო, სადაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ანტისემიტობის მცირედ გამოვლინებებსაც დიდ ყურადღებას აქცევდნენ და ალაგვმას ცდილობდნენ

2000-იანი წლების დასაწყისში ევროპის ქვეყნები მოქალაქეობის, იმიგრაციისა და ეროვნული იდენტობის შესახებ ინტენსიურმა დებატებმა მოიცვა. მოქალაქეობა ორმხრივი მოძრაობის ქუჩას ჰგავს: ის მოქალაქეებს ანიჭებს უფლებებს, რომელთა გარანტორი სახელმწიფოა. მაგრამ, ამავე დროს, აკისრებს ვალდებულებებს. რომელთა შორის მთავარი ქვეყნის კანონებისა და პრინციპების მორჩილება და ერთგულებაა. ეს საკითხი განსაკუთრებული ყურადღების ღირსი ბევრ ევროპულ ქვეყანაში სოციალური დახმარებების ბენეფიციართა საკმაოდ სოლიდური დახმარებების ფონზე გახდა. ევროპის ქვეყნებში არსებული სოციალური კონტრაქტის მიღებაზე უარის მთქმელი იმიგრანტებისთვის სოციალური ბენეფიტების მინიჭებამ პროტესტი გამოიწვია. ბევრი ფიქრობდა, რომ, ემიგრანტთა უწინდელი თაობებისაგან განსხვავებით, მუსლიმები ვერასდროს ინტეგრირდებოდნენ ევროპულ სამოგადობაში და ვერ ასიმილირდებოდნენ ევროპულ კულტურასთან. საფრანგეთის სახალხო ფრონტის დანიის სახალხო პარტიის და ჰოლანდიური თავისუფლების პარტიის მსგავსი მემარჯვენე და იმიგრაციის მონინააღმდეგე პარტიები ძალას იკრებდნენ და პოლიტიკური სპექტრის მეანსტრიმულ პარტიებზე თავიანთი დღის წესრიგის თავს მოხვევას ცდილობდნენ.

ამის შედეგად ბევრმა ევროპულმა ქვეყანამ გადაწყვიტა მოქალაქეობის შესახებ არსებული კანონმდებლობისთვის გადაეხედა და შეეცვალა ის პროცედურები, რომელთა გავლა უცხოელებს მოქალაქეობის ასაღებად სჭირდებოდათ. ევროპის ქვეყნების ნაწილში ემიგრანტთა ასიმილაციის ჩავარდნამ აჩვენა, რომ

ეს საკითხი არაერთმნიშვნელოვანი იყო. ბევრმა ევროპულმა ქვეყანამ მოქალაქეობის მიღების წესები გაართულა. მოქალაქეობა შეიძლება იყოს მინიჭებული დაბადებისას *ius soli* და *ius sanguinis* პრინციპებზე დაყრდნობით. ან დაბადების შემდეგ ნატურალიზაციის პროცედურის გავლით. *Ius soli*-ის პრინციპი გულისხმობს, რომ ნებისმიერი ადამიანი, რომელიც მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიაზე დაიბადება, ავტომატურად ამ ქვეყნის მოქალაქეა. *Ius sanguinis* შემთხვევაში მოქალაქეობა წარმომავლობაზე დამოკიდებული⁶ ამერიკის შეერთებულ შტატებში ტრადიციულად *Ius soli* მოქმედებდა, რომელიც ამერიკის კონსტიტუციის 1868 წლის მეოთხედი ჩასწორებით ყველა რასის ადამიანზე გავრცელდა. *Ius soli*-ის პრინციპი მოქმედებს ავსტრალიაში, კანადასა და იმიგრაციისაღმი ტრადიციულად კეთილგანწყობილი მიდგომებით გამორჩეულ ქვეყნებში⁷.

ევროპაში მოქალაქეობისაღმი პოლიტიკური და ტერიტორიალური მიდგომის ძველი ტრადიცია აქვთ ფრანგებს საფრანგეთის მოქალაქეობის მიღება ტექნიკურად *Ius soli*-ის პრინციპს ეფუძნება თუმცა, ნატურალიზების გამარტივებული პროცედურების წყალობით, მეორე და შესაძემ თაობის ემიგრანტებისთვის მოქალაქეობის მიღება პრაქტიკულად ავტომატური პროცედურაა⁸. საფრანგეთის მოქალაქეობის ტრადიციული გავება გულისხმობს რესპუბლიკისაღმი, ფრანგული ენისაღმი და განათლებისაღმი ლოიალურობას. სენეგალელი პოეტი ლეოპოლდ სენგორი 1983 წელს პრესტიჟულ „საფრანგეთის აკადემიაში“ ფრანგულ ლიტერატურაში შეტანილი წვლილისთვის მიიღეს

გერმანია. ავსტრია და შვეიცარია (ისევე როგორც იაპონია და სამხრეთ კორეა) მოქალაქეობას *Ius sanguinis*-ის პრინციპზე დაყრდნობით ანიჭებდნენ. ამ ქვეყნების ნატურალიზების პროცედურები ბევრად რთული და შეზღუდულია. 2000 წელს რეგულაციების შედარებით შემსუბუქებამდე მოქალაქეობის მიღება სრულყოფილი გერმანულით მოსაუბრე თურქული და არაბული წარმოშობის მეორე და შესაძემ თაობის იმიგრანტებისთვისაც ვი რთული იყო. განსხვავებული მიდგომა გამოიყენებოდა ყოფილი საბჭოთა კავშირიდან და სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნებიდან ჩასული

ეთნიკური გერმანელების მიმართ, რომლებსაც მოქალაქეობის მისაღებად გერმანული ენის ცოდნაც კი არ მოეთხოვებოდათ. იაპონიას მოქალაქეობის მინიჭებისა და ნატურალიზების ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი წესები აქვს განვითარებულ დემოკრატიებს შორის. იმიგრაციის შემზღუდავ კვოტებთან ერთად. ეს ფაქტორი იაპონიას უეთო-ს წევრებს შორის ეთნიკურად ერთ-ერთ ყველაზე ჰომოგენურ ქვეყნად ყოფიანს განაპირობებს¹².

ევროპულმა სახელმწიფოებმა მოქალაქეობის კანონმდებლობის რეფორმირება 2000-იან წლებში დაიწყეს¹³. ეს ცვლილებები გარკვეულწილად, სოციალური ინტეგრაციის დამხმარე ფაქტორად იქცა, *Just sanguinis*-ის პრინციპის დასუსტებით გამოიკვეთა იმ კრიტერიუმთა ერთობლიობა, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში მოქალაქეობის მიღების მოსურნე იმიგრანტი ამას შეძლებდა ახალი მოქალაქეებისგან ქვეყნის ისტორიის ცოდნას. პოლიტიკურ ინსტიტუტთა ფუნქციონირების გაგებას და სახელმწიფო ენის ფლობას ელოდებოდნენ. ზოგ შემთხვევაში, ეს მოთხოვნები იმდენად მკაცრი იყო, რომ მოქალაქეობის მოპოვებას, პრაქტიკულად, გამოორიცხავდა. მაგალითად, გერმანიის ბადენ-ვიურტემბერგის მიწა, მიუხედავად საკუთარი კონსერვატიულ-კათოლიკური ტრადიციებისა, მოქალაქეობის მიღების წინაპირობად გვიქორნიების აღიარებას თვლის¹⁴

მოქალაქეობის მიღების ფორმალური წესების გარდა, ასიმილაციას ხელს უშლიდა როგორც დემოსტრაციული რასიზმი, ისე სხვა, უფრო დაფარული და დახვეწილი კულტურული ბარიერები¹⁵ მედსართავები გერმანელი, პოლანდიელი ან დანიელი ყოველთვის ეთნიკური კონტაქტის შემცველი იყო მათგან განსხვავებით. ნებისმიერ გვატემალელ ან კორეელ იმიგრანტს ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქის ფიცის დადებისთანავე შეუძლია განაცხადოს. რომ ის ამერიკელია. პოლანდია ტოლერანტული გარემოთია სახელგანთქმული, მაგრამ ეს ტოლერანტობა პარალელურ საზოგადოებათა თანაარსებობას უფრო გულსხმობს, ვიდრე ინდივიდუალურ სოციალურ ინტეგრაციას. „ბურჯთა“ პრინციპზე დაყრდნობით, პოლანდიის მოსახლეობის კათოლიკური, პროტესტანტული და სეკულარული

ნაწილები დიდი ხნის განმავლობაში ინარჩუნებდნენ საკუთარ სკოლებს, გაზეთებსა და პოლიტიკურ პარტიებს. პოლანდიაში, მუსლიმთა რიცხვის მატებასთან ერთად, ჩამოყალიბდა მუსლიმური „ბურჯი“, რომელთა სკოლებშიც მხოლოდ მუსლიმი ბავშვები სწავლობდნენ. პოლანდიური სისტემა დაყოფილი საზოგადოების მშვიდობიანი თანაცხოვრებისა და ფუნქციონირების ისტორიული მაგალითი იყო, მაგრამ 21-ე საუკუნეში მკვეთრად განსხვავებული კულტურის მქონე იმიგრანტთა ასიმილაციის არცთუ საუკეთესო ნიმუშია.

განსხვავებული კულტურის მქონე იმიგრანტთა მიღების კიდევ უფრო ნაკლები ენთუზიაზმი აღმოჩნდა ევროკავშირის ახალ წევრ აღმოსავლეთევროპულ ქვეყნებს. 1945 წლის საბჭოთა ოკუპაციამ ამ ქვეყნების პოლიტიკური და სოციალური განვითარება შეაჩერა. დასავლეთ გერმანიისა და ესპანეთისაგან განსხვავებით, ამ ქვეყნებში არ მომხდარა წარსულის გადაფასება და არც ლიბერალურ ღირებულებათა დანერგვა უცდია ვინმეს მათ იმიგრანტთა მიღების ნულოვანი გამოცდილება გააჩნდათ და განვითარებულ ქვეყნებს შორის ეთნიკური ჰომოგენურობით ლიდერობდნენ. 1989 წელს კომუნისტურ რეჟიმთა დამხობის შემდეგ ეს ქვეყნები ევროკავშირისაკენ მიისწრაფოდნენ თუმცა მათი მოსახლეობის დიდი ნაწილი არ იზიარებდა ევროკავშირის ლიბერალურ ტრადიციებსა და ღირებულებებს. შესაბამისია. მაგალითად ვიქტორ ორბანის განცხადებები, რომელიც უნგრულ ეროვნულ იდენტობას უნგრულ ეთნოსს უკავშირებს, ისევე როგორც ადოლფ ჰიტლერი გერმანულ იდენტობას გერმანულ სისხლს უკავშირებდა. აღმოსავლეთევროპული პოლიტიკური ლიდერები ბრიუსელს საფრთხედ აღიქვამდნენ, პირველ რიგში, ასეულ ათასობით ახლო აღმოსავლელი და აფრიკელი იმიგრანტისთვის ევროპის კარის გახსნის გამო.

ევროკავშირის კიდევ ერთი ქვეყანა, რომელსაც არასდროს მიუღია ევროპული იდენტობა დიდი ბრიტანეთი იყო. წლების განმავლობაში დიდი ბრიტანეთი ყველაზე ხმაურიან ევროსკეპტიკოსთა ქვეყანა იყო¹⁶ 2016 წელს ევროკავშირის დატოვების მოულოდნელად მიღებული გადაწყვეტილება კაცისტროფული

ეკონომიკური შედეგების მომტანადაა შეფასებული, თუმცა როგორც აღმოჩნდა, ბრიტანელთა უმეტესობა ამ საკითხს არა ეკონომიკის, არამედ იდენტობის კუთხით აფასებდა რეფერენდუმის შედეგი უფრო გასაგები ტრადიციული ინგლისური იდენტობის გათვალისწინებით ხდება.

ინგლისური ევროსკეპტიციზმის სათავე ინგლისური განსაკუთრებულობის რწმენაა. ფრანგული დინასტიის მიერ 1066 წელს დაპყრობილი ინგლისის ისტორია, რამდენიმე ასეული წლის განმავლობაში, კონტინენტის ისტორიასთან იყო შჭიდროდ გადაჭაჭვული. განსაკუთრებული ინგლისური იდენტობის ჩასახვა ჰენრი მერვის მიერ რომის პაპისგან დისტანცირებისა და სეპარატული პროტესტანტული ეროვნული ეკლესიის დაფუძნებისას დაიწყო. ისტორიკოს ალან სმითის მიხედვით, „ეროვნული იდენტობისა და თვითმყოფადობის მზარდმა შეგრძნებამ ზენიტს ელიზაბეტის მეობისას მიაღწია, როცა მისი ხსენება ინგლისური ლიტერატურის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ტექსტში ჯონ ფოქსის „აქტებსა და მონუმენტებში“ მოხდა. ეს ტექსტი იყო ხმამაღალი განაცხადი პროტესტანტული ინგლისის როგორც „ღვთის რჩეული“ ერის შესახებ, რომელიც, პაპის მიერ დამონებული კონტინენტური ევროპისგან განსხვავებით, ერთადერთ ხელისუფალს ემორჩილება. ეს იყო ინგლისური და შემდგომში ბრიტანული სახელმწიფოებრიობის ძირითადი თეორია 1970-იან წლებამდე, როცა ევროპული თანამეგობრობის წევრობამ ინგლისი კვლავ გარე ხელი-სუფლებას დაუქვემდებარა“¹⁵

სეპარაციის ეს შეგრძნება გაძლიერდა ესპანური არმადის დამარცხებითა და მე-17 საუკუნეში გაჩაღებული სამოქალაქო ომის გარშემო მიმდინარე პოლიტიკური პროცესებით, რომელთა შედეგი სუვერენული პარლამენტის დაფუძნება იყო. სისხლისმღვრელ ბრძოლაში მოპოვებული სუვერენიტეტი ადვილი დასათმობი ვერ იქნებოდა ბრეგზიტის მომხრეთა აზრით, კონტინენტური ევროპა დღესაც დამონებულია, ამჯერად არა პაპის, არამედ ევროკავშირის მიერ.

დღევანდელი ევროპის ეროვნული იდენტობა რბილად რომ ვთქვათ. თავგზააბნეულია. ევროკავშირის მომხრეებმა ვერ შეძ-

ლეს ძლიერი პანევროპული იდენტობის შექმნა, რომელიც მის წევრ სახელმწიფოთა ეროვნულ იდენტობებს ჩაანაცვლებდა. ამ ეროვნულმა იდენტობებმა, რომლებიც ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება, მტკიცე და გამძლე ხასიათი გამოავლინეს. ისინი შეიძლება ღიაობითა და მიმღებლობით გამორჩეულნი იყვნენ. როგორც ეს საფრანგეთის შემთხვევაშია ან უფრო ჩაკეტილები, როგორც უნგრეთში რეგიონს საფრთხეს არა იმიგრანტები, არამედ შათი გამოჩენითა და კულტურული არაერთგვაროვნებით გამოწვეული პოლიტიკური რეაქციები უფრო უქმნის.

ევროპის სახელმწიფოთა უმეტესობასთან შედარებით, ამერიკის შეერთებულ შტატებს იმიგრაციის ბევრად მდიდარი ტრადიცია და ახლადჩამოსულთა ასიმილაციაზე უკეთ მორგებული ეროვნული იდენტობის მოდელი აქვს. თუმცა ეს იდენტობა ვერ გადაურჩა პოლიტიკურ ბრძოლასა და სპეკულაციებს, რომლებიც დღემდე გრძელდება. 2016 წელს დონალდ ტრამპის პრეზიდენტად არჩევა იდენტობის მიმდინარე პროცესების ახალი ეტაპის დასაწყისი იყო.

ტრამპის საპრეზიდენტო კამპანია ანტიიმიგრაციულ დღის წესრიგზე იყო აგებული. განსაკუთრებული ყურადღება მექსიკელებსა და მუსულმანური სამყაროს წარმომადგენლებზე იყო გამახვილებული. მათი ევროპელი თანამოაზრეების მსგავსად, ტრამპის მხარდამჭერთა ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა „საკუთარი ქვეყნის უკან დაბრუნებაა“. რაც რაღაც ეტაპზე ქვეყნის მათთვის წართმევას გულისხმობს. 2017 წლის აგვისტოში შარლოტსვილში გამართულმა შემარჯვენეთა საპროტესტო აქციამ თავი ნონაცისუბებსა და რასისტებს მოუყარა – ჩირადღნებით გაფორმებული მათი მსვლელობა ნაციონალ-სოციალიზმის ეპოქისას მიაგავდა დემონსტრაციის საპასუხოდ, რესპუბლიკელმა სენატორმა ბენ სასმა ტვიტერზე დაწერა: „ამ ხალხის ქვეყა აღმაშფოთებელია, მათ ამერიკის არაფერი გაეგებათ. ჩვენი მორწმუნე ერისთვის მიუღებელია „სისხლისა და მიწის“ ნაციონალიზმი“¹⁶.

სენატორი ამ განცხადებასთვის ნამდვილად ქებას იმსახურებდა, განსაკუთრებით შარლოტსვილის მოვლენებით არცთუ დიდად აღშფოთებული პრეზიდენტისა და შეშინებული რესპუბლიკელების ფონზე, რომლებმაც ტრამპის კრიტიკას გაჩუმება ამ-

კობინეს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იდენტობის ამერიკული მოდელი დროთა განმავლობაში იცვლებოდა და ამ ცვლილებებისადმი ამერიკელებს განსხვავებული დამოკიდებულება უყალიბდებოდათ

გავისხენოთ ჯონ ჯეი, რომელიც ამერიკის კონსტიტუციის პროექტზე გამართულ დებატებს ასე იწყებდა. „განგებამ იწება ამ ერთი ქვეყნის ერთი ხალხისთვის მიცემა – ხალხისთვის, რომელსაც საერთო წინაპრები ჰყავს, რომელიც ერთ ენაზე ლაპარაკობს, რომელსაც ერთი რელიგია აქვს, რომელიც მმართველობის ერთსა და იმავე პრინციპებს ეყრდნობა, ჰგავს ერთმანეთს ადათებითა და წეს-ჩვეულებებით და რომელმაც, საერთო ძალისხმევით, იარაღით ხელში, ხანგრძლივ და სისხლისმღვრელ ომში ერთმანეთის მხარდამხარ ბრძოლით თავისუფლება და დამოუკიდებლობა ღირსეულად მოიპოვა“.

ყურადღება მიაქციეთ თუ რამდენად სპეციფიკურად და ვინაშით ხედავს ამერიკულ იდენტობას ჯონ ჯეი: ის ეფუძნება საერთო რელიგიას (პროტესტანტიზმს), ეთნიკურ წარმომავლობას (ინგლისიდან), საერთო ენას (ინგლისურს) და რესპუბლიკური მმართველობის პრინციპების საერთო რწმენას თომას პეინიც კი, რომელიც რევოლუციის დროს მემარცხენე რადიკალად ითვლებოდა, „ყველა ევროპელ ქრისტიანთან“ ძმობას აცხადებდა. თომას ჯეფერსონს ეჭვი ეპარებოდა, რომ მას და „შოტლანდიელებს“ ერთი სისხლი ჰქონდათ და ლეღავდა იმ იმიგრანტთა გამო რომლებიც ევროპის არასწორი კუთხეებიდან ჩამოდიოდნენ შეერთებულ შტატებში და თან ჩამოჰქონდათ „იმ მმართველობის პრინციპები, რომლებსაც გამოექცნენ“¹⁷⁴

ჯეფერსონი არ იყო ერთადერთი ისტორიული ფიგურა, რომელიც არაანორი ხალხის ქვეყანაში შემოშვებით. ამერიკული ხასიათის გაფუჭებას შიშობდა. 1840-იან წლებში კათოლიკე ირლანდიელთა დიდი რაოდენობით ჩამოსვლას ადგილობრივთა მწვავე უკურაქცია მოჰყვა, რომლებიც ალკოჰოლიზმისა და „პაპისტობის“ უარყოფით შედეგებს ელოდნენ. ამერიკის ანგლოსაქსი პროტესტანტი ელიტები გერმანელ იმიგრანტებსაც უფრო ხოლდნენ რომლებსაც მათთვის ჩვეული აბსოლუტისტური მისწრა-

ფებების გავრცელება შეეძლოთ. ამ შიშმა აპოგეას შეერთებული შტატების პირველ მსოფლიო ომში ჩართვის შემდეგ მიაღწია. როცა ბევრმა ამერიკელმა საკუთარი გერმანული წარმოშობის დამალვაც კი გადაწყვიტა. მსგავსი ვითარება იყო სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპიდან ემიგრირებულთა შემთხვევაშიც, რომელთა დიდი რაოდენობა 1880-იანი წლების იმიგრაციის დიდი ტალღიდან მოყოლებული ჩამოდიოდა შეერთებულ შტატებში. ეს 1924 წელს ჯონსონ-რიდის აქტის მიღებამდე გრძელდებოდა რომელმაც შეერთებულ შტატებში შემსვლელთა ეროვნული კვოტები დააწესა

ამგვარად, მთავარი ნიშნები, რომლებითაც ამერიკელები საკუთარ თავს აღწერდნენ, რელიგია და ეთნიკური წარმოშობა იყო. თუმცა ასეთივე ღრმად ფესვგადგმული იყო ნარატივი, რომელიც ამ შეხედულებას ეწინააღმდეგებოდა. ჩამოყალიბების პროცესში მყოფ შეერთებული შტატების პოლიტიკურ კრედოს ჯორჯ ვაშინგტონი შემდეგნაირად აღწერდა: „ეს არის ადგილი, რომელიც ღიაა არა მხოლოდ მდიდარი და პატივსაცემი უცხოელებისთვის, არამედ ნებისმიერი წარმომავლობისა და საარწმუნოების ჩაგრულთა და დევნილთათვის“ იგივე თომას პეინი, რომელიც ძმობის შესაძლებლობას მხოლოდ ქრისტიან ევროპელებთან ხედავდა, შეერთებულ შტატებს უყურებდა როგორც „სხვადასხვა ქვეყნის სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე სხვადასხვა ხალხის ქმნილებას“, მაგრამ ამავე დროს „მმართველობის ადამიანის უფლებებზე დაფუძნების მარტივი პრინციპი ყველა სირთულეს აქრობს და საბოგადოების ყველა ნაწილს გულითად თანხმობაში აერთიანებს“¹⁷⁵ ეს შეხედულებები საფუძვლად უდევს ამერიკის შეერთებული შტატების დიდ ბეჭედსა და გერბზე დატანილ დევიზებს. Novus ordo seclorum-ს და E pluribus unum-ს.

ამერიკის სამოქალაქო ომი ამერიკული ეროვნული იდენტობისთვის ბრძოლა იყო სამხრეთის შტატები იდენტობას რასას უკავშირებდნენ და სრულუფლებიან მოქალაქეებად მხოლოდ თეთრკანიანებს თვლიდნენ კონსტიტუციის ძირითად პრინციპებზე დაყრდნობით. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ყოველი შტატის დემოკრატიულად არჩეულ უმრავლესობას ეძლეოდა საშუალება,

ზამთრის მთავრობის გაუქმების ან შენარჩუნებისთვის დაფედერალურ მთავრობას არ ჰქონდა უფლება ამ პროცედურაში ჩარეულიყო. ლინკოლნი კი არა კონსტიტუციას, არამედ დამოუკიდებლობის დეკლარაციას და მის ჩანაწერს, „ყველა ადამიანი შექმნილია თანასწორად“, იშველიებდა დეკლარაციის დებულებებში ლინკოლნი ამტკიცებდა. რომ თანასწორობის პრინციპს შტატების უფლებებზე პრიმატი გააჩნდა. ცალკეული შტატების დემოკრატიულ წარმომადგენლობას არ შეეძლო მათთან ერთად მცხოვრებთა ფუნდამენტურ უფლებათა შეკვეცა. ომი შეერთებული შტატების ერთიანობის შენარჩუნების საბაბით დაიწყო, თუმცა ლინკოლნს თავიდანვე ესმოდა, რომ სინამდვილეში ომის გამომწვევი მიზეზი მონობა იყო, რომელიც თანასწორობის ფუნდამენტურ პრინციპს ლახავდა¹⁹. იდენტობის ეს ფართო გაგება „თავისუფლების ახალი დაბადება“ იყო, როგორც ლინკოლმა გეისბერგის მიმართვაში განაცხადა²⁰.

სამხრეთელთა სამოქალაქო ომში დამარცხებამ ამერიკელი ხალხის ცნება გააფართოვა. კონსტიტუციაში შევიდა მე-13 შესწორება, რომელმაც მონობა გააუქმა. მე-14 შესწორებამ მოქალაქეობა მიანიჭა ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე დაბადებულ ან ნატურალიზებულ ყველა ადამიანს (jus soli). მე-15 შესწორებამ აკრძალა საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა რასის, კანის ფერის ან წარსულში არსებული სოციალური სტატუსის საფუძველზე. სამწუხაროდ, ამ შესწორებათა შესრულება მხოლოდ ასი წლის დაგვიანებით. სამოქალაქო უფლებებისათვის მოძრაობის დაწყების შემდეგ მოხერხდა. მიუხედავად ამისა, რასისაგან დამოუკიდებლად ჩამოყალიბებული ეროვნული იდენტობის კონცეფცია ნათლად იყო გამოთქმული. ისევე, როგორც ფედერალური მთავრობის უფლებამოსილება, უზრუნველყო ამერიკელთა ფუნდამენტური უფლებების დაცვა. ეს ყველაფერი ამერიკელთა დამახასიათებელი თვისებების ნაწილი გახდა.

მე-20 საუკუნის შუა წლებში, ამერიკული საზოგადოების დე-ფაქტო მრავალფეროვნება შეუძლებელს ხდიდა ეროვნული იდენტობის რელიგიური ან ეთნიკური თვისებებით დეფინიციას. მე-20 საუკუნია დასაწყისის მასობრივი იმიგრაციის ტალღის შემდეგ

ამერიკის გარეთ დაბადებულთა რიცხვმა ამერიკის მოსახლეობის 15%-ს მიაღწია. ამ 15%-ის დიდი ნაწილი ტრადიციული ეთნიკური და რელიგიური კატეგორიების გარეთ მოიაზრებოდა პოლიტიკოსებს აღარ შეეძლოთ ამერიკის შეერთებულ შტატებზე, როგორც „ქრისტიანულ“ და „ანგლო-საქსთა“ ქვეყანაზე საუბარი ჯონ ჯეის მიერ ჩამოყალიბებული ერის ოთხი მახასიათებლიდან – საერთო რელიგია, ეთნიკური წარმომავლობა, ენა და მმართველობის ფორმებზე საერთო წარმოდგენა – მხოლოდ ორი, საერთო ენა და დემოკრატიული მმართველობისადმი ერთგულება. რჩებოდა²¹.

ამერიკული იდენტობის ამგვარი გაგება ორსაუკუნოვანი ბრძოლის შედეგი იყო ის წარმომადგენდა იდენტობის ადრინდელი, რასაზე, ეთნიკურ წარმომავლობასა და რელიგიაზე დაფუძნებული მოდელისაგან საბოლოო გათავისუფლებას. ამერიკელებს ზეუძლიათ იამაყონ იდენტობის ამ თვითმყოფადი ხასიათით, რომელიც ეფუძნება კონსტიტუციონალიზმის პრინციპების პატივისცემას, კანონის უზენაესობას. დემოკრატიულ ანგარიშვალდებულებას და პრინციპს „ყველა ადამიანი შექმნილია თანასწორად“. ეს პოლიტიკური იდეები განმანათლებლობის მიერ დატოვებული შემკვიდრებოდა და დე-ფაქტო მულტიკულტურული თანამედროვე ლიბერალური დემოკრატიის ერთიანობის უზრუნველყოფის ერთადერთი ხერხია.

რასის, რელიგიისა და ეთნიკური წარმომავლობის მსგავს ფიქსირებულ ნიშან-თვისებებზე დაფუძნებული იდენტობის პოლიტიკა, რომელიც შემარცხენეთა და შემარჯვენეთა შორის მზარდი პოპულარობით სარგებლობს, ძალიან პრობლემატურია. წარსულში ასეთი პოლიტიკის დასამარცხებლად დიდი მსხვერპლის გაღება გახდა საჭირო.

მემარცხენეებისთვის, რომლებიც იდენტობას ვიწრო ჭრილში ხედავენ, ამერიკული იდენტობა მის მრავალფეროვნებაში მდგომარეობს. სხვები ამტკიცებდნენ, რომ ამერიკული საზოგადოების არაერთგვაროვნება ეროვნულ იდენტობაზე საუბარს გამოირიცხავს და ამაზე წუხილიც არ ღირს. ამერიკული საზოგადოება ნამდვილად მრავალფეროვანი და არაერთგვაროვანია. მაგრამ ეს მრავალფეროვნება თავისთავად ვერ იქნება იდენტობის საფუძველი,

„ჩვენი იდენტობა იდენტობის ქონაა“ ამის თქმა ხომ შეუძლებელია მეორე გზა იმაზე შეთანხმება, რომ ერთმანეთში საერთო არაფერი გვაქვს და ავობებს ისევ ჩვენს ვიწრო ეთნიკურ და რასობრივ იდენტობებზე ვკონცენტრირდეთ.

მემარჯვენეები იდენტობის უნიტულ რასაზე და რელიგიაზე დაფუძნებულ ვერსიებს მიუბრუნდნენ რესპუბლიკელთა ვიცეპრეზიდენტობის ყოფილმა კანდიდატმა სარა პელინმა „ნამდვილი ამერიკელები“ პატარა ქალაქებში და სოფლად მცხოვრებ ამერიკელებს უწოდა. რამაც ამერიკული ქალაქების არაერთგვაროვანი მოსახლეობა გამომიწვია. დონალდ ტრამპმა ეს შეხედულება ახალ სიმაღლეზე აიყვანა, მიმართა რა პოპულისტური ნაციონალიზმის ხერხებს. რითიც ქვეყნის რელიგიურ და ეთნიკურ ხედვას დაუბრუნდა. როგორც მან 2016 წლის საპრეზიდენტო კამპანიისას გამართულ ერთ-ერთ ყრილობაზე განაცხადა, „ყველაზე მნიშვნელოვანი ხალხის გაერთიანებაა“. რადგან „სხვა ხალხი არაფრის მომტანია“²¹. ეს გულისხმობს, რომ „ნამდვილმა ხალხმა“ რაღაცნაირად უნდა გამოირიცხოს „სხვა ხალხის“ სამოქალაქო ცხოვრებაში მონაწილეობა ეს არა ერთიანობის, არამედ სამოქალაქო ომის ფორმულაა.

თანამედროვე დემოკრატიის ბევრი თეორეტიკოსი ამტკიცებდა, რომ დემოკრატიული მრწამსის პასიური მიმდებლობა სისტემის ფუნქციონირებისთვის არ არის საკმარისი. დემოკრატია სპონტანური ღირსებების მატარებელი მოქალაქეები სჭირდება ამ მხრივ. აღნიშვნის ღირსია ალექსის დე ტოკვილის გაფრთხილება დემოკრატიულ სამოგადოებებში მცხოვრებთა შესახებ. რომლებსაც დიდი ცდუნება აქვთ საკუთარ თავში ჩაღრმავების და მხოლოდ საკუთარი თავისა და ოჯახის ექსკლუზიურ პრობლემებზე კონცენტრირების წარმატებულ დემოკრატია პატრიოტი, კარგად ინფორმირებული, საჯარო მსახურების მოსურნე და პოლიტიკურად აქტიური მოქალაქეები სჭირდება პოლარიზაციის ეპოქაში შეიძლება ამ თვისებებს საღად აზროვნება, განსხვავებული აზრისადმი ტოლერანტობა და დემოკრატიული კონსენსუსისთვის დათმობებზე წასვლის მზაობა დავეუბნოთ.

სემუელ შანტინგტონი ერთ-ერთი იყო იმ პოლიტიკურ მოაზ-

როვნეთაგან, რომლებმაც ამერიკის შეერთებული შტატების, როგორც ქვეყნის, წარმატება არა იდენტობის მინიმალისტურ გავებას, არამედ გარკვეულ კულტურულ ნორმებსა და ღირსებებს დაუკავშირეს. მის ბოლო წიგნში „ვინ ვართ ჩვენ?“, მან დასვა ცნობილი შეკითხვა: „იქნებოდა თუ არა ამერიკა ამერიკა, მე-17 და მე-18 საუკუნეში ის რომ არა ბრიტანულ პროტესტანტებს. არამედ ფრანგ ესპანელ ან პორტუგალიელ კათოლიკეებს დაეარსებინათ? პასუხია, არა. ეს არ იქნებოდა ამერიკა ეს იქნებოდა კვებეკი, მექსიკა ან ბრაზილია“²² ის ანგლო-პროტესტანტულ კულტურაზე, როგორც ამერიკული იდენტობის აუცილებელ შემადგენელ ნაწილზე საუბრობდა, კულტურაზე. რომელიც პროტესტანტულ სამუშაო ეთიკაზე დაყრნობით შეიქმნა.

შანტინგტონს რასისტი და დონალდ ტრამპის აკადემიური წინამორბედი უწოდეს²⁴ მისი მსჯელობის ყურადღებით შესწავლის შემთხვევაში ნათლად დავინახავთ, რომ რასიზმის ბრალდება საფუძვლსმოკლებულია ამის თქმა, ცხადია, არ გვაფაღდებულებს, იმიგრაციასთან გამკლავების მის რეკომენდაციებს დავეთანხმობთ.

შანტინგტონი არ ამტკიცებდა, რომ ამერიკული იდენტობის ანგლო-პროტესტანტული გაგების გამო ნამდვილი ამერიკელები მხოლოდ ანგლო-საქსი პროტესტანტი ამერიკელები იყვნენ. ის ამბობდა, რომ ინგლისელმა პროტესტანტებმა ამერიკაში ჩამოიტანეს კულტურა, რომელსაც ვადა მწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ამერიკის დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაში. მნიშვნელოვანია კულტურა და არა მათი ეთნიკური თუ რელიგიური იდენტობები, ვინც ამ კულტურის ნაწილია. მისი შეხედულება, ჩემი აზრით, უდავოდ მართალია.

შანტინგტონის მიერ გამოყოფილი კულტურის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი პროტესტანტული „სამუშაო ეთიკაა. ის რომ ამერიკელები მსოფლიოს ბევრ ხალხზე ბევრად მეტს მუშაობენ ემპირიული მოცემულობაა – მათზე მეტს მხოლოდ ამიელთა ნაწილი მუშობს, ევროპელთა დიდი ნაწილი კი – მათზე ნაკლებს“²⁵ ამერიკელთა სამუშაო ეთიკის ისტორიული წყარო, შეიძლება, მართლაც პიონერთა პურიტანიზმშია. მაგრამ ვინ მუშაობს დღეს ამდენს ამერიკაში? ეს შეიძლება სურსათის მალაზიის კორველი

მტლობელი ეთიოპიელი ტაქსის მძღოლი ან შექსიველი მებაღე იყოს. ამ კულტურის ისტორიული ფესვების აღიარებისას, არ უნდა გამოგვრჩეს. რომ ეს კულტურა მოშორდა სპეციფიკურ ეთნორელიგიურ ბმას და ყველა ამერიკელისთვის საერთო კულტურის ნაწილი გახდა.

ჰანტინგტონის ვარაუდით, მექსიკელი ემიგრანტები ვერას დროს აითვისებდნენ ანგლო-პროტესტანტულ ღირებულებებსა და ჩვევებს. ჩემი აზრით ეს ვარაუდი მცდარი იყო. ეს ალარმისტული ხედვა ემპირიულადაც გაზვიადებული აღმოჩნდა. ჰანტინგტონი ბევრად ზუსტი აღმოჩნდა იდენტობის პოლიტიკისა და მულტიკულტურალიზმის თანამედროვე გაგების გამო ასიმილაციის ხელოვნურად გაძნელების თაობაზე გამოთქმულ ვარაუდში ემიგრანტთა დღევანდელი თაობა ასიმილაციის გზაზე იმ ხელოვნურ დაბრკოლებებს აწყდება, რომლებიც აქამდე არ არსებობდა.

თანამედროვე დემოკრატიის დღის წესრიგში აღარ დგას იდენტობის რელიგიურ-ეთნიკურ მოდელთან მიბრუნება. ამერიკის შეერთებული შტატების და ყველა კულტურულად მრავალფეროვანი დემოკრატიის განვითარებისა და გადარჩენის ერთადერთი გზა პრინციპებზე დაფუძნებული არსებობაა იდენტობის რასასთან, ეთნოსთან ან რელიგიასთან გაიკვივება შეცდომაა, თუმცა დემოკრატიის გამართული ფუნქციონირებისთვის არც დემოკრატიული პრინციპების პასიური მიღება-გაზიარებაა საკმარისი. საჭიროა აქტიური მოქალაქეობრივი პოზიცია და გარკვეულ ღირსებათა გამოვლენა. პრინციპებზე დაფუძნებული იდენტობა წარმატების მიღწევის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა.

რა უნდა გაკეთდეს?

დღეს ძნელია იდენტობასა და იდენტობის პოლიტიკას გვერდი აუარო. ჩარლზ იეილორის თქმით, იდენტობა „ჩვენამდე მოღწეული მძლავრი მორალური იდეაა“, რომელმაც სამღვრები გადაკვეთა და განსხვავებულ კულტურებში შეაღწია. რადგან ადამიანის უნივერსალურ ფსიქოლოგიას, თიმოსს უფუძნება. ეს მორალური იდეა გვკარნახობს. რომ ყოველ ჩვენთაგანს გააჩნია ავთენტური შინაგანი არსი, რომელსაც არავინ აფასებს და აღიარებს, ხოლო ჩვენი გარესამყარო, საზოგადოება, რომელშიც ვცხოვრობთ, ყალბი და რეპრესიულია. იდენტობა ღირსების აღიარების მოთხოვნილებას არტიკულირებს და გვაძლევს ენას, რომლის მეშვეობითაც შეგვიძლია, დაუფასებლობით გამოწვეული რესენტემენტის გამოხატვა

ღირსების მოთხოვნილებების გაქრობაზე საუბარი აზრს მოკლებულია. საფრანგეთის რევოლუციიდან ტუნისელი ქუჩის მოვაჭრის ინციდენტამდე, ისტორია ცხადყოფს, რომ მასშტაბურ სახალხო პროტესტს ხშირად ერთი ნაპერწკალი იწვევს. ამ ხალხს სურდა, მათ როგორც ზრდასრულ ადამიანებს მოქცეოდნენ, სურდათ დაემტკიცებინათ, რომ შეეძლოთ საკუთარი ქვეყნის მთავრობაზე გავლენის მოხდენა. ლიბერალური დემოკრატიის საფუძველი თანასწორად თავისუფალი ინდივიდებისთვის მინიჭებული უფლებებია. ეს თანასწორუფლებიანობა გულისხმობს არჩევანის

გაკეთების და საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაზე გავლენის მოხდენის თანაბარ შესაძლებლობებს.

ბევრისთვის რიგითი ადამიანის საბაზისო უფლებებით სარგებლობა არ არის საკმარისი. დემოკრატიულ საზოგადოებაში მცხოვრები ინდივიდის უფლებები დიქტატორულ რეჟიმში მცხოვრებისთვისაა სანატრელი. დემოკრატიულ გარემოში მცხოვრები ადამიანი კი ამაში განსაკუთრებულს ვერაფერს ხედავს. მშობლებისგან განსხვავებით, ახალგაზრდა აღმოსავლეთევროპელებს არ გააჩნიათ კომუნისტურ რეჟიმში ცხოვრების გამოცდილება და დღევანდელ სიტუაციას ბუნებრივად თვლიან ეს მათ სხვა რამეზე ფიქრის საშუალებას აძლევს მაგალითად, დაფარულ ენარებზე. რომელთა გამოყენების საშუალებას მათ საზოგადოება არ აძლევს. ან იმაზე, როგორ აკავებს და ზღუდავს მათ სოციალური ინსტიტუტები და ნორმები.

ლიბერალური დემოკრატიის მოქალაქედ ყოფნა არ ნიშნავს რომ მთავრობა და თანამოქალაქეები თანასწორად მიგიღებენ და მოთხოვნილი პატივისცემით მოგესპობიან. ადამიანები განიცდიან მათი კანის ფერის, გენდერის, ეთნიკური წარმოშობის, გარეგნობისა და სექსუალური ორიენტაციის მიხედვით. ყველა ინდივიდი და ჯგუფი უპატივცემულობას თავისებურად განიცდის, თუმცა ყოველი მათგანი ღირსეულად დაფასების ძიებაშია. ამგვარად, იდენტობის პოლიტიკა საკუთარ დინამიკას ქმნის, რომელიც საზოგადოებას უფრო მცირე ჯგუფებად მყოფს მათი დაყოფა ვიქტიმიზაციის სპეციფიკური გამოცდილების მიხედვით ხდება.

იდენტობით გამოწვეული დაბნეულობა თანამედროვე სამყაროში ცხოვრების ნაწილია. მოდერნიზაციას პერმანენტული ცვლილება და ძველის ნგრევა ახლავს თან, ჩნდება არჩევანთა სიმრავლე, რომელიც აქამდე არ არსებობდა. მოდერნული იდენტობა მობილური ცვალებადი და კომპლექსურია ეს ცვალებადობა, საბოლოო ჯამში, დადებითი შედეგის მომტანია: საუკუნეების განმავლობაში ადამიანები გაურბოდნენ არჩევანის შემზღუდავ, ტრადიციულ საზოგადოებებს და ცხოვრებას ღია. მეტი არჩევანის მიმცემ საზოგადოებებში არჩევდნენ.

არც თანამედროვე ლიბერალურ საზოგადოებაში ცხოვრება ბედნიერებისა და თვითრეალიზაციის გარანტია. ხალხს მათი წინაპრების სტრუქტურირებული ცხოვრება და გარკვეულობა ენატრება, რომელიც ჰგონიათ, რომ დაკარგეს. ავთენტური იდენტობები, რომელთა ძიებაშიც არიან, მათ სხვა ადამიანებთან აკავშირებს. ისინი იმ პოლიტიკური ლიდერებით შეიძლება მოიხიბლონ, რომლებიც არსებულ პოლიტიკურ სისტემებს ხალხის დალატსა და შეურაცხყოფაში ადანაშაულებენ და მათ წარსული დიდებისა და პატივის დაბრუნებას პირადებიან.

ბევრი თანამედროვე ლიბერალური დემოკრატია მნიშვნელოვანი არჩევანის წინაშე დგას. ისინი უნდა მიესადაგონ სწრაფ ეკონომიკურ და სოციალურ ცვლილებებს, გლობალიზაციით გამოწვეულ სოციალურ და კულტურულ არავითარგვაროვნებას ამ სიტუაციაში აღიარებას უკვე ის ჯგუფები ითხოვენ, რომლებიც წარსულში საზოგადოების ძირითადი ნაწილისთვის უხილავები იყვნენ. სოციალური იერარქიის ცვლამ რეაქციული და რესენტიმენტის პოლიტიკა გაააქტიურა იდენტობის ვიწრო ფორმებში ჩაკეცვა საზოგადოებრივი მსჯელობისა და მოქმედების რესურსს ამცირებს ამ გზით სიარულის შედეგი სახელმწიფოს დაშლა და კოლაფსია.

თანამედროვე იდენტობა ცვალებადი ბუნებისაა ინდივიდთა ნაწილი საკუთარ თავს მათი იდენტობის ბიოლოგიურ ხასიათსა და მასზე კონტროლის შეუძლებლობაში არწმუნებს. თანამედროვე ადამიანს მრავალფეროვან იდენტობათა ქონა ახასიათებს, რომლებიც სხვადასხვა დონეზე მიმდინარე სოციალური ინტერაქციების შედეგად ყალიბდება. ჩვენ გაგვაჩნია იდენტობები, რომლებიც ჩვენი რასის გენდერის, სამუშაო ადგილის, განათლების, გემოვნებისა და ეროვნების გავლენით ყალიბდება. ბევრი თინეიჯერის იდენტობა იმ მუსიკის ქვეყანების გარშემო ყალიბდება, რომლებსაც ეს და მისი მეგობრები უსმენენ.

იდენტობის პოლიტიკის ლოგიკა საზოგადოების მცირე, საკუთარი ინტერესების მქონე ჯგუფებად დაყოფას იწვევს. თუმცა შესაძლებელია, იდენტობის უფრო ინტეგრაციული და გამაერთი-

ანებელი მოდელის შექმნაც. ინდივიდთა ფართო წრის საერთო შეხედულებათა და ფასეულობათა დანახვა, მათი ინდივიდუალური ცხოვრებისეული გამოცდილებისა და შესაძლებლობების უკუ-
ლებელყოფის გარეშეა შესაძლებელი. *Erlebnis-ის შეიძლება Erfahrung-ად გადაიქცეს. ცხოვრებისეული გამოცდილება შეიძლება, უბრალოდ, გამოცდილებად გადაიქცეს დღევანდელ საზოგადოებაში ძნელია იდენტობის პოლიტიკის თავიდან არიდება, თუმცა შესაძლებელია ამ პოლიტიკის ურთიერთპატივისცემისა და ღირსეული თანაცხოვრების ფორმებისკენ მიმართვა, რომლებიც დემოკრატიას უფრო ფუნქციონალურს გახდის.*

როგორ უნდა ვაქციოთ ეს აბსტრაქტული იდეები კონკრეტულ პოლიტიკად? შეგვიძლია დავინიშოთ იმ უსამართლობათა აღკვეთით. რომლებიც იდენტობის გამოხატვის ზოგიერთმა ფორმამ წარმოშვა: პოლიციის მიერ უმცირესობათა შევიწროება სექსუალური ძალადობა სამუშაო სივრცეში, სკოლებსა და ინსტიტუციებში. იდენტობის პოლიტიკის კრიტიკისას არ უნდა დაგვავიწყდეს ამ რეალური პრობლემების ხსენება, მათი მოგვარების მოთხოვნა.

გარდა ამისა, დღის წესრიგში მცირე ჯგუფების საზოგადოებაში უკეთესი ინტეგრაციის საკითხი დგას. საჭიროა ლიბერალური დემოკრატიის ფუნდამენტურ იდეებზე დაფუძნებული ეროვნული იდენტობის მოდელის ხელშეწყობა და საჯარო პოლიტიკური ძალისხმევის ახალჩამოსულთა ამ მოდელში ასიმილაციაზე მიმართვა. ლიბერალურ დემოკრატიას საკუთარი კულტურა გააჩნია, რომლის პატივისცემითა და დაფასებით ხაზი უნდა გაესვას მის უპირატესობას იმ კულტურებთან შედარებით, რომლებიც დემოკრატიულ ღირებულებებს არ იზიარებენ.

რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ევროპელი მემარცხენეები მხარს მულტიკულტურალიზმის იმ ფორმას უჭერდნენ, რომელიც იმიგრანტთა ეროვნულ კულტურაში ინტეგრაციის მნიშვნელობას აკნინებდა. რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დროშის ქვეშ მდგომები არ იმბნევდნენ, რომ ასიმილაციური მოდელი არ მუშაობდა. პოპულარული მემარჯვენეები ნოსტალგიით გასცქეროდნენ გაქრობის პირას მდგარ, ეთნიკურ ან რელიგიურ ფაქ-

ტორზე დაფუძნებული ეროვნული კულტურის მოდელს, რომელიც არ ითვალისწინებდა თანამედროვე საზოგადოების არაერთგვაროვნებასა და მრავალფეროვნებას.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, იდენტობის პოლიტიკამ მემარცხენეები რამდენიმე ჯგუფად დაშალა, რომლებსაც თავს ამ პოლიტიკის ყველაზე უნერგიული აქტივისტები აფარებენ. მემარცხენეებმა, დიდწილად, დაკარგეს კავშირი მათ ყველაზე მრავალრიცხოვან ამომრჩეველთა ჯგუფთან. თეთრკანიან მუშათა კლასთან. ამან ხელი შეუწყო პოპულუსტ მემარჯვენეთა გაძლიერებას, რომლებიც თვლიან, რომ მათ იდენტობა საფრთხეშია. მათ ხელს უწყობს პრეზიდენტიც, რომლის პატივმოყვარეობის დაკმაყოფილება პირდაპირ კავშირშია საზოგადოებაში აგრესიისა და პოლარიზაციის მრდასთან და რომელთა გამოწვევაც მას შეუძლია.

ევროპული დღის წესრიგის პრიორიტეტული საკითხი მოქალაქეობის განმსაზღვრელ კანონმდებლობაში კოდიფიცირებული ეროვნული იდენტობის მოდელის ცვლილება უნდა იყოს იდეალურ შემთხვევაში, ევროკავშირმა უნდა შექმნას ერთიანი მოქალაქეობა, რომლის მოპოვებისთვის საჭირო მოთხოვნილებები ლიბერალური დემოკრატიის საბაზისო პრინციპების მიღებასა და დაცვას უნდა ეფუძნებოდეს და ანაცვლებდეს სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეობასთან დაკავშირებულ კანონმდებლობას ამის გაკეთება ვერ მოხერხდა წარსულში და ევროპულ პოპულისტთა ამჟამინდელი მზარდი პოპულარობის პირობებში არც უახლოეს მომავალშია სავარაუდო. სიტუაციას გამოასწორებდა ევროკავშირის მიერ დემოკრატიზაციისკენ გადადგმული ნაბიჯები, როგორც ძალაუფლების ცენტრის ევროკომისიიდან პარლამენტში გადატანა იქნებოდა. პოზიტიურ შედეგს მოიტანდა ევროპული იდენტობის გაძლიერებისთვის მისაღები ზომებიც. შესაბამისი სიმბოლიკისა და ნარატივის შექმნა, რომლებიც საერთო საგანმანათლებლო სისტემის მეშვეობით დაინერგებოდა არც უსაა დღევანდელი ევროკავშირის შესაძლებლობების ფარგლებში, რომლის 28 წევრი ქვეყნიდან თითოეული თვალის ჩინი-

ვით უფრო თხილდება საკუთარ პოლიტიკურ პრეროგატივებს და მზად არის მსგავს პროგრამას ვეტო დაადოს. შესაბამისად, ვითარების გაუმჯობესებისათვის საჭირო ყველა მოქმედება, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ნევრ სახელმწიფოთა დონეზე უნდა მოხდეს

შესაცვლელია ევროკავშირის იმ ქვეყნების კანონმდებლობა, რომელიც *jus sanguinis*-ის პრინციპს ემყარება. ერთი ეთნიკური ჯგუფის მეორეზე უპირატესობის აღმოსაფხვრელად *jus soli*-ის დანერგვა იქნება საჭირო სრულიად ლეგიტიმურია ახალ მოქალაქეთა ნატურალიზაციისთვის საჭირო მოთხოვნილებათა გამკაცრება და დაცვა. რაც დიდი ხანია მიღებული პრაქტიკაა შეერთებულ შტატებში. ამერიკის მოქალაქეობის მიღებისთვის, გარდა ქვეყანაში უწყვეტი ხუთწლიანი ცხოვრებისა, საჭიროა ინგლისურად კითხვა, წერა და ლაპარაკი, ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიისა და სახელმწიფო მოწყობის საბაზისო ცოდნა, დადებითი „მორალური ხასიათი“ (კანონმორჩილება) და შეერთებული შტატების კონსტიტუციის ფუნდამენტური პრინციპებისა და ღირებულებებისადმი პატივისცემისა და ერთგულების დემონსტრირება. ეს უკანასკნელი მტკიცდება ნატურალიზაციის ფიცით, რომელსაც მოქალაქეობის მიღებისას იღებენ: „ვფიცავ, რომ“ . . .

იმიგრაციის მოცემულობის გაზრდასთან ერთად მნიშვნელოვნად გაიზარდა ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირთა რიცხვიც. მათთვის, ვინც ბევრს მოგზაურობს ან ოჯახის წევრები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ჰყავს მიმოფანტული, ორი პასპორტი საქმის გაადვილების კარგი საშუალებაა. თუმცა თუ ამას ეროვნული იდენტობის კუთხით შევხედავთ, განსხვავებულ, არცთუ ისე მისაღებ მოცემულობას დავინახავთ. სხვადასხვა ქვეყნებს სხვადასხვა იდენტობები და ინტერესები აქვთ, რომლებიც მოგჭერ ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდის ყველაზე აშკარა პრობლემა სამხედრო სამსახურია: ორ ქვეყანას შორის სამხედრო კონფლიქტის შემთხვევაში ერთ-ერთისადმი დადებული ერთგულების ფიცი უნდა დაირღვეს. თანამედროვე მსოფლიოში სახელმწიფოთა შორის ომის დაწყების დაბალი ალბათობის გათვალისწინებით,

ეს შეიძლება საკამათო საკითხადაც მოგეჩვენოთ, თუმცა ასეთ ალბათობას ნამდვილად ვერ გამოვრიცხავთ. მოქალაქეობის საკითხი ასეთი გაუთვალისწინებელი გარემოებების გარეშეც სერიოზული პოლიტიკური პრობლემების გამოშვვეია. 2017 წელს გერმანიაში გამართული არჩევნებისას, თურქეთის პრეზიდენტმა, რეჯეფ თაიფ ერდოღანმა, თურქული წარმომავლობის გერმანიის მოქალაქეებს ხმის მიცემა იმ პოლიტიკოსთა სასარგებლოდ ურჩია, რომლებიც არა გერმანიის ინტერესებისთვის, არამედ თურქეთის ინტერესებისთვის სასარგებლო დაპირებებს გასცემდნენ. ორმაგი მოქალაქეების შემთხვევაში, საკითხი კიდევ უფრო რთულად იდგა².

გარდა მოქალაქეობის მიღებისთვის საჭირო ფორმალური მოთხოვნების ცვლილებისა, ევროპის ქვეყნებმა ეროვნული იდენტობის გაგებას ეთნიკური ელემენტი უნდა მოაცილონ. 2000-იანი წლების დასაწყისში, სირიული წარმოშობის გერმანელმა პროფესორმა, ბასამ ტიბიმ, შემოგვთავაზა ტერმინი „წამყვანი კულტურა“ ანუ *Leitkultur*, რომელიც გერმანულ იდენტობას უნდა დასდებოდა საფუძვლად³. ლიბერალ განმანათლებელთა განმარტებით, *Leitkultur* თანასწორობისა და დემოკრატიული ღირებულებების რწმენას ნიშნავდა მიუხედავად ამისა, ამ წინადადებამ მემარცხენეთა მწვავე კრიტიკა გამოიწვია. მათი აზრით, ეს ტერმინი ერთი კულტურის ღირებულებებს მეორე კულტურის ღირებულებებზე მაღლა აყენებდა მემარცხენეთა ასეთი მიდგომით ისარგებლეს როგორც ისლამისტებმა, ისე მემარჯვენე რადიკალებმა, რომლებსაც ჯერ კიდევ ეთნიკური იდენტობის სწამდათ. გერმანიას სწორედაც *Leitkultur* სჭირდება, ნორმატიული ცვლილება, რომელიც თურქს საშუალებას მისცემდა ელაპარაკა. როგორც გერმანელს ეს პროცესი წელა, მაგრამ უკვე დაწყებულია⁴.

ერთ დღეს პანევროპული იდენტობის მსგავსი ფენომენის გაჩენასაც შეიძლება მოგვსწროთ შეიძლება ეს იმ მოუქნელი და ბიუროკრატიული სტრუქტურების გარეთ მოხდეს, რომლებიც დღეს თანამედროვე ევროკავშირს შეადგენენ. ევროპელებმა შექმნეს შესანიშნავი ცივილიზაცია, რომლითაც უნდა ამყობდნენ

და რომელსაც შეუძლია განსხვავებულ კულტურათა წარმომადგენლებიც მოიცვას და საკუთარი განსხვავებულობის განცდა შეინარჩუნოს.

ევროპასთან შედარებით, ამერიკის შეერთებულ შტატებში იმიგრანტებს ბევრად მეტი კეთილგანწყობითა და სტუმართმოყვარეობით ხვდებოდნენ. იმიგრაციის გრძელი ისტორიის მქონე ამერიკაში თავიდანვე იდენტობის განსხვავებული მოდელი ჩამოყალიბდა. ევროპელებისგან განსხვავებით, ამერიკელები ამყობდნენ მათი ნატურალიზებული თანამოქალაქეებით და ნატურალიზაციის ცერემონიის გამართვის წესიც – ფერად მუნიციპალობებში გამონწყობილი ყარაულობითა და ადგილობრივ პოლიტიკოსთა ოპტიმიზმით სავსე გამოსვლებით – შესაბამისი შეიმუშავეს. როგორც პოლიტოლოგმა სეიმურ მარტინ ლიპსეტმა მიგვითითა, შეერთებულ შტატებში ვინმესთვის "არაამერიკელობის" დაბრალება განსხვავდება შესაბამის ქვეყნებში ვინმესთვის "არაპოლანდიელობის" ან "არაიაპონელობის" დაბრალებისგან ამერიკელობა შედგება არა ეთნიკური ელემენტისგან, არამედ შეხედულებათა ერთობლიობისა და ცხოვრების წესისგან. ვინმემ შეიძლება ცბოვრების წესს გადაუხვიოს, მაგრამ ეთნიკურ წარმომავლობას ვერაფერი შეცვლის

სამოქალაქო ომის შემდეგ ჩამოყალიბებული ამერიკული ეროვნული იდენტობა საჭიროებს განახლებულ ხელშეწყობასა და დაცვას როგორც მემარცხენეებისგან, ისე მემარჯვენეებისგან მემარჯვენეთა ფრთაზე მომრავლდნენ ნაციონალისტები, რომლებსაც სურთ ქვეყანა ეთნიკურ წარმომავლობაზე, რასაზე და რელიგიაზე დაფუძნებულ იდენტობას მიუბრუნდეს. ბენ სასის კვალდაკვალ. ეს შეხედულებები სახსრად და უყოყმანოდ უნდა კვალიფიციროდეს როგორც "არაამერიკული".

ვიქტიმიზაციაზე ყურადღების გამახვილებით, რასიზმის გენდერული დისკრიმინაციის და სხვა სისტემური ხასიათის ექსკლუზიური პრაქტიკის შეერთებული შტატების, როგორც ქვეყნის. დნმ-ის თანდაყოლილ თვისებებზე გამოცხადებით, მემარჯვენეთა

იდენტობის პოლიტიკამ ამერიკის ისტორიული მოდელისთვის ძირის გამოთხრა სცადა. ვალიაროთ, რომ ეს ყველაფერი ჯერ კიდევ ამერიკული პოლიტიკის ნაწილია, მაგრამ პროგრესისტთა ნარატივში შეიძლება, ხსენებულიყო დაბრკოლებათა გადალახვა, მუდმივად განვრცობადი წრეები იმ ხალხისა, რომელთა ღირსებასაც სახელმწიფო საკუთარ ფუნდამენტურ პრინციპებზე დაყრდნობით აღიარებს ეს ნარატივი ნაწილი იყო ლინკოლნის მიერ გათვლილი "თავისუფლების ახალი დაბადებისა", რომელსაც ამერიკელები აღნიშნავენ ლინკოლნის მიერვე მოფიქრებულ დღესასწაულზე, მაღლიერების დღეზე

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უდავოდ ბევრი სიკეთე მიიღო საკუთარი არაერთგვაროვანი და მრავალფეროვანი საზოგადოებისგან მაგრამ საკუთარი იდენტობის კონცეფციას მრავალფეროვნებაზე, როგორც ასეთზე, ვერ ააშენებდა. იდენტობა უნდა იყოს დაკავშირებული ისეთ დემოკრატიულ იდეებთან, როგორებიც კონსტიტუციონალიზმი, კანონის უზენაესობა და ადამიანთა თანასწორობაა ამერიკელები პატივს სცემენ ამ აზრებს და ქვეყანა სწორად იქცევა, როცა მის ფასეულობათა დამცემობებს მოქალაქეობას არ ანიჭებს.

როცა ქვეყანა იდენტობის ისეთ კონცეფციას ქმნის, რომელიც დღევანდელი საზოგადოების დე-ფაქტო მრავალფეროვნებას ითვალისწინებს, იცვლება მიგრაციულ პროცესებთან დაკავშირებული დაპირისპირების ბუნებაც ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში დებატები იმიგრაციის შეჩერების მომხრე მემარჯვენეთა და დასავლური ლიბერალურ დემოკრატების მიერ იმიგრანტთა განუსაზღვრელი რაოდენობით მიღების მომხრე მემარჯვენეებს შორის მიმდინარეობს თუმცა საკითხი, რომელიც ყველაზე მეტ ყურადღებას უნდა იპყრობდეს. იმიგრანტთა მათ მიმღებ საზოგადოებებში ასიმილაციაა. კარგად ინტეგრირებულ და ასიმილირებულ იმიგრანტებს ნებისმიერი საზოგადოებისთვის საჭირო განსაღი მრავალფეროვნების მოტანა შეუძლიათ. რაც მოცემულ საზოგადოებას დამატებითი შესაძლებლობების რეალიზაციის

სამუალებას აძლევს. მარჯინალიზებულ იმიგრანტთა მასა კი სახელმწიფოს მძიმე ტვირთად აწევს. ზოგ შემთხვევაში კი უსაფრთხოების პრობლემებსაც უქმნის.

ევროპელები ბევრს საუბრობენ ასიმილაციის მექანიზმების გაუმჯობესების აუცილებლობაზე, თუმცა ეფექტური პოლიტიკის გატარების მაგალითი ჯერჯერობით არ ჩანს. ევროკავშირის სახელმწიფოთა იმიგრაციის საკითხისადმი განსხვავებულ მიდგომათა გამო, არაერთგვაროვანია ამ მიმართულებით დაგეგმილი რეფორმებიც. ევროპის ქვეყნების ნაწილში არსებული პოლიტიკა იმიგრანტთა ინტეგრაციის ხელისშემშლელია, როგორც ეს პოლანდიაში არსებული საზოგადოების "სვეტებად დაყოფის" სისტემის შემთხვევაში ხდება. დიდ ბრიტანეთსა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში მუსლიმური სკოლები ისეთივე სახელმწიფო დაფინანსებით სარგებლობენ, როგორც სხვა კონფესიური სკოლები. ეს, გარკვეულწილად, იმიგრანტთა გეოგრაფიულ კონცენტრაციას ასახავს და მათთვის თანაბარი სოციალური პირობების უზრუნველყოფის მიზნით არის გაკეთებული თუმცა ასიმილაციისთვის ასეთი სტრუქტურა არ გამოდგება და სტანდარტიზებული სასწავლო გეგმის მქონე საჯარო სკოლების სისტემით უნდა ჩანაცვლდეს. პოლანდიის მსგავსად, ეს პოლიტიკური ცვლილებები დღეს რთულად წარმოსადგენია თუმცა ის მიდგომა რომელიც ინტეგრაციის გაუმჯობესებით დაინტერესებულ ქვეყნებს სჭირდებათ⁵

განსხვავებული ვითარებაა საფრანგეთში იქ არსებული მოქალაქეობის რესპუბლიკური კონცეფცია, შეერთებული შტატების მსგავსად, ღირებულებითა და საფრანგეთის რევოლუციის, თავისუფლების, თანასწორობის და ძმობის იდეალებს ეფუძნება 1905 წელს მიღებული laïcité-ს კანონი ერთმანეთისგან აცალკევებს სახელმწიფოსა და ეკლესიას და შეუძლებელს ხდის, პოლანდიისა და დიდი ბრიტანეთის მსგავსად, რელიგიური სკოლების სახელმწიფო დაფინანსებას⁶. საფრანგეთში არსებული პრობლემა სამგანზომილებიანია. პირველი: მიუხედავად კანონმდებლობისა, ფრანგული საზოგადოება კვლავ დისკრიმი-

ნაციულია და მნიშვნელოვნად ზღუდავს იმიგრანტთა ინტეგრაციულ შესაძლებლობებს. მეორე წლებია, რაც საფრანგეთის ეკონომიკური ზრდა შენელებულია და ხელს უწყობს უმუშევრობის ზრდას, რომლის მაჩვენებელი გერმანიისას ორჯერ აღემატება. საფრანგეთში მცხოვრები ახალგაზრდა იმიგრანტებიდან უმუშევარი 35%-ია, რაც 10%-ით მეტია ზოგადად ახალგაზრდების უმუშევრობის მაჩვენებელზე. იმიგრანტთა ინტეგრაციის გასაუმჯობესებლად გადასადგმელი ნაბიჯებიდან, მნიშვნელოვანია, შრომის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის მეშვეობით, მათთვის ხელმისაწვდომი სამუშაო ადგილების ზრდა და ბოლოს, მემარცხენეთა ნაწილისთვის თვით ასიმილაციის იდეაც კი მიუღებელია. ფრანგულ იდენტობასა და კულტურას ისლამოფობიის ბრალდებით ესხმიან თავს უნივერსალური მოქალაქეობის რესპუბლიკურ ღირებულებათა დაცვა „ნაციონალური ფრონტის“ მსგავსი პარტიების საქმედ არ უნდა იქცეს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ასიმილაციის პროცესი საჯარო განათლების სისტემიდან იწყება. გასაუმჯობესებელია სამოქალაქო განათლების სწავლების ხარისხი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ეცემოდა, არა მხოლოდ იმიგრანტებისთვის, არამედ მკვიდრი მოსახლეობისთვისაც. ევროპის მსგავსად, ასიმილაციის დამაბრკოლებელ ფაქტორებს შეერთებულ შტატებშიც ვხვდებით: ნიუ-იორკის საჯარო სკოლებში ცამეტი სხვადასხვა ენა ისწავლება. ბი- და მულტილინგვური სწავლების პროგრამები ინგლისური ენის უკეთესად ათვისების წინაპირობად იყო მოტანილი. დროთა განმავლობაში ამ მიდგომამ მომხრეთა და მომხმარებელთა საკუთარი ბაზა შეიძინა, განათლების სფეროს ბიუროკრატია საკუთარ პრეროგატივებს იცავს და ამ მიდგომის თავდაპირველი მიზანი და ინგლისური ენის ათვისების სტატისტიკა აღარავის აინტერესებს⁷

იმიგრანტთა ასიმილაცია, შესაძლოა; კიდევ უფრო აქტიური ზომების გატარებას საჭიროებდეს. ბოლო ათწლეულებში შეერთებული შტატებისა და სხვა განვითარებულ დემოკრატიათა სასამართლო სისტემამ გრადაციულად მოშალა მოქალაქეთა და

არამოქალაქეთა შორის არსებული განსხვავება⁸ ინდივიდები, რომლებიც ამ დემოკრატიათა მოქალაქეები არ არიან, მოქალაქეთა მსგავსი იურიდიული უფლებებით სარგებლობენ, კანონი იცავს მათი სიტყვის, აღმსარებლობისა და შეკრების თავისუფლებას. ისინი სარგებლობენ განათლებისა და სხვა სახელმწიფო სერვისებით. ამავე დროს, ისინი მოქალაქეთა ვალდებულებებსაც იზიარებენ: ისინი უნდა დაემორჩილონ კანონს. გადაიხადონ გადასახადები და ა. შ ბევრად მნიშვნელოვანი განსხვავებაა ლეგალურ და ქვეყანაში არალეგალურად მყოფ იმიგრანტებს შორის. ეს უკანასკნელები დეპორტაციას ექვემდებარებიან თუმცა ინარჩუნებენ სამართლიანი სასამართლო პროცესით სარგებლობის უფლებას. ერთადერთი მნიშვნელოვანი უფლება, რომელსაც მხოლოდ ქვეყნის მოქალაქეები ინარჩუნებენ, ხმის მიცემის უფლებაა ამას ემატება ქვეყანაში დაუბრკოლებლად შესვლის და გამოსვლის საშუალება და უცხოეთში ყოფნისას საკუთარი სახელმწიფოს დახმარებისა და მხარდაჭერის აღება.

რაც არ უნდა მცირე იყოს ეს დარჩენილი განსხვავებები, საჭიროა მათი გაფრთხილება ადამიანის საბაზისო უფლებები უნივერსალურია, მაგრამ სახელმწიფოს მიერ გარანტირებული უფლებებით სრულად სარგებლობა ის ჯილდოა. რომელსაც ინდივიდი ქვეყნის მოქალაქეობისთვის და ამ ქვეყნის კანონების დაცვისთვის იღებს

თანამედროვე ლიბერალური დემოკრატიები ბევრს არაფერს ითხოვენ საკუთარი მოქალაქეებისადმი მინიჭებული უფლებების, კერძოდ, ხმის მიცემის უფლების დაცვის სანაცვლოდ. ქვეყნის მოქალაქეობის განცდას შეიძლება საყოველთაო სამხედრო სამსახურის მოთხოვნა აძლიერებდეს. ასეთი წესის არსებობა ხაზს უსვამს მოქალაქეობის დაცვის ვალდებულებას, მსხვერპლის გაღების მზობას. ასეთ ვალდებულებას ხაზი აქვს გასული ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეობისას მისაღებ ფიცში. სადაც ფიცის დამდებს ეკისრება, საჭიროების შემთხვევაში, ქვეყნის იარაღით ხელში დაცვა ან სამოქალაქო სამსახური, როგორც ამას კანონი ითვალისწინებს თუ ასეთი სამსახური სწორად

სტრუქტურირებულია, ის ახალგაზრდებს საშუალებას მისცემს იმუშაონ სხვა სოციალური ფენის, რეგიონის, რასისა და ეთნოსის წარმომადგენლებთან, ისევე, როგორც სამხედრო სამსახური აკეთებს ამას დღეს, და ისევე, როგორც ყველა საზიაროდ ვალდებული მსხვერპლი. ეს იქნება ახლადწამოსულთათვის კულტურული ინტეგრაციის დამატებითი საშუალება. ეროვნული სამოქალაქო სამსახური იქნებოდა კლასიკური რესპუბლიკანიზმის თანამედროვე ფორმა, რომელიც ხელს უწყობს ღირსებისა და საზოგადოებრივი სულისკვეთების განვითარებას.

ასიმილაციის საჯარო პოლიტიკის დღის წესრიგში გამოჩენა მიგვანიშნებს იმიგრაციისა და მასთან დაკავშირებული სოციო-კულტურული ცვლილებების მნიშვნელოვან მასშტაბს, როგორც ევროპაში, ისე შეერთებულ შტატებში. დომინანტურ კულტურაში ასიმილაციას, მკვიდრ მოსახლეობასთან მიმართებაში, იმიგრანტთა მზარდი რაოდენობაც აძნელებს. იმიგრანტთა რაოდენობის გარკვეულნიშულამდებრდის შემდეგ, ეს ჯგუფები თვითმყოფადები ხდებიან და აღარ სჭირდებათ მათი წრის გარეთ, სხვა ჯგუფებთან კავშირი. მათ შეუძლიათ საჯარო სერვისების პარალიზება გამოიწვიონ და სკოლებისა და სხვა საჯარო ინსტიტუტების ფუნქციონირება შეაფერხონ გრძელვადიან პერსპექტივაში. იმიგრანტთა ზრდა სახელმწიფო ფინანსებზე დადებით გავლენას ახდენს, თუმცა ამ შედეგის მისაღწევად მათ ლეგალური სამსახური უნდა დაიწყონ. გახდნენ გადასახადის გადამხდელები და კანონმორჩილი მოქალაქეები. იმიგრანტთა დიდი რაოდენობა ასევე ამცირებს მკვიდრი მოსახლეობის მხრიდან სახელმწიფოს მიერ უხვი სოციალური ბენეფიტების გაცემის მხარდაჭერას, რაც იმიგრაციის გარემო გამართული დებატების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა როგორც ევროპაში, ისე შეერთებულ შტატებში.

ლიბერალური დემოკრატიები იმიგრაციისაგან დიდი სარგებელს იღებენ როგორც ეკონომიკურს, ისე კულტურულს. ამავე დროს, მათ საკუთარი საზღვრების გაკონტროლების სუვერენული უფლება აქვთ დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის საფუძ-

ველი მთავრობასა და მოქალაქეს შორის არსებული სოციალური კონტრაქტია, რომელიც ორივე მათგანს შესაბამის ვალდებულებებს აკისრებს. ასეთი კონტრაქტი აზრს კარგავს მოქალაქეობის სტატუსის განსაზღვრისა და საარჩევნო უფლებებით სარგებლობის გარეშე. ადამიანთა უფლებების უნივერსალური დეკლარაციის მიხედვით, მოქალაქეობის ქონის უფლება ყველა ადამიანისთვის გარანტირებულ, ფუნდამენტურ უფლებად ითვლება და მისი თვითნებურად ჩამორთმევა შეუძლებელია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ინდივიდს ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქეობის უფლება აქვს საერთაშორისო სამართალი არ ზღუდავს ქვეყნების მიერ საკუთარი საზღვრების კონტროლის სუვერენულ უფლებას ან მოქალაქეობის მინიჭების საკუთარ შეხედულებებთან თანხვედრაში მყოფი კრიტერიუმების დანერგვას. ლტოლვილები ნადვილად იმსახურებენ ემპათიას თანადგომასა და მხარდაჭერას. მაგრამ, როგორც ყველა მორალური ვალდებულება, ესეც უნდა შეჯერდეს ხელმისაწვდომი რესურსების რაოდენობასთან, ქვეყნის პრიორიტეტებთან და მხარდაჭერის პროგრამის პოლიტიკურ მდგრადობასთან.

ევროპისთვის ეს ნიშნავს, რომ ევროკავშირი საკუთარ საგარეო საზღვრებს დღევანდელთან შედარებით უკეთესად უნდა აკონტროლებდეს, რაც იტალიისა და საბერძნეთის მსგავსი ქვეყნებისთვის ევროპისკენ მიმავალ მიგრაციულ ნაკადთა უკეთესად გაკონტროლებას, მატერიალური დახმარების აღმოჩენას და მეტი პრაქტიკული ბერკეტის მინიჭებას გულისხმობს. ამ ამოცანის მქონე ორგანიზაცია, ფრონტექსი. არასაკმარისი დაფინანსებით, დაუკომპლექტებელი შემადგენლობით და პოლიტიკური მხარდაჭერის არქონით არის ცნობილი. ფრონტექსს იმ ქვეყნების მხარდაჭერაც კი არ აქვს, რომლებიც იმიგრანტთათვის ევროპის საზღვრის დახურვას უჭერენ მხარს. გარე საზღვრების კონტროლის გამკაცრების გარეშე, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება ევროპის შიგნით თავისუფლად გადაადგილების სისტემის. შენგენის, პოლიტიკური მდგრადობის საკითხი.

განსხვავებული სიტუაციაა ამერიკის შეერთებულ შტატებში,

სადაც სახელმწიფო საკმაოდ არათანმიმდევრული აღმოჩნდა. როცა საქმე საიმიგრაციო კანონმდებლობის შესრულებას შეეხო. ამ კანონმდებლობის შესრულებას და დაცვას პოლიტიკური ნება სჭირდება დეპორტაციათა რიცხვმა მატება ობამას პრეზიდენტობისას დაიწყო, მაგრამ ამ მოქმედების ხშირად თვითნებური ხასიათი არ გვაძლევს გრძლევადიან და მდგრად პოლიტიკაზე საუბრის საშუალებას. კანონის დაცვას საზღვარზე აღმართული კედელი არ სჭირდება. შეერთებულ შტატებში არალეგალურად მყოფთა უმეტესობა ქვეყანაში ლეგალურად, ვიზის საშუალებით შემოვიდა. თუმცა ვიზის ხანგრძლივობის ამოწურვის შემდეგ არალეგალურად დარჩენა გადაწყვიტა. საიმიგრაციო კანონმდებლობის დაცვას გააადვილებს კანონის დამრღვევ დამსაქმებელთა წინააღმდეგ დასჯის ეფექტური მექანიზმების შემუშავება. ამავე დროს, საჭიროა ერთიანი საინფორმაციო ბაზა, რომელიც დამსაქმებლებს საშუალებას მისცემს სამსახურში აყვანამდე გადაამოწმონ მომავალი თანამშრომლის ქვეყანაში ყოფნის სტატუსი. ეს არ მომხდარა, რადგან ბევრი დამსაქმებელი არალეგალურად დასაქმებულებისგან მნიშვნელოვან სარგებელს ნახულობს და, შესაბამისად, არც კანონის დაცვის ფუნქციის შეთავსება სურს. საქმე შეერთებული შტატების მოსახლეობის – როგორც მემარჯვენეთა. ისე მემარცხენეთა – ეროვნული იდენტიფიკაციის სისტემის შექმნისადმი წინააღმდეგობაზამაც გაართულა. რაც წმინდა ამერიკული თავისებურებაა.

ამ ყველაფრის შედეგად, შეერთებულ შტატებში არალეგალურად მყოფი იმიგრანტების რეკორდული რაოდენობა – 11-12 მილიონი ადამიანი იმყოფება. ამ ადამიანთა სრული უმრავლესობა ქვეყანაში ბევრი წლის განმავლობაში ცხოვრობს. მუშაობს, ოჯახს პატრონობს და ყოველმხრივ კანონმორჩილი მოქალაქეა. აზრი, რომლის მიხედვითაც, შეერთებული შტატების სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადმოკვეთის გამო, ყოველი მათგანი კრიმინალია, სასაცილოა. ეს არ გამოირიყხავს, რომ მათ შორის, ისევე როგორც მკვიდრ მოსახლეობაში, კრიმინალთა გარკვეული რაოდენობაა. რეალობას არ შეეფერება ის მოსაზრებაც, რომლის

მიხედვით ამერიკელი სამართალდამცავები ყოველი მათგანის პოვნასა და მშობლიურ ქვეყანაში დეპორტაციას შეძლებენ. ამ მასშტაბის პროექტით სტალინის დროინდელი საბჭოთა კავშირი ან ჰიტლერის ნაცისტური გერმანია იამაყებდნენ.

იმიგრაციულ რეფორმაზე ვაჭრობა უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს. ამ მოლაპარაკებების ფარგლებში, ხელისუფლება საბჭურის დაცვისთვის საჭირო მნიშვნელოვან ნაბიჯებს გადადგამდა, მაგრამ ამ პოლიტიკის მხარდაჭერის შემთხვევაში და ამის სანაცვლოდ, თანახმა იქნებოდა ქვეყანაში არალეგალურად მყოფთაგან მათთვის, ვისაც კანონი არ დაურღვევია. მოქალაქეობის მოპოვების საშუალება მიეცა¹². ასეთმა გარიგებამ შეიძლება მართლაც მოიპოვოს ამერიკელი ხალხის უმრავლესობის მხარდაჭერა, რასაც ვერ ვიტყვით ანტიიმიგრაციული მოძრაობის წევრებზე, რომლებიც კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან "ამნისტიის" ნებისმიერ ფორმას. ამერიკული პოლიტიკური სისტემის პოლარიზაციამ და დისფუნქციურობამ ასეთი შეთანხმების მიღწევა შეუძლებელი გახადა. ამ ფენომენს ამერიკული ვეტოკრატია დავარქვი, როცა უმცირესობის შეხედულებებმა შეიძლება ადვილად შეაჩეროს უმრავლესობის ნების ასრულება¹¹.

თუ შეერთებული შტატები მართლაც ანიჭებს იმიგრანტთა ასიმილაციას დეკლარირებულ მნიშვნელობას, გარდაუვალია საიმიგრაციო სისტემის საფუძვლიანი რეფორმირება მემოჩამოთვლილი მიმართულებებით. შეერთებული შტატების მოქალაქეობის მოპოვება და ნატურალიზაციის ფიცის დადება ასიმილაციის მნიშვნელოვანი და ამაღლებელი ნიშნებია. ის, რაც ქვეყანაში არალეგალურად მყოფებს გზას ამერიკის მოქალაქეობისკენ გაუხსნიდა იქნებოდა ამერიკის კანონმდებლობის დარღვევისათვის მიღებული ერთგვარი ჯილდო და მოქალაქეობის მოსურნე ლეგალურად მყოფთა რიგში შეჭრა და მათ წინ ჩადგომა საჯარო მსახურების მოთხოვნა ამ წუხილის გაქარწყლების საშუალება შეიძლება იყოს. სკერა რა ილუზიის რომლის მიხედვით, მილიონობით არალეგალურად, მაგრამ მშვიდობიანად და პროდუქტიულად მცხოვრები ადამიანი იქნება ნაპოვნი და

დეპორტირებული, ქვეყანა თავადვე აფერხებს მათ ასიმილაციას. უახლოეს მომავალში, შეერთებული შტატების მიერ საკუთარი კანონმდებლობის შეუსრულებლობის პრობლემას გადაწყვეტა არ უნერია.

საჯარო პოლიტიკა, რომელიც იმიგრანტთა წარმატებულ ასიმილაციას დაისახავს მიზნად, ავტომატურად დაამუხრუჭებს ქსენოფობ პოპულისტთა მომძღაგრებას ევროპასა და შეერთებულ შტატებში. იმიგრაციის საწინააღმდეგოდ საგანგებოდ დარაზმულ ჯგუფებში სხვადასხვა შეხედულებათა ხალხი შედის მათი ბირთვი რასისტებისა და ფანატიკოსებისგან შედგება. მათ სავარაუდოდ, ვერაფერი შეცვლის. მათი სიძულვილი არ უნდა ვაკვებოთ და გავაძლიეროთ. მათთან მორალურ ნიადაგზე დაპირისპირება საკმარისი იქნება ამ ჯგუფთა სხვა წევრების წუხილი. ახლადრამოსულთა ასიმილაციას ეხება. მათ, თავად იმიგრაციაზე მეტად, იმიგრანტთა რიცხვი მათი მიერ გამოწვეული ცვლილებები და ამ ცვლილებების ფონზე არსებული ინსტიტუტების სიცოცხლისუნარიანობა აღარღებთ. პოლიტიკის ასიმილაციაზე გადართვა მათ წუხილს გაანელებდა და ფანატიკოსებს მოაცილებდა. მიუხედავად იმისა თუ რამდენად გამართლდება ეს ვარაუდი, წარმატებული ასიმილაცია უდავოდ სასარგებლოდ იმოქმედებს ეროვნულ ერთობაზე.

პოლიტიკა, რომელიც იმიგრანტებს, ლიბოლიზებს და მოქალაქეობის საკითხებს ეხება იდენტობის გარშემო გამართული დებატების ცენტრშია, თუმცა ეს საკითხი ბევრად მეტის მომცველია როგორც ადამ სმიტმა აღნიშნა. იდენტობის პოლიტიკა სათავეს იქ იღებს. სადაც ლატაკები და მარგინალიზებულები მათი თანამოქალაქეებისთვის უხილავნი არიან დაკარგულ სტატუსზე შფოთვა ეკონომიკური სიღუბნით იწყება და ამ გრძნობის განელების ერთ-ერთი გზა სამსახურის, შემოსავლის და უსაფრთხოების უზრუნველყოფაა.

ათწლეულებია, რაც მემარცხენეთა დიდმა ნაწილმა ამბიციურ სოციალურ პოლიტიკაზე ფიქრი შეწყვიტა. ბევრად მარტივი იყო ღირსებასა და იდენტობაზე საუბარი, ვიდრე ისეთი

რეალური გეგმის წარმოდგენა, რომელიც საზოგადოებაში უთანასწორობას შეამცირებდა და ხელმოკლეთა მდგომარეობას გააუმჯობესებდა გამონაკლისს წარმოადგენს პრემიადენტი ობამა, რომლის მიერ შემუშავებული ხელშისანვლოში ჯანდაცვის აქტი ამერიკელი სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიშანსვცეია. ამ აქტის ოპონენტებმა სცადეს მისი იდენტობის პოლიტიკის საკითხად შერაცხვა, ორაზროვანი მინიშნებით, რომ შავკანიანი პრემიადენტი შავკანიან ამომრჩეველთა გულის მოგებას ცდილობდა. სინამდვილეში ეს საკითხი ეროვნული პოლიტიკის ნაწილი იყო. რომელიც გაუსაძლის მდგომარეობაში მყოფ ამერიკელთა დასაცავად და დასახმარებლად შეიქმნა, მათი რასისა და იდენტობის მიუხედავად. ამ კანონის ბენეფიციართა ბორის ბევრი ამერიკის სამხრეთში, სოფლად მცხოვრები თეთრკანიანია, რომლებმაც, მიუხედავად ამისა, ამ აქტის გაუქმების მომხრე რესპუბლიკელებს დაუჭირეს მხარი.

იდენტობის პოლიტიკამ ამგვარი ამბიციური პოლიტიკური გეგმების შემუშავება გაართულა. თითქმის მთელი მე-20 საუკუნის განმავლობაში, ლიბერალურ დემოკრატიათა პოლიტიკური პროცესები ეკონომიკურ საკითხთა გარშემო ყალიბდებოდა. პროგრესისტ მემარცხენეებს რიგითი მოქალაქეების ბაზრის მზაკვრული ხელისგან დაცვა და სახელმწიფო ბერკეტების რესურსების უფრო სამართლიანი გადანაწილებისთვის გამოყენება სურდათ. მეორე მხრივ, მემარჯვენეები თავისუფალი ბიზნესის სისტემის და საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დაცვას ცდილობდნენ. კომუნისტები, სოციალისტები, სოციალ-დემოკრატები, ლიბერალები და კონსერვატორები, ყველა ეს პარტია მარცხნიდან მარჯვნივდალაგდა და პოლიტიკურ სპექტრში მათი პომიციონირება კონკრეტულ პარამეტრებს ეყრდნობა: ესენია: პარტიის დამოკიდებულება სახელმწიფოებრივი ინტერვენციონიზმის მიმართ და გადახრა თანასწორობისაკენ ან ინდივიდუალური თავისუფლებისაკენ არსებობდნენ მძლავრი იდენტობის ჯგუფებიც, რომელთა დღის წესრიგი ნაციონალისტური, რელიგიური ან რეგიონული ხასიათით გამოირჩეოდა. მეორე მსოფლიო ომის დამთავ-

რებიდან ჩვენს დრომდე არსებული დემოკრატიული პოლიტიკის სტაბილურობა მემარცხენე-ცენტრისტთა და მემარჯვენე-ცენტრისტთა დომინანტ პოლიტიკურ პარტიებს ეყრდნობოდა. ეს ძალები დემოკრატიულ, სოციალურ პოლიტიკაზე ორიენტირებული სახელმწიფოს არსებობაზე თანხმდებოდნენ.

ეს კონსენსუსი დრომოქმული მოცემულობაა, რომელიც იდენტობის პოლიტიკის გამტარებელი ახალი პოლიტიკური ძალების მძიმე წნეხის ქვეშაა. ეს ვითარება დემოკრატიული პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის მძაფრი პოლიტიკური პოლარიზაცია წინააღმდეგობრივ ეკონომიკურ ხედვათა შედეგი იყო, თუმცა დემოკრატიულმა სახელმწიფოებმა მალევე გამონახეს პოლიტიკური კომპრომისის მიღწევისათვის აუცილებელი რესურსები. ბევრად ძნელია იდენტობის პოლიტიკის საკითხთა გარშემო შეჯერება: ან მაღიარებ ან არა. დაკარგული ღირსებით ან საზოგადოებისთვის უხილავობით გამოწვეულ აღშფოთებას ხშირად ეკონომიკური ფესვები აქვს. თუმცა იდენტობის გამო კონფრონტაცია ხშირად გვაბრძავებს და თვალთახედვიდან გვაკარგვინებს იმ გზებს, რომლითაც არსებული პრობლემების გადაჭრა შეიძლება. ამერიკის შეერთებული შტატების, სამხრეთ აფრიკის ან ინდოეთის მსგავს ქვეყნებში, რომელთაც მძლავრი რელიგიური, რასობრივი და ეთნიკური სტრუქტურა ახასიათებს, გაცილებით ძნელი იყო რესურსების სამართლიანი გადანაწილებისათვის მებრძოლი კოალიციების შექმნა მაღალი სტატუსის იდენტობის ჯგუფებს არ სურდათ სოციალურად მათზე ქვემოთ მდგარ ადამიანებთან საერთო საქმის და მიზნის ქონა და პირიქით.

იდენტობის პოლიტიკის მომძლავრება ტექნოლოგიურმა ცვლილებებმაც გააადვილა. 1990-იანი წლების დასაწყისში, როცა ინტერნეტი მასობრივი კომუნიკაციის საშუალებად ჩამოყალიბდა, ბევრი პოლიტიკურ პროცესებზე დამკვირვებელი, მათ შორის მე, თვლიდა, რომ ის დემოკრატიული ღირებულებების გავრცელების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი იქნებოდა ინფორმაცია ძალაუფლების ერთ-ერთი ფორმაა და თუ ინტერნეტი

ინფორმაციასთან წვდომას აადვილებდა. შესაბამისად, უფრო ფართოდ ნაწილდებოდა ძალაუფლებაც. სოციალური მედია კიდევ უფრო მძლავრ სამოხილიზაციო ბერკეტად მოჩანდა, ის ხომ თანამოაზრეებს საერთო პრობლემების გარშემო მობილიზაციის საშუალებას აძლევდა ინტერნეტში კომუნიკაციის ჰორიზონტალური ბუნება იერარქიულ კარის მცველთა მრავალფეროვან კატეგორიებს ანადგურებდა. რომლებიც უწინ ადამიანთა ინფორმაციასთან წვდომას აკონტროლებდნენ.

და ასეც მოხდა: ავტორიტართა წინააღმდეგ ორგანიზებული რამდენიმე რევოლუცია მათ შორის, უკრაინისა და საქართველოს ნარინჯისფერი და ვარდების რევოლუციები, დამარცხებული ირანული მწვანე რევოლუცია, ტაჰირის მოედნის გამოსვლები და ტუნისური ამბოხი სოციალური მედიისა და ინტერნეტის მეშვეობით ორგანიზებული იყო. სამთავრობო ძალთა მოქმედების დამალვა უკიდურესად გააძეულა ხალხის ტექნოლოგიურ საშუალებებზე წვდომამ, რაც ინფორმაციის მყისიერი გავრცელების საშუალებას იძლეოდა მოძრაობა "შავკანიანთა სიცოცხლე ფასობს" ვერასდროს იხილავდა დღის სინათლეს კამერით აღჭურვილი მობილური ტელეფონების მეშვეობით გადაღებული ვიდეოების გარეშე.

დროთა განმავლობაში, ჩინეთის მსგავსმა ავტორიტარულმა რეჟიმებმა მიაგნეს საკუთარი მოსახლეობის მიერ ინტერნეტის ხმარების გაკონტროლების ხერხებს და, პრაქტიკულად, მათთვის პოლიტიკურად უვნებელი გახადეს. რუსეთის მთავრობამ სოციალური მედია პოლიტიკურ ოპონენტთა დასუსტების იარაღად აქცია². თუმცა ამ გარე ძალების გარეშე, სოციალურმა მედიამ ლიბერალური სამოგადოებების უკიდურესი ფრაგმენტაცია გამოიწვია და იდენტობის ჯგუფები გააძლიერა. სოციალურმა მედიამ გეოგრაფიულად დაშორებული თანამოაზრეები ერთმანეთთან დააკავშირა, აქტიური კომუნიკაციის და მონიშნულმდეგეებისგან თვითმზოლაციის საშუალება მისცა. ვირტუალურ კომუნიკაციას მოკლებულ სამყაროში შეთქმულების თეორიათა მიმდევრების რიცხვი უკიდურესად მცირე იქნებოდა, მაგრამ ონლაინ რეჟიმში ერთ-ერთ მათგანს საკუთარი თავის მსგავსი ათასობით ადამიანის

აღმოჩენა შეუძლია. ტრადიციული მედიისთვის დამახასიათებელი რედაქტირების, ფაქტების გადამოწმების და სხვა პროფესიული წესების გაუქმებამ ხელი შეუწყო უხარისო ინფორმაციის ცირკულაციასა და პოლიტიკურ ოპონენტთა დაკნინების და დასუსტების მიზანმიმართული მცდელობების განხორციელებას. ანონიმურობამ საშუალება ქცევის მინიმალური ნორმების კი მოშალა ამ მოცემულობამ არა მხოლოდ გააღვივა სამოგადოების სურვილი, საკუთარი თავი იდენტობის ჯგუფების თვალთ დაენახა, არამედ, ონლაინ ჯგუფების საფუძველზე, ახალი იდენტობის ჯგუფებიც კი გააჩინა

